

E ISSN 2587 – 4691

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

“ეკონომიკა – XXI საუკუნე”

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ არჩილ თეთრაულის
დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის
მასალების კრებული

“თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები”
(1 ნოემბერი – 28 დეკემბერი)

“ECONOMY – XXI CENTURY”

Proceedings of Materials of
International Scientific Internet Conference
Dedicated to the 85th Birth Anniversary of
Doctor of Economic Sciences, Professor Archil Tetrauli

“ECONOMIC PROBLEMS OF MODERN WORLD”
(November 1 – December 28)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ არჩილ თეთრაულის
დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის
მასალების კრებული

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები
(1 ნოემბერი – 28 დეკემბერი)

Proceedings of Materials
of International Scientific Internet Conference
Dedicated to the 85th Birth Anniversary of
Doctor of Economic Sciences, Professor Archil Tetrauli

ECONOMIC PROBLEMS OF MODERN WORLD
(November 1 – December 28)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2020 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციაზე წარდგენილი მასალები

Materials presented at the international scientific internet conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2020

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, თ. ლაზარაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, მ. ხუსკივაძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (**Editor-in-Chief**), T. Arnanian-Kepuladze, N. Bibilashvili (**Executive Secretary**), L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, E. Kakulia, K. Kveladze, M. Khuskivadze, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, S. Partycki, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin, L. Totladze

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), გ. გოგუაძე, ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი

Organizing Group of the Conference:

T. Gogokhia (Head), G. Gogvadze, N. Kedia, E. Jabanashvili

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2020

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2020

E ISSN 2587 - 4691



ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი არჩილ თეთრაული – 85

პროფესორ არჩილ თეთრაულის ცხოვრება და მოღვაწეობა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ იოსების ძე თეთრაული დაიბადა 1935 წელს თიანეთის რაიონის სოფელ არტანში. პირველი დაწყებითი განათლება მიიღო არტანის ოთხწლიან სკოლაში და სწავლა გააგრძელა თიანეთის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს. ამავე წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1958 წელს. შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტია პოლიტეკონომიის განხრით. როგორც უნივერსიტეტში, ისე ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სტუდენტმა და აქტიურმა მკვლევარმა. იგი ღრმად ეუფლება მეცნიერებას და პარალელურად იწყებს მუშაობას ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქციაში ფინანსების, ვაჭრობის ეკონომიკისა და სტატისტიკის განყოფილების გამგის რანგში.

პროფესორი არჩილ თეთრაული 1959 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია და ამავე დროს ამთავრებს ასპირანტურას. 1971 წელს იგი წარმატებით იცავს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს და ღირსეულად იკავებს ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის თანმდებობას. ამ პერიოდის განმავლობაში იგი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1977 წელს მას აწინაურებენ ინსტიტუტის აღწარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილების გამგედ, ხოლო 2006 წლიდან ხდება ამავე ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე და საბაზრო ეკონომიკის მეცნიერული მიმართულების ხელმძღვანელი. ბატონი არჩილ თეთრაული საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1994 წელს, იცავს დისერტაციას ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

პროფესორ არჩილ თეთრაულმა განვლო ცხოვრების შინაარსიანი და სახელოვანი გზა. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ეკონომისტთა ახალგაზრდა თაობების აღზრდაში. ამ საქმეში ღრმა განსწავლულობისა და ერუდიციის გარდა მას ეხმარებოდა ის ადამიანური თვისებები, რითაც უზვად იყო დაჯილდოვებული. იგი დიდ დახმარებას უწევდა მის განყოფილებაში მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერებს. ამ განყოფილებაში მუშაობდნენ აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები: თემურ ბერიძე, მურმან კვარაცხელია, მეცნიერებათა კანდიდატები - ილია ზაქარიაძე, გია თოფურია, ნოდარ ულუმბერაშვილი, ზურაბ სოსელია, ნოდარ დარისპანაშვილი. პროფესორ არჩილ თეთრაულს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოქვეყნებული 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 12 მონოგრაფიული გამოკვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორ არჩილ თეთრაულის ამ ნაშრომებს საქართველოს ეკონომიკური აზრის ისტორიაში დღესაც გააჩნია მეცნიერული ღირებულება. პროფესორ არჩილ თეთრაულის მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი მეტად ფართო იყო. იგი მოიცავდა როგორც ეკონომიკური თეორიის, ისე მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის პრობლემებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი დამსახურება ეროვნული ეკონომიკის კვლავწარმოებისა და საბაზრო ეკონომიკაზე

გადასვლის კანონზომიერებათა როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის საკითხების დამუშავებაში.

პროფესორ არჩილ თეთრაულის მონოგრაფიული ნაშრომები თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური მეცნიერების შენამენად. მის შრომებში მოცემულია თავისებური მეცნიერული ხედვა პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკურ პრობლემებზე. მათში გადმოცემულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებები და გაკეთებული დასკვნები და წინადადებები გამოირჩევა ორიგინალური და კონცეპტუალური მიდგომებით. ფრიად საყურადღებოა პროფესორ არჩილ თეთრაულის მიერ 1991 წელს თანაავტორობით გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელო - „ეკონომიკური თეორიის (პოლიტიკონომიის) საფუძვლები“. პროფესორი არჩილ თეთრაულის მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1976 წელს გამოცემული გამოკვლევა „გაფართოებული აღწარმოებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის პრობლემები საბჭოთა საქართველოში“. მასში ავტორმა გამოიკვლია გაფართოებული აღწარმოების თავისებურებანი ცალკეულ რესპუბლიკებში, სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები და პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსის ანალიზი. 1981 წელს კი მან გამოსცა გამოკვლევა „გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ძირითადი კანონზომიერებანი საბჭოთა საქართველოში“, სადაც გამოიკვლია გაფართოებული კვლავწარმოების რეგიონალური თავისებურებები და ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოების კანონზომიერებანი. ასევე აღსანიშნავია მისი ნაშრომი „გაფართოებული კვლავწარმოების ტემპები და მისი ინტენსიფიკაცია საქართველოს რესპუბლიკაში“, რომელიც გამოცემულია 1987 წელს. აქ მეცნიერის მიერ განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია და ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებისა და პროპორციების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები პერსპექტივაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოსტკომუნისტურ პერიოდში, 1993 წელს ა. თეთრაულის მიერ გამოცემული მონოგრაფიული გამოკვლევა ორ წიგნად „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში“. მასში ავტორმა გადმოგვცა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა და მისი თავისებურებანი, პრივატიზაციის ფორმები, ბიზნესის სპეციფიკა და მეწარმეობის ფორმები და სხვა. აქვე მეცნიერმა მოგვცა საკუთარი ხედვა საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაციისა და მისი პერსპექტიული აღმავალი განვითარების შესახებ. მის ამ შრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

აღნიშვნის ღირსია პროფესორ არჩილ თეთრაულის მოღვაწეობა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა 9 მეცნიერებათა კანდიდატი და 4 მაძიებელი, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ ქვეყნის სხვადასხვა უბნებზე და ეწევიან სასარგებლო საქმეებს. სწორედ ამ სფეროში წარმოჩინდა არჩილ თეთრაულის უდავოდ დიდი ნიჭი და ალლო, გზა გაეკაფა პერსპექტიული და მომავლის იდეებით განმსჭვალული ახალგაზრდებისათვის მეცნიერების რთულ და წინააღმდეგობებით სავსე მწვერვალებისაკენ. ამ მხრივ გამოვყოფდი 1982 და 1986 წლებში პროფესორ არჩილ თეთრაულის რედაქტორობით გამოცემულ კოლექტიურ მონოგრაფიებს, სადაც ცალკეული თავების ავტორები არიან დღეს უკვე სახელგანთქმული მეცნიერები. ესენია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი

რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. ასევე ცნობილი მეცნიერები თეიმურაზ ბერიძე, ბონდო ზარნაძე, აზიკო სისვაძე, ილია ზაქარიაძე, მურმან კვარაცხელია და სხვები. იმ ახალგაზრდა მეცნიერებიდან, რომლებიც არჩილ თეთრაულის განყოფილებაში უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ მეცნიერული აზროვნების ხელოვნებას, მაგრამ დღეს აღარ არიან ჩვენ გვერდით, ამათგან გამოვყოფდი საუკეთესო მეგობარსა და პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერს ნოდარ დარისპანაშვილს, ნიჭიერ მეცნიერს, საქართველოს ეროვნული ბანკის პირველ პრეზიდენტს გია თოფურიას, ყველასთვის საპატივცემულო მხცოვან მეცნიერსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ იური კაპანაძეს და იმ პერიოდის ახალგაზრდა თაობაში თავისი შრომისმოყვარეობითა და განათლებით გამორჩეულ ახალგაზრდა მეცნიერს, ნოდარ ულუმბერაშვილს და სხვებს.

პროფესორი არჩილ თეთრაული ამავე დროს იყო ლექციების კითხვის დიდოსტატი. წარმატებით კითხულობდა ლექციების კურსს პოლიტეკონომიასა და დარგობრივ საგნებში ქალაქ თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. სწორედ საბჭოთა სისტემის დაშლის გარიჟრაჟზე მან ერთ-ერთმა პირველმა დააარსა საქართველოში კერძო სამართლის იურიდიული პირი - „თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა“. აქ ნათლად გამოჩნდა მისი, როგორც მენეჯერის, საქმიანი თვისებები და ეს სკოლა გახდა ახალი რეალიების მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული კადრების აღზრდის სამჭედლო. იგი წლების განმავლობაში იყო ამ უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებელი და შეუცვლელი რექტორი.

პროფესორი არჩილ თეთრაული ფართო სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი იყო მრავალი სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოს წევრი, მათ შორის 2001-2006 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს წევრი. ამასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა არა ერთი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის მუშაობაში მისი წევრის სტატუსით. ამასთან ერთად ყოველთვის გამორჩეული იყო მისი მონაწილეობა საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

პროფესორი არჩილ თეთრაული დაჯილდოვებული იყო მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით. იყო „შრომითი მამაცობისათვის“ და „ღირსების მედლის“ კავალერი.

პროფესორი არჩილ თეთრაული განსაკუთრებული თვისებების მატარებელი პიროვნება იყო, განსაკუთრებით ადამიანებთან ურთიერთობაში, რაც გამოვლინდა მის ჰუმანურობაში, მეგობრებისადმი თანადგომაში, პრინციპულობასა და ერთგულებაში. მან დატოვა თავისი მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა და კარგი ოჯახი, მისი ქალიშვილი, ქალბატონი ციცინო თეთრაული ღირსეულად აგრძელებს მამის მიერ დაწყებულ საქმეებს.

დასანანია, რომ პროფესორი არჩილ თეთრაული 74 წლის ასაკში, 2009 წლის 6 მარტს წავიდა ამ ქვეყნიდან. თუმცა მას ჯერ კიდევ შეეძლო ბევრი ღირებული სიტყვის თქმა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებასა და ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში. გვჯერა ეკონომისტების მომავალი თაობა არაერთხელ მიუბრუნდება პროფესორ არჩილ თეთრაულის მიერ დანატოვარ მეცნიერულ ნაღვაწს და მის შემოქმედებას ღირსეულად დააფასებს.

*მურმან კვარაცხელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

CORRUPTION AS A DELAYING FACTOR FOR ECONOMIC DEVELOPMENT

Annotation. *The paper examines the impact of corruption on economic development. The focus is made on its global nature, the subjective and objective causes and sources of its origin, and the main measures for overcoming them.*

The key-words: *Keywords: Corruption, Economic Development, Global Corruption, Corrupt Deal.*

Introduction

Corruption is a Latin word (*corrumpere*) which means spoilage. This term is the most often applied to the bureaucratic apparatus and political elite. This means that officials use own status for personal gain, contrary to the established rules of law. Corruption is one of the strongest barriers to economic development, since it causes inefficient use of resources and produces many other negative consequences. Nowadays, it's acquired a global character.

* * *

Corruption is not a new phenomenon, it had been originated in the distant past. History has preserved the mention of the Sumerian king, Urukagina, from the city-state of Lagash (XXIV century BC) who was a fiercely fighting with corruption king, and so on.

Nowadays corruption is an international problem [Tanzi V., 1998]. In the conditions of globalization, the facts of bribery of foreign state officials by corporations have become more frequent and massive issue. The rise of corruption in any country of the world can have a negative impact on the economies of other countries and so on. Nowadays corruption exists into varying types in different countries in all over the world. And in the context of globalization, corruption takes on the interstate and international forms. "Corruption is not a local problem, but has become a transnational phenomenon that affects societies and economies of all countries worldwide." At the international level it is associated with huge monetary assets and resources, it has a negative impact on entire industries, and in some cases, threatens the prospects for economic development of countries. Corruption forms a negative image of the state, both in the eyes of its citizens and between economic and political partners from other countries. Researchers note that globalization leads to the unhindered spread of corruption in many countries, and also has a negative impact on many areas of public life. It should be noted that the absence at the international level of a unified generally accepted definition of corruption introduces some difficulties in the fight against it. On the other hand, the reasons for the lack of a single definition are understandable; it includes the different political structures of countries, and the forms of its economy, the level of social development, and, of course, the real differences between cultures and mental characteristics of concrete countries. The study of international normative legal acts suggests that the international community does not narrow the content of corruption to bribery of officials, but expands the approach to the study of this phenomenon. Official embezzlement, lobbying, bribery, forms of misuse by officials of their power, an advantage of the status of one citizen over another, all these aspects are made corruption in the international sense [Кейзерова Ю. В..., с. 526]. As historical experience and modern practice show, not a single state has managed to completely solve the problem of corruption. At the end of the last century and beginning of this one, a number of international organizations were created to counter global corruption [Мойсеев В. В..., с. 180].

Various causes of corruption can be identified. The biggest reason for corruption is existence of the state, itself, but the absence of the state could create much more problems than is made by corruption .

We can distinguish between objective and subjective reasons for origin of corruption, but in our opinion, these reasons are mainly subjective and the most important of them is the existence of imperfect and weak state institutions (mainly formal, but also possible informal), at first of all, the imperfect system of governing. Imperfect institutions mean:

1. Underdeveloped state institutions. The most obvious example of this is a very long-term process of the post-communist transformation in some countries (including Georgia), when at the first stage, old state institutions were destroyed and replaced by less powerful and improved institutions. These conditions create the good greenhouse conditions for development corruption; Existence of the conservative legislative norms. More or less, such a thing can be found in the legislative acts of all countries, since any law becomes an obsolete by time and needs to be updated, which is seriously opposed by the bureaucracy of countries with high level of corruption;

2. Imperfect market infrastructure. Examples of this are post-communist countries. For example, in Georgia, despite the fact that economic reforms began 15 years ago, a full-fledged market infrastructure has not yet been created. This means that in such countries market forces are weak and bureaucracy is excessive in the functioning of the economy;

3. Existence of the conservative legislative norms. More or less, such a thing can be found in the legislative acts of all countries, since any law becomes an obsolete by time and needs to be updated, which is seriously opposed by the bureaucracy of countries with high level of corruption;

4. It still exists an imperfection of newly adopted laws. Noteworthy is the tax legislation system. If the amount of taxes is higher than optimal, then the taxpayer wants to hide them, he/she tries to achieve it by making a deal with the representatives of authorities and thus increasing a size of the shadow economy. Some businesses leave the market altogether. The high taxes also discourage new businesses from entering to the new market. Naturally, in all these cases, both, the payment base and budget revenues are reduced. And, most importantly is that it hinders the development of economy. When it comes to optimal size of taxes, the picture is quite to opposite side. Of course, in countries with high level of corruption, the bureaucracy doesn't even want to determine the optimal amount of taxes. However, it should be noted that its exact definition is almost impossible to be confirmed.

The tax rates in Georgia haven't been optimal over the years, which has significantly contributed to growth of the shadow economy. Currently the tax code is more liberal issue. However, the process of improving is always a necessary issue. In our opinion, the amount of taxes should be determined not subjectively, but based on the results. If existing rates are found to hinder development of economy, they should be changed rapidly until will not reach a practically optimal value. In general, it is probably necessary to involve the experience of countries where "automatic stabilizers" or "built-in stabilizers" are used so that tax rates will be changed automatically.

5. A low quality of implementation of laws, regulations, decrees, etc. These shortcomings were typical for countries with economies in transition, since there are no analogues in the world for that transformation, and therefore it is impossible to find a new path without making mistakes.

6. Existence of habits and traditions in the current society that contribute the strengthening of corruption;

7. A low level of salaries in the public sector, contrary to the private one;

8. The process of separating local bureaucratic elite from citizens;

9. Macro-economic instability, etc.

There are also the objective reasons for corruption. Among them can be mentioned:

1. The necessity for state regulation of economy. Separation of management system. If all the reins of government would be in the hands of one person (for example, in the case of an absolute monarchy), then corruption would no longer exist, since corruption makes no sense to the ruler, who could embezzle the absolute wealth;

2. The ambiguous nature of laws;

3. Impossibility of carrying out the comprehensive control. The ambiguous nature of laws;

4. A low level of civic education ;

5. Incompetence of the bureaucracy;

6. A low level of state control and monitoring by citizens;

7. The state monopoly on production of certain services;

The main sources of corruption can be identified:

1. The state budget from which are made the state expenditures (investments, state procurements, etc.);

2. Non-budgetary funds;

3. Privatization;

4. The tax benefits;

5. Tax offenses;

6. Sale of raw materials and resources by lower market prices;

7. The extraction of natural resources;

8. The sale of state assets;

9. The shadow economy;

10. Transfer of commercial activities to the private individuals;

11. Appointment to positions;

12. The granting the right to participate in elections;

13. The foreign aid, etc .;

Corruption is associated with many negative events. For example, such as: an inefficient use of economic resources; Irrational appropriation of foreign aid; improper usage of individual skills; cultural and intellectual decline; loss of authority by government; distortion of international relationship, etc.

Under a corrupt government, the state resources do not flow in accordance with requirements of economy, but where it would be more convenient and easy to steal them.

The question is, is it economically profitable to fight corruption completely? Naturally, if corruption can be completely eliminated without a huge spending, then it will be a desirable and profitable, of course. But it can be achieved only when there will no longer be people who are involved in corrupt deals, but in fact, such a case does not exist and will not be real in the future. Thus, it becomes necessary to compare the losses (the corrupt losses) incurred as a result of corruption and the costs which should be incurred for eliminate it.

In general, the expenses are very important for complete elimination of corruption and it includes not only material costs of the relevant measures, but also the costs of restricting a freedom of society. However, the stronger fight should be continue against corruption by the state, and in the same time will increase the level of corruption. The expenditures on the path to eliminating corruption are gradually increasing and not decreasing. Nevertheless, the fight against corruption can have significant positive consequences.

From an economic point of view, the spending to eradicate corruption should continue until the economic consequences of eradicating it will not outweigh the costs. The optimal level of corruption is obtained when the costs incurred in eliminating it are equal to the output obtained, since the expenses will then exceed its output.

One of the macroeconomic measures to reduce corruption is to create a macroeconomic climate that eliminates the root causes of corruption and, above all, improves existing of the strength institutions. In addition, we can highlight the following key methods of fighting with corruption [Козонов Э. Ю., 2006]:

1. The tightening of laws and enforcing them will increase the risk of corruption. They go for corrupt deals when the bureaucratic rent is much higher than the risk of participating in corruption. The tightening the laws and enforcing them will naturally increase that risk, which will obviously reduce corruption;

2. A process of strengthening the market forces. In the presence of improving of market mechanism, there is less need for state intervention in economy and therefore the number of corrupt transactions is reduced;

3. Should be increases the salaries of officials. It is true that an increase of salaries for civil servants may not lead to a direct proportional reduction in the level of corruption, but it is also clear

that a more materially secure person will be less at risk. This is evidenced by the fact that in the countries with the lowest level of corruption in the world, the salaries of civil servants are 2-3 times higher than salaries in the private sector;

4. A financial control (audit);
5. An independent judiciary, etc.

But all these measures will be effective only when the highest representatives of government in the country are interested in it. If we are dealing with opposite situation, then the problem must be solved by using a power of the people, that is, the relevant government must come to power through elections.

In order to take anti-corruption measures, it is very desirable to have an anti-corruption macroeconomic mechanism in the country, in which all three main branches: the government, parliament, judiciary system and free media will be actively involved into process.

Conclusions

1. The term "corruption" is the most often applied to the bureaucratic apparatus and political elite. This means that officials use own status for personal gain, contrary to the established rules of law;

2. Corruption is one of the strongest barriers to economic development, since it causes inefficient use of resources and produces many other negative consequences;

3. Corruption has acquired a global character to this day. Globalization is spreading corruption in many countries;

4. Corruption negatively affects all industries and threatens the economic development prospects of countries;

5. Corruption creates a negative image of the state in the eyes of its citizens, as well as economic and political partners of other countries;

6. Various causes of corruption can be identified. The biggest reason for the existence of corruption is the existence of the state itself, but the absence of the state has created far more problems than corruption;

7. The causes of corruption are mainly subjective and the most important of them; Underdeveloped state institutions; arasrulyofili sabazro infrastruqtura et al and so on.

8. There are also objective reasons for corruption. Among them may be: the need for state regulation of the economy, the fragmentation of the management system and so on;

9. The main sources of corruption can be identified: state budget; Non-budgetary funds; Privatization; Tax breaks and so on;

10. Corruption is associated with many negative events. For example, with: inefficient use of economic resources; Irrational appropriation of foreign aid and so on;

11. The following are the main methods of combating corruption: tightening laws and enforcing them, strengthening market forces and so on;

12. During corrupt governance, state resources flow not in accordance with the requirements of the economy, but where it would be more convenient to steal it;

13. Expenditure on eradicating corruption in economic terms should continue until the economic consequences of eradicating corruption outweigh the costs;

14. One of the macroeconomic measures to reduce corruption is to create a macroeconomic climate that eliminates the root causes of corruption and, above all, improves existing of the strength institutions.

References

1. Tanzi V. 1998. Corruption around the world. // IMF Staff Papers. – 1998. –Vol. 45, No. 4. – P. 227 k – I

2. Кейзерова Ю. В., Стеклов В. А. Коррупция в контексте глобализации <https://moluch.ru/archive/149/42227/>
3. Козонов Э. Ю., Жукаев А. 2006. Коррупция: истоки и пути преодоления. М.: МАКС Пресс, МГУ
4. Коуз Р. Фирма. Рынок и право. М.: Новое издательство, 2007. 279
5. Моисеев В. В., Ницевич В. Ф. Коррупция как глобальная проблема: история и современность. <https://cyberleninka.ru/article/n/korruptsiya-kak-globalnaya-problema-istoriya-i-sovremennost/viewer>

*Рамаз Абесадзе
Нана Бибилашвили*

КОРРУПЦИЯ - ФАКТОР ЗАДЕРЖКИ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ

***Аннотация.** В статье исследуется влияние коррупции на экономическое развитие. Основное внимание уделяется его глобальному характеру, субъективным и объективным причинам и источникам его происхождения, основным мерам борьбы с ним.*

***Ключевые слова:** коррупция, экономическое развитие, глобальная коррупция, коррупционная сделка.*

Предисловие

Коррупция - это латинское слово (*corrupture*), что означает порчу. Этот термин чаще всего применяется к бюрократическому аппарату и политической элите. Это означает осуществление должностными лицами полномочий в целях личной выгоды вопреки установленным правилам. Коррупция - одно из сильнейших препятствий на пути экономического развития, поскольку это приводит к неэффективному использованию ресурсов и вызывает множество других негативных последствий. На сегодняшний день она приобрела глобальный характер.

* * *

Коррупция - явление не новое, ее корни уходят в далекое прошлое. История сохранила упоминание о шумерском царе Урукагине из города-государства Лагаш (XXIV век до нашей эры), как яростно борющийся с коррупцией король и т. д.

Сегодня коррупция - это международная проблема [Tanzi V. 1998]. В условиях глобализации факты подкупа корпорациями должностных лиц иностранного государства участились и приобрели массовый характер. Рост коррупции в любой стране мира может негативно сказаться на экономике других стран и т.д. Коррупция в разной степени существует во всех странах мира. А в условиях глобализации коррупция приобретает межгосударственную и международную форму. Коррупция не является локальной проблемой, а превратилась в транснациональное явление, которое влияет на общества и экономики всех стран мира. Коррупция на международном уровне связана с огромными денежными активами и ресурсами, она оказывает негативное влияние на целые отрасли, а в отдельных случаях и ставит под Угрозу перспективы экономического развития стран. Коррупция формирует негативный облик государства, как в глазах своих граждан, так и в глазах экономических и политических партнеров из других стран. Исследователи отмечают, что глобализация приводит к беспрепятственному распространению коррупции во многих странах, а также оказывает негативное влияние на многие сферы общественной жизни. Следует отметить, что отсутствие на международном уровне единого общепринятого определения коррупции привносит в борьбу с ней некоторые трудности. С другой стороны понятны причины отсутствия единого определения, к таковым можно отнести и различное политическое устройство стран, и состояние экономи-

ки, и уровень общественного развития, и, конечно же, различие культур и ментальных особенностей разных стран. Изучение международных нормативно-правовых актов говорит о том, что международное сообщество не сужает содержание коррупции до взяточничества должностных лиц и чиновников, а расширяет подход к изучению этого феномена. Должностные хищения, лоббизм, подкуп, формы неправомерного использования должностными лицами своих полномочий, преимущество статуса одного гражданина над другим все это коррупция в международном понимании. [Кейзерова Ю. В..., с. 526]. Как показывает исторический опыт и современная практика, ни одному государству не удалось полностью решить проблему коррупции. В конце прошлого, начале этого века был создан ряд международных организаций для противодействия глобальной коррупции [Моисеев В. В..., с. 180].

Можно выделить различные причины коррупции. Самая большая причина существования коррупции - это существование самого государства, но отсутствие государства создало бы гораздо больше проблем, чем коррупция.

Мы можем различать объективные и субъективные причины происхождения коррупции, но, на наш взгляд, эти причины в основном субъективны, и наиболее важной из них является наличие несовершенных институтов (в основном формальных, но также неформальных), прежде всего несовершенной системы правления. Несовершенные институты означают:

1. Неразвитые государственные институты. Наиболее очевидным примером этого является длительный процесс посткоммунистической трансформации в некоторых странах (включая Грузию), когда на первом этапе старые государственные институты разрушаются и на смену им приходят менее мощные и совершенные институты. В таких условиях создаются хорошие парниковые условия для коррупции;

2. Несовершенная рыночная инфраструктура. Примеры тому - посткоммунистические страны. Например, в Грузии, несмотря на то, что экономические реформы начались 15 лет назад, полноценная рыночная инфраструктура еще не создана. Это означает, что в таких странах рыночные силы слабы, а бюрократия чрезмерна в функционировании экономики;

3. Наличие консервативных законодательных норм. Более или менее такое можно найти в законодательных актах всех стран, поскольку любой закон со временем устаревает и нуждается в обновлении, чему серьезно противостоит бюрократия в странах с высоким уровнем коррупции;

4. Несовершенство вновь принятых законов. Особо следует отметить налоговое законодательство. Если сумма налогов выше оптимальной, то налогоплательщик пытается скрыть налог, чего он достигает, заключая сделку с соответствующими органами и тем самым увеличивая размер теневой экономики. Некоторые предприятия вообще уходят с рынка. Высокие налоги также препятствуют войти на рынок новых предприятий. Естественно, что во всех этих случаях сокращается и платежная база, и доходы бюджета. И, что самое главное, тормозит развитие экономики. Что касается налогов оптимального размера, то картина прямо противоположная. Конечно, в странах с высоким уровнем коррупции бюрократия даже не хочет определять оптимальную сумму налогов. Однако следует также отметить, что точное его определение практически невозможно. Налоговые ставки в Грузии не были оптимальными на протяжении многих лет, что в значительной степени способствовало росту теневой экономики. В настоящее время налоговый кодекс более либерален. Однако его совершенствование это необходимый процесс. На наш взгляд, размер налогов должен определяться не субъективно, а по результатам. Если будет обнаружено, что существующие ставки препятствуют развитию экономики, их следует быстро изменить, пока они не достигнут практически оптимального значения. В целом, наверное, нужно внедрить опыт стран, где используются «автоматические стабилизаторы», или «встроенные стабилизаторы», чтобы налоговые ставки менялись автоматически;

5. Низкое качество исполнения законов, нормативных актов, указов и др. Эти недостатки были характерны и для стран с переходной экономикой, поскольку в мире нет аналогов происходящим здесь трансформациям, и без ошибок найти новый путь невозможно.

6. **Наличие в обществе привычек и традиций, способствующих усилению коррупции;**
7. **Низкий уровень заработной платы в государственном секторе по сравнению с частным сектором;**
8. **Отделение бюрократической элиты от народа**
9. **Макроэкономическая нестабильность и др.**

Есть и объективные причины коррупции. Среди них можно отметить:

1. **Необходимость государственного регулирования экономики. Разделение системы управления.** Если бы все бразды правления были в руках одного человека (например, в случае абсолютной монархии), то коррупции больше не существовало бы, поскольку коррупция не имеет смысла для правителя, он может присвоить богатство;

2. **Невозможность проведения комплексного контроля**
3. **Неоднозначность законов;**
4. **Низкий уровень образования населения;**
5. **Некомпетентность бюрократии;**
6. **Низкий уровень государственного контроля со стороны граждан;**
7. **Государственная монополия на производство определенных услуг.**

Можно выделить основные источники коррупции:

1. **Государственный бюджет**, из которого производятся государственные расходы (инвестиции, гос.закупки и др.);
2. **Внебюджетные фонды;**
3. **Приватизация;**
4. **Налоговые льготы;**
5. **Налоговые правонарушения;**
6. **Продажа сырья и материалов по низким рыночным ценам;**
7. **Добыча природных ресурсов;**
8. **Продажа государственного имущества;**
9. **Теневая экономика;**
10. **Передача коммерческой деятельности частным лицам;**
11. **Назначение на должности;**
12. **Предоставление права участвовать в выборах;**
13. **Иностранная помощь и др;**

Коррупция связана со многими негативными событиями. Например, такие как: неэффективное использование экономических ресурсов; Нерациональное присвоение иностранной помощи; Ненадлежащее использование навыка индивидов; Рост социального неравенства; Культурный и интеллектуальный упадок; Утрата авторитета правительства; Искажение международных отношений и т.д.

При коррумпированном управлении государственные ресурсы перетекают не в соответствии с требованиями экономики, а там, где их было бы удобнее украсть.

Вопрос в том, выгодно ли экономически, полностью бороться с коррупцией? Естественно, если коррупцию можно полностью устранить без затрат, то это будет желательно и выгодно. Но этого можно добиться только тогда, когда больше не будут существовать людей, вовлеченных в коррупционные сделки, но на самом деле такого случая не существует и не будет существовать в будущем. Таким образом, возникает необходимость сравнить убытки (коррупционные потери), понесенные в результате коррупции, и затраты, понесенные на ее устранение.

В целом, затраты очень важны для полного устранения коррупции, и они включают не только материальные затраты на соответствующие меры, но и затраты на ограничение общественной свободы. Однако чем сильнее борьба с коррупцией со стороны государства, тем выше коррупционный потенциал. Расходы на искоренение коррупции постепенно увеличиваются, а не уменьшаются. Тем не менее, борьба с коррупцией может иметь значительные положительные результаты.

С экономической точки зрения, расходы на искоренение коррупции должны продолжаться до тех пор, пока экономические последствия искоренения коррупции не перевесят затраты. т.е. Оптимальный уровень коррупции достигается, когда затраты, понесенные на ее устранение, равны полученному результату, так как после этого затраты превысят результат.

Одна из макроэкономических мер по сокращению коррупции - это создание макроэкономического климата, который устраняет коренные причины коррупции и, прежде всего, улучшает существующие институты. Кроме того, можно выделить следующие ключевые методы борьбы с коррупцией [Козонов Э. Ю., 2006]:

1. Ужесточение законов и обеспечение их соблюдения увеличат риск коррупции.

Они идут на коррупционные сделки, когда бюрократическая рента намного превышает риск участия в коррупции. Ужесточение законов и обеспечение их соблюдения, естественно, увеличат этот риск, что, очевидно, уменьшит коррупцию;

2. Усиление рыночных сил. При наличии совершенного рыночного механизма меньше необходимости во вмешательстве государства в экономику, и, следовательно, сокращается количество коррупционных сделок;

3. Повысить зарплаты чиновникам. Верно, что повышение заработной платы государственных служащих не может привести к прямо пропорциональному снижению уровня коррупции, но также естественно, что более материально обеспеченный человек будет меньше подвергаться риску. Об этом свидетельствует тот факт, что в странах с самым низким уровнем коррупции в мире зарплаты госслужащих в 2-3 раза выше, чем зарплаты в частном секторе.

4. Финансовый контроль (аудит);

5. Независимая судебная система и др.

Но все эти меры будут эффективными только тогда, когда в этом будет заинтересовано высшее руководство страны. Если мы имеем дело с противоположной ситуацией, то проблема должна быть решена с помощью силы народа, то есть соответствующее правительство должно прийти к власти путем выборов.

Для принятия антикоррупционных мер желательно иметь в стране антикоррупционный макроэкономический механизм, в котором участвовали бы все три ветви власти: правительство, парламент, судебная система и свободные СМИ.

Выводы

1. Термин «коррупция» чаще всего применяется к бюрократическому аппарату и политической элите. Это означает осуществление должностными лицами полномочий в целях личной выгоды вопреки установленным правилам;

2. Коррупция по сей день приобрела глобальный характер. Глобализация способствует распространению коррупции во многих странах;

3. Коррупция - одно из сильнейших препятствий на пути экономического развития, поскольку это приводит к неэффективному использованию ресурсов и вызывает множество других негативных последствий;

4. Коррупция отрицательно сказывается на всех отраслях и ставит под угрозу перспективы экономического развития стран;

5. Коррупция создает негативный образ государства в глазах его граждан, а также экономических и политических партнеров других стран;

6. Можно выделить различные причины коррупции. Самая большая причина существования коррупции - это существование самого государства, но отсутствие государства создает гораздо больше проблем, чем коррупция;

7. Причины коррупции в основном субъективны, и наиболее важным из них является: наличие несовершенных институтов; Слаборазвитые государственные институты; Несовершенная рыночная инфраструктура и др;

8. Есть и объективные причины коррупции. Среди них могут быть: необходимость государственного регулирования экономики, фрагментация системы управления и др.;
9. Можно выделить основные источники коррупции: государственный бюджет; Внебюджетные фонды; Приватизация; Налоговые льготы и др;
10. Коррупция связана со многими негативными событиями: неэффективное использование экономических ресурсов; Нерациональное использование иностранной помощи и др;
11. Можно выделить основные методы борьбы с коррупцией: ужесточение и обеспечение соблюдения законов, укрепление рыночных сил и др.;
12. При коррумпированном управлении государственные ресурсы перетекают не в соответствии с требованиями экономики, а там, где их было бы удобнее украсть;
13. Расходы на искоренение коррупции с экономической точки зрения должны продолжаться до тех пор, пока экономические последствия искоренения коррупции перевесят затраты;
14. Одна из макроэкономических мер по сокращению коррупции - это создание макроэкономического климата, который устраняет коренные причины коррупции и, прежде всего, улучшает существующие институты.

Использованная литература

1. Tanzi V. 1998. Corruption around the world. // IMF Staff Papers. – 1998. –Vol. 45, No. 4. – P. 227 k – I
2. Кейзерова Ю. В., Стеклов В. А. Коррупция в контексте глобализации <https://moluch.ru/archive/149/42227/>
3. Козонов Э. Ю., Жукаев А. 2006. Коррупция: истоки и пути преодоления. М.: МАКС Пресс, МГУ
4. Коуз Р. Фирма. Рынок и право. М.: Новое издательство, 2007. 279
5. Моисеев В. В., Ницевич В. Ф. Коррупция как глбальная проблема: история и современность. <https://cyberleninka.ru/article/n/korrupsiya-kak-globalnaya-problema-istoriya-i-sovremennost/viewer>

რამაზ აბესაძე
ნანა ბიბილაშვილი

კორუფცია – ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი

***ანოტაცია.** ნაშრომში გამოკვლეულია კორუფციის გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. ყურადღება გამახვილებულია მის გლობალურ ხასიათზე, მისი წარმოშობის სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე და წყაროებზე, მასთან ბრძოლის ძირითად ღონისძიებებზე.*

***საკვანძო სიტყვები:** კორუფცია, ეკონომიკური განვითარება, გლობალური კორუფცია, კორუფციული გარიგება.*

შესავალი

კორუფცია ლათინური სიტყვაა (corrumpere), რაც ფუჭებას ნიშნავს. ყველაზე მეტად ეს ტერმინი გამოიყენება ბიუროკრატიული აპარატისა და პოლიტიკური ელიტის მიმართ. იგი ნიშნავს თანამდებობის პირთა მიერ უფლებამოსილებათა გამოყენებას პირადი სარგებლობის მიზნით, დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ. კორუფცია ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძლიერი შემაფერხებელი ფაქტორია, ვინაიდან

იგი იწვევს რესურსების არა ეფექტიან გამოყენებას და წარმოშობს ბევრ სხვა ნეგატიურ მოვლენას. დღეისათვის მან გლობალური ხასიათი შეიძინა.

კორუფცია ახალი მოვლენა არაა, იგი სათავეს შორეულ წარსულში იღებს. ისტორიამ შემოინახა ხსენება ქალაქსახელმწიფო ლაგამის შუმერი მეფის, ურუკაგინას, შესახებ (XXIV ს. წ. წ. ა.), როგორც კორუფციის წინააღმდეგ მკაცრად მებრძოლი მეფისა და ა.შ.

დღეისათვის კორუფცია საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენს [Tanzi V. 1998]. გლობალიზაციის პირობებში კორპორაციათა მიერ უცხო სახელმწიფოს მოხელეთა მოსყიდვის ფაქტები სულ უფრო გახშირდა და მასობრივ ხასიათს იღებს. კორუფციის მომძლავრება მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში შესაძლებელია ნეგატიურად აისახოს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე და სხვ. კორუფცია სხვადასხვა ხარისხით არსებობს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. გლობალიზაციის პირობებში, კორუფცია იღებს სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო ფორმას. კორუფცია არა მხოლოდ ადგილობრივი პრობლემაა, იგი ტრანსნაციონალურ ფენომენად იქცა, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოებებსა და ეკონომიკებზე. საერთაშორისო დონეზე კორუფცია ასოცირდება უზარმაზარ ფულად აქტივებთან და რესურსებთან, ის უარყოფითად აისახება მთელ ინდუსტრიებზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. კორუფცია ქმნის სახელმწიფოს ნეგატიურ იმიჯს, როგორც მისი მოქალაქეების, ასევე სხვა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორების თვალში. მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ გლობალიზაცია იწვევს კორუფციის შეუფერხებლად გავრცელებას მრავალ ქვეყანაში და ასევე უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონეზე კორუფციის ერთიანი, ზოგადი განმარტების არარსებობა გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს მასთან ბრძოლაში. მეორე მხრივ, გასაგებია, ერთი განმარტების არარსებობის მიზეზები. ეს მიზეზებია ქვეყნების განსხვავებულ პოლიტიკური მოწყობა, ეკონომიკის მდგომარეობა, საზოგადოებრივი განვითარების დონეს და, რა თქმა უნდა, განსხვავებული კულტურული და მენტალური მახასიათებლები. საერთაშორისო ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესწავლის გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ ათანაბრებს კორუფციის შინაარსს თანამდებობის პირთა და მოხელეთა მხოლოდ მექრთამეობასთან და აფართოებს მიდგომებს ამ ფენომენის შესწავლის მიმართ. გაფლანგვა, ლობირება, მოსყიდვა, თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სხვ. საერთაშორისო გაგებით კორუფციაა [Кейзерова Ю. В..., с. 526]. როგორც ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო კორუფციის პრობლემის სრულად მოგვარება, გასული საუკუნის ბოლოს და ამ საუკუნის დასაწყისში შეიქმნა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გლობალური კორუფციის წინააღმდეგ [Моисеев В. В..., с. 180].

შეიძლება გამოიყოს კორუფციის წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი. ყველაზე დიდი მიზეზი კორუფციის არსებობისა თვით სახელმწიფოს არსებობაა, მაგრამ სახელმწიფოს არარსებობა გაცილებით მეტ პრობლემებს წარმოშობდა, ვიდრე კორუფციაა.

ერთმანეთისგან შეიძლება განვასხვაოთ კორუფციის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მიზეზები ძირითადად სუბიექტური ხასიათისაა და მათგან უმთავრესია არასრულყოფილი ინსტიტუციების (უმთავრესად ფორმალურის, მაგრამ ასევე არაფორმალურისაც), უპირველეს ყოვლისა,

სახელმწიფო მართვის არასრულყოფილი სისტემის არსებობა. არასრულყოფილ ინსტიტუციებში იგულისხმება:

1. განუვითარებელი სახელმწიფო დაწესებულებები. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ზოგიერთ ქვეყანაში გაჭიანურებული პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი, როდესაც პირველ ეტაპზე ძველი ინსტიტუტები ინგრევა და მათ ადგილს არცთუ ძლიერი და სრულყოფილი ინსტიტუტები იკავებენ. ასეთ პირობებში კორუფციისათვის კარგი სასათბურე პირობები იქმნება;

2. არასრულყოფილი საბაზრო ინფრასტრუქტურა. ამის თვალსაჩინო მაგალითიც პოსტკომუნისტური ქვეყნებია. მაგალითად, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეფორმები 15 წლის წინ დაიწყო, სრულყოფილი საბაზრო ინფრასტრუქტურა დღესაც არ არის ჩამოყალიბებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთ ქვეყნებში საბაზრო ძალები სუსტია და ბიუროკრატია ზომაზე მეტად იჭრება ეკონომიკის ფუნქციონირებაში;

3. კონსერვატული საკანონმდებლო ნორმების არსებობა. მეტად თუ ნაკლებად, ასეთი რამ ყველა ქვეყნის საკანონმდებლო აქტებში შეიძლება აღმოვაჩინოთ, ვინაიდან ნებისმიერი კანონი დროთა განმავლობაში ძველდება და განახლებას საჭიროებს, რასაც მაღალი კორუფციის მქონე ქვეყნებში ბიუროკრატია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს;

4. ახლადმიღებული კანონების არასრულყოფილება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგადასახადო კანონმდებლობა. თუ გადასახადების სიდიდე ოპტიმალურზე მაღალია, მაშინ გადამხდელი ცდილობს დამალოს გადასახადი, რასაც აღწევს შესაბამის ორგანოებთან გარიგების გზით და რის გამოც იზრდება ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდე. საწარმოთა ნაწილი კი საერთოდ გადის ბაზრიდან. მაღალი გადასახადები ასევე ხელს უშლის ახალ საწარმოთა ბაზარზე შემოსვლას. ბუნებრივია, ყველა ამ შემთხვევაში მცირდება როგორც საგადამხდელი ბაზა, ისე შემოსავლები ბიუჯეტში. და, რაც ყველაზე მთავარია, ფერხდება ეკონომიკის განვითარება. როდესაც საქმე გვაქვს ოპტიმალური სიდიდის გადასახადებთან, მაშინ სახეზეა სრულიად საპირისპირო სურათი. რასაკვირველია, კორუფციის მაღალი დონის მქონე ქვეყნებში ბიუროკრატია გადასახადების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრის სურვილიც არ აქვს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი ზუსტი განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია.

საქართველოში გადასახადების სიდიდე წლების განმავლობაში არ იყო ოპტიმალური, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის ზრდა. ამჟამად საგადასახადო კოდექსი უფრო ლიბერალურია. თუმცა, სრულყოფა ყოველთვის შესაძლებელია დროის შესაბამისად. ჩვენი აზრით, გადასახადების სიდიდის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს არა სუბიექტურად, არამედ შედეგებიდან გამომდინარე. თუ აღმოჩნდება, რომ არსებული განაკვეთები აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, უნდა მოხდეს მათი სწრაფი შეცვლა მანამ, სანამ არ მივალწევთ პრაქტიკულად ოპტიმალურ მნიშვნელობას. საერთოდ, ალბათ, საჭიროა ჩვენც დავნერგოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც გამოიყენება “ავტომატური სტაბილიზატორები”, ანუ “ჩაშენებული სტაბილიზატორები”, რათა საგადასახადო განაკვეთების ცვლილება ხდებოდეს ავტომატურად და არ იკარგებოდეს დრო და, რაც მთავარია, პროდუქციის გამომუშავების მოცულობა, ეკონომიკის განვითარების ტემპების შეფერხების გამო;

5. კანონების, ნორმატიული აქტების, დადგენილებებისა და ა. შ. შესრულების დაბალი ხარისხი. ეს ნაკლოვანებებიც, ძირითადად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი, ვინაიდან აქ მიმდინარე გარდაქმნებს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება, ახალი გზის გაკვლევა კი შეცდომების გარეშე შეუძლებელია.

6. საზოგადოებაში ისეთი ჩვევებისა და ტრადიციების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციის გაძლიერებას;

7. სახელმწიფო სექტორში ხელფასების დაბალი დონე კერძო სექტორთან შედარებით;

8. ბიუროკრატიული ელიტის მოწყვეტა ხალხისაგან;

9. მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სხვ.

არსებობს კორუფციის ობიექტური მიზეზებიც. მათგან შეიძლება აღინიშნოს:

Each of innovation investment impeding factors requires different type of public policy intervention. Peneder (2008) elaborates a policy mind map for financing of innovations. This map links the problem of private underinvestment in R&D and innovation with its causes and rationales, aims and targets, critical constraints, and the main finance-related instruments of innovation policy. Such a policy mind map clearly defines public policy priorities and enhances coordination and effectiveness of policy-making efforts for promoting investments in innovation. According to the policy mind map, the main objective of the public policy is to remove these obstacles through ensuring incentives for innovation investments and providing necessary financial resources (Peneder, 2008). These objectives can be attained by employment of both *direct* and *indirect* instruments of public policy.

The *direct funding* as an instrument of public policy provides more flexibility for government in ensuring targeted stimulus for entrepreneurs to invest in innovation. Especially, such remedies can be applied for supporting projects with high spillovers, or stimulating SME and start-ups (Peneder, 2008). Generally, policy-making and academic literature acknowledges the following types of the public direct financing instruments (UNCTAD, 2013):

- *Seed financing* – used at the initial phases of R&D and innovation process, and focused on the identifying the commercial feasibility (both technical and marketing) of new project or idea.
- *Co-investment funds* – is an instrument at a disposal of government that provides co-financing for private seed capital and venture capital financing.
- *Innovation or technology funds* – provide direct financing (through grants both on competitive and noncompetitive basis) for enterprise R&D and innovative activities, often at the early stages. These funds are usually established by government but can be co-financed by international organizations and private sector. Government can use these funds as an instrument for promoting technology development and innovation in selected industries according to national industrial policy priorities.
- *Development banks* - are usually established with the aim of providing finances and subsidies for industries and activities having highest priority for the country's economic development.
- *Innovation prizes* – takes form of a cash reward for a person or firm for the most useful innovation in a certain field or for solving a specific technical challenge.
- *International development assistance* can supplement public direct financing of innovative activities through providing funds for the development of technologies and innovations in catching-up economies. A good example of international donor that supports innovation and technology development worldwide is the World Bank Group's International Finance Corporation.

The indirect instruments of public policy usually employ fiscal incentives for R&D and innovation investments that can take the following forms (Klette et al., 2000; Peneder, 2008; UNCTAD, 2013):

- *Tax incentives* - provide stimulus for technology development and innovation, with the aim to encourage R&D by allowing R&D spending to be deducted from tax liabilities, usually up to some maximum percentage of total tax liabilities. Besides tax deductions, fiscal incentives may assume *tax allowances* – which offer firms the opportunity to deduct an additional percentage of expenditures on innovation from their tax base; *tax credits* – which allow firms to deduct a certain percentage of the targeted expenditures directly from their tax liabilities; the *innovation premium*, paid to companies which have not earned a positive taxable income; *alternative tax base* - where an R&D rebate can be deducted from the employer's part of the wage tax and social security contribution of R&D-related personnel.
- *Public loan guarantees* - this is a loan guarantee scheme provided by government with the aim to offset the risk aversion of banks in relation to SME loans. They achieve this by guaranteeing loans for selected SMEs seen as having good potential or those operating in specific industries or activities considered strategically important for development in the country.
- The *stimulation/simulation of capital markets through regulatory reforms and equity programmes*- which implies stimulation risk capital markets through regulatory reforms, for instance, by revising restrictions on institutional investors (such as pension funds, etc.); or simulation of the capital market by substituting private investors with public newly launched equity programmes.

In addition to direct and indirect public policy instruments, government may undertake publicly funded R&D at public research institutes and universities or provide other non-financial support measures (e.g. provision of necessary infrastructure, transfer of knowledge; guaranteed markets for the innovative products).

References

1. Arrow K.J. (1962). Economic Welfare and the Allocation of Resources for Invention. In: Richard R. Nelson, ed. *The Rate and Direction of Inventive Activity: Economic and Social Factors*. National Bureau of Economic Research. Special Conference Series Vol. 13. Princeton, NJ: Princeton University Press.
2. Berulava, G., & Gogokhia, T. (2016). On the role of in-house R&D and external knowledge acquisition in firm's choice for innovation strategy: Evidence from transition economies. *Moambe, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 10 (3), 150-158.
3. Gogokhia, T. & Berulava, G. (2020). "Business environment reforms, innovation and firm productivity in transition economies." *Eurasian Bus Rev.* <https://doi.org/10.1007/s40821-020-00167-5>
4. Hall B and Learner J (2010). The Financing of R&D and Innovation. In: Hall BH and Rosenberg N, eds. *Handbook of the Economics of Innovation*. Elsevier. Amsterdam: 610–638.
5. Klette T.J., Moen J. and Griliches Z. (2000). "Do Subsidies to Commercial R&D Reduce Market failures? Microeconomic Evaluation Studies." *Research policy*, 29, pp. 471-495.
6. Nelson, R.R. (1959). "The simple economics of basic scientific research." *Journal of Political Economy* 49, pp. 297–306.
7. Peneder M. (2008). "The problem of private under-investment in innovation: A policy mind map." *Technovation*, 28, pp. 518-530.
8. Pérez C (2002). *Technological Revolutions and Financial Capital: the Dynamics of Bubbles and Golden Ages*. Edward Elgar Publishing. Cheltenham, United Kingdom
9. Schumpeter, J. (1942). *Capitalism, Socialism, and Democracy*. Harper and Row (reprinted 1960), New York.
10. UNCTAD (2011). *Science, Technology and Innovation Policy Review of Peru*. United Nations. New York and Geneva.
11. UNCTAD (2013). "Investing in innovation for development." Trade and Development Board Investment, Enterprise and Development Commission, Fifth session, Geneva, 29 April–3 May 2013. Available at: <https://www.pmo-bc.com/storage/app/uploads/public/5ce/795/dba/5ce795dba596c190438918.pdf>. Accessed 20 June 2020.

თამარი ბარბაქაძე

სახელმწიფო საშინაო ვალის მართვის ფინანსური ინსტრუმენტები საქართველოში

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია სახელმწიფო საშინაო ვალი, როგორც ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მისი ფინანსური ინსტრუმენტი. 2020 წელს მსოფლიოში არსებული პანდემიიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საბიუჯეტო სახსრების მოზიდვა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე გარე წყაროებიდან.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური მდგრადობა, სახელმწიფო ვალის მართვა, საშინაო ვალის პორტფელი.

შესავალი

სახელმწიფოს ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის კომპონენტები. მისი ეფექტიანად მართვის პირობებში, მოზიდული სახსრები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი

ფაქტორია, ხოლო არაეფექტიანი მართვის პირობებში ქვეყანა შესაძლოა ეკონომიკური ზრდის ნაცვლად კრიზისამდე მივიდეს.

ფისკალური პოლიტიკისა და სახელმწიფო ვალის მდგრადობა არის ორი ურთიერთდაკავშირებული კონცეფცია, რომლის ანალიზი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. უპირველესა ყოვლისა, მნიშვნელოვანია შეფასდეს საბაზისო რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ვალის ზრდაზე, იწვევს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და ასევე მოიცავს იმ არასაბიუჯეტო სუბიექტებს, რომლებზეც გაიცა სახელმწიფო სესხი. ანალიზისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს:

- სახელმწიფო ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის დონე, ფისკალური რისკების გათვალისწინებით.

- ვალის კოეფიციენტის სტაბილიზაცია მისაღებ დონემდე.

- სახელმწიფო ვალის შემადგენლობა, რომელიც გავლენას ახდენს ვალის ტვირთზე.¹

ფინანსთა სამინისტრო 2015 წლიდან ატარებს ვალის მდგრადობის ანალიზს (DSA), რომელიც მოიცავს სხვადასხვა რისკ ფაქტორის შეფასებას და მათ გავლენას ვალის პორტფელზე. ასევე მოიცავს სხვადასხვა ფისკალური და მაკროეკონომიკური შოკების შეფასებას. ამრიგად, სახელმწიფო ვალის კომპონენტების ეფექტიან მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სახელმწიფო ვალის სტრუქტურა

კანონმდებლობით 2019 წლამდე ვალი განიმარტებოდა მხოლოდ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონით და მის საფუძველზე დათვლილი ვალის ნაშთი გამოიყენებოდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული ვალის ლიმიტის გამოსათვლელად. თუმცა ვალის ლიმიტის მიზნებისათვის შემოდებულ იქნა ახალი ტერმინი – მთავრობის ვალი,² რომელიც სახელმწიფო ვალისაგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის IMF-ის მიმართ ვალს და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ვალსა და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას.

სახელმწიფო ვალი შედგება საგარეო და საშინაო ვალის ნაშთისგან, ამოსავალი კრიტერიუმში კი დენომინაციის ვალუტაა. როდესაც ვალი დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში მაშინ იგი კლასიფიცირდება როგორც საშინაო ვალდებულება, ხოლო საგარეო ვალი უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებებია.

მაკროეკონომიკური ანალიზიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის განხილვა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს. საქართველოს საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული ლიმიტი (სახელმწიფო ვალის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან) განსაზღვრულია 60%-ით,³ ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით - 50%-ით.

2020 წლის 8 თვის მონაცემებით სახელმწიფო ვალის ნაშთი აღემატება არსებულ ლიმიტებს, რაც უპირველესად დაკავშირებულია Covid-19 პანდემიისგან გამოწვეულ ნეგატიურ ეკონომიკურ ეფექტებთან საპასუხო ღონისძიებების დასაფინანსების


¹ “Modernizing the Framework for Fiscal Policy and Public Debt Sustainability Analysis” – IMF, 2011.

² ცვლილება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული“ კანონში - 14.12.2019 წ.

³ საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ - 2011წ.

საჭიროებებთან. თუმცა სახელმწიფო ვალის ამგვარი ზრდა ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე ზრდის ვალის მომსახურების ხარჯებს და საყურადღებოა ფისკალური მდგრადობის კუთხით.

დიაგრამა N1. სახელმწიფო ვალის სტრუქტურა და მისი ფარდობა მშპ-სთან



წყარო: www.budgetmonitor.ge

რაც შეეხება საშინაო ვალს, ბოლო წლების განმავლობაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წლის მონაცემების მიხედვით კი მისი წილი მთლიან სახელმწიფო ვალის პორტფელის 19%-ს შეადგენს, რაც დაახლოებით 6 მლრდ ლარია.⁴

საშინაო ვალი მიმართულია: ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებლად, ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობის დასაფინანსებლად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული სხვა მიზნებისათვის.


საქართველოს მთავრობამ ფასიანი ქაღალდების ემისია დაიწყო 2009 წლიდან. ფინანსთა სამინისტრო ამჟამად უშვებს 6 და 12 თვიან სახაზინო ვალდებულებებს, ასევე 2, 5 და 10 წლიან სახაზინო ობლიგაციებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით, გაყიდვა კი აუქციონის მეშვეობით, სადაც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს.⁵

სახელმწიფო საშინაო ვალის განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე ვალის სტრუქტურისა და მომსახურების ხარჯების შეფასება. 2020 წელს (ნოემბრის მდგომარეობით) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით განხორციელდა 5,6 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 5,6 მლრდ ლარის შემოსულობა. საშინაო ვალის პორტფელში ჭარბობს 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციები, შესაბამისად მის მომსახურებაზე დარიცხული პროცენტიც.

⁴ წყარო: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემები www.mof.gov.ge

⁵ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემები www.nbg.ge

**დიაგრამა N2. სახელმწიფო საშინაო ვალის სტრუქტურა
2020 (ნოემბრის) წლის მდგომარეობით (ათასი ლარი)**



წყარო: www.budgetmonitor.ge

საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოყენებას ფისკალური დეფიციტის დასაფინანსებლად შემდეგი უპირატესობები ახასიათებს:

- ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალი ამცირებს სავალუტო რისკს, საგარეო ვალდებულებებისგან განსხვავებით დამოკიდებული არ არის სავალუტო კურსის ცვლილებაზე და კურსის მერყეობა არ ზრდის საშინაო ვალის მომსახურების ხარჯს.

- იქიდან გამომდინარე რომ საშინაო ვალის ინსტრუმენტებს ფლობენ რეზიდენტები, დაბალია ქვეყნისან კაპიტალის გადინების რისკი.

- გაზრდილი საშინაო ვალი სტიმულს აძლევს ადგილობრივი ფინანსური ბაზრების განვითარებას.

- მთავრობას შეუძლია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რაც შეასუსტებს საგარეო შოკების გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მხრიდან სახელმწიფო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში ფულის დაბანდებას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. მაგალითად:

- საჯარო სექტორის დაკრედიტებით კომერციული ბანკების მხრიდან, შესაძლოა გამოიწვიოს კერძო სექტორზე კრედიტების შემცირება. ეს განსაკუთრებით საზიანოა განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან ასეთ ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც კომპანიების უმეტესობა დამოკუდებულია საბანკო კრედიტებზე.

- ბანკებისთვის ხელსაყრელია მოკლევადიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, რაც თავის მხრივ ზრდის რეფინანსირების რისკს მთავრობისათვის.

დასკვნა

ფისკალური სტაბილურობის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი, რაც გულისხმობს – შეფასდეს მთავრობის შესაძლებლობა, მოემსახუროს დაკისრებულ ვალდებულებებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

ამასთან მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს და განისაზღვროს ის საჭიროებები, რომლის დაფინანსებაც ხდება სახელმწიფო ვალის მეშვეობით. ეს შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას თავიდან აიცილოს ზედმეტი ვალი და მისი მომსახურების ხარჯები.

რაც შეეხება იმის შეფასებას თუ როგორი სახელმწიფო ვალის პორფელია ოპტიმალური დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომია გრძელვადიანი საგარეო ვალი შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით. გრძელვადიანი საგარეო ვალი შეიძლება უფრო უსაფრთხოდ იყოს მიჩნეული. ამ შემთხვევაში კი საგარეო ვალი წარმოადგენს უფრო იაფი დაფინანსების წყაროს ვიდრე საშინაო ვალი, რადგან მინიმუმამდეა შემცირებული რეფინანსირების რისკი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. მაზმიშვილი „სახელმწიფო საშინაო ვალის ფინანსური ინსტრუმენტები“ – 2015 წ.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი 2019-2028 წლებისთვის“
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ -1998 წ.
4. საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ - 2011წ.
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „სახელმწიფო ვალის მართვის შემდგომი რეაგირების ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიში - 2020 წ.
6. Public Domestic Debt and Economic growth in low income Countries. Mimeo, Department of Economics, Oxford University – 2007.
7. “Modernizing the Framework for Fiscal Policy and Public Debt Sustainability Analysis” – IMF, 2011.
8. www.mof.ge
9. www.budgetmonitor.ge
10. www.nbg.ge
11. www.IMF.org

Tamari Barbakadze

FINANCIAL INSTRUMENTS OF PUBLIC DOMESTIC DEBT MANAGEMENT IN GEORGIA Summary

The components of public debt are particularly important for ensuring the fiscal sustainability of the state. When managed effectively, the funds raised are a stimulus to the country's economic growth, and while with inefficient management the country may reach a crisis instead of economic growth.

It is therefore important to properly assess and identify the needs that are being financed through public debt. This will enable the country to avoid excessive debt and its service costs. Determining what kind of public debt portfolio is optimal depends on the economic situation of a particular country.

კომპანიების საქმიანობისა და საგადასახადო ოპტიმიზაციის პრინციპების შესახებ

ანოტაცია. კომპანიებისთვის საგადასახადო ოპტიმიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. საგადასახადო ოპტიმიზაცია წარმოადგენს კომპანიების საგადასახადო გადახდების შემცირების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც უკავშირდება კომპანიის საქმიანობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი სქემების შექმნას და შენარჩუნებას, სასაქონლო-ფულადი ნაკადების გაზრდის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო ოპტიმიზაცია. საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო განაკვეთები. საგადასახადო შეღავათები. სასაქონლო-ფულადი ნაკადები.

შესავალი

აქტუალობა. კომპანიებისთვის საგადასახადო ოპტიმიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. ვინაიდან, სწორედ აღნიშნული განაპირობებს, როგორც ხარჯების შემცირების შესაძლებლობას, ასევე კომპანიის საქმიანობის უსაფრთხოებას. კომპანიის მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მათი მიერ ოპერაციების ისე დაგეგმვა და განხორციელება, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია.

კომპანიის ხელმძღვანელების საქმიანობის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა. რადგან აქციონერების ძირითადი მიზანი არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. როგორც წესი, კომპანიას ეკისრება საგადასახადო ვალდებულებები, ხოლო ამ ვალდებულებების მინიმიზაცია კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

საგადასახადო ოპტიმიზაცია წარმოადგენს კომპანიების საგადასახადო გადახდების შემცირების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც უკავშირდება კომპანიის საქმიანობისა და დაბეგვრის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი სქემების შექმნას და შენარჩუნებას, სასაქონლო-ფულადი ნაკადების გაზრდის მიზნით.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენს კომპანიის საქმიანობისა და საგადასახადო ოპტიმიზაციისთვის შემუშავებული ღონისძიებების შესწავლა და შეფასება სასაქონლო-ფულადი ნაკადების გაზრდის მიზნით.

კვლევის მეთოდები. ნაშრომის შესრულებისას საკვლევი თემის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. ასევე გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

კომპანიებისთვის საგადასახადო ოპტიმიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია. ვინაიდან, სწორედ აღნიშნული განაპირობებს, როგორც ხარჯების შემცირების შესაძლებლობას, ასევე კომპანიის საქმიანობის უსაფრთხოებას.

კომპანიის მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია.

საგადასახადო ოპტიმიზაციის მიზნით, საჭიროა კომპანიის ფინანსური სამსახურის მუშაობის ორგანიზაციული, ფუნქციონალური და სამართლებრივი უზრუნველყოფა. ამისთვის აუცილებელია სწორი საგადასახადო პოლიტიკის არჩევა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას მიიღოს მაქსიმალური მოგება რისკების მინიმიზაციის გზით. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ კანონმდებლობით სხვადასხვა საგადასახადო სტატუსის გათვალისწინებით საგადასახადო ვალდებულებები განსხვავებულია. როგორც წესი, ვალდებულებების მინიმიზაცია კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგადასახადო ოპტიმიზაცია, განხილულ იქნას შემდეგი მიმართულებით:

- შემუშავებული სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომელშიც განსაზღვრული იქნება ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ყველაზე ეფექტური ფორმა და რომლის სწორად ორგანიზება, დადებითი შედეგის მომტანი იქნება დიდი ხნის განმავლობაში;

- გარკვეული საქმიანი ოპერაციების დაბეგვრის გაუმჯობესება. კომპანიის ხემძღვანელების მიერ დადებული ხელშეკრულებების პირობებისა და პროცედურების სხვადასხვა კომბინაციები, რომელი არის ერთჯერადი ეფექტის მქონე.

გარდა ამისა, კომპანიის საგადასახადო ოპტიმიზაცია იყოფა ორ სქემად, რომლის მიღება სურს კომპანიის ხემძღვანელს:

- გადასახადების შემცირება;
- გადასახადების გადავადება.

როგორც წესი, ოპტიმალური დაბეგვრა უფრო ეფექტური იქნება, თუ პრაქტიკულად, ეს მეთოდები შერწყმულია ერთმანეთთან.

საგადასახადო ოპტიმიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს ინტეგრირებული წესით, რადგან ყურადღების გამახვილება მხოლოდ გარკვეული ოპერაციების ან გადასახადებისადმი გამოიწვევს ერთჯერად ეფექტს. უფრო მეტიც, ხშირად ხდება, რომ ერთი გადასახადის გადახდის შემცირებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მეორე გადასახადის გადახდა.

ნებისმიერი საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიების საქმიანობაზე. კომპანიის ხელმძღვანელების საქმიანობის ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აქციონერების ძირითადი მიზანი არის სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში [ბარბაქაძე ხ, 2017: 78].

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო პროცესის ოპტიმიზაციისათვის, კერძოდ, გადასახადით დაბეგვრის ობიექტის სწორად განსაზღვრის, საგადასახადო განაკვეთის შემცირებისა და საგადასახადო შეღავათების რაციონალურად გამოყენებით ზრდის მისაღწევად. საგადასახადო ოპტიმიზაცია წარმოადგენს კომპანიების საგადასახადო გადახდების შემცირების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც უკავშირდება კომპანიის საქმიანობისა და საგადასახადო ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი სქემების შექმნას და შენარჩუნებას, სასაქონლო-ფულადი ნაკადების გაზრდის მიზნით. ამისათვის შედგენილია გადასახადების ოპტიმიზაციის სქემები, რომელთა ძირითადი კრიტერიუმებია:

- ეფექტურობა;

- იურიდიული მოთხოვნების დაცვა;
- საიმედოობა;
- გამოყენების უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა.

არსებული სქემები შეიძლება იყოს ერთნაირი ყველა კომპანიისთვის ან მკაცრად ინდივიდუალური, კერძოდ:

- საგადასახადო შეღავათების გამოყენება;
- გადავადებული გადახდის სხვადასხვა მეთოდი;
- გადასახადების გადახდის გაუქმების სამართლებრივი გზები;
- საქმიანობის განხორციელება ოფშორულ ზონებში და ა.შ.

საგადასახადო ოპტიმიზაციის სქემა წარმოადგენს რამდენიმე ბიზნესს სუბიექტს შორის ურთიერთობას, რომელიც მიზნად ისახავს ბიუჯეტში გადასახადების შემცირებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. საგადასახადო ოპტიმიზაციისთვის შემუშავებული ღონისძიებების შეფასება უნდა განხორციელდეს იმ ძირითადი პრინციპების მიხედვით, რომელიც გააუმჯობესებს სასაქონლო-ფულადი ნაკადების მოძრაობას, კერძოდ:

დანახარჯების ადეკვატურობის პრინციპი. დასაწერგი სქემის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შემცირებული გადასახადების თანხის ოდენობას. ოპტიმიზაციის სქემის შექმნის, მომსახურებისა და საგადასახადო დანახარჯების თანხის დასაშვები თანაფარდობა ინდივიდუალური ხასიათისაა. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სქემების შექმნისა და მომსახურების დანახარჯების გარდა, საჭიროა გარკვეულ ხარჯები კომპანიის ლიკვიდაციისთვის, რომელიც თავდაპირველ დაბანდებას შეიძლება მნიშვნელოვნად აღმატებოდეს.

იურიდიული შესაბამისობის პრინციპი. ოპტიმიზაციისთვის შემუშავებული სქემა, როგორც წესი, ლეგიტიმური უნდა იყოს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კანონმდებლობასთან მიმართებაში. იურიდიული შესაბამისობის პრინციპის არსი მდგომარეობს შემდეგში - არ მოხდეს ოპტიმიზაციის ისეთი სქემების აგება, რომლებიც ნორმატიული აქტების სადაო მუხლებს ან ხარვეზებს ეფუძნება. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობის ცალკეული ნორმატიული დებულებები სადავო ან მათი გაგება შეიძლება როგორც გადასახადის გადამხდელის, ისე სახელმწიფოს სასარგებლოდ, მომავალში წარმოშობს სასამართლო გარჩევების ალბათობას. რაც შეეხება ნორმატიული აქტების ხარვეზებს, საკანონმდებლო ორგანომ ნებისმიერ დროს შეიძლება აღმოფხვრას მეწარმეებს არ მოეწონოთ. ამ შემთხვევაში, მოცემულმა დაუგეგმავმა დანახარჯებმა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დანახარჯების ადეკვატურობის პრინციპის დარღვევა.

კონფიდენციალობის პრინციპი. განხორციელებული ტრანზაქციების ფაქტიური დანიშნულებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციასთან წვდომა მაქსიმალურად შეზღუდული უნდა იყოს. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ, ცალკეულ შემსრულებლებსა და სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ოპტიმიზაციის სქემაში მონაწილეობენ, მთლიან სურათზე წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეთ, მათ მხოლოდ ლოკალური ხასიათის გარკვეული ინსტრუქციებით უნდა იხელმძღვანელონ.

ანგარიშვალდებულების პრინციპი. საგადასახადო ოპტიმიზაციის სქემის გამოყენების შედეგად სასურველი შედეგების მიღწევა დამოკიდებულია შემსრულებლისა და ყველა ეტაპის კარგად გააზრებულ კონტროლზე და მათზე ზემოქმედების რეალური ბერკეტების არსებობაზე. კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა თავის თავში „მაღავს“ სქემაში მონაწილე ყველა რგოლზე სრული კონტროლის დაკარგვის შესაძლებლობას. მაგალითად, თუ საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსების მიზნით

კომპანიის ფულადი სახსრები „ნდობით აღჭურვილი“ პირის საშუალებით შეაქვს, მას შეიძლება ერთხელაც თავისი ფულის დაბრუნება მოსთხოვონ. ასეთი სიტუაციის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ წინასწარ გაფორმებული იქნება დოკუმენტები, რომლებიც მიღებული თანხის დაბრუნებას დაამტკიცებენ და ა.შ.

გადასახადების ოპტიმიზაციის უმეტესი სტრუქტურების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს პროცესის შიდა მონაწილეების უფლებებისა და ვალდებულებების არაფორმალური ურთიერთობები, რომლებიც გარე კონტრაგენტებთან შეთანხმების გამო წარმოიშობიან. ასეთ პირობებში უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს სახელშეკრულებო ურთიერთობების სინქრონიზაციის საფუძველზე, რომლებიც დე-ფაქტო წარმოიშობიან იმათთან მიმართებაში, რომლებიც დე-იურედ ფორმდება. მაგალითად, ოფიციალურ შეთანხმებაში შეიძლება მითითებული იყოს გარკვეული ფინანსური სანქციები, რომელთა გამოყენება მოხდება შესრულებული სამუშაოების აქტზე ხელის არმოწერის შემთხვევაში ან საქონლის მიღების შესახებ დოკუმენტების არქონის შემთხვევაში და ა.შ. იგივე შეიძლება იყოს გამოყენებული შრომითი ხელშეკრულებების დადების დროს, როდესაც გაფორმებულია სხვადასხვა ხელმოწერა გაუთქმელობის შესახებ და სხვა. ასევე მიზანშეწონილია ზოგიერთი ხელშეკრულებისა და სხვა იურიდიული დოკუმენტების ერთადერთ ეგზემპლარად გაფორმება.

ნეიტრალიტეტის პრინციპი. საგადასახადო ოპტიმიზაცია უნდა განხორციელდეს საკუთარი გადასახადების ხარჯზე და არა დამოუკიდებელი კონტრაგენტების გადარიცხვების გაზრდით, რომელსაც შეიძლება ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპიც ეწოდოს. ზოგიერთი საგადასახადო გადახდა აგებულია ზიარი ჭურჭლის პრინციპის მიხედვით: სახელშეკრულებო ურთიერთობების ერთი მონაწილის გადახდების ზრდა იწვევს მეორე მონაწილის გადახდების შემცირებას და პირიქით - ერთი კონტრაგენტის საგადასახადო ბაზის შემცირება იწვევს მეორე კონტრაგენტის საგადასახადო ბაზის გაზრდას (დღგ, მოგების გადასახადი). ამიტომ ყურადღასაღებია დამოუკიდებელი მიმწოდებლების და მყიდველების ინტერესებიც.

ერთ-ერთი ვარიანტი: მყიდველი მიმწოდებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე აკეთებს წინასწარ გადახდას თავის ბოლო დღეს, ხოლო მიმწოდებლის ბანკი მასთან შეთანხმებით ეძებს შესაძლებლობას, რომ თანხა ანგარიშზე იმავე დღეს არ ჩაირიცხოს (მაგალითად, ფულის ანგარიშზე ჩარიცხვას აფერხებს „გარკვევამდე“ და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელს „დღგ-ს შესახებ“ კანონის საფუძველზე უფლება აქვს მყიდველს უარი უთხრას საგადასახადო ინვოისის გაცემაზე და იღებს გადასახადის გადახდის ერთი თვით გადავადების უფლებას. ასევე ცნობილია შემთხვევები, როდესაც მყიდველი თავის ბოლო დღეს მთელ თავის სახსრებს მიმწოდებლის ანგარიშზე ჩამოწერს, როგორც წინასწარ გადახდას, ხოლო იმ დოკუმენტების მიღების შემდეგ, რომლებიც ადასტურებენ უფლებას საკუთარი საგადასახადო ვალდებულებების შემცირებაზე, „შეცდომით“ გადარიცხული სახსრების დაბრუნებას ითხოვს. ასეთ მიზნებისთვის ზოგიერთი კომპანია სპეციალურად იღებს კრედიტს ბანკში. ყველა მსგავს სიტუაციაში საკუთარი საგადასახადო „პრობლემის“ გადაჭრა მესამე პირების ხარჯზე ხდება, რაც იწვევს, როგორც პარტნიორების მხრიდან ნდობის დაკარგვას, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობების გაწყვეტას, მეორე, კონტრაგენტის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმას და შემდგომ სასამართლო გარჩევებს. გადასახადების ოპტიმიზაციისას კომპანიის ხელმძღვანელს რაც უფრო კარგად ეცოდინება ბიზნეს-პარტნიორების დაბეგვრის თავისებურებები, მით უფრო მეტი შანსი იქნება, რომ საკუთარი პრობლემები ურთიერთხელსაყრელი პირობებით გადაჭრას.

დივერსიფიკაციის პრინციპი. საბიუჯეტო გადარიცხვების ოპტიმიზაცია, როგორც მატერიალური ფასეულობების მოძრაობასა და შენახვასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი სახე, შეიძლება სხვადასხვა არახელსაყრელი გარე და შიდა ფაქტორების გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს. ეს შეიძლება იყოს მუდმივი ცვლილებები კანონმდებლობაში, თავდაპირველ გეგმებში დაშვებული შეცდომები, და ფორს-მაჟორული გარემოებები. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო პესიმისტური სცენარით მოვლენების განვითარების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ნეგატიური ტრანზაქციების სიდიდიდან გამომდინარე.

ავტონომიურობის პრინციპი. საგადასახადო ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული ქმედებები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული გარე მონაწილეებზე. კონფიდენციალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპები ბევრ რამეში ავტონომიურობის პრინციპის წარმოებულები არიან, მაგრამ მათ გააჩნიათ გამოყენების განსაკუთრებული სფერო, რადგან კონფიდენციალობა და კონტროლს დაქვემდებარება არ არიან ავტონომიურობის ცნების სინონიმები, არამედ განიხილებიან, როგორც მისი ცალკეული კომპონენტები. პრაქტიკაში ავტონომიურობის პრინციპის უზრუნველყოფა საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაწევას, მაგრამ ამავე დროს უზრუნველყოფს არსებული სქემის უსაფრთხოების გაზრდას და არაკეთილსინდისიერი კონტრაგენტების მხრიდან დაუცველობის შემცირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო ოპტიმიზაციის-თვის ღონისძიებების შემუშავება, ეფექტიანი სქემების შექმნა და შეფასება უნდა განხორციელდეს ძირითადი პრინციპების მიხედვით, რომელიც ხელს შეუწყობს სასაქონლო-ფულადი ნაკადების გაუმჯობესებას.

დასკვნა. საგადასახადო ოპტიმიზაცია წარმოადგენს კომპანიების საგადასახადო გადახდების შემცირების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კომპანიას მიიღოს მაქსიმალური მოგება. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და სასაქონლო-ფულადი ნაკადების გაზრდას, რომელიც ეკონომიკური შედეგების მომტანი იქნება ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა. კომპანიის საგადასახადო ოპტიმიზაციის საკითხი აქტუალური თემაა, როგორც უცხოური, ასევე ეროვნული სამეცნიერო პუბლიკაციებისა თუ ნაშრომებისათვის. სტატიის დამუშავებისას გამოყენებული ავტორების მიერ განიხილება კომპანიის საქმიანობასა და საგადასახადო ოპტიმიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობები, ასევე, მისი თანმხლები დადებითი და უარყოფითი მხარეები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ., 2017, კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციის შესახებ. ჟ.: „ეკონომისტი“, ტომი 13, №4, გვ. 77-83
2. ბარბაქაძე ხ., 2016, კორპორაციული დაფინანსების გადაწყვეტილების შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ გვ., 76-79.
3. ჯეიმს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2009;

4. Corporate Finance, Jonathan Berk, Peter DeMarzo, International 2nd ed., Pearson/Addison Wesley, 2011

5. Бочаров В.В., Леонтьев В.Е. Корпоративные финансы. Санкт-Петербург изд., Питер. 2004.

*Khatuna Barbakadze
Nato Kakashvili*

ON THE ACTIVITIES OF COMPANIES AND THE PRINCIPLES OF TAX OPTIMIZATION Summary

Actuality. Optimization of taxation for companies is one of the most important and actual issue. While, this, in turn, provides both the opportunity to reduce costs and the safety of the company's operations. An important criterion for evaluating the effectiveness of a company's management is to plan and execute their operations in order to achieve maximum tax optimization.

The main purpose of company executives is to make a profit. This is due to the fact that the main purpose of the shareholders while they invest in the company is to receive profit from their own investment, which is reflected in the distribution of dividends as a result of the company's profitable activities. As a rule, the company is obliged to tax liabilities, while minimizing these liabilities is an integral part of the company's management activities.

Tax optimization represents implemented activities under current legislation for tax payments reduction, above mentioned is related to maintenance of the most effective schemes for optimizing company performance and taxation to increase commodity cash flow.

Research Purpose. Purpose of the research is to study and evaluate activities designed to optimize the company's operations and taxation to increase commodity cash flow.

Research Methods. The systematic, historical, and logical generalization methods of the research were used while the context of the practical significance of the research problem. Methods of scientific abstraction, analysis and synthesis are also used.

Conclusion. The findings and results of the research will help to increase the efficiency of the companies' activities and increase the commodity cash flow, which will have economic consequences for the country's economy.

Keywords: Optimization of taxation. Tax legislation. Tax rates. Tax exemptions. Commodity-cash flows.

ხათუნა ბერიშვილი

სოციალური პასუხისმგებლობა და კომპანიის გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომები

ანოტაცია. ტერმინი „საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“ (ბსპ) 1960-იანი წლების ბოლოსა და 70-ანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა. სოციალური პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო კორპორაცია ნებაყოფლობით და შეგნებულად სცდება მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და დადებით ზეგავლენას ახდენს მის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. ამას თუ იმ ქვეყანაში ბსპ-ის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი სათანადოდ განვითარებული ბიზნესსექტორი და საზოგადოებრივი ცნობიერების მაღალი დონეა, ამიტომაც დასავლეთის მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ფართოდ არის დანერგილი და

განვითარებული. სოციალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო ბიზნესის აუცილებელ პირობად იქცა. ის გამოიყენება ინვესტორების მიერ კომპანიების შეფასების, შედარებითი ანალიზის წარმოებისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. საქართველოში ეს სოციალური ინსტიტუტი ჯერ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, ქართულ ბიზნესს ბოლომდე არ ესმის საზოგადოებისა და ბიზნესის ურთიერთობაში მისი მნიშვნელოვანი ხასიითი.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, გარდამავალი ქვეყნები, თავისებურებები, საქართველო, კვლევა.

I. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ჩამოყალიბება

ბიზნესის თვალსაწიერის გაფართოებამ და საქმიანობის მასშტაბების ზრდამ, რაც გლობალიზაციის ლოგიკური შედეგია, XX საუკუნის ბოლოს წარმოშვა ტერმინი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, რომელიც არა მხოლოდ ბიზნესის, არამედ კაცობრიობის მდგრადი განვითარების საფუძველი გახდა. მოგვიანებით აღნიშნულ ტერმინს გამოუჩნდა სინონიმი - „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“. ეს ტერმინი წარმოებს ინგლისური სიტყვიდან business social responsibility, რომელსაც შინაარსობრივად ასევე აიგივებენ ისეთ ტერმინებთან როგორცაა: კორპორატიული ეთიკა, კორპორატიული სამოქალაქო პოზიცია, მდგრადი განვითარება და ა.შ. აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინის მრავალწახნაგოვანი ბუნება, მისი მრავალფეროვანი აღქმისა და ინტერპრეტირების საფუძველია. ზოგადად კომპანიის პასუხისმგებლობის კონცეფცია, საზოგადოების წინაშე, მარტივია: ის გულისხმობს, რომ კომპანია უნდა მოქმედებდეს საზოგადოებაში მიღებული ნორმების შესაბამისად. განვითარებად ქვეყნებში ხშირად სოციალური პასუხისმგებლობა ქველმოქმედებად მოიაზრება, თუმცა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ის გაცილებით ფართო კონცეფციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ფილანთროპია/ქველმოქმედება სოციალური პასუხისმგებლობის მოძველებული ფორმებია. ამერიკელი მეცნიერის გორდონ ფიტჩის განმარტებით: „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“ წარმოადგენს ბიზნესის კეთილ ნებას გადაჭრას ის პრობლემები, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ბიზნესის საქმიანობით“ [www.forbes.ge]. „ტერმინი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გამოიყენება როგორც ძალისხმევა, რომელიც სცილდება სამართლებრივი სისტემებისა და გარემოს დამცველთა ჯგუფების მოთხოვნილებათა ფარგლებს [www.investopedia.com]. ამერიკელი მეცნიერები სტივენ რობინსი და მერი კოულტერი თავის ნაშრომებში ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას განმარტავენ როგორც კომპანიების ვალდებულებას, რომ მიღწეულ იქნას საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც დასახულია ყველა შესაბამისი საკანონმდებლო და ეკონომიკური წესების დაცვით [ს.რობინსი, მ.კოულტერი, 2004]. მსოფლიო ბანკის კვლევის ინსტიტუტის განმარტების მიხედვით, ბსპ არის კორპორაციის პოლიტიკისა და ქმედებების კომპლექსური მიმართულება, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის სტეიქჰოლდერებთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საზოგადოებრივ ნორმებთან და ღირებულებებებთან, რომელიც ითვალისწინებს სოციუმის ინტერესებს [www.worldbank.org]. როგორც ვხედავთ, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ძალზე ფართო და მრავლის მომცველი კონცეფციაა.

დასავლეთის საზოგადოების განსაკუთრებულმა ყურადღებამ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებისადმი სოციალურად პასუხისმგებელი კორპორაციების ეტალონური მოდელების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. კერძოდ, კ. სთაუნმა თავის წიგნში „კორპორაციის კულტურა“ [Stoun,2016] გვიჩვენა სოციალურად პასუხისმგებელი კორპორაციის სახე.

სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტის მიხედვით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს კომპანიების მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ნებაყოფლობით გათვალისწინებას (CDCS, 2017). ასეთი პრაქტიკა სხვა სახელებითაც გვხვდება: კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR), კორპორატიული მოქალაქეობა და კორპორატიული მდგრადობა (Berishvili, 2018). სოციალური პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომლის თანახმადაც კორპორაცია ნებაყოფლობით და შეგნებულად სცდება მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და დადებით ზეგავლენას ახდენს მის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე (საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2018). CSR -ის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი სათანადოდ განვითარებული ბიზნეს სექტორი და საზოგადოებრივი ცნობიერების მაღალი დონეა, ამიტომაც დასავლეთის მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ბევრად უფრო ფართოდ არის დანერგილი და განვითარებული, ხოლო ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და მცირე ეკონომიკის მქონე, განვითარებადი ქვეყნები, მათ შორის საქართველო საწყის ნაბიჯებს დგამენ ამ მიმართულებით [Berishvili Kh, 2018]. ფართოდ გაზიარებული შეხედულება იმის შესახებ, რომ CSR ნებაყოფლობითია, არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ დასავლეთის განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები ხშირად დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლის შედეგია. ამ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის პასუხისმგებლიანი საქმიანობის მხარდაჭერას. მაგალითად, ევროკავშირის ახლად გაწევრიანებულ და კანდიდატ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყნებში, რომლებშიც საბაზრო სტიმულები CSR-ის განვითარებისათვის ჯერ კიდევ სუსტია, მთავრობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს როგორც პასუხისმგებელ ინიციატივათა მხარდაჭერის, ასევე CSR-ისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის თვალსაზრისით [CDCS, 2017].

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემა თითქმის 15 წლისაა. პირველად ის გააქტიურდა 2005 წელს, როდესაც გაიმართა შეხვედრები ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნეს სექტორს შორის. ამ შეხვედრებზე მიღებული იქნა პირველი მემორანდუმი სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ. 2007 წელს კი საქართველოში შეიქმნა გაეროს პროგრამა “გლობალური შეთანხმების” ქართული წარმომადგენლობა “გლობალური შეთანხმება – საქართველო”. მისი წევრია 40-მდე ადგილობრივი ორგანიზაცია. პროგრამის მიზანია საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თემის პოპულარიზაცია და საერთაშორისო სოციალური ანგარიშების წარმოების პრაქტიკის დანერგვა. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვა საქართველოში აუცილებელია ბიზნეს სექტორის განვითარებისთვის. ეს არის საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის, სტაბილურობის უზრუნველყოფის, მდგრადი განვითარების და ბიზნეს რეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი. საქართველოში არც კანონი აიძულებს ბიზნესმენს ჩაერთოს სოციალურ პროექტებში და არც რამე შელავათს უწევს განხორციელებული ფილანთროპიული

საქმიანობების გამო. ჩვენს ქვეყანაში არსებობს კანონი “ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ”, რომელიც განსაზღვრავს ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და ფორმებს, მაგრამ ის გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. კერძოდ, კანონი მკაფიოდ ადგენს, თუ რა შეიძლება იყოს გადაცემული გრანტის სახით, ეს შეიძლება იყოს როგორც ფული, ასევე სხვადასხვა ტიპის საქონელი, თუმცა ჩამონათვალში არ გვხვდება მომსახურება, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის ფილანთროპიული საქმიანობის განხორციელებისას და უზღუდავს კომპანიებს იმის შესაძლებლობას, რომ მათ მიიღონ მონაწილეობა საქველმოქმედო საქმიანობაში (Shengelia., Berishvili, 2014). საქართველოში ცივილური ფორმით ბიზნესის წარმოება ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, სულ ოციოდე წელს ითვლის, ამიტომ ბსპ-თან დაკავშირებით არსებული რეალობა მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისგან, სადაც ეს პროცესები გაცილებით ადრე განვითარდა (ხოფერია, 2018). სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თავდაპირველად მოჰყვა ველური კაპიტალიზმი, რომლის ფარგლებშიც კომპანიებისათვის ერთადერთი მიზანი იყო მოგების მიღება ნებისმიერი საშუალებით. სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ახლდა გარდამავალ პერიოდს, არახელსაყრელ პირობებს უქმნიდა კომპანიებს გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომების დასანერგად. უცხოელი ინვესტორებიც ამ ეტაპზე, ძირითადად, მხოლოდ მოგებაზე იყვნენ ორიენტირებული მინიმალური დანახარჯების ფასად და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ბსპ-ის მიდგომებს (Shengelia, 2014). საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც არეგულირებს ბსპ-ს. ამ შეთანხმებებს მიეკუთვნება: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, დეკლარაცია შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ, ორჰუსის კონვენცია და სხვა. ქვეყანაში არსებული კანონები გარკვეულწილად განსაზღვრავს ბსპ-ის ფარგლებს (Berishvili, 2017) .

საქართველოში ბსპ-ისადმი არსებულ მიდგომებს ასახავს შემდეგი კვლევის შედეგები:

II. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კვლევის მიზანი

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თავისებურებების და ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემების შესწავლას. კვლევის კონკრეტულ საკითხებს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როგორ ესმით ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს სოციალური პასუხისმგებლობის ცნება, სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების გზაზე რა ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებს ხედავენ ისინი, რა ტიპის და რომელ სამიზნე ჯგუფზე გათვლილი სოციალური პროექტები განიხილება პრიორიტეტულად, რა მოტივები აქვს ქართულ ბიზნეს სექტორს სოციალური პროექტების დასაფინანსებლად.

III. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდათ შეირჩა თვისებრივი კვლევის სიღრმისეული ინტერვიუ და საკაბინეტო კვლევა. საკაბინეტო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა მსხვილი ბიზნეს კომპანიების 2019 წლის წლიური ანგარიში და კომპანიის ვებ გვერდზე სოციალური პროექტების შესახებ განთავსებული ინფორმაცია. სიღრმისეული კვლევის ფარგლებში

ჩატარდა ჩადრმავებული ინტერვიუები, რომლებიც ითვალისწინებდა რესპონდენტის გამოკითხვას პირისპირ, ინტერვიუს ნახევრადსტრუქტურირებული ფორმატის საშუალებით.

საკაბინეტო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა მსხვილი ბიზნესის კომპანიების 2019 წლის წლიური ანგარიში და კომპანიის ვებ გვერდზე სოციალურ პროექტებზე განთავსებული ინფორმაცია, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. გამოქვეყნებული ინფორმაციით 54 კომპანია ახორციელებს სოციალურ პროექტებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში. ბიზნესს სექტორის მიერ დაფინანსებული პრიორიტეტული მოწყვლადი ჯგუფები შემდეგნაირად გადანაწილდა : სოციალურად დაუცველი ოჯახები - 25; მზრუნველობას მოკლებული ბავშვები - 24; ხანდაზმულები -17; მრავალშვილიანი ოჯახები -16; შეზღუდული შესაძლებლობის პირები - 11; ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დაფინანსება- 6; იძულებით გადაადგილებული პირები - 4 ; ბავშვთა ჯანმრთელობა - 3; ომის ვეტერანები -1; სიმსივნური დაავადების მქონე პირები -1; აივ- ინფექციით დაავადებულები - 1 კომპანია.

IV. კვლევის შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

გამოკითხული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სამიზნე ჯგუფებს, როგორცაა სოციალურად დაუცველი ოჯახები, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, ეს პრიორიტეტები აისახება მათ მიერ განხორციელებულ პროექტებში. მათი აზრით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო არასაკმარისად ეხმარება, ამიტომ მსხვილი ბიზნეს კომპანიები “ამ კუთხით კიდევ უნდა გააქტიურდნენ”. ბიზნესის მიერ მნიშვნელოვნად დასახელდა ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფებიც, როგორცაა მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი ოჯახები, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, ხანდაზმულები, რომლებიც ნაკლებად ხვდებიან ბიზნესის მიერ დაფინანსებული სოციალური პროექტების ბენეფიციარები და ამ მხრივ საჭიროებენ მეტ ყურადღებას. საინტერესოა, რომ ბიზნესი ამა თუ იმ სოციალური პრობლემის ან ბენეფიციარის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს იმის მიხედვით, თუ მისთვის პირადად რამდენად სენსიტიურია მოცემული პრობლემური თემა (მაგ. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება). ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ სოციალური პროექტი ბიზნეს კომპანიის რეკლამირებას ემსახურება, ამდენად, ისეთი თემები ფინანსდება, რომელიც საზოგადოებაში მოწონებულია და სტიგმასთან არაა დაკავშირებული. ამ მხრივ, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების დაფინანსება, როგორცაა ნარკომანები, პატიმრები, სექსუალური უმცირესობები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. გარდა ამისა, პოლიტიკა და ბიზნესი ძალზედ გადაჯაჭვულია ერთმანეთთან. ბიზნესი აფინანსებს პოლიტიკოსების ოჯახის წევრთა საქველმოქმედო ორგანიზაციებს.

ბიზნესის ხელმძღვანელები ერთპიროვნულად ასახელებენ, რომ მთავარი მოტივატორი იმიჯზე ზრუნვაა და მხოლოდ ამის შემდეგ, ფილანთროპია. ფიქრობენ, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, თავის წარმოჩენის და მომხმარებლისთვის თავის დამახსოვრების საუკეთესო საშუალებაა. ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების დიდი ნაწილი აღიარებს, რომ CSR-ის განხორციელების მთავარი მოტივატორია საზოგადოებაში მათი კომპანიის სოციალური სასურველობის გაზრდა.

სწორედ ამაზე მოწმობს მათ მიერ განხორციელებული ერთჯერადი სახის ღონისძიებები და არა გრძელვადიანი პროექტები.

მსხვილი კომპანიების წარმომადგენლების აზრით, ბიზნესის განსახორციელებლად ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია კანონმდებლობის შეზღუდვები, ანუ შესაბამისი წამახალისებელი რეგულაციების არარსებობა და ინფორმაციის ნაკლებობა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლებლობებზე.

დასკვნა

სოციალური პასუხისმგებლობის კვლევამ გამოავლინა, რომ ამ ეტაპზე სოციალური პასუხისმგებლობა სუსტად არის განვითარებული საქართველოში. კერძო სექტორი ჩართულია სოციალურ პროექტებში, მაგრამ ძირითადად ეს პროექტები ერთჯერადი დახმარების ხასიათს ატარებს და ნაკლებად წარმოადგენს გრძელვადიან პროექტს, რომელიც სისტემურად ცდილობს სოციალური პრობლემის შემცირებას ან/და აღმოფხვრას. ამავდროულად, ბიზნესის მიერ განხორციელებული სოციალური პროექტების განხორციელების ძირითადი მოტივატორია დადებითი იმიჯის შექმნა საზოგადოებაში და საკუთარი პროდუქციის რეკლამირება. ბიზნესისთვის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ისეთი სენსიტიური თემები, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღებია და იწვევს თანაგრძნობას. ეს ფაქტორი მეტად უწყობს ხელს ბიზნეს კომპანიის რეკლამირებას და მისი ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში. ამ ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს რაიმე ტიპის შეღავათები (წახალისება, სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონი და სხვ.) იმ ბიზნეს ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სოციალურ პროექტებს ახორციელებენ და სამწუხაროდ, ქველმოქმედებისთვის განკუთვნილი თანხები იბეგრება. ბიზნესის წარმომადგენლებს არ სურთ სოციალური პასუხისმგებლობა გახდეს იძულებითი სახელმწიფო რეგულაციებით. უმრავლესობა სოციალური პასუხისმგებლობის არსს ბიზნესის მიერ ნებაყოფლობით გამოხატულ სიკეთეში ხედავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Berishvili Kh. (2018) Conception of corpoerative social responsibility: problems and evaluation. Batumi, BSU, p.12-28.
2. Berishvili Kh. (2017) Condradictory character of the process of liberalization and integration ofeconomic relations and influence of this process on the countries with small economi. 6th Business & Management Conference, Geneva, p. 3-10.
3. Berishvili Kh. (2017) Identification of integration processes in Conditions Economic Turbulance and Their Use in development of The Countries With Small Economi. Ecoforum Journal, Volume 6, Issue 2, pp.108-115.
4. Berishvili Kh. (2014) Possibilities for Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6 (4), 277 .
5. Berishvili Kh. (2014) Liberalization of Economy and Possibilities of Development of Foreign Trade Potential in Georgia. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University pp. 124-129.
6. Berishvili Kh. (2013) Globalization end Georgia's Integration Into World Economic Space. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University pp.125-128.

7. Business For Social Responsibility Education Fund, "Guide to Engaging with NGOs", United States San Francisco , 2001, 9-10 pp.)
8. Lauer R. "Defining Social Problems: Public and Professional Perspectives" , Oxford University Press, 1976 , 122 p.
9. სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტი (CDCS) (2017), „სოციალური ინტეგრაციის ახალი სტრატეგია“, გამომცემელი საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო გვ. 8
10. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (2018), „თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა“ (დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება), თბილისი.
11. ხოფერია ლ. (2018), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი“ , თბილისი.
12. მენეჯმენტი, VI გამოცემა / სტივენ რობინსი, მერი კოულტერი/ გამომცემლობა “ვილიამსი“ 2004.
13. Stoun R. Culture of corporation. London, 2016
14. Shengelia T. (2017) The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system. Universal, Tbilisi. ISBN 9789941175986.
15. Shengelia T. (2014) Business Aticophobia and the Terms For Overcoming in Georgia. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 4, Nova Science Publishers, Inc. PP. 331-337.
16. Shengelia T., Berishvili Kh. (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences, Volume 3, Issue 2, International Institute of Social and Economic Sciences. PP. 81-87.
17. Shengelia T., Berishvili Kh. (2014). Evaluation of the Global Position of Georgia and its Role In the Development of Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 1, Nova Science Publishers, Inc. PP. 57-65.
18. Shengelia T., Berishvili Kh. (2013). Globalization and Place of Georgia in International Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 5, Issue 3/4, Nova Science Publishers, Inc. PP. 229-238.
19. <http://forbes.ge/blog/33/biznesis-socialuri-pasuxismgebloba-saqarTveloSi>
20. www.investopedia.com: Corporate Social Responsibility definition - The term generally applies to efforts that go beyond what may be required by regulators or environmental protection groups.
21. <http://www.wbcsd.org/work-program/business-role/previous-work/corporate-social-responsibility.aspx><http://www.worldbank.org/en/about/what-we-do/crinfo>

Khatuna Berishvili

THE SOCIAL RESPONSIBILITY AND APPROACHES ORIENTED AT COMPANY'S LONG-TERM RESULTS

Summary

Research of the social responsibility revealed that at this stage the social responsibility is weakly developed in Georgia. Private sector is involved in the social projects, but mainly these projects are of one-time assistance character and less likely are of long-term, which systematically tries to reduce or/and eradicate the social problems. At the same time, main motivator for implementation of the social projects to be implemented by business is formation of positive image in the society and advertising of their own produce. Such sensitive topics are mostly a priority for business, which are acceptable for the society and cause compassion. This factor very much promotes advertising of a business company and increase of its awareness in the society. At this stage no

types of preferences (stimulation, law on social entrepreneurship, etc) exist from the state for those business organizations which implement the social projects and, unfortunately, the sums designated for charity are taxed. Business representatives do not wish the social responsibility to become forced by the state regulations. Majority sees essence of the social responsibility in kindness voluntarily expressed by business.

გიორგი ბრეგვაძე

უმუშევრობის პრობლემები საქართველოში

***ანოტაცია.** ნაშრომში განხილულია უმუშევრობის პრობლემები საქართველოში. გაანალიზებულია სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხები. კორონავირუსის ეპიდემიასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დასახულია სასწრაფოდ მისაღები ზომები, რათა კონტროლირებულ იქნეს უმუშევრობა.*

უმუშევრობა გლობალური პრობლემაა. მის მოგვარებას უკვე საუკუნეებია ცდილობს ცივილიზებული სამყარო, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ბევრმა ქვეყანამ ეს პრობლემა მეტნაკლებად მოაგვარა და უმუშევრობის დონე იქ დაბალია, მაგრამ მთლად არ არის აღმოფხვრილი. საქართველოში კი უმუშევრობა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ყველაზე მწვავე პრობლემაა. მის გადაჭრას ყველა დროში ყველა მთავრობა სხვადასხვა ფორმით ცდილობდა და ეხლაც ცდილობს, მაგრამ ამ მხრივ დიდი გარღვევა ნამდვილად არაა.

უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში უმთავრესია სწორი სტატისტიკური აღრიცხვა და იმის განსაზღვრა თუ ვინ ითვლება უმუშევრად.

დღეისათვის გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საერთაშორისო მეთოლოგიებს პირველ რიგში ის დანიშნულება აქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები შესადარისი იყოს. მაგალითად, თუ საქართველოსა და სომხეთში უმუშევრობის დონის დათვლის მეთოდოლოგია განსხვავებული იქნება, მიღებული შედეგების შედარება არ მოგვცემს საშუალებას, ვთქვათ, რომელ ქვეყანაში უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. გარდა ამ მიზნისა, უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიის მთავარი ამოცანაა, სწორად განაწილდეს უმუშევრობის დახმარება, არ მიიღოს დახმარება მან, ვინც რეალურად უმუშევარი არ არის და საკუთარი შრომითი შემოსავალი აქვს. აქედან გამომდინარე, უმუშევარი ადამიანის დასადგენად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია შემუშავებული. საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, მაგრამ, რადგან გაეროს წევრი ვართ, ვალდებული ვართ გვაქვს, რომ ჩვენც მათი მეთოდოლოგია გამოვიყენოთ. ამასთან, უმუშევრობაზე დაკვირვება გვებმარება, განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და თუ რამდენად უმჯობესდება/უარესდება სოციალური ფონი ქვეყანაში.

ახლა კი დაწვრილებით იმის შესახებ, თუ როგორ თვლის საქსტატი დასაქმება/უმუშევრობის მაჩვენებლებს. დათვლა ხდება შინამეურნეობის (ოჯახების) კვლევის გზით. გამოკვლევა მიმდინარეობს ყოველკვარტალურად, რომლის დროსაც ხორციელდება დაახლოებით 3,400 შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის

წევრების გამოკითხვა, გარდა: 1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვისა და მეტი პერიოდის განმავლობაში; 2. სამხედრო პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში 3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებსა და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოში ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. პენსიონერიც შეიძლება უმუშევრად ჩაითვალოს.

დასაქმებულად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთ საათს მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, უსასყიდლოდ ეხმარებოდა სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთ საათსაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსის მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთ საათს მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლებიან.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მიუხედავად პანდემიისა როგორც ცხრილიდან ჩანს უმუშევრობის დონე მცირდება. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს რომ სტატისტიკური აღრიცხვა არასწორია.

ცხრილი 1⁶

დასაქმება და უმუშევრობა

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 I	2020 II	2020 III
სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა), ათასი კაცი	1627.5	1629.0	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1545.2	1515.0	1526.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1197.8	1255.0	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1262.7	1237.6	1269.11
უმუშევარი, ათასი კაცი	429.7	374.0	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	282.6	277.4	259.8
უმუშევრობის დონე, პროცენტი	26.4	23.0	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.3	18.3	17.0

თუ ადამიანებს ვაიძულებთ, უხელფასოდ ან სასურველზე დაბალი ხელფასისთვის იმუშაონ – ყველას დასაქმება მოხერხდება. უმუშევრობა შრომის კომერციალიზაციამ ანუ შრომაში სასურველი ანაზღაურების (ხელფასის) მოთხოვნის თავისუფლებამ წარმოშვა. შესაბამისად, თუ ქვეყანაში არასასურველი ეკონომიკური მდგომარეობაა და საკმარისად ანაზღაურებული (ხშირ შემთხვევაში ანაზღაურება საარსებოდ საჭირო

⁶ ცხრილი შედგენილია საქართველოს ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით.

თანხასაც კი ვერ ფარავს) სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, ხოლო ადამიანებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ, მოსახლეობის ნაწილს არ უღირს დაბალი ხელფასისთვის დაქირავებულად მუშაობა და ცდილობს, სხვა ქვეყანაში იპოვოს უკეთესი სამსახური, ან სოფელში, მიწაზე მუშაობით მოიპოვოს არსებობისთვის საჭირო მინიმალური შემოსავალი (ხშირად – ნატურალური პროდუქტის სახით). საქართველოსთვის ორივე სიტუაცია დამახასიათებელია – ემიგრაცია და მიწაზე მუშაობაც. თუ ადამიანს არც მიწა აქვს და ვერც საზღვარგარეთ მიდის, ის სოციალურ ან უმუშევრობის დახმარებას იღებს. ბევრ ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება სოლიდურია და კონკურენციას უწევს დაბალანაზღაურებად სამსახურს.

ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. მაგალითად, ბევრი, ვისაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია. ასევე მიაჩნია, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. ხშირად ადამიანი თავს მხოლოდ მაშინ აღიქვამს დასაქმებულად, თუ ხელფასი აქვს დანიშნული (დაქირავებულია). ასე გაჩნდნენ „უმუშევარი“ ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები, სოფლის მეურნეობაში საკუთარ მიწაზე დასაქმებულები და ა.შ. ოფიციალური სტატისტიკით კი ისინი უმუშევრებად არ ითვლებიან. ეს კი ჩვენი აზრით არ არის სწორი. ვინაიდან თუ პირი უმუშევრად არ ითვლება და დასაქმებულია ის ჩვენი კანონმდებლობით უნდა იხდიდეს საშემოსავლო გადასახადს. ხოლო თვითდასაქმებულები საშემოსავლო გადასახადს არ იხდიან. ეს კი უსამართლობაა. და ამ საკითხს საკანონმდებლო დონეზე განილვა სჭირდება.

დღეისათვის გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, უმუშევრობის სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგია გამოიყენება, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მიერ არის შემუშავებული. საერთაშორისო მეთოდოლოგიებს პირველ რიგში ის დანიშნულება აქვს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები შესადარისი იყოს. მაგალითად, თუ საქართველოსა და სომხეთში უმუშევრობის დონის დათვლის მეთოდოლოგია განსხვავებული იქნება, მიღებული შედეგების შედარება არ მოგვეცემს საშუალებას, ვთქვათ, რომელ ქვეყანაში უფრო მაღალია უმუშევრობის დონე. გარდა ამ მიზნისა, უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგიის მთავარი ამოცანაა, სწორად განაწილდეს უმუშევრობის დახმარება, არ მიიღოს დახმარება მან, ვინც რეალურად უმუშევარი არ არის და საკუთარი შრომითი შემოსავალი აქვს. აქედან გამომდინარე, უმუშევარი ადამიანის დასადგენად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია შემუშავებული. საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, მაგრამ, რადგან გაეროს წევრი ვართ, ვალდებული ვართ გვაქვს, რომ ჩვენც მათი მეთოდოლოგია გამოვიყენოთ. ამასთან, უმუშევრობაზე დაკვირვება გვეხმარება, განვსაზღვროთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და თუ რამდენად უმჯობესდება/უარესდება სოციალური ფონი ქვეყანაში.

ახლა კი დაწვრილებით იმის შესახებ, თუ როგორ თვლის საქსტატი დასაქმება/უმუშევრობის მაჩვენებლებს. დათვლა ხდება შინამეურნეობის (ოჯახების) კვლევის გზით. გამოკვლევა მიმდინარეობს ყოველკვარტალურად, რომლის დროსაც ხორციელდება დაახლოებით 3,400 შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის წევრების გამოკითხვა, გარდა: 1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვისა და მეტი პერიოდის განმავლობაში; 2. სამხედრო პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში 3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავად-

მყოფობში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებსა და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებას მიაჩნია, რომ უმუშევრობის პრობლემის დაძლევის მთავარი გზა ინვესტიციების მოზიდვაშია. მაგრამ როგორც ვხედავთ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მაინცდამაინც დიდი ინვესტიციები საქართველოში არ განხორციელებულა და არც ისეთი საწარმოები არ აშენებულა სადაც რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდებოდა. და თუ იხსნება ასეთი ქარხნები დიდი რაოდენობით დასაქმება არ ხდება. არც ანაზღაურებაა ღირსეული.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით საქართველოში უმუშევრობის პრობლემმა უფრო მწვავედ დადგა. სახელმწიფოს მუწევს მთელი რიგი ღონისძიებების გატარება ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და შესაბამისად უმუშევრობის დაძლევის მიზნით. სწორედ აღნიშნავს პროფესორი რ.აბესაძე, რომ უნდა შეიქმნას დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახური, რომელიც შეასრულებს შრომის ბირჟის როლს. მის მოვალეობაში უნდა შევიდეს: თავი სუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა (პასიურ და აქტიურ) აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.) და სათანადო ინფორმაციის მომზადება; საქართველოში შრომით ემიგრანტთა და იმიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები
2. გ. ბრეგვაძე - უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში „პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენციის თეზისები“
3. რ.აბესაძე - უმუშევრობა და მისი მიზეზები საქართველოში. ჟურნალი ეკონომისტი #5 2009წ.

George Bregvadze

THE PROBLEMS OF UNEMPLOYMENT IN GEORGIA

Summary

The paper discusses the problems of unemployment in Georgia. Issues of statistical accounting perfection are analyzed. Given the current situation with the coronavirus epidemic, urgent measures have been put in place to control unemployment.

Вероника Ивановна Булат

ЛОГИСТИЧЕСКИЕ СИСТЕМЫ НА ПРЕДПРИЯТИИ И ИХ ОСНОВНЫЕ ЭЛЕМЕНТЫ

Аннотация. В логистический процесс вовлечены различные здания и сооружения, ход процесса существенно зависит от степени подготовленности к нему самих движущихся и периодически накапливаемых в запасах грузов. Подготовленность работников, связанно с количеством и объемом грузов, работников, а также технологии использующие предприятия. Научно технологический прогресс увеличил объем производства, тем самым снизил из-

держки на производство. Данные свойства благоприятно сказались на фирмах, тем самым снизив цену на единицу продукции. Совокупность производительных сил, обеспечивающих прохождение грузов, лучше или хуже, но всегда как-то организована. По существу, если имеют место материальные потоки, то всегда имеет место какая-то товаропроводящая система.

Ключевые слова: логистика, микроэкономика, логистическая система, производственный процесс.

Введение

Логистика ставит и решает задачу проектирования гармоничных, согласованных материальных проводящих систем, с заданными параметрами на выходе. Отличает эти системы высокая степень согласованности входящих в них производительных сил в вопросах управления сквозными материальными потоками, что при данной работе является необходимым для дальнейшего развития.

Обсуждение

Охарактеризуем свойства логистических систем в разрезе каждого из четырех свойств, присущих любой системе.

Первое свойство: система есть целостная совокупность элементов, взаимодействующих друг с другом. Декомпозицию логистических систем на элементы можно осуществлять по-разному. На макроуровне при прохождении материального потока от одного предприятия, к другому в качестве элементов могут рассматриваться сами эти предприятия, а также связывающий их транспорт. [3] Транспорт на сегодняшний день, очень сильно развит по сравнению с двадцатым веком, появились новые типы двигателей, такие как турбо двигатели использующие, как дизельное, так и бензиновые двигатели. При помощи данных технологий увеличилась производительность двигателей внутреннего сгорания, тем самым современные двигатели потребляют меньше топлива, а также имеют больше мощности, благодаря которой увеличилась скорость доставки грузов. Так как многие продукты имеют маленький срок годности, а для доставки такого вида продукта на длинные расстояния необходима скорость. [2] То есть при, согласовании действий между предприятиями не должно возникнуть никаких проблем. Существует определенный отдел работников, которые договариваются о поставках, а также учитывают форс мажорные обстоятельства. Чтоб не было проблем между элементами, взаимодействующими между собой.

На микроуровне логистическая система (рис. 1.1) может быть представлена в виде следующих основных подсистем:

- ✓ закупка
- ✓ подсистема, которая обеспечивает поступление материального потока в логистическую систему.
- ✓ планирование и управление производством — эта подсистема принимает материальный поток от подсистемы закупок и управляет им в процессе выполнения различных технологических операций, превращающих предмет труда в продукт труда;
- ✓ сбыт
- ✓ подсистема, которая обеспечивает выбытие материального потока из логистической системы.




Рис. 1. Укрупненная схема микро-логистической системы

Как видим, элементы логистических систем разнокачественные, но одновременно совместимые. Совместимость обеспечивается единством цели, которой подчинено функционирование каждого из элементов логистической системы. Микро-логистические системы неоднократно связаны между собой на всех стадиях производства, так как это является неотъемлемой частью логистической системы.

Второе свойство (связи): между элементами логистической системы имеются существенные связи, которые с закономерной необходимостью определяют интегративные качества. В макро-логистических системах основу связи между элементами составляет договор. [4] В микро логистических системах элементы связаны внутрипроизводственными отношениями. Для эффективного развития предприятия необходимо придерживаться определенным правилам, от которых в значительной степени зависит деятельность предприятия таких как:

- эффективность внедрения новых технологий и техники
- усовершенствование техники
- внедрение высококачественных и высоко экологических изделий
- снижением затрат на производство и вредоносных выбросов
- совершенствованием производственной структурой
- совершенствование управлением предприятия

Третье свойство (организация): связи между элементами логистической системы определенным образом упорядочены, то есть логистическая система имеет организацию.

Связанно это с созданием специальной логистической службой, которая в свою очередь будет управлять определенными операциями, такими как договорных отношений с поставками и заканчивая другими процессами поставок, как доставкой готовой продукции.

Четвертое свойство (интегративные качества): логистическая система обладает интегративными качествами, не свойственными ни одному из элементов в отдельности. Это способность поставить нужный товар в нужное время, в нужное место, необходимого качества, с минимальными затратами, а также способность адаптироваться к изменяющимся условиям внешней среды (изменение спроса на товар или услуги, непредвиденный выход из строя технических средств и тому подобному.). Данное свойство является одним из самых сложных, так как на пути производства или доставки грузов существует большое количество подводных камней, из-за которых предприятие может потерпеть неудачу. Данные камни препятствуют корректному, плавному взаимодействию всех операции от стадии закупок до конечной стадии сбыта. Для скоропортящихся продуктов это является главным критерием, то есть скорость доставки, а также доставки в надлежащем качестве, это требует специализированного оборудования и норм хранения.

Интегративные качества логистической системы позволяют ей закупать материалы, пропускать их через свои производственные мощности и выдавать во внешнюю среду, достигая при этом заранее намеченные цели. А цели предприятий зависят от бюджета компаний, так как большие достижения требуют больших вкладов.

Логистическую систему, способную ответить на возникающий спрос быстрой поставкой нужного товара, можно сравнить с живым организмом. Мускулы этого организма — подъемно-транспортная техника, центральная нервная система — сеть компьютеров на рабочих местах участников логистического процесса, организованная в единую информационную систему. [1] Данная организация должна четко работать, а при возникновении определенных форс мажорных обстоятельств, должна своевременно решить данную проблему. По размерам этот организм может занимать территорию завода или предприятие оптовой торговли, а может охватывать регион или выходить за пределы государства. Он способен адаптироваться, приспособливаться к возмущениям внешней среды, реагировать на нее в том же темпе, в котором происходят события. Так как несоблюдение данных правил не принесет соответствующей прибыли предприятию, для дальнейшего развития организационной структуры и развитием производственных процессов.

Методологической основой сквозного управления материальным потоком является системный подход. В основе методологии системного подхода находится рассмотрение объектов как систем; системный подход означает, что каждая система является интегрированным целым даже тогда, когда состоит из отдельных подсистем. Системный подход позволяет увидеть изучаемый объект как комплекс взаимосвязанных подсистем, объединенных общей целью — раскрытием интегративных свойств, внутренних и внешних связей. То есть взаимосвязь между звеньями является сквозным, и они тесно взаимодействуют между собой, даже если данная система не является единым целым объектом, что называется системным подходом. Данную систему объединяет общая цель. Благодаря общей цели эта система тесно взаимодействует, как с внешними связями, так и с внутренними. Функционирование производится за счет сложных действий с, внешней и внутренней средой. На данном рисунке рассмотрим данную аналитику взаимодействий логистических систем предприятия.

Виды логистических систем:

1. с прямыми связями;
2. эшелонированная;
3. гибкая.

Функционирование реальных логистических систем характеризуется наличием сложных случайных связей как внутри этих систем, так и в их отношениях с окружающей средой. (Рис. 2.) В этих условиях принятие частных решений, без учета общих целей функционирования системы и предъявляемых к ней требований, может оказаться недостаточным.




Рис. 2. Взаимосвязь логистической системы с внешней средой

Система при системном подходе формируется в несколько этапов:

- ✓ определяются и формулируются цели функционирования системы;
- ✓ на основании анализа целей функционирования системы и ограничений внешней среды определяются требования, которым должна удовлетворять система;
- ✓ на базе этих требований формируются некоторые подсистемы;
- ✓ подсистемы вводятся, обеспечивается взаимодействие, на их основе формируется система.

Подсистемой логистической системы называется выделенная в соответствии с организационной структурой совокупность элементов и звеньев логистической системы, которая позволяет решать задачи логистического администрирования системы в целом и/или управления комплексом логистических функций в отдельной сфере бизнеса компании.

Выделение функциональных подсистем напрямую связано с функциональными сферами, областями логистики и вызвано необходимостью повышения степени управляемости ло-

гистическим процессом в снабжении, закупках, производстве и распределении, дистрибуции, а также задачами логистической координации и интеграции.

Выделяются два основных комплекса подсистем: функциональный и обеспечивающий. Функциональный комплекс соответственно управляет основными логистическими функциями: транспортировкой, складированием, груз переработкой, упаковкой, запасами и так далее в снабжении, производстве и распределении. Поэтому выделяются подсистемы:

- ✓ дистрибуции,
- ✓ сбыта,
- ✓ распределения;
- ✓ поддержки производственных процессов;
- ✓ снабжения,
- ✓ управления закупками.

Обеспечивающий комплекс традиционно включает организационно-экономическую, правовую и информационно-компьютерную поддержку, экологическое и эргономическое обеспечение логистики.

Звеном логистической системы называется некоторый экономически или функционально обособленный объект, не подлежащий дальнейшей декомпозиции в рамках поставленной задачи анализа или синтеза логистической системы и выполняющий локальную целевую функцию. В качестве звеньев логистической системы могут выступать предприятия-поставщики, производственные предприятия и их подразделения, сбытовые предприятия, торговые и посреднические организации, транспортные предприятия и банки и тому подобное.

Реальными звеньями, из которых может состоять логистическая система, являются:

- ✓ различные формы собственности и организационно-правовые формы;
- ✓ различия в характере и целях функционирования;
- ✓ различия в производственной мощности, уровне концентрации производства, используемом технологическом оборудовании, потребляемых ресурсах;
- ✓ сосредоточенность технических средств и трудовых ресурсов на большой территории;
- ✓ экстерриториальность и высокая мобильность средств транспорта;
- ✓ зависимость результатов деятельности от большого числа внешних факторов и смежных звеньев;

Звенья логистической системы могут быть трех основных типов: генерирующие, преобразующие и поглощающие материальные и сопутствующие им информационные и финансовые потоки. Часто встречаются смешанные звенья логистической системы, в которых указанные три основных типа звеньев, комбинируются в различных сочетаниях. В звеньях логистической системы, материальные, информационные, финансовые, потоки могут сходитьсь. А также разветвляться, дробиться, изменять свое содержание, параметры, интенсивность и тому подобное.

Выделение звена логистической системы в большинстве случаев связано с наличием в организационной структуре управления функционально-обособленных по отношению к основным и сопутствующим потокам подразделений, а также партнеров и контрагентов в организации логистики компании. Партнеры и контрагенты образуют так называемые «три стороны» в логистике фирмы, причем компанию, которая формирует логистическую систему, иногда называют интегральной компанией или «хозяйном» логистического процесса.

Выводы

Для развития данных в системном подходе необходимо четко разделять обязанности и последовательность действий между различными этапами, на разных стадиях развития. Так как несоблюдение, некорректные действия между организациями могут повлечь за собой определенное количество ошибок, а из-за этого могут выявиться определенное количество несогласованных вопросов. Что в свою очередь может поднести к расторгу договорных со-

глашений. Взаимодействие между внутренними и внешними системами должны развиваться и неоднократно пересматриваться, на пути развития могут выявиться неопределенные вопросы и сложности, что неблагоприятным образом отразится на системах.

Использованная литература

1. Гаджинский А. М. Логистика: учебник. 20-е изд. -Москва: Дашков и К°, 2012.
2. Крылатков П. П. и др. Логистика промышленного предприятия - Екатеринбург: Изд-во Урал. 2016.
3. Шумаев В.А., Основы логистики. -Москва: Юридический институт МИИТ, 2016.
4. Левкин Г. Г. Логистика: теория и практика. Ростов-на-Дону: ФЕНИКС, 2009.

Veronica Bulat

LOGISTICS SYSTEMS IN THE ENTERPRISE AND THEIR KEY ELEMENTS

Summary

Various buildings and structures are involved in the logistic process, the course of the process significantly depends on the degree of preparedness for it of the moving and periodically accumulated cargoes themselves. The preparedness of workers, associated with the amount and volume of goods, workers, as well as the technologies used by the enterprise. Scientific and technological progress has increased the volume of production, thereby reducing production costs. These properties have had a beneficial effect on firms, thereby lowering the unit price. The aggregate of the productive forces that ensure the passage of goods, better or worse, but always somehow organized. In essence, if there are material flows, then there is always some kind of commodity distribution system.

Key words: logistics, microeconomics, logistical system, production process.

საბა ბურჯალიანი

ორგანიზაციის წარმატების მიღწევაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების მართვა

ანოტაცია. სტატიაში გამოკვლეულია ორგანიზაციაში ადამიანური რესურსები სწორად მართვის პრობლემები. ორგანიზაციაში პერსონალის მართვის სამსახურს ევალება. სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს ორგანიზაციებში პერსონალის მართვის სამსახურები საკმაოდ სუსტია. იქ, ზოგჯერ არაპროფესიონალები მუშაობენ, რადგანაც საქართველოში პერსონალის მენეჯერების დიდი დეფიციტია, რისი მიზეზიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ასეთი სპეციალობის არ არსებობაა.

სტატიაში განხილულია პერსონალის მენეჯერის ოთხი სტილი - დირექტიული, დარწმუნებითი, მონაწილეობითი, დელეგირების, ამასთან მენეჯერებს მიცემული აქვთ რჩევა თუ როდის, რა სიტუაციაში გამოიყენონ ისინი. ჩამოთვლილია ის პირობებიც, რომლებსაც თითოეული მათგანი უნდა დაეფუძნოს.

საკვანძო სიტყვები: წარმატებაზე ორიენტაცია; ადამიანური რესურსების მართვა; პერსონალის მენეჯერი; დასაქმებულთა ინტერესი.

შესავალი

ცნობილია, რომ კომპანიების საქმიანობაში ადამიანური რესურსები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ. მაიკლ არმსტრონგმა მას ორგანიზაციის ძირითადი

რესურსი უწოდა [Armstrong&Taylor, 2014:4]. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლები ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნისთვის. ასეთი ქვეყანაა საქართველო. თავის დროზე ასეთი იყო სინგაპურიც, რომელიც დღეს, ე. წ. „აზიის ვეფხვების“ სათავეში დგას და ყველაზე მოწინავეა აზიის ქვეყნებს შორის. მაშინაც და ახლაც, სინგაპური მხოლოდ ადამიანებზე, მათ პროდუქტულობაზე იყო დამოკიდებული [Singapore Productivity Centre, 2015]. პროდუქტულობა კი ადამიანებში მაშინ იზრდება, როდესაც მათ ზრდა-განვითარებაზე მეტი ინვესტიცია იხარჯება. ეს ინვესტიცია უნდა მოხმარდეს განათლებას, ადამიანებისთვის ცოდნის გადაცემას და მათში შემოქმედებითი უნარის (ნიჭის) გამოვლენას, ანუ საბოლოო ჯამში, ადამიანისეული კაპიტალის შექმნას

ამის კარგი პრაქტიკაა სინგაპურში. იქ, ადამიანებს დასაქმების პროცესშიც მუდმივად ასწავლიან, ანუ შრომა სიახლეების სწავლასთან არის შეხამებული. სინგაპურში დანერგილი ადამიანური რესურსების მართვის ეს პრაქტიკა ნიმუში უნდა იყოს საქართველოსთვის.

ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციაში სამ დონეზე ხორციელდება. ეს დონეებია [გოროშიძე, 2015:10]:

1. პროცესების დონე (კომუნიკაცია, მოტივაცია, კონფლიქტები, კონტროლი, მართვის ოპტიმიზება).
2. ადამიანის დონე (ინდივიდის უნარი, თვისებები, ინტერესები).
3. ორგანიზაციის დონე (ორგანიზაციის ინტერესები).

მეცნიერები ამ ჩამონათვალთან სხვადასხვა დონეს აძლევენ უპირატესობას, თუმცა, ყველა მათგანის გამოყენებას საჭიროდ თვლიან. ასევეა პრაქტიკაშიც. ზოგიერთი კომპანია პირველ დონეზე ფუკუსირდება, ზოგი მეორეზე და ა. შ. ყველა შემთხვევაში, მართვის რომელ დონესაც არ უნდა ეძლეოდეს უპირატესობა, ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს პერსონალის მართვის ქვედანაყოფი. ამ სტრუქტურას მოეთხოვება ისეთი კადრით დააკომპლექტოს ორგანიზაცია და დასაქმებული პერსონალი შრომის პროცესში ისე მართოს, რომ ისინი მაქსიმალურად იყვნენ ორგანიზაციის წარმატებაზე ორიენტირებულნი. ამასთან, ეს ორიენტაცია რომ იყოს მყარი, სტაბილური და ხანგრძლივი, საკმარისი არ არის მხოლოდ დასაქმებულების ყოველდღიური შრომის პროცესში ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭიროა ყველა ორგანიზაციაში ხორციელდებოდეს ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, ანუ სდგებოდეს პერსონალის მართვის ხანგრძლივადიანი გეგმა.

ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად დასაქმებულთა პოტენციალის სრული რეალიზაცია, მისი არსებობა-არარსებობის საკითხია. პერსონალი ის რესურსია, რომლის შრომის უნარზე და საქმისადმი თავდადებაზე არის დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატება. ამიტომ საჭიროა, რომ დასაქმებულებს კომპეტენტურ ადამიანთა გუნდი ხელმძღვანელობდეს. საზღვარგარეთ მიღებულია, რომ პერსონალის მართვის სამსახურში საერთო დასაქმებულთა 1-2% მუშაობდეს [Весенин, 2015:71]. ასეთ დროს საქართველოს ორგანიზაციების პერსონალის მართვის სამსახურები, ანუ ე. წ. კადრების განყოფილებები 2-3 კაციტ არიან დაკომპლექტებული და ხშირად, ისინიც, არასპეციალისტები არიან. ამის მიზეზი ძირითადად ის არის, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ ზოგად მენეჯერებს და არ ამზადებენ ვიწრო სპეციალიზაციის მენეჯერებს. ასეთთა რიცხვშია პერსონალის მენეჯერი, სტრატეგიული მენეჯერი, ინოვაციების მენეჯერი და სხვა.

საზღვარგარეთის მსხვილ კომპანიებში პერსონალის მართვის ქვედანაყოფებში 15-მდე ბლოკებია შექმნილი (პერსონალის მოძრაობის აღრიცხვის, შრომის დაცვის, პერსონალის გადანაწილების, პერსონალის განვითარების, პერსონალის სტრატეგიის შემუშავების, პერსონალის სოციალური მომსახურების, პერსონალის მართვის სრულყოფის და სხვა). ცხადია, ფუნქციების ასეთ დიფერენციაციას სათანადო რაოდენობის სპეციალისტები სჭირდება. ამიტომ ასეთ მსხვილ კომპანიებში არა საერთო დასაქმებულთა 1-2%, არამედ 10%-იც კი მუშაობს. აშშ-ში ყოველ 150 დასაქმებულზე კადრების 10 მუშაკი მოდის, საფრანგეთში - 130 დასაქმებულზე - ერთი, იაპონიაში - 40 დასაქმებულზე - ერთი [Весенин, 2015:71].

დასაქმებულთა მართვის ეფექტიანობა პერსონალის მმართველი გუნდის ცოდნასა და გამოცდილებაზე არის დამოკიდებული. პერსონალის მენეჯერი თავის ფუნქციებს წარმატებით ასრულებს იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულებზე ზემოქმედების მეთოდების ცოდნის გარდა, გააჩნია მათი ეფექტიანი გამოყენების ნიჭი. ამაში გადამწყვეტ როლს მისი ფორმალური (პროფესიული) და არაფორმალური (პიროვნული) ავტორიტეტი თამაშობს. ცნობილია, რომ ადამიანები პიროვნულ იმიჯს მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე პროფესიულს. პიროვნული ავტორიტეტის მქონე მენეჯერის დავალებებს დასაქმებულები სიამოვნებით და სიყვარულით ასრულებენ. მათი ეს საქციელი კომპანიის წარმატებას მყარ საფუძველს უქმნის. აქედან კეთდება დასკვნა. უპირველესად საჭიროა პიროვნული იმიჯის გაუმჯობესება [ჯოლია, 2006:78].

მენეჯერის ხელმძღვანელობა დაქვემდებარებულებზე მის სტილში ვლინდება. ძირითადად გავრცელებულია მეცნიერების - ხერსის და ბლანშარის მიერ შემუშავებული დასაქმებულთა მართვის ოთხი სტილი [Дашт, 2008:587]:

1. დირექტიული სტილი (ასახავს მეტ ყურადღებას ორგანიზაციაზე, ნაკლებს დასაქმებულებზე).
2. დარწმუნებითი სტილი (ასახავს ერთდროულად მაღალ ყურადღებას ადამიანებზეც და ორგანიზაციაზეც).
3. მონაწილეობის სტილი (ასახავს ადამიანების მიმართ მაღალ, ხოლო ორგანიზაციის მიმართ დაბალ ყურადღებას).
4. უფლებამოსილებათა განაწილების სტილი (ასახავს მაღალ ყურადღებას გამორჩეულად განათლებულ სპეციალისტების მიმართ).

დასაქმებულთა მართვის ჩამოთვლილი სტილები პირდაპირ კარნახობენ პერსონალის მენეჯერებს როდის რომელი სტილი გამოიყენონ. თუ მათ კომპანიაში დასაქმებულების განათლების დონე დაბალია, მაშინ, მათ გამოადგებათ მხოლოდ დირექტიული სტილი, თუ ზომიერია - დარწმუნებითი სტილი, თუ მაღალი - მონაწილეობის სტილი, ხოლო თუ ძალიან მაღალი, მაშინ - უფლებამოსილებათა გადანაწილების ანუ დელეგირების სტილი.

ნებისმიერი ამ სტილის გამოყენებას თან უნდა ახლდეს შემდეგი სამი პირობა, რომელთა არსებობის გარეშე არცერთი ზემოთდასახელებული სტილი ორგანიზაციის წარმატების მიღწევაზე დასაქმებულთა ფოკუსირებას ვერ მოახდენს. ეს პირობებია [მართვის ახალი გეომეტრია], 2012:103-104]:

- თანამშრომლებს ყოველთვის და თანაც, ძალიან სურთ რომ ხელმძღვანელებმა აღიარონ მათი განუსაზღვრელი შესაძლებლობები, და, ამის გამო, მათ პატივს სცემდნენ;
- თანამშრომლებს სურთ, რომ მათ პირად ინტერესებს ისეთივე პატივი სცენ და ანგარიში გაუწიონ, როგორც ამას ითხოვენ მათგან ორგანიზაციის ინტერესებისთვის;

- თანამშრომლებს ასევე უნდათ, სურთ და ითხოვენ ხელმძღვანელებისგან მათ მიერ თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ, გულით და მონდომებით გაკეთებული საქმის დანახვას, გამორჩევას და დაფასებას.

მაშასადამე, პერსონალის მენეჯერებმა უნდა ირწმუნონ, რომ დასაქმებულებს ორგანიზაციის წარმატებისთვის ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ. ამისთვის საჭიროა მხოლოდ მათი პირადი ინტერესების პატივისცემა, გულით გაკეთებული საქმის დაფასება. ორგანიზაციას ეს მისცემს საშუალებას კიდევ უფრო უკეთ გამოიყენოს დასაქმებულები საკუთარი წარმატებისთვის, თან ისე, რომ დასაქმებულებიც კმაყოფილი დარჩნენ.

ქართველი მენეჯერები ხშირად ჩივიან და წუწუნებენ იმის შესახებ, რომ ჰყავთ მუდამ უკმაყოფილო კადრები, რომ მათი გულის მოგება, დაინტერესება, გახარება, მოტივირება თითქმის შეუძლებელია [მართვის ახალი გეომეტრია, 2012:59]. ისინი კითხულობენ, თუ როგორ უნდა მოექცნენ ასეთ თანამშრომლებს, რომ ისინი შემოაბრუნონ ორგანიზაციისკენ. ასეთი კადრების მართვის მეთოდი ალბათ რამდენიმეა, მაგრამ, ჩვენ მხარს ვუჭერთ შემდეგ სამს:

1. გაეზარდოთ მათ პასუხისმგებლობა, ანუ დაეკისროთ ისეთი მოვალეობები, რომლებიც მათ კომპეტენციის ზღვარზე გაიყვანს. ეს მათ გაუძლიერებთ სურვილს გაამართლონ ნდობა და შეინარჩუნონ ახალი სტატუსი.
2. გადაწყვეტილებების მიღებისას მენეჯერებმა მათაც ჰკითხოთ აზრი. ეს მათ დაანახვებს პასუხისმგებლობის სიმძიმეს და უფრო მეტად დაფიქრებულნი და მოტივირებული გახდებიან.
3. მენეჯერები მაქსიმალურად დაუახლოვდნენ მათ, ხშირად შეახსენონ მოვალეობები, არ მისცენ მოდუნების საშუალება. შეეკითხოთ, ხომ არ სჭირდებათ დახმარება და თუ ასეთი არსებობს, მაშინ აუცილებლად დაეხმარონ.

დასაბუთებია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს კომპანიებში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, დასაქმებულთა მართვაში ასეთი მიდგომები არ შეინიშნება. ჩვენთან, პერსონალთან მუშაობას, - წერს ქართველი მეცნიერი ნ. ერიაშვილი, - როგორც წესი, გააჩნია მეორეხარისხოვანი ხასიათი. მეწარმისა და მენეჯერისათვის კომერციული სარგებლის პრიორიტეტულობასთან შედარებით.. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ჯერ არ შექმნილა პერსონალის მენეჯმენტის ცივილიზებული სისტემა...“ [ერიაშვილი, სტოლიარენკო, 2014:288].

დასკვნა

საქართველოს კომპანიებში პერსონალის მართვა ძირითადად ხდება ტრადიციული (საბჭოური) მეთოდებით. პერსონალის მენეჯერებად ძირითადად ინიშნებიან არასპეციალისტები, რადგანაც ქვეყანაში პერსონალის პროფესიონალ მენეჯერებზე დიდი დეფიციტია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მენეჯმენტის მიმართულებით ვიწრო სპეციალიზაციები არ არსებობს. ამის შედეგია სწორედ ის ვითარება, რომ არასპეციალისტების მიერ მართული დასაქმებული ადამიანების ნიჭი და უნარი არ არის მთლიანად გახსნილი და ცალკეული კომპანიების და, საბოლოოდ მთლიანად ქვეყნის წარმატებისთვის გამოყენებული. საჭიროა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყოს ვიწრო სპეციალობებით სწავლება, მ. შ. პერსონალის მენეჯმენტი სპეციალიზაციით კადრების მომზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Armstrong M. & Taylor S. (2014). Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice, Kogan Page.
2. Singapore Productivity Centre (2015). WGY Improve Labour Productivity in Your Company. Singapore, Retrieved from https://www.smeportal.sg/content/smeportal/en/bizguides/qualityand_standards/2015/why-improve-labour-productivity-in-your-company.html
3. გოროშიძე გ. ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი ფორმირება. GESJ:Education Science and Psychology, 2015, pp. 10-18.
4. Веснин В. Управление человеческими ресурсами, М., 2015.
5. ჯოლია გ. ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება, ინოვაცია, თბ., 2006.
6. Дафт Р. Менеджмент. 2008.
7. მართვის ახალი გეომეტრია. სინერჯი-ჯგუფის კრებული. თბ., 2012.
8. ერიაშვილი ნ., სტოლიარენკო ვ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია, თბ., 2014.

Saba Burjaliani

THE MANAGEMENT OF HUMAN RESOURCES FOCUSED ON THE SUCCESS OF THE ORGANIZATION Summary

In the article: "The management of human resources focused on the success of the organization" - is an example that if the human resources in the organization are properly managed, then the organization will be successful. This function is assigned to the personnel management service in the organization. The article emphasizes that personnel management services in Georgian organizations are very weak. Mostly non-professionals work there, as there is a large shortage of staff managers in Georgia. The author considers that such specialization doesn't exist in Georgian higher education institutions.

The article discusses the four styles of personnel manager - directive, persuasive, participatory, delegating, and gives managers advice on when, in what situations, to use them. It also lists the conditions on which each of them must be based.

The author concludes that personnel managers need to believe that employees can do a lot of good for the success of the organization. All they need to do is respect their personal interests and appreciate the work they do.

Keywords: *Orientation on success; management of human resources; Personnel Manager; Employee interest.*

გონიერი მენეჯერი და სახელმწიფოებრივი აზროვნება

ანოტაცია. ნაშრომში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლება უნდა იყოს ადამიანური რესურსებით, ცოდნით, კვალიფიციური სპეციალისტებით, გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებული აპარატი, რომელიც უნდა იღვწოდეს საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამალგებისათვის. როცა უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრება გამოუცდელ დაბალ კვალიფიციურ სპეციალისტებს და პროფესიისადმი შეუთავსებელ ადამიანთა ჯგუფს, ცხადია შესრულებული სამუშაოების ხარისხი მაღალი და ეფექტური ვერ იქნება. მმართველ სტრუქტურას მოქნილი, გონივრული სტრატეგია და ხედვა სჭირდება. ასეთნაირად შერჩეული ადამიანური რესურსები დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს და ქვეყანას.

აღნიშნულია, რომ ქვეყანაში მცირდება ეროვნული პროდუქციის მოცულობა და იზრდება იმპორტში ისეთი პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ბიუჯეტს. ჩვენ ქვეყანას ხორბლის დეფიციტი გააჩნია, რადგან არ ვთესავთ იმდენს რაც გვჭირდება, მაშინ როცა ხორბლის მოყვანის პირობები ნამდვილად არსებობს და თავისუფლად შეგვიძლია შევქმნათ ხორბლის მარაგიც კი.

ხაზგასმულია ეფექტური სტრატეგიის აუცილებლობაზე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მოყვანა შენახვის სფეროში და ამით მსოფლიო ბაზარზე ქართული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შეთავაზებაზე.

აგრეთვე საუბარია მომავალი თაობის სწორად აღზრდის მნიშვნელობაზე, რადგანაც მიგვაჩნია ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე არის წარმატებული და იმედის მომცემი ახალგაზრდობა, რომლებიც ნელ-ნელა იხვეწება, ვითარდება, ყალიბდება და აქედანვე ემზადება, რომ დამსახურებულად გამოცდილებისა და ღირსების საფუძველზე გახდეს ხალხის რჩეული და ღირსეულად დაიკავონ საპასუხისმგებლო თანამდებობები და ქვეყნის აღმშენებლობის დიად საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. აქედან გამომდინარე ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას. მეტი შესაძლებლობა მიეცეს მცოდნე, განათლებულ და პროფესიონალ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლია დიდი წარმატება მოუტანოს ქვეყანას, ამის ბრწყინვალე მაგალითია ის წვლილი, რომელიც პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლებამ და სამედიცინო პერსონალმა გასწია.

საქართველომ არსებობის მანძილზე მრავალი ომი გადაიტანა, ბევრ ქართველებს გაუძლო. მას ზურგს უმაგრებდა სახელგანთქმული მეფეები. ნიჭიერი და ჭკვიანი მხედარმთავრები, პატრიოტული სულისკვეთებით შეწირული ბრძოლისუნარიანი მეომრები. ბრძნულმა და შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ ღვთისმშობელი მარიამის წილხვედრი ქვეყანა დღემდე მოიყვანა და კიდევაც აგრძელებს ბრძოლას კეთილი მომავლისთვის.

ქართველ ხალხს იშვიათად თუ ჰქონია წყნარი და მშვიდი ცხოვრება, რომ დამოუკიდებლად ემართა თავისი საყვარელი ქვეყანა. თავდაუზოგავი ბრძოლებისა და პერმანენტული აქციების შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს მოწვეულ უზენაეს საბჭოს

სესიაზე, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატულ ნებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე, ზვიად გამსახურდიას უშუალო ხელმძღვანელობით, დაადგინეს და საქვეყნოდ გამოაცხადეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს უდავოდ დიდი მონაპოვარი იყო ჩვენი ერისთვის. ეს ეროვნული ძალების დიდი მიღწევა იყო დამოუკიდებლად ემართა დემოკრატიული საქართველო და მის ხელთ არსებული ადამიანური, ბუნებრივი თუ წიაღისეული რესურსები, ეფექტურად გამოეყენებინა ის მოსახლეობის კეთილდღეობის ამალგებისათვის. დაიწყო ქვეყნის აღორძინების პროცესი და პოზიტივი გაუჩნდა ქართველ ხალხს, რომ უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი გაეხადა საკუთარი ქვეყანა. მრავალი რეფორმებისა და ეფექტური ღონისძიებების გატარების შედეგად ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე მოხდა დიადი ძვრები. სახელმწიფომ დაიწყო აღმშენებლობითი საქმიანობა და ეროვნული სულისკვეთებით აღზნებულ მოქალაქეებს გაუჩნდა მეტი მოტივაცია, რომ ახლა მაინც ეშრომა თავისი ოჯახისათვის და ქვეყნის გაძლიერებისათვის.

ერის ბრწყინვალე სამომავლო გეგმები მალევე ჩამოიშალა, პერსპექტიული საკეთილდღეო საქმეებისადმი აღტკინება ხანმოკლე აღმოჩნდა. ხალხის მიერ კანონიერი გზით არჩეული ეროვნული ხელისუფლება შინაური თუ გარეული მტრების ხელშეწყობით ცეცხლითა და მახვილით დამხოვილ იქნა. ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა ქვეყანა. მძიმე დღეები დაუდგა მშვიდობის მოყვარე საქართველოს მოსახლეობას. ჩამოიშალა ქვეყნის მართვის სტრუქტურები. დაეცა საწარმოო პროცესების ტემპები. შენლდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რამაც გამოიწვია მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობის მკვეთრი შემცირება. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰქონდა ადგილი მარადიურობას და ყაჩაღობას. ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს და მოსახლეობას. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობები გადამწვარ-გადაბუგული იქნა. იგივე მეორდებოდა რეგიონებში, მაგალითად ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის თვრამეტი მოსახლის კარ-მიდამო ცეცხლს მისცეს. ქვეყნის, მაშინ არსებული, ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის განადგურდა, რომლის აღდგენა-განახლებას სოლიდური კაპიტალური დაბანდება ჭირდებოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს დიდად აღემატებოდა. მომდევნო პერიოდში ბევრი სამეცნიერო კვლევითი, საცდელი სადგურები გაუქმდა. ზოგი ხანგძლივი დროით დაიხურა, რაც ქვეყნის წინსვლაზე ნეგატიურად აისახა. როგორც სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა დიდი ჩამორჩენა იყო მეცნიერებისა და ბიზნესის რიგ დარგებში. ეს იმან გამოწვია რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო სათანადო ყურადღებას არ იჩენდა აღნიშნული დარგების განვითარების მიმართ.

მაშინდელი ხელისუფლების სათავეში არაკეთილსინდისიერი, კორუმპირებული და ამბიციებით შეპყრობილი სახელმწიფო მოხელეების ნამოღვაწარი დღესაც წითელი ზოლივით გასდევს ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიას. ამ ვითარებას ზუსტად ესადაგება შარლ დე გოლის ბრძნული გამონათქვამი: “არ შეიძლება ხელისუფლებაში დაბალი განვითარების ადამიანის დაშვება, რადგან ის ქვეყანას თავიანთ დონეზე დაიყვანს“. იმავე აზრს გამოხატავს თომას ჯეფერსონის ფრაზა: „ყველაზე რთულია დასვა საჭირო კაცი საჭირო თანამდებობაზე“.

რა არის სახელმწიფო ხელისუფლება თუ არა ადამიანური რესურსებით, ცოდნით, კვალიფიციური სპეციალისტებით გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებული აპარატი, რომელიც უნდა იღვწოდეს საკუთარი

ქვეყნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. როცა უფლემამოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრება გამოუცდელ დაბალ კვალიფიციურ სპეციალისტებს და პროფესიისადმი შეუთავსებელ ადამიანთა ჯგუფს, ცხადია შესრულებული სამუშაოების ხარისხი არ შეესაბამება საჭირო სტანდარტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ხელისუფლებასთან შედარებით „ქართულმა ოცნებამ“ სხვა ბევრი ღონისძიებებისა და რეფორმების გატარებასთან ერთად გარკვეული ქმედითი ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის წინსვლის, ინფრასტრუქტურის განვითარების, ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო და მართლწესრიგის პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები და გაკეთებულ კეთილშობილურ საქმეებზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები უყარათოდ და არამიზნობრივად იყო გამოყენებული.

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ქართველი ხალხის დიდი მოლოდინის მიუხედავად ჯერ-ჯერობით ბოლომდე ვერ გაამართლა იმედები და ვერა და ვერ შეძლო ნანატრი სამართლიანობის აღდგენა.

„ქართული ოცნების“ მმართველ სტრუქტურას მოქნილი, გონივრული სტრატეგია და ხედვა სჭირდება, უარი უნდა თქვან მავნე ჩვევებზე - ნეპოტიზმის გარეშე განახორციელონ ადამიანური რესურსების შერჩევა-დანაშვნა. ასეთი პრაქტიკა ადამიანებს უბიძგებს ჩამოყალიბდნენ, როგორც მოაზროვნე და კარგი სპეციალისტები და არ ქონდეთ ამბიცია კვალიფიკაციისა და გამოცდილების გარეშე სხვადასხვა იერარქიებში დაიკავონ „ჩაწყობილი“ მაღალი თანამდებობები. ასეთნაირად შერჩეული ადამიანური რესურსები დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს და ქვეყანას. ბევრი კარგია გაკეთებული, თუმცა რიგ რეგიონებში სახეზეა დანგრეული ინფრასტრუქტურა და გაპარტახებული გიგანტური საწარმოები. როგორცაა: ქუთაისის წისქვილკომბინატი, ელექტრომექანიკური ქარხანა და სხვ. დღეს ეს უნიკალური საწარმოები გაძარცვული ან ნაწილ-ნაწილ გაყიდულია ყოფილი ჩინოვნიკების ჯიბის გასასქელებლად. მათი მთლიანი ღირებულება ალბათ მილიონობით დოლარს შეადგენდა. აღნიშნულის გარდა, უამრავი ქონება განიავდა და ნიავდება დღესაც. ამ საქმეში ლომის წილი მიუძღვის ქონების პრივატიზაციის სამმართველოს, სადაც მოკალათებულია უსულგულო, უნიათო მოხელეები, რომელთაც გულთან ახლოს არ მიაქვთ პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრიათ ხალხის წინაშე. ასეთი ადამიანები მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ, რადგან ახლა და მომავალში არ განადგურდეს სახალხო ქონება და მომავალმა თაობამ არ გაიმეოროს იგივე შეცდომები. ყოველივე ამის შედეგია საქმისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო მიდგომა, რომელიც საბოლოოდ წარმოშობს საყოველთაო უიმედობასა და ნიჰილიზმს.

დავითის, თამარის, რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ზვიადის, მერაბის და მრავალი სახელოვანი ადამიანის სამშობლოში მცხოვრები კანონმორჩილი და დისციპლინის მატარებელი ადამიანები უნდა იყვნენ, რომლებიც ერს კონსოლოდაციისკენ უბიძგებენ. მკაცრად უნდა გაკონტროლდეს კანონების ქმედუნარიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მართლწესრიგის, მშვიდობისა და ჰარმონიული ცხოვრების რიტმის შენარჩუნებას, თითოეული მოქალაქე ეთიკის ნორმით უნდა მოქმედებდეს და აქედან გამომდინარე განსაზღვროს თუ „რა უნდა გააკეთოს და რაზე უნდა შეიკავოს თავი“.

სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ დისციპლინის გამტკიცებას ყველგან და ყველაფერში, რომელიც ქვეყნის წინსვლის საფუძველთა საფუძველია. კანონდამრღვევი ყველა უნდა დაისაჯოს ვინც არ უნდა იყოს ეს

პიროვნება. როგორც ციკერონი აღნიშნავდა „დაუსჯელობა დანაშაულის ყველაზე დიდი წახალისებაა“.

„ქართულმა ოცნებამ“ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა თქვა „ნაციონალურ მოძრაობას მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებს, არამედ ისე როგორც ქართველ ხალხს და მის კულტურას ეკადრებაო. შედეგი სახეზეა კუზიანს სამარე გაასწორებს. „გერმანიამ თავის თავში ჩაკლა და მოინელა ადოლფ ჰიტლერის საზიზღარი და დამნაშავე ხროვა, რომელმაც მთელი ერი კინალამ განადგურების პირას მიიყვანა. აი ამიტომ აღორძინდა, აყვავდა, გამთლიანდა და აშენდა გერმანიის რესპუბლიკა, რომელიც თავისი ეკონომიკით, წესრიგით, კანონმდებლობითა და მეცნიერების განვითარების მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში.

დავით აღმშენებელზე უკეთესად არავინ იცოდა, რომ ადამიანის სარზე გასმა ქართველი ხალხის ბუნებისა და კულტურისათვის სულაც არ იყო მისაღები, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაშს, ასე რომ არ მოქცეოდა, ძლევამოსილ ქართულ სახელმწიფოს ვერ ააშენებდა. ყველა რანგის მენეჯერმა თუ სახელმწიფო მოხელემ უნდა იცოდეს დანაშაულის შემთხვევაში დასჯის და წახალისების რა სახე უნდა გამოიყენოს.

ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე არის წარმატებული და იმედის მომცემი ახალგაზრდობა, რომელიც ნელ-ნელა იხვეწება, ვითარდება, ყალიბდება და აქედანვე ემზადება, რომ დამსახურებულად გამოციდელბისა და ღირსების საფუძველზე გახდეს ხალხის რჩეული და ღირსეულად დაიკავონ საპასუხისმგებლო თანამდებობები და ქვეყნის აღმშენებლობის დიად საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. რა უბედურება ხდება ჩვენს ქვეყანაში, როცა საზოგადოებაში დაბალია დისციპლინა, კულტურა, ადამიანები ერმთმანეთის მიმართ იჩენენ უპატივცემულობას, ბოღმა და შური ახრჩობთ. ის ავიწყდებათ რომ სიცოცხლე მარადიული არ არის, მარადიულია სიკეთე. ჩხუბითა და ყიჟინით, ძალადობრივი ხერხებით სურთ ხელისუფლების სათავეში მოსვლა. ჩვენ ეჭვი გვეპარება რომ, ასეთი ადამიანები ხალხის სამსახურში რომ ჩადგებიან, მამულიშვილურ საქმიანობას მიჰყოფენ ხელს. ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას. თვალში საცემია თუ როგორი ქცევა და მიმართვა ახასიათებს ახალგაზრდებს. წიგნს ჩამოშორდა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. კარგია კომპიუტერის ფლობა, მისი გამოყენება, მაგრამ წიგნი მაინც არის ცოდნის მიღების ძირითადი წყარო, რომლის შედეგად ადამიანები ღებულობენ ფუნდამენტურ განათლებას. ამიტომ მომავალი თაობის ფიზიკური და სოციალური აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში უნდა გამოვიყენოთ დროის ინტენსიური დატვირთვის ისეთი მეთოდი, რომ ახალგაზრდები დღე-ღამის განმავლობაში ეფექტურად იყვნენ დატვირთულნი. ამისათვის საჭიროა საცხოვრებლის ირგვლივ ან ახლოს იყოს განლაგებული სპორტული მოედნები, სადაც გაკვეთილების მომზადების შემდეგ ხალხისიანად გაატარებენ ბავშვები თავისუფალ დროს.

კვლევებმა და დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდების ერთ-ერთ გამაღიზიანებელ მიზეზად მიგვაჩნია ტოტალიტატორი და ონლაინ აზარტული თამაშები, რომელიც როგორც მოზარდებში, ასევე ყველა თაობის ადამიანებში უარყოფით ემოციებს იწვევს. როგორც ცნობილია ონლაინ აზარტული თამაშები ამერიკაში აკრძალულია. ამ სენის წინააღმდეგ რუსეთიც იბრძვის. საქართველოში ეს თავის ნება-სურვილზეა მიშვებული. თუ დროზე არ მივიღეთ საგანგაშო მდგომარეობის აღსაკვეთად რადიკალური ზომები, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ჩვენი ახალგაზრდობა, მომავალი თაობა. დღეს-დღეობით სამწუხაროდ გვყავს 350000 ნარკომანი და 400 000 აზარტული მოთამაშე. 2016 წელს გამოქვეყნებული კვლევების

შედეგების მიხედვით საქართველოში მოსწავლეების 41 პროცენტი თამაშობს, აქედან 23 პროცენტი ფულზე (14-15 წლის ბავშვებზეა საუბარი) და გესმით ეს რას ნიშნავს? სკოლის წინ არის გამოჭიმული რეკლამები და როგორ ფიქრობთ არ იმოქმედებს ეს ბავშვების ფსიქიკაზე? ხშირია აზარტული თამაშების გამო სუიციდის შემთხვევები ახალგაზრდებს შორის.

***ანოტაცია.** ჰაერის დაბინძურება მსოფლიოს ერთ-ერთი მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემაა. ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობაზე ჰაერის დაბინძურების გავლენის მასშტაბები. მოყვანილია ჰაერის დაბინძურების შედეგად სიკვდილიანობით გამოწვეული ზარალისა და ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებული ზიანის ამსახველი მონაცემები. აღნიშნულია, რომ ურბანულ ქალაქებში მცხოვრები ადამიანები უფრო მეტად განიცდიან წვრილი ნაწილაკების ზემოქმედებას, ვიდრე სოფლად მცხოვრები ხალხი. ხაზგასმულია ჰაერის დაბინძურების სფეროში დანერგილი ინოვაციის თაობაზე. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჰაერის მაღალი დაბინძურების მქონე ქვეყნებსა და სუფთა ჰაერის ხარისხის მქონე ქვეყნებზე. მითითებულია როგორ გავხადოთ მსოფლიო უკეთესი, სუფთა და მწვანე.*

***საკვანძო სიტყვები:** ჰაერის ხარისხის ინდექსი; ჰაერის ხარისხის ინტერაქტიული პლატფორმა; ემისია; ატმოსფერული ნაწილაკები; ტოქსიკური ჰაერი; კორონავირუსი.*

ჰაერის დაბინძურება მსოფლიოს ერთ-ერთი მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემაა. დაბინძურებული ჰაერისგან ყველა საფრთხეში ვართ, რადგან დედამიწაზე ყოველი 10 ადამიანიდან 9 დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს – აცხადებს გაერო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, გარემოს დაბინძურება ჯანდაცვის მზარდ, გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს და წელიწადში 7 მილიონამდე ადამიანის დაღუპვას იწვევს. სიკვდილიანობის ადრეულ შემთხვევებში დაბინძურებულ ჰაერს მეოთხე ადგილი უჭირავს. ეს ციფრი ბევრად აღემატება COVID-19-ით გამოწვეული სიკვდილიანობის რაოდენობას წელს, მაგრამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის გახანგრძლივებული საგანგებო მდგომარეობის გამო იგი სავალალოდ არ არის მიჩნეული [12].

მსოფლიო ბანკის მონაცემებით ჰაერის დაბინძურებას მთელი მსოფლიოსთვის წელიწადში 225 მილიარდი დოლარის ზარალი მოაქვს. თუ სიკვდილიანობით გამოწვეულ ზარალს ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებულ ზიანსაც დავუმატებთ, საერთო ზარალი 1 ტრილიონ დოლარს აღწევს. ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო კარგავს მშპ-ს 7,5%-ს.

ჰაერის დაბინძურება ვითარდება ორ კონტექსტში: შიდა(საყოფაცხოვრებო) ჰაერის დაბინძურება და გარე ჰაერის დაბინძურება. საინტერესოა, დეტალურად ვფლობდეთ ინფორმაციის, თუ რა გავლენა აქვს თითოეულს ადამიანის ჯანმრთელობაზე. 2016 წლის მონაცემების საფუძველზე საყოფაცხოვრებო ჰაერის დაბინძურებამ დაახლოებით 3,8 მლნ ადამიანი იმსხვერპლა. შიდა კვამლი ჯანმრთელობის მუდმივი საფრთხეა იმ 3 მილიარდი ადამიანისთვის, რომლებიც ამზადებენ და ათბობენ სახლებს ბიომასის, ნავთის და ნახშირის დაწვით. შიდა ჰაერის დაბინძურება განსაკუთრებით მძიმე ზიანს აყენებს ქალებსა და მცირეწლოვან ბავშვებს. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში 5 წლამდე ბავშვების 98% სუნთქავს ტოქსიკურ ჰაერს. შედეგად, ჰაერის დაბინძურება 15 წლამდე ასაკის ბავშვების სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია, ყოველწლიურად 600 000 ბავშვი იღუპება.

ზოგადად, ტოქსინების დონე ჰაერში არსებული აირების ტიპებით და წვრილი ნაწილაკების რაოდენობით განისაზღვრება. როცა ცუდი ხარისხის ჰაერის ჩასუნთქვა ინტერსიურ ხასიათს იღებს, მნიშვნელოვანი ხდება იმის ცოდნა, თუ რა ხდის ასე საშიშს ატმოსფერულ ნაწილაკებს. ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნებული გამოკვლევის თანახმად, ატმოსფერული ნაწილაკების მავნე ბუნება განპირობებულია მისი ჟანგვითი პოტენციალით. ეს ვარაუდი ემყარება ევროპულ კვლევას ჯანმრთელობისთვის საზიანო წვრილი ნაწილაკების წყაროების შეფასების შესახებ. მსოფლიო მასშტაბით, სამი წამყვანი სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა ამ კვლევაში. მათი ვარაუდით, ჰაერის ნაწილაკების ჟანგვითი პოტენციალი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჰაერის ხარისხის რეგულირების მომავალ გეგმებში, რათა შემცირდეს უხარისხო ჰაერის ჩასუნთქვით გამოწვეული მავნე ზემოქმედება მოსახლეობაზე. მეცნიერთა ვარაუდით, ჟანგვითი პროცესი ამდაფრებს ანთებით რეაქციებს. ეს პროცესი კი ვითარდება ფილტვებში. მეცნიერთა მიერ ატმოსფერული ნაწილაკების სხვადასხვა ნიმუშების შეგროვება და მათი შემადგენლობის გაანალიზება სპექტომეტრული ტექნიკის გამოყენებით მოხდა შვეიცარიაში. მეცნიერებმა ჟანგვითი პოტენციალი შეაფასეს შვეიცარიის 5 ქალაქის ყველა ნიმუშზე. ამ კვლევების თანახმად დაასკვნეს, რომ ურბანულ ქალაქებში მცხოვრები ადამიანები უფრო დიდი სიმწვავეთ განიცდიან წვრილი ნაწილაკების ზემოქმედებას, ვიდრე სოფლად მცხოვრები ხალხი [9].

ცხოვრების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია ჰაერის მაღალ ხარისხზე. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, ტრანსპორტთან დაკავშირებული ემისიების ზრდასთან ერთად, პირდაპირ უკავშირდება ჰაერის ხარისხის გაუარესებას. თუმცა მხოლოდ ეს ორი ფაქტორი არ არის მიზეზი.

თანამედროვე მსოფლიოში წიაღისეული საწვავის წვას ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ჰაერის დაბინძურებაში. წამყვანი დამნაშავეა მოძრაობაც, მაგრამ ქარხნები და ელექტროსადგურები გარკვეულწილად განაგრძობენ თავიანთი წვლილის შეტანას ამ საქმეში. ესენი არიან პასუხისმგებელნი ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტის შესახებ კანონმდებლობა და ფორმატი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.

EU-ის 2008 წლის დირექტივა „ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ“ განსაზღვრავს სტანდარტებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე იმ დამაბინძურებლების კონცენტრაციასთან მიმართებაში, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტები თითქმის ოცი წლის წინ განისაზღვრა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ „ ევროპის ჰაერის ხარისხის

სტანდარტი“ განისაზღვრა 35 ყველაზე გავრცელებული დამაბინძურებელი ნივთიერების მიხედვით და შესაბამისად დადგინდა მათი დასაშვები ნორმებიც.

აშშ-ში სუფთა ჰაერის ხარისხის სტანდარტი 1978 წლისათვის 10 ყველაზე გავრცელებულ დამაბინძურებელ ნივთიერებას მოიაზრებდა. კანონში შეტანილი შესწორებების საფუძველზე, რომელიც 1990 წელს განხორციელდა, ეს სტანდარტი უკვე 200 ნივთიერებას გაუტოლდა.

ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების დონის გასაზომად საუკეთესო სტანდარტია ჰაერის ხარისხის ინდექსი - AQI. იგი გარე ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ საზომადაა მიჩნეული. AQI ემყარება ნაწილაკების (PM_{2.5} და PM₁₀), ოზონის (O₃), აზოტის დიოქსიდის (NO₂), გოგირდის დიოქსიდის (SO₂) და ნახშირბადის მონოოქსიდის (CO) ემისიების გაზომვას. AQI-ს მაღალი მაჩვენებლები გულისხმობს ჰაერის დაბინძურების მეტ დონეს. 200-ზე მეტი AQI ჯანმრთელობისთვის საშიშად ითვლება.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP)UN- Habitat და IQAir, შვეიცარიის ჰაერის ხარისხის ტექნოლოგიურ კომპანიასთან გაერთიანდნენ ჰაერის ხარისხის ყველაზე დიდი მონაცემთა ბაზის შესაქმნელად. ჰაერის ხარისხის ინტერაქტიული პლატფორმა ამოქმედდა მსოფლიო ურბანული ფორუმის მეათე სესიაზე აბუ-დაბიში, 2020 წლის თებერვალში. ეს პლატფორმა საშუალებას აძლევს ინდივიდებს, შეაგროვონ მონაცემები. მიდგომა ორმაგი სარგებლითაა: ინდივიდუალური გაზომვების უფრო დიდი რაოდენობა და საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა ჰაერის ხარისხის შესახებ. მილიონობით მომხმარებლის მიერ პლატფორმაზე წვდომის შედეგად შეიძლება ჰაერის ხარისხის გაზომვები ადგილობრივი დაბინძურების დონის დასადგენად და პერსონალური სამედიცინო რეკომენდაციის მისაღებად პლატფორმის ან მობილური აპლიკაციის საშუალებით. პლატფორმა ამჟამად იღებს მონაცემებს 4000-ზე მეტი პროვაიდერისგან (მთავრობების ჩათვლით) და მას ჰყავს 15 მლნ-ზე მეტი მომხმარებელი [11].

IQAir-ის მიერ 2019 წლის მსოფლიო ჰაერის ხარისხის ანგარიშის თანახმად, შეერთებულმა შტატებმა შეძლო ჰაერის დაბინძურების შემცირება. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ამ ქვეყანაში ჰაერის ხარისხის კონტროლში ინვესტირებულ 1 დოლარს 30 დოლარის მოგება მოაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია ჰაერის ხარისხის ზრდა, რაც საგანგებო მდგომარეობის შემოღებით აიხსნება.

ჰაერის დაბინძურების მიხედვით მსოფლიოს ტოპათეულ ქვეყნებს შორის მოქცეულია შემდეგი ქვეყნები: ჩინეთი, აშშ, ინდოეთი, რუსეთი, იაპონია, გერმანია, ირანი, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა და კანადა.

ჩინეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა ნახშირორჟანგის ემისიით. ქვეყანა წელიწადში 10375 მლნ ტ CO₂-ს გამოყოფს, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში. პეკინი არის მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ქალაქი, სადაც ფაქტობრივად რამდენიმე კვირის განმავლობაში მოსახლეობა smog-ის გამო მზეს ვერ ხედავს. ბევრი მოქალაქე გარეთ გასვლისას იკეთებს დამცავ ნიღაბს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობისთვის დეპრესიის თავიდან ასაცილებლად დააყენა გიგანტური ეკრანები, რომლებზეც ჩანს მზის ჩასვლა და ამოსვლა. ჩინეთში ჰაერის დაბინძურება ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიკვდილს იწვევს.

აშშ მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა მაღალი წარმოებით, ნავთობის მარაგებით და გიგანტური მეტროპოლიტენით. ამ ქვეყანაში ქუჩებსა და ცაზე

მოდრაობის ინტენსივობა იმდენად მაღალია, რომ ჰაერის დაბინძურება უფრო და უფრო მწვავე პრობლემა ხდება. ამერიკის ქალაქების მთელი ინფრასტრუქტურა აიძულებს ხალხს, იმგზავრონ მანქანებით. ქვეყანაში ყოველწლიურად 5,414 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა. შეერთებულ შტატებში ჰაერით დაბინძურებული ქალაქები ძირითადად კონცენტრირებულია კალიფორნიაში (ლოს-ანჯელესი ყველაზე დაბინძურებული) და პენსილვანიაში (ნახშირის მადარობის გამო). აშშ-ში 134 მლნ ადამიანი – მოსახლეობის 40% რისკ-ჯგუფშია ჰაერის დაბინძურების გამო.

ინდოეთი დედამიწაზე სიდიდით მეორე ქვეყანაა მოსახლეობის რაოდენობით და პლანეტის ყველაზე დიდი სწრაფად მზარდი ეკონომიკით. ქვეყანა ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ჩინეთისა და იაპონიის ეკონომიკას. ქვეყნის მასშტაბით წელიწადში დაახლოებით 2,274 მლნ ტონა CO₂ გამოიყოფა. ყოველწლიურად 1,1 მლნ ადამიანი იღუპება ნაადრევად ჰაერის დაბინძურების გამო. დელი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია მსოფლიოში პეკინის შემდეგ. მსოფლიოს 30 ყველაზე მეტად დაბინძურებულ ქალაქებს შორის 21 ქალაქი არის ინდოეთში.

რუსეთი მსოფლიოს უდიდესი ქვეყანაა მაღალი წარმოებით და მოსახლეობის დაბალი სიმკვრივით. ტყეების მაღალი დონით ჭრა, დიდი და მძიმე ინდუსტრია დიდ პრობლემას უქმნის ამ უკიდურეს ქვეყანას. ჰაერის დაბინძურება მოსკოვში, პეტერბურგში, ვოლგოგრადში და სხვა მეტად დასახლებულ ინდუსტრიულ ქალაქებში მოსახლეობის ჯანმრთელობას უამრავ პრობლემას უქმნის. ბავშვთა დაავადებების თითქმის 17% და მოზრდილთა დაავადებების 10% ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება. რუსეთში ყოველწლიურად 1,617 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა.

იაპონია ძალიან მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, რაც განაპირობებს მისი დაბინძურების მაღალ დონეს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ცდილობს გახდეს სუფთა ენერგეტიკული თავშესაფარი, მაინც დიდ დამაბინძურებლად მიიჩნევა. ამ კუნძულოვანი ქვეყნის პრობლემა მარტო ჰაერის დაბინძურება არ არის. ნარჩენების მართვა, გლობალური დათბობა და ელექტრონული ნარჩენები ქვეყნის უდიდესი პრობლემაა. ქვეყანა ლიდერია ელექტრონიკის განვითარებაში და ამგვარი ნარჩენები უზარმაზარია. ქვეყანაში წელიწადში დაახლოებით 1,237 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა.

გერმანია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და, ბუნებრივად, ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაბინძურებული. ქვეყანაში დაახლოებით 798 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა. გერმანია ერთ-ერთი ყველაზე მეტად მობილიზებული ქვეყანაა მსოფლიოში ავტომაგისტრალების უზარმაზარი ქსელით. მეორე მხრივ, ფრანკფურტის აეროპორტი უდიდესია მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, გერმანიაში სატრანსპორტო სექტორი სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მეტად უწყობს ხელს დაბინძურებას.

ირანის დაბინძურების პრობლემა ძალიან ჰგავს საუდის არაბეთის პრობლემას, მხოლოდ ერთი საფეხურით უსწრებს. მტვრის ქარიშხალი, მშრალი ამინდი და ქალაქის დაბინძურება შერწყმულია ქარხნების მუშაობასა და სამრეწველო ჩამდინარე წყლებთან. ქვეყანაში ყოველწლიურად გამოიყოფა 648 მლნ ტ CO₂. პრობლემა ურბანულ ქალაქებში იმდენად დიდია, რომ მთავრობამ წელიწადში რამდენჯერმე დახურა სკოლები ჰაერის დაბინძურების გამო.

საუდის არაბეთი არის OPEC-ის ნავთობის უდიდესი ექსპორტიორი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოზე. ქვეყანაში ურბანიზაცია იწვევს ჰაერის დაბინძურების მაღალ დონეს და ნავთობის მოპოვების ნარჩენებთან ერთად ქვეყანას დაბინძურების მიხედვით მე-8 პოზიციაზე აყენებს. ქვეყანაში ყოველწლიურად 601 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა.

სამხრეთ კორეა, მიუხედავად იმისა, რომ მცირემიწიანი ქვეყანაა, უდიდესი ეკონომიკის მქონეა, რაც ქმნის უზარმაზარი დაბინძურების პრობლემას. სულაც არ არის გასაკვირი, რომ აზიის ეს პატარა ქვეყანა ტოპათეულშია. აქ წელიწადში 592 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ქვეყნის მთავრობა აცხადებდა, რომ პრობლემა მათთან არის და არა ჩინეთში. ქვეყანაში 53 ნახშირზე მომუშავე ქარხანაა და 20-მდე ქარხნის აშენება იგეგმება უახლოეს წლებში. სეული მსოფლიოში მესამე ყველაზე დაბინძურებული ქალაქია.

კანადაში ყოველწლიურად 557 მლნ ტ CO₂ გამოიყოფა. დაბინძურებული ჰაერის გარდა ადგილობრივ მოსახლეობას ძალიან აწუხებს დაბინძურებული წყალი და ნიადაგი. ეს გარემოსდაცვითი პრობლემები ქვეყანაში სერიოზულ რისკებს ქმნის ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ბოლო 25 წლის განმავლობაში ქვეყანაში შეინიშნება ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, მიუხედავად ამისა, ის ათეულის წევრად მიჩნეული.

ჰაერის დაბინძურების მიხედვით ქვეყნებს შორის ლიდერი აზიაა.

მსოფლიო მასშტაბით დაბინძურებულ ქვეყნებს შორის არის ქვეყნები, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოთხოვნებს ჰაერის ხარისხთან მიმართებაში, ქვეყნები, რომლებიც მაღალი დონით ინარჩუნებენ ჰაერის ხარისხს და აქვთ დაბალი დაბინძურების დონე. ამ ქვეყნების პირველი ათეული ასე გამოიყურება: ისლანდია, ფინეთი, ბრუნეი, ესტონეთი, დანია, ახალი ზელანდია, შვედეთი, ირლანდია, ლუქსემბურგი, კანადა. როგორც ვხედავთ, სუფთა ქვეყნების მიხედვით ლიდერი ევროპაა.

მსოფლიოს სუფთა ქალაქების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ველინგტონი, დუბლინი, სანტანა, გუანახუატო, პენტა არენასი, კალამბა, ჰელსინკი, ტალინი და ლისაბონი.

ჰაერის დაბინძურება დღის წესრიგში აყენებს სამყაროს მომავალს. სამყაროს გადარჩენის შანსი მაშინ იქნება, თუ ერთად იმოქმედებს საზოგადოება, სახელმწიფო, ერი, რიგითი ადამიანი. გარემოსთან დაკავშირებული თითოეული მოქმედება უმნიშვნელოვანესია. თითოეული გამოყენებული პროდუქტი წარმოადგენს ქვაკუთხედს, მსოფლიო გახდეს უკეთესი, სუფთა, მწვანე. მაგრამ თუ არ არსებობს კანონმდებლობა სახელმწიფო დონეზე, არანაირი რეალური პროგრესი არ იქნება.

ჩვენს ეკონომიკურ სისტემაში დღეს მოქმედი ქარხნები და ობიექტები, რომლებიც სრული მოცულობით მუშაობენ, სასიკვდილო განაჩენია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის. პრობლემის მოგვარება არც ისე ადვილია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც მშპ-ში წარმოების მაღალი წილი აქვთ. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ უფასო საშვი გარემოს გასანადგურებლად.

გლობალურ სამყაროში ადამიანის – ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრის – სიცოცხლე და კეთილდღეობა უპირველესი ამოცანაა. დამაბინძურებელი, მომწამვლელი ნივთიერებებისაგან თავის დაცვა ერთნაირად სჭირდება მსოფლიოს ყველა მოქალაქეს.

ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონახობა და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომლებიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი, რასაც ითვალისწინებს მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკის კონცეფცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://ekolog.ru>

2. oilprice.com
3. ourworldindata.org
4. aqicn.org
5. waqi.info
6. www.who.int
7. www.cnn.com
8. www.nationalgeographic.com
9. Timesofindia.indiatimes.com
10. Finance.yahoo.com
11. www.unenvironment.org
12. www.globalcitizen.org
13. www.weforum.org
14. http://www.insidermonkey.com

Lia Dvalishvili

AIR POLLUTION ANALYSIS ON THE EXAMPLE OF WORLD COUNTRIES

Summary

Air pollution is one of the most acute environmental problems in the world. In the early cases of mortality, polluted air ranks fourth.

Air pollution develops in two contexts: indoor (domestic) air pollution and outdoor air pollution.

In the modern world, fossil fuel combustion contributes the most to air pollution. The movement is also the main culprit, but factories and power plants continue to contribute to this to some extent. These are responsible for improving air quality.

Atmospheric air quality standard legislation and format vary by countries.

The best standard for measuring the level of pollutants in the air is the Air Quality Index - AQI.

China, USA, India, Russia, Japan, Germany, Iran, Saudi Arabia, South Korea and Canada are among the top ten countries in the world in terms of air pollution.

Air pollution puts the future of the universe on the agenda. The chance to save the world will be if the society, the state, the nation, the common people act together. Every action related to the environment is paramount. Each product used represents a cornerstone of the world becoming better, cleaner, greener. But if there is no legislation at the state level there will be no real progress.

თამარ ვანიშვილი

მართვის ინოვაციური მოდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები პანდემიის პირობებში

***ანოტაცია.** სტატიაში განხილულია პანდემიის გამო გამოჩვეული ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუ რა ზემოქმედება მოახდინა ამ ცვლილებებმა მართვის მოდელზე და როგორ უნდა მოხდეს მართვის ინოვაციური, სრულიად ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც მისაღები იქნება, როგორც ხელმძღვანელობისთვის, ასევე დასაქმებულებისთვის, როგორ უნდა მოვარგოთ სრულიად ახალი მოდელი ორგანიზაციას ისე, რომ არ გამოიწვიოს ორგანიზაციის პარალიზება, არ დააზარალოს ის და თან გაამართლოს.*

საკვანძო სიტყვები: პანდემია, დისტანციური მართვა, ვირტუალური და ფიზიკური შეხვედრების გრაფიკი, კომუნიკაცია, ჰიბრიდული მოდელი, სინთეზური მოდელი, მართვის ინოვაციური მოდელი - „მიქსი“.

შესავალი

სამყარო მუდმივ ცვლილებებს გვთავაზობს, სადაც არაფერია გარკვეული და დაგეგმვადი. ჩვენ ვცხოვრობთ მოულოდნელი და სწრაფი ცვლილებების ეპოქაში, სადაც არაა მზა კანონი, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ გამოწვევებს. კოვიდ-პანდემიამ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ორგანიზაციები ამ ცვლილებებს, ცივილიზაციისკენ სავალ გზებს უკავშირებენ, ეს თანამედროვე მსოფლიოში აუცილებლობით გამოწვეული სვლაა, რასაც სრულიად ახალი გამოწვევები დაემატა, სამყარომ ეს ცვლილება თვითნებურად, თავისთავად შემოგვთავაზა, მან, ეკონომიკის უამრავი დარგის გაჩერება თუ არა, პარალიზება გამოიწვია. ჩვენი ვალდებულებაა გავუმკლავდეთ ამ ცვლილებებს, შევიმუშაოთ, მართვის ინოვაციური, სრულიად ახალი მოდელი, რომელიც არსებულ სიტუაციას მიუდგება და გაამართლებს კიდევ.

დღეს, ორგანიზაციებს, მმართველ გუნდს, თანამშრომლებს, საკმაოდ საინტერესო გამოწვევებზე დაფიქრება უწევთ, ისინი ხშირ შემთხვევაში, სტრესის ქვეშ იმყოფებიან, რადგან მოდელი, რომლითაც ისინი მოქმედებდნენ სულ რაღაც ერთი წლის წინ, დღეს ის არსებულ სიტუაციასთან არათავსებადი აღმოჩნდა. ისინი, არსებულ სიტუაციას, არა მარტო უნდა გაუმკლავდნენ, არამედ, მათ არ უნდა შეაჩერონ სვლა, განიხილონ ყველა შესაძლო ვარიანტი და შეარჩიონ საუკეთესო, რომელიც მისაღები და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება ორგანიზაციისთვის. ეს არც თუ ისე მარტივია.

დისტანციურად მუშაობა, ონლაინ შეხვედრები, ტრენინგები - დღევანდელი სამუშაო რეჟიმის ყველაზე გავრცელებული ფორმებია, რომლებიც უკვე დაინერგა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისი გარკვეულწილად აისახება ქვეყანის ეკონომიკის სტაბილურობაზე. პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა, საყოველთაო კარანტინმა, იზოლაციამ, ხშირ შემთხვევაში სამუშაო ადგილების დაკარგვამ, დაამძიმა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. ორგანიზაციებს უწევთ შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები, რათა არ მოხდეს კადრების შემცირება, თუმცა, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში ამის გაკეთება რთულია.

დღევანდელ რთულ პირობებში, შეინარჩუნო დისტანციურად მომუშავე ადამიანების გუნდურობა, ენთუზიაზმი, გაუღვიძო მათ მოტივაცია ყოველდღიურად, იმაზე მეტ ძალისხმევას მოითხოვს ვიდრე, იმ მოდელით საქმიანობა, რომელიც თუნდაც ერთი წლის წინ მუშაობდა და ამართლებდა კიდევ, რადგან ცნობილია, რომ ადამიანები რთული და ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან, რაც ამცირებს მარტივი და ზუსტი განზოგადების შესაძლებლობას. ორი ადამიანი ერთსა და იმავე სიტუაციაში ხშირად ძალიან განსხვავებულად იქცევა, ერთი ადამიანის ქცევაც კი იცვლება სიტუაციის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ორი ადამიანი, რომელიც ერთნაირად აღიქვამდეს ერთსა და იმავე მოვლენას, სწორედ აღქმა განსაზღვრავს, ექნება თუ არა მოთხოვნილება ადამიანს და როგორი იქნება მისი მოლოდინი მოცემულ სიტუაციაში [1].

ამიტომ, ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის და წარმატებულად ფუნქციონირებისათვის, თუნდაც ამ ფაქტის დარეგულირება დღეს, საკმაოდ მნიშვნელოვანია.

უდავოა, რომ ყველანაირ მოდელს აქვს თავისი თანმდევი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. განვიხილოთ ეს არსებული რეალობის და მოცემულობის მიხედვით.

Insource (წამყვანი საკონსულტაციო და რეკრუტინგული კომპანია) გამოქვეყნებული სტატიიდან: „Covid-19-ის შესაძლო გავლენა ადამიანური რესურსების მართვაზე” ცნობილი ხდება, რომ თითქოს იდეალური მოდელი არ არსებობს, მაგრამ „**Harvard business review**” - მ (**HBR** ზოგადი მენეჯმენტის ჟურნალი, რომელიც გამოცემულია ჰარვარდის ბიზნესის გამომცემლობის, ჰარვარდის უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიის მიერ. წყარო Wikipedia) საინტერესო მოდელი შესთავაზა ლიდერებს. კერძოდ, ლიდერებმა უნდა შეიმუშაონ ვირტუალური შეხვედრებისა და ფიზიკური შეხვედრების გრაფიკი, რომლის მიხედვითაც, სამუშაო კვირის დასაწყისში, ლიდერი და გუნდის წევრები ამოცანებსა და შედეგებზე შეთანხმდებიან ვირტუალურ სივრცეში, მაგრამ კვირაში ერთხელ, შეხვედრიან ოფისში. როგორც ბიზნეს გამომცემა გვიჩვენებს, ასეთი სტილით კომუნიკაცია ლიდერებს შესაძლებლობას მისცემს, გუნდის წევრებმა კვლავ გაიზიარონ ერთი ხედვა, შეინარჩუნონ კომპანიის ძირითადი ღირებულებები და რაც მთავარია, შეინარჩუნონ გუნდურობა [2].

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ორგანიზაციებისთვის, ეს სრულიად მისაღები მოდელია და ბევრ კომპანიას ექნება მისი ათვისების სურვილი, რადგან ის გაუადვილებს კომუნიკაციას მმართველ გუნდს, არ იქნება მხოლოდ ვირტუალური, მათ ექნებათ საშუალება ფიზიკური შეხვედრების საფუძველზე შეიმუშაონ და მიიღონ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მათი გუნდისთვის მისაღებია, ასევე განიხილონ ის საკითხები თუ პრობლემები, რომლებიც ვირტუალური ურთიერთობის დროს დააფიქსირეს.

კომუნიკაცია ფიზიკურ დონეზე აუცილებელია, ის აღიქმება, როგორც ინფორმაციის გადაცემის და მიღების პროცესი, კომუნიკაციის პროცესი რეალური შეხვედრების აუცილებლობით ხასიათდება იმიტომ, რომ ადამიანის მიერ, ამა თუ იმ მოვლენის, საკითხის აღქმა რეალურად, სინამდვილეში ფიზიკური ურთიერთობის დროს ხდება სხვაგვარად, ხოლო, ვირტუალურ სივრცეში სხვაგვარად. ცნობილია, რომ განცდა-აღელვების მომენტი ვირტუალური გასაუბრების დროს უფრო ნაკლებია, ვიდრე რეალური გასაუბრების დროს, რადგან ვირტუალურად სიტუაციის აღქმა, რომელიც ადამიანში აღელვებას, ნერვიულობას იწვევს - ნაკლებია. თუმცა, ნებისმიერი საკითხი თუ პრობლემა რეალურად, ემოციების გაცვლის პროცესში, შეიძლება გადაიჭრეს უფრო მარტივად და ეფექტურად, ვიდრე ვირტუალურად. ცნობილია, რომ ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები, ქცევა და ენერჯია, ისინი ცოცხალი ინდივიდები არიან, ხოლო მათი ენერჯია გადადის ფიზიკურად რეალურ, ცოცხალ სიტუაციაში. სიცხადე, რომელიც ამა თუ იმ საკითხს ახლავს, შესაძლებელია უფრო ნათლად, ეფექტურად და დამაჯერებლად გაჟღერდეს ფიზიკური შეხვედრების დროს, ვიდრე ვირტუალურ სივრცეში. მაგალითად, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ონლაინ სწავლება მისაღებია, რადგან ის საჭირო ინფორმაციას მისთვის კომფორტულ გარემოში ისმენს და სწავლობს, მეორე ნაწილი ამას განიხილავს, როგორც არაეფექტური სწავლების მოდელს, რადგან აუდიტორული მეცადინეობის დროს, ფიზიკური ურთიერთობის მოდელი ლექტორსა და მსმენელებს შორის, მათთვის სწავლისა და

სწავლების უფრო ეფექტური საშუალებაა, ის იძლევა სხვადასხვა საკითხებზე უფრო მეტი კონცენტრაციის და ნათლად აღქმის საშუალებას და ა.შ.

ასევე საინტერესოა **Insource**-ის მიერ გამოქვეყნებული სტატია: „**პროდუქტიულობა Covid-19-ის პანდემიის პირობებში**“, სადაც „**Future of Job Report**“-ის მიხედვით დამსაქმებლების უმრავლესობა არ არის დარწმუნებული, რომ სახლიდან მუშაობა ან ჰიბრიდული (ხან სახლიდან, ხან ოფისიდან) მოდელი გრძელვადიან პერსპექტივაში გაამართლებს. როგორ შევძლებთ სახლიდან მუშაობასთან სრულ ადაპტაციას, ეს ისევ კვლევისა და დაკვირვების ობიექტია. არსებული მონაცემების მიხედვით, სახლიდან პროფესიული საქმიანობის წარმართვა და საოჯახო საქმეების გაძღოლა, ჯერჯერობით ადამიანების გაზრდილ სტრესთან ასოცირდება. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ადამიანების გარკვეულ რაოდენობას სახლიდან მუშაობა და პარალელურად ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია, უფრო მეტად ეხმარება იყოს პროდუქტიული, მოტივირებული და ფიზიკურად ჯანმრთელიც კი [3].

აქედან გამომდინარე, კომპანიებს, ორგანიზაციებს, მოუწევთ შეიმუშაონ და დანერგონ ახალი მოდელი - „მიქსი“, რომელიც გარკვეულწილად დისტანციურ მმართველობას გულისხმობს, სადაც გათვალისწინებული იქნება დისტანციური ურთიერთობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და წინა წლების გამოცდილება.

თანამედროვეობამ კიდევ ერთხელ დაგვაყენა ახალი, გარდაუვალი ცვლილებების წინაშე, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად ხდება, ჩვენ უნდა მივიღოთ ის ისეთი, როგორსაც სამყარო გვთავაზობს, სამყარო, რომელიც ცვალებადია და ჩვენგანაც კონკრეტულ ცვლილებებს მოითხოვს, საჭიროა ვიპოვოთ მოდელი, რომელიც დაგვეხმარება მასთან ადაპტაციაში. ცვლილებების დანერგვა ყოველთვის სიმწელებებთან ასოცირდება, თუმცა მათი გადალახვა შესაძლებელია.

ორგანიზაციაში ცვლილებების წამოწყება ბევრი ადამიანისთვის გაიგივებულია საფრთხესთან, რადგან ეს გულისხმობს არსებულის შეცვლას. ცვლილებასთან დაკავშირებული შიში გასაგებია, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელ დინამიკურ სამყაროში ძალიან სწრაფად იცვლება გარემოებები, შესაბამისად ცვლილებებიც გარდაუვალია. მმართველ გუნდს ეკისრება ეს ფუნქციაც - განახორციელოს ცვლილება ორგანიზაციაში და გაუმკლავდეს წინააღმდეგობას ცვლილებების მიმართ [4]. ცვლილებები გარდაუვალია და აუცილებელიც, მთავარია ის რეალური და მიზანმიმართული იყოს. მიზნობრივი ცვლილება, რომელიც არსებულ რეალობასთან თანხვედრაშია - მომავალი წარმატების საწინდარია.

დასკვნა

არსებული მოსაზრებები, შეხედულებები, რომლებიც პანდემიის გამო გამოწვეულ ცვლილებებზე დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა, საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ მართვის ახლებური მოდელის რეალობაში გამოყენების როგორც სირთულე, ასევე სიცხადე. ამ მოდელის შემუშავება, მიღება, დანერგვა წარმოადგენს ადეკვატურ გზას, რათა არ მოხდეს ორგანიზაციების ფუნქციონირების შეწყვეტა და ასევე ეკონომიკური ეფექტურობის დადამავალი სვლა.

მართვის ახლებური მოდელის, როგორც ინოვაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა, შესაძლებლობას მოგვცემს, შევიმუშაოთ ჩვენთვის მისაღები მოდელი, რომლის პრაქტიკული გამოყენებაც არ წარმოადგენს სირთულეს და მარტივად ადაპტირდება გარემოში.

რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი, რომ:

✓ მმართველმა გუნდმა შეარჩიოს არსებულ სიტუაციაში ესა თუ ის მოდელი, გაანალიზოს რომელი ბერკეტები უნდა გამოიყენოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის, რათა არ მოხდეს ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლის დასრულება, შენარჩუნდეს სტაბილურობის, სიმწიფის და ეფექტური ფუნქციონირების ფაზა.

მათი გუნდის უმთავრესი გადასაწყვეტი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ:

✓ გაანალიზონ, თუ რომელ გარემოებას შეუძლია მოახდინოს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა ორგანიზაციაში.

წარსული გამოცდილება ხომ იმისთვის გვეძლევა, რომ გავითვალისწინოთ და შევიძუშაოთ სამომავლოდ უფრო ეფექტური, მოქნილი და მისაღები მოდელი. ყველაზე დიდი გამართლება და გამარჯვება ხომ არსებულ სიტუაციაში ეფექტური ადაპტაციის უნარით მიიღწევა, რადგან გადარჩება და სიცოცხლეს გააგრძელებს ის, ვინც არსებული გამოწვევების ეფექტურად გამკლავების პარალელურად - არ გაჩერდება.

ასეთი ტიპის მოდელის, „მიქსის“ შემუშავებაზე ზრუნვა გარკვეულ დროს მოითხოვს, რომელიც ასე ვთქვათ, ორგანიზაციის „გადარჩენაზე“ ზრუნვას უფრო ჰგავს, ვიდრე მისი ეფექტურობის ამაღლებისკენ სწრაფვას, თუმცა ამ ეტაპზე, ორგანიზაციის პარალიზებას ან გაჩერებას, ახალი, სინთეზური მოდელის შემუშავებისკენ სვლა უფრო სჯობს.

აქედან გამომდინარე, მართვის ინოვაციური მოდელი, რომელიც დისტანციური მუშაობის რეჟიმს, ჰიბრიდულ მოდელს, თუ წარსული გამოცდილებისა და აწმყოს „მიქსს“ გვთავაზობს, გარკვეულწილად დისტანციურ მმართველობას გულისხმობს, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ის ჯერ გარემოსთან უნდა ადაპტირდეს, შემდეგ კი მოხდეს მისი დანერგვა.

ერთი რამ ფაქტია, ახალი მიქსირებული, სინთეზური მოდელის შემუშავებით მივიღებთ, აბსოლუტურად განსხვავებულ, მართვის სახეშეცვლილ მოდელს, რომელიც წინა წლებში აპრობირებულ მოდელს არ გავს, თუმცა მორგებულია დღევანდელობას. ჩვენ კი მოგვიწევს ავუწყოთ ნაბიჯები ახალ, არსებულ რეალობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვანიშვილი თ. ადამიანური კაპიტალის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის თავისებურებები. სოციალური ეკონომიკა, იანვარი-თებერვალი, თბ., 2014. გვ. 57.
2. <http://insource.ge/ge/node/492>.
3. <http://insource.ge/ge/node/536>.
4. ვანიშვილი თ. ორგანიზაციაში ინოვაციური პროცესების დანერგვა და სტრატეგიული მენეჯმენტი მართვის სრულყოფისათვის. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. თბ., 2014. გვ. 516.
5. ვანიშვილი თ. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები (მონოგრაფია). საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2017.

Tamar Vanishvili

THE POSITIVE AND NEGATIVE SIDES OF INNOVATION MODEL OF MANAGEMENT UNDER PANDEMIC CONDITIONS

Summary

In the work the positive and negative sides of an innovation model of management under pandemic conditions are considered.

ეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში და
"ოვერტონის ფანჯარა"

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია ეკონომიკური სტაბილიზაციის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და სოციალური უთანასწორობის საკითხები, გლობალიზაციის პირობებში. გაანალიზებულია მდგრადი და მწვანე ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა მიღვეადი ბუნებრივი რესურსების შესანარჩუნებლად, აგრეთვე ნარჩენების მართვის პრობლემები. გაშუქებულია "შესაძლებლობების ფანჯარა", "ოვერტონის ფანჯარა" (ოვერტონის ფანჯარა) ტექნოლოგია პანდემიით გამოწვეული ახალი პარადიგმა და პოსტკომუნისტური საქართველოს დემოგრაფიული და ეკონომიკური პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: "მწვანე ეკონომიკა", სოციალური უთანასწორობა, "ოვერტონის ფანჯარა", გენმოდულიციური პროდუქტები, პანდემია.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის საუკუნეში, გლობალიზაცია წარმოსდგება სიტყვისაგან „globe“ (დედამიწა) და მაშასადამე წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში. გლობალიზაციას საერთო პლანეტარული ხასიათი აქვს, იგი ნიშნავს "ახალ მსოფლიო წესრიგს". მასში ჩართულია თითქმის მთელი მსოფლიო. გლობალიზაცია შლის საზღვრებს, აძლიერებს კონკურენციას შიდა ბაზრებზე, რაც იწვევს ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობების შემცირებას და მსოფლიო მეურნეობის კონიუნქტურაზე ეროვნული ეკონომიკების დამოკიდებულების ზრდას.

სტაბილიზაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რისამე მყარი მდგომარეობის (ლათ. "stabilis" - "მდგრადი მუდმივი") შექმნა განმტკიცებას, რაიმე სიდიდეთა ან პროცესთან მუდმივობის თანაფარდობას. სტაბილურ ეკონომიკაში ცხოვრება ყველა ადამიანის სურვილი და ოცნებაა, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს წარმატების შესაძლებლობას და საზოგადოებას იცავს არასასურველი მოულოდნელობებისაგან. ბევრ ისეთ ქვეყანაშიც კი, სადაც დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა დიდი ხანია არსებობს, მუდმივი ეკონომიკური სტაბილურობა მიუწვდომელ მიზნად რჩება. ამ ქვეყნებს პერიოდულად არყევს ეკონომიკური დესტაბილიზაცია. პ. სამუელსონისა და უ. ნორდჰაუსის ნაშრომში "ეკონომიკისი" გამოყოფილია სახელმწიფოს 3 გლობალური ეკონომიკური ფუნქცია, რომლებიც ეხება ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანობას, სამართლიანობასა და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

1. **ეფექტიანობა:** საბაზრო კონიუნქტურის განსაზღვრისას დაშვებულ შეცდომათა გამო, ხშირად უჭირს თანამედროვე ეკონომიკას და აქედან გამომდინარე ადგილი აქვს წარმოების დაბალეფექტიანობას. მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოწოდებულია შექმნას ოპტიმალური პირობები წარმოების მაღალეფექტიანი განვითარებისათვის, კერძოდ ანტიმონოპოლიურ ღონისძიებათა განხორციელება, კონკურენციის აქტივიზაცია, რეგრესული განაწილების კორექტირება, ინფრასტრუქტურის რაციონალური ფუნქციონირება, საბაზრო მექანიზმის სრულ-

ყოფა და ა.შ.;

2. სამართლიანობა: თუ დავუშვებთ რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს 100%-იანი ეფექტიანობით, ეს ყოველთვის არ ნიშნავს რომ ამათუ იმ ქვეყანაში, საქონელთა მოხმარებაში განსხვავება არაა. რეალური ბაზარი ცნობს შემოსავლის განაწილების მხოლოდ ერთ კრიტერიუმს ესაა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე კონკურენციაში მონაწილეობის შედეგი. აქედან გამომდინარე, სამართლიანად მიიჩნევა როგორც მაღალი შემოსავლები იმათთვის ვინც თავი გამოიჩინა "თამაშის წესების" დაცვით ეკონომიკურ მეტოქეობაში, ისე დაბალი შემოსავალი იმათთვის ვინც მარცხი განიცადა ამ მეტოქეობაში. სახელმწიფოს მოვალეობაა რეაგირება იმ ფაქტზე რომ ბაზრის კანონების მიხედვით შემოსავლის სამართლიანი განაწილება ზოგად საკაცობრიო თვალსაზრისით ხშირად უსამართლო განაწილებად წარმოგვიდგება. სახელმწიფო ვალდებულია ეს "უთანასწორობა" ბაზრის ძირითადი ტენდენციების შეზღუდვით კი არ აღმოფხვრას არამედ უნდა გამოათანაბროს, კარგად დასაბუთებული საგადასახადო სისტემის საფუძველზე, შემოსავლების გადანაწილების გზით.

3. სტაბილურობა: სახელმწიფომ უნდა დაიცვას ეკონომიკური სტაბილურობა, რაშიც იგულისხმება სახელმწიფოს მხრივ სისტემატური ზრუნვა ქვეყანაში მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისა და ვალუტის მტკიცე კურსის შესანარჩუნებლად, რისთვისაც აუცილებელია ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელება. ამ პროცესში სახელმწიფო გვევლინება არბიტრის, მენეჯერისა და მონაწილის როლში. სახელმწიფო არბიტრის როლს ასრულებს 4 ძირითად სფეროში როგორცაა: კერძო საკუთრების უფლების განსაზღვრა და შესრულება; საბაზრო კონკურენციის უზრუნველყოფა; გარე დანახარჯებისა და სარგებლიანობის საკითხების მოგვარება და მომხმარებელთა დაცვა. მენეჯერის როლს ასრულებს ორ სფეროში: ეკონომიკის სტაბილიზება და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მონაწილის როლს კი – საზოგადოებრივი სარგებლიანობის საქონლისა და მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის.

ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირება სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, იმისათვის რომ შეარბილოს ეკონომიკური ციკლის რყევები, შეინარჩუნოს სამეურნეო საქმიანობის მაღალი აქტიურობა, ეკონომიკური სტაბილურობა. სახელმწიფო იყენებს გადასახადებს, კრედიტის სარგებლის განაკვეთებს და მიმოქცევაში არსებულ ფულის მასას. ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტებია საგადასახადო საბიუჯეტო "ფისკალური" და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკის მიზანია სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები შეცვალოს ისეთნაირად რომ შეინარჩუნოს ეკონომიკური ზრდის სათანადო ტემპები. მონეტარული პოლიტიკის ამოცანაა კონტროლი გაუწიოს ფულის მასის მოძრაობას და სარგებლის განაკვეთის რეგულირებით ხელი შეუწყოს შესაბამისობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. ამრიგად ეკონომიკის სტაბილიზება გულისხმობს მთავრობის მიერ ეკონომიკის უკრიზისო განვითარების ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სრული დასაქმებისა და ინფლაციის დაბალი ტემპის შენარჩუნებას. ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია სახელმწიფო სექტორი.

ამრიგად უკვე თითქმის აღარავინ დაობს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს გარკვეული დოზით ჩარევის აუცილებლობაზე. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოძღვრებამ, რომ საბაზრო ეკონომიკა

თვითრეგულირებადი სისტემაა რომელიც საბაზრო მექანიზმის (ა. სმიტისეული) "უჩინარი ხელით" იმართება და მასში სახელმწიფოს ჩარევას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, ტრანსფორმაცია განიცადა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების მიზანი იყო შეექმნა იმდენად სრულყოფილი უნივერსალური მეცნიერული სისტემა რომელიც ყველა ეპოქისა და ქვეყნისათვის იქნებოდა მისაღები, რაც გარკვეულწილად განხორციელდა. შეიძლება ითქვას რომ თანამედროვე ეკონომიკური თეორია ჯერ კიდევ მათი იდეებით სულდგმულობს. ა. სმიტმა და დ. რიკარდომ არამარტო ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე მოახდინეს უდიდესი გავლენა, არამედ სახელმწიფოთა ეკონომიკურ პოლიტიკაში პოვეს ასახვა. ეს პირველ რიგში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეას შეეხო რამაც ეკონომიკა და სოციალური ურთიერთობები თვითდინებაზე მიუშვა. მე-19 საუკუნეში ამ გარემოებამ მოსახლეობის ქონებრივი უთანასწორობა კიდევ უფრო გააღრმავა და გაამწვავა წინააღმდეგობები მეწარმეებსა და დაქირავებულ მუშებს შორის, ამ ფონზე კი დამკვიდრდა "ველური კაპიტალიზმი" რამაც თავისუფალი მეწარმეობის არსებობას შეუქმნა საფრთხე. მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დამანგრეველმა ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა კლასიკოსების დასაბუთება ავტომატური თვითრეგულირებისა და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ. ეკონომიკური კრიზისი ძალიან ღრმა და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამ ურთულეს პირობებში საბაზრო ეკონომიკას და შეიძლება ითქვას მთლიანად მსოფლიოს მხსნელად მოველინა უდიდესი ინგლისელი ეკონომისტი ჯ. კეინზი, რომელიც კატეგორიულად დაუპირისპირდა კლასიკოსთა და ნეოკლასიკოსთა შეხედულებებს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ და დაასაბუთა, რომ საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეკონომიკური კრიზისიდან დამოუკიდებლად თავის დაღწევის უნარი არ გააჩნია. ჯ. კეინზის აზრით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მონოპოლიები მთლიანად გაბატონდნენ ეკონომიკაში, რამაც არსებითად შეზღუდა თავისუფალი კონკურენცია. ამ ფაქტორმა ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი იმდენად მოშალა რომ კრიზისიდან თავის დაღწევა მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევითაა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკის სრული კრაზი გარდაუვალია. ამრიგად, ჯ. კეინზმა საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორიას რომელიც ფართოდ გამოიყენება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში და ამ თეორიის განვითარება და სრულყოფა დღემდე გრძელდება. კეინზის თეორია ფართოდ იქნა გამოყენებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში, რამაც მათ საშუალება მისცა არა მარტო დაეძლიათ მძიმე ეკონომიკური კრიზისი, არამედ ეკონომიკის გიგანტებად გადაქცეულიყვნენ. მონეტარიზმის ფუძემდებელი მ. ფრიდმენი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ფულია და ამდენად მისი რეგულირება ფულის საერთო მასისა და ნაკადების მართვითაა შესაძლებელი. მონეტარიზმის საფუძველზე მე-20 საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში ამუშავდა "რეიგანომიკის", ხოლო დიდ ბრიტანეთში "ტეკცერიზმის" ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამები, რომლის განხორციელებით ამ ქვეყნებმა მთლიანად დაძლიეს წარმოქმნილი კრიზისული მოვლენები და შეინარჩუნეს ეკონომიკური წარმატება. ამ პერიოდიდან იწყება "ველური კაპიტალიზმის" ჩანაცვლება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკით. ჯ. კეინზის "ზოგადი თეორია" მე-20 საუკუნის მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების შედევრადაა აღიარებული, ნობელის პრემიის ლაურეანტი ეკონომიკის დარგში პ. კრუგმენი

წერდა ჯ. კეინზის "ზოგადი თეორია" სტაგნაციური ეკონომიკის სიღრმისეული ანალიზის კრიზისების დაძლევისა და დეპრესიის თავიდან აცილებისათვის. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში კი აღმოცენდა ეკონომიკური თეორიის ახალი მიმართულება მარქსიზმი, რომელიც საფუძვლად დაედო სოციალისტური წყობილების წარმოშობას. "ველური კაპიტალიზმის" ანტიპოდმა კომუნისტურმა წყობილებამ, რომელიც ბრძანებლურ ეკონომიკაზე იყო დაფუძნებული 70 წლიანი არსებობის შემდეგ, საბოლოოდ კრაზი განიცადა. საქართველო როგორც "პოსტკომუნისტური" ქვეყანა დღემდე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნად რჩება. ბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რთული და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. "შოკურმა თერაპიამ" სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ქვეყნის ეკონომიკა ისევ გრადუალიზმის გზას დაადგა. პრაქტიკულად აღიარებულია რომ ადამიანებს შორის სოციალური უთანასწორობა ბაზრიდან, როგორც კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური საფუძვლიდან გამომდინარეობს. ეს დებულება თანამედროვე დასავლური ეკონომიკური მსოფლმხედველობის მიერაც არის ჭეშმარიტების რანგში აყვანილი. ბაზარი უგრძობელი, გულგრილი მექანიზმია, მას არ გააჩნია სინდისი, იგი არ ცნობს მორალურ ნორმებს, რაც შემოსავლების უთანაბრობის მაღალ დონეს განაპირობებს. მაგალითად მდიდარს შეუძლია საკუთარი კატა გამოკვებოს რძით, მაშინ როდესაც ღარიბს, ბავშვის გამოსაკვებადაც არ შეუძლია, რომ იყიდოს რძე. ა. სამუელსონისა და უ. დ. ნორდჰაუსის აზრით შესაძლებლობების თანასწორობა – ეს მხოლოდ თანამედროვე დემოკრატიის ლამაზი სიტყვებია, ხოლო რეალობაში საბაზრო ეკონომიკა სულ სხვა რამის დემონსტრირებას ახდენს, რაც ადამიანთა ერთი ჯგუფის სიმდიდრესა და მეორე ჯგუფის სიღარიბეში გამოიხატება. ადამიანთა უმეტესობისთვის თანასწორობა უწინარეს ყოვლისა შემოსავლებისა და საკუთრების თანასწორობაა და არა შესაძლებლობათა თანასწორობაა. თავისუფალი ბაზარი უხსნის ადამიანებს შესაძლებლობების ფანჯარას ამ პრინციპით, ღარიბსაც კი შეუძლია გახდეს მილიონერი და ამის შემთხვევებიც მრავლადაა, მაგრამ ვინაიდან რეალურად ყველა ადამიანი ინდივიდია და მათი შესაძლებლობებიც განსხვავებულია, ყველა ვერ გახდება მდიდარი და ვერც ყველა ვერ იქნება ღარიბი. სოციალური დიფერენციაცია სიღარიბე, უმუშევრობა, შიმშილი, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის თანმდევი მოვლენებია. მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება. უდიდესი ეკონომისტი ნ. გ. მენქიუ აღნიშნავს რომ ბაზარი სიმდიდრეს არათანაბრად ანაწილებს, რომ უთანასწორობა კაპიტალიზმის შედეგია, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს რომ ადამიანები თანასწორნი არც კომუნისტურ ქვეყნებში არიან რამეთუ უთანასწორობის საფუძველი ამ ქვეყნების პოლიტიკური სისტემითაა განპირობებული. საბაზრო თანასწორობის დოქტრინის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, მაგალითად, როგორც საქართველოა რომელიც ჯერ კიდევ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნად რჩება და ისევ ჩამოყალიბების პროცესშია. კომუნისტური ჩინეთი წარმატებით იყენებს საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთ პრინციპებს და შერეული მოდელით დიდ წარმატებებს აღწევს მსოფლიო ბაზარზე.

გლობალიზაციამ, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა "ღია ეკონომიკის" პირობებში ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობა 2025 წლისთვის 8 მილიარდს მიაღწევს ხოლო 2050 წელს 10 მილიარდამდე გაიზრდება. მოსახლეობა იზრდება ბუნებრივი რესურსები კი

მცირდება, ადამიანთა გაზრდილი მოთხოვნები, გაზრდილი წარმოება და მოხმარება, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება კაცობრიობას კატასტროფისაკენ მიაქანებს. ადამიანის ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ადამიანი ბუნებას უყურებს როგორც მეწველ ძროხას და პერმანენტულად ცდილობს რაც შეიძლება მეტი გამოსძალოს მას. მეცნიერთა აზრით ბუნებრივი წიაღისეულის მარაგები უკვე გამოცარიელებულია. "თანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულია მოსაზრება რომ ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას, მაგრამ ტექნოლოგია უბრალოდ ვერ მოაგვარებს პრობლემებს რომელიც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების წარმოქმნასთან შედარებით, მის უფრო სწრაფ მოხმარებას. ერთ დღესაც ჩვენ ამოვწურავთ მათ, უფრო მეტიც გლობალიზაციის პირობებში ურთიერთ დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკა ამოწურავს ეკოლოგიურ ლიმიტს" ამბობს ცნობილი გეომორფოლოგი პროფესორი დევიდ მონტგომერი. მსოფლიო აცნობიერებს შექმნილ მდგომარეობას და სწორედ ამიტომ შეიქმნა მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. გლობალიზაციის პირობებში მდგრადი ეკონომიკური განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და რაც მთავარია ხანგრძლივი ვადით. მდგრადი განვითარება ეფუძნება პრინციპს რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობების ძირითადი მოთხოვნილებები და ახლანდელმა თაობამ არ უნდა იცხოვროს მომავალი თაობების ხარჯზე, მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროებს. "მწვანე ეკონომიკა" შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე და მისი განხორციელების ერთ-ერთი მთავარი გზაა. "მწვანე ეკონომიკის" პირობებში ძირითადი აქცენტი გადატანილია ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე, შენარჩუნებასა და განვითარებაზე. "მწვანე ეკონომიკა" გულისხმობს ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას. მიღწევადი და არაგანახლებადი რესურსების ჩანაცვლებას ადდგენადი ეკოლოგიურად სუფთა რესურსებით (მაგალითად, მზის ენერჯია, ქარის ენერჯია, ზღვის მიქცევ-მოქცევის ენერჯია და ა.შ.) ეკოლოგიაზე ანთროპოგენურმა ზეწოლამ კაცობრიობა დააყენა ისეთი გლობალური პრობლემების წინაშე როგორცაა: გლობალური დათბობა, ოზონის შრის შემცირება, ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება, გაუდაბნობა, ნიადაგის ეროზია, ბიომრავალფეროვნების შემცირება, სურსათის უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა და ა.შ. ჩამონათვალი ნამდვილად დიდი და შთამბეჭდავია, ამ ჩამონათვალს ამჟამად მიემატა ისეთი გლობალური გამოწვევა როგორცაა პანდემია. პანდემია არამცთუ მიემატა გლობალურ გამოწვევებს იგი სიის სათავეში მოექცა მყისიერად. მსოფლიო უკვე წელიწადია ებრძვის კორონა ვირუსს რომელმაც, მთელი მსოფლიო თავდაყირა დააყენა, შეცვალა ყველა და ყველაფერი. გლობალური "ახალი მსოფლიო წესრიგი" ჩანაცვლებულია "ახალი კორონა წესრიგით". ბრძოლა უხილავთან როგორც პანდემიას უწოდებენ, მესამე მსოფლიო ომის ტოლფასია და სინამდვილეში არის ბრძოლა ბუნებასა და ადამიანს შორის. ვირუსი ჩვეულებრივი ბუნების ნაწილია, ისეთივე როგორც ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, ბაქტერია, ხე, ბალახი, ორგანული თუ არაორგანული ბუნება. ვირუსების 300-ზე მეტი სახეობაა აღმოჩენილი, პანდემიამ შეცვალა მსოფლიო, შეცვალა ეკონომიკა, შეცვალა ჩვენი ყოველდღიურობა. გაეროს პრეზიდენტის განცხადებით მსოფლიოს ბოლო 80 წლის მანძილზე არ მიუღია ისეთი

ეკონომიკური ზარალი როგორც ახლა. ჩამოიშალა მსოფლიო ტურიზმი, სარესტორნო ბიზნესი, სასტუმრო ბიზნესი, მსოფლიო ბაზარზე დაეცა ნავთობის ფასი (რომელიც "შავ ოქროდაა" მიჩნეული), სამაგიეროდ გაიზარდა ფასები სურსათზე, ჩვენი ქვეყანა უკვე იძულებულია დაასუფსიდროს ხორბალი და ფქვილი რათა არ გაძვირდეს პური, "პური ჩვენი არსობისა". ჩვენი ქვეყანა იმპორტ დამოკიდებულია ხორბლის 92%-ი შემოგვაქვს რუსეთიდან.

ბოლო ათწლეულებში ტექნოლოგიები დიდი ტემპით ვითარდება ამიტომ 21-ე საუკუნეს ტექნოლოგიების საუკუნეს ეძახიან, ასევე ცოდნის საუკუნეს, ინოვაციების საუკუნეს და ა.შ. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ტექნოკრატიული საზოგადოება. გლობალიზაციის პირობებში ყველა ტექნოლოგია ელვის სისწრაფით ვრცელდება მსოფლიოში ყველა ინოვაცია თითქმის მყისიერი კომერციალიზაცია ხდება. გენური ინჟინერიით შექმნილი გენმოდულირებული პროდუქტები ლამის მსოფლიო სენსაციად გადაიქცა და ადამიანებმა იფიქრეს რომ სურსათის უსაფრთხოების პრობლემები გადაჭრეს, მაგრამ რეალობამ დაგვანახა რომ გენმოდულირებულ პროდუქტებს ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი ზიანი მოაქვთ და ბევრ მძიმე დაავადებებს იწვევენ ორგანიზმში. იაფმა გენმოდულირებული პროდუქტების წარმოებამ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების ფასი გაზარდა მსოფლიო ბაზარზე. გენური ინჟინერიით შექმნილი ეს პროდუქტები, როდესაც ვეშაპის გენი შეყავთ პომიდორში, ან კენგურუს გენი კიტრში, არის ბუნების კანონების წინააღმდეგ წასვლა, წითელი ხაზების გადაკვეთა და გენური ინჟინერიით მანიპულირება. გენმოდულირებული პროდუქტებით გაჯერებულია ჩვენი ქვეყნის ბაზარი. აგრეთვე, "მესამე მსოფლიოს" ქვეყნების ბაზრები, გლობალიზაციის ეპოქაში მსოფლიოს ქვეყნები დაყოფილია კატეგორიებად. განვითარებული ქვეყნები, განვითარებადი ქვეყნები და "მესამე მსოფლიოს" ქვეყნები ანუ განუვითარებელი ქვეყნები. მათ "მესამე სამყაროს" ქვეყნებსაც უწოდებენ, თვითონ ეს ტერმინი "მესამე სამყარო" აღიქმება როგორც სხვა სამყარო, როგორც უცხო და არა ჩვენიანი.

მაშინ როდესაც გლობალიზაცია პლანეტარული პროცესია და გულისხმობს "ერთ საერთო სახლს", მას გლობალიზაციას "ერთ დიდ სოფელსაც" უწოდებენ, ეპითეტი "მესამე სამყარო" იწვევს ადამიანებში მათ მიმართ გაუცხოვებას, ისინი აღარ მოიაზრებიან როგორც ჩვენიანები და მათ მიმართ ადამიანებს აღარ უჩნდებათ ემპათია და თითქოს ერთვება პრინციპი "სხვისა ჭირი ღობეს ჩხირი", მაშინ როდესაც გლობალიზაცია ნიშნავს ერთ დიდ ოჯახს, პლანეტარული მამტაბით ხალხთა კონსოლიდაციას საერთო პრობლემების მოსაგვარებლად, განუვითარებელი და მესამე სამყაროს ქვეყნები აღარ მოიაზრებიან ჩვენს ნაწილად და არც თუ პატარა ნაწილად. კამბოჯელ ან სომალელ ბავშვსაც აქვთ ისეთივე უფლება სიცოცხლისა, როგორც ამერიკელ ან იტალიელ ბავშვს. მსოფლიოში ყოველწლიურად რვაას მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობს და დიდი ნაწილი იღუპება (ძირითადად ე.წ. განუვითარებელ ქვეყნებში). შეიძლება თავისუფალი ბაზარი უგრძნობი იყოს მოშიმშილე ადამიანების მიმართ, მაგრამ გლობალიზაცია, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის პლანეტარული მამტაბის პროცესია და პრეტენზია აქვს "ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა" არ შეიძლება უგრძნობი იყოს ამ ადამიანთა მიმართ, მსოფლიოს ქვეყნები არათანაბრად ვითარდება და ეს ბუნებრივიცაა. ხის ორი ფოთოლიც კი არ გავს ერთმანეთს და ყველა ქვეყანა ერთნაირად ვერ განვითარდება, მაგრამ ვინაიდან გლობალიზაციას აქვს პრეტენზია ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა,

განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა მცირედით მაინც უნდა უმჯობესდებოდეს. მსოფლიო ეკონომიკა შეიძლება შევადაროთ ერთ დიდ საერთო ჯამს რომლიდანაც ყველა საზრდოობს. თუმცა ქვეყნებს აღნიშნული დიფერენციაციდან გამომდინარე კოვზებიც დიფერენცირებული აქვთ, დიდი და განვითარებული ქვეყნები ამ საერთო "ჯამიდან" დიდი ჩამჩებით იღებენ თავის წილს, დანარჩენები პატარა კოვზებით, ხოლო განუვითარებლები ეგრეთ წოდებული "მესამე სამყაროს ქვეყნები" ერთი ციციქნა სამურაბე კოვზით და უმეტესობას ეს კოვზიც კი არ ერგო, ისინი კუთხეში მიყუჟულნი ამ დიდ საერთო განაწილებას შორიდან უყურებენ. საბოლოოდ მაინც მივდივართ საზოგადოებრივი დოვლათის არასამართლიან განაწილებასთან. მსოფლიო მოსახლეობა მართალია მრავლდება, ბუნებრივი რესურსები კი მცირდება, მაგრამ გარკვეულ მეცნიერთა აზრით მსოფლიო ქმნის იმდენ საზოგადოებრივ დოვლათს რომ შვიდი მილიარდის კი არა ორჯერ შვიდი მილიარდი ადამიანის გამოკვებაც კი არის შესაძლებელი. აშშ-ში 1970-იან წლებში ეროვნული შემოსავლის 10%-ი მოსახლეობის 1%-ის ხელში იყო თავმოყრილი. დღეს მათი წილი გაორმაგდა. მზარდი ეკონომიკური უთანასწორობა ძალიან სახიფათოა როგორც ამბობენ ექსპერტები. მსოფლიო ეკონომიკური ზრდა ფერხდება და იზრდება რეცესიის ალბათობა. მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან. ღარიბები კი კიდევ უფრო ღარიბდებიან. საქველმოქმედო ორგანიზაცია oxfam-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით 2009 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 1%-ი ანუ 70 მილიონი ყველაზე მდიდარი ადამიანი პლანეტის სიმდიდრის 44%-ს ფლობდა. ხოლო 2014 წელს უკვე 48%-ს. გასათვალისწინებელია ისიც რომ თითქმის ნახევარი დარჩენილი 52%-დან (46%) კონცენტრირებულია მოსახლეობის 1/5-ის ხელში. oxfam-ის კვლევის თანახმად სიმდიდრე არათანაბრადაა გადანაწილებული თვით "ყველაზე მდიდარი ერთი პროცენტის შიგნით". ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ ყველაფერში ისაა რომ "პლანეტის ყველაზე მდიდარი 90 მილიარდელი ზუსტად იმდენივე ქონებას ფლობს, რასაც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი". ყველაზე მდიდარ 80 ადამიანზე (მსოფლიო მოსახლეობის 0,000001%) მოდის იმდენივე ქონება, რამდენიც ყველაზე ღარიბ 3,5 მეათედი მილიონ ადამიანზე (მსოფლიო მოსახლეობის 50%).

თანამედროვე მსოფლიო ვითარდება როგორც ერთიანი სისტემა რომლის ფარგლებშიც თანაარსებობენ ტრანსნაციონალური კომპანიები და ეროვნული ეკონომიკური საწარმოები. ტრანსნაციონალური კომპანია მსხვილი ბიზნესია, რომელიც დაფუძნებულია განვითარებულ ქვეყანაში. მსოფლიოში 600-მდე მულტიეროვნული კომპანიაა, რომელთა ნახევარზე მეტი ეკუთვნის აშშ-ს, 1/9 ინგლისს. ბოლო ათწლეულებში გაიზარდა სინგაპურის, სამხრეთკორეის, ჰონკონგის, მალაიზიის, ტრანსნაციონალური ბაზრები. ტრანსნაციონალური კომპანიები მწვავე კონკურენციის ზეგავლენით იძულებულნი არიან მაქსიმალურ მოგებაზე იყვნენ ორიენტირებულნი და დაიპყრონ ბაზრები. ამიტომ ისინი თავიანთ საქმიანობას ისეთ ქვეყნებში ახორციელებენ სადაც იაფი სამუშაო ძალა და იაფი ბუნებრივი რესურსებია. ტრანსნაციონალურ კომპანიებს გააჩნიათ ულტრათანამედროვე ტექნოლოგიები საინფორმაციო და საკადრო რესურსები, რის გამოც ეროვნული სახელმწიფოს საწარმოები მათ კონკურენციას ვერ უწევენ. ამიტომ სახელმწიფო იძულებულია რიგ დათმობებზე წავიდეს და გააფორმოს კაბალური კონტრაქტები, მინიმალური სარგებლის ტარიფების სახით. ამიტომ როდესაც მდგრად ეკონომიკაზე მწვანე ეკონომიკაზე და მთლიანად თანამედროვე ეკონომიკის ეკოლოგიზაციაზე ვლაპარაკობთ რაც გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ტემპების

შენელებას, მწვანე ეკონომიკის აპოლოგეტები კი საერთოდ ეკონომიკურ ზრდაზე უარის თქმას მოითხოვენ, ძნელი სათქმელია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები რამდენად გაიზიარებენ ამ მიდგომებს. მდიდარი ქვეყნები ბიზნეს მოგებაზე ორიენტირებული მსოფლიო ეკონომიკის მესვეურები რამდენად დათანხმდებიან "ქამრების შემოჭერის" პოლიტიკას "მწვანე ეკონომიკის" სასარგებლოდ და ცივილიზაციის გადასარჩენად. კვლევებით დასტურდება რომ უფრო მდიდარი საშუალო ფენა ნიშნავს უფრო მეტ თანასწორობას შემოსავლებს შორის, ხოლო შემოსავლების უთანასწორობა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. უთანასწორობა თავისუფალი ბაზრის სისტემის თვისებაა, ყველა ადამიანი თანასწორი ვერ იქნება ეკონომიკურად და საყოველთაო თანასწორობა კლავს მოტივაციას, რაც პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის დაუძლეველ ხარვეზად მიიჩნევა ის რომ ზოგ ადამიანს ვინც წარმატებას აღწევს აქვს სოლიდური თანხა, ხოლო წარუმატებლებს კი პირველადი მოხმარების პროდუქტის ყიდვაც კი არ შეუძლიათ მინიმალური სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. განვითარებულ ქვეყნებში სადაც მდიდართა რაოდენობა დიდია იქ საშუალო ფენაც პროცენტულად ძალიან მაღალია, საშუალო ფენა განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 60-70%-ს შეადგენს. სწორედ ეს საშუალო ფენა განსაზღვრავს ქვეყნის სიმდიდრის მაჩვენებელს. შესაბამისად რაც დიდია პროცენტულად საშუალო ფენა, მით უფრო მდიდარია ქვეყანა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში საშუალო ფენა სათანადოდ ვერ ჩამოყალიბდა და მთლიანი მოსახლეობის 8-10%-ის ფარგლებში მერყეობს. სიმდიდრე არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური პროტესტის თემა, უნდა ვებრძოლოთ არა მდიდარს და სიმდიდრეს, არამედ უნდა ვებრძოლოთ სიღარიბეს. ეკონომიკური უთანასწორობის შესამცირებლად მთავრობები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ, როგორცაა მაგალითად პროგრესული დაბეგვრა – ღარიბებთან შედარებით მდიდრების პროცენტულად მეტი დაბეგვრა. ეკონომიკური უთანასწორობა არასასურველი მოვლენაა და ის გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე, ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. სამწუხაროდ გაეროს მონაცემებით საქართველო მომაკვდავი ერების სიაშია შეტანილი. 90-იანი წლებიდან დაწყებული ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ადამიანები აიძულა ემიგრაციაში წასულიყვნენ. მილიონზე მეტი ქართველი უცხოეთშია გადახვეწილი და იქიდან არჩინენ ოჯახებს. ქვეყანამ დაკარგა მნიშვნელოვანი ადამიანისეული კაპიტალი, ცოცხალი სამუშაო ძალა. ადგილი აქვს აგრეთვე ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის ეგრეთ წოდებული "ტვინების გადინების" პროცესს. ამის მაგალითია უცხოეთში მოღვაწე ქართველ ფიზიკოსთა მთელი ჯგუფი გია დვალის ხელმძღვანელობით. კორონა პანდემიამ ჩვენი ემიგრანტების ნაწილი დააბრუნა სამშობლოში. ჩვენი კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მუდმივად მოუწოდებს ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისაკენ, რომ მიხედონ თავიანთ მიწაწყალს, სოფლის მეურნეობას და ეკონომიკას. ახმაურდეს მიტოვებული და დაცლილი სოფლები. საგანგაშოა ის მდგომარეობა რომ მოსახლეობისგან ცარიელდება საქართველოს ისტორიული კუთხეები – რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, ფშავი და სხვა მთიანი რეგიონები. მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი მხოლოდ 16 ათასი კაცი ცხოვრობს. საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მე-13 საუკუნეში, 1254 წელს ჩატარებული აღწერის

მიხედვით მოსახლეობა საქართველოში 8 მილიონ კაცს უდრიდა. გამუდმებული შემოსევებისა და ომების შედეგად მოსახლეობა თანდათან მცირდებოდა. 1800 წელს 675 ათასი კაცი შეადგინა, ამ პერიოდში (1811-1813 წ.წ.) შავი ჭირის გავრცელების შედეგად ისტორიული წყაროები იუწყებიან რომ მოსახლეობა თითქმის განახევრდა და დაახლოებით ოთხასი ათას კაცს გაუტოლდა. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს – 5467000 ათასი კაცი, ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდებოდა და 2014 წლის აღწერის მიხედვით 3713804 კაცი შეადგინა. 2014 წელს მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა შემცირებულია 1687037 კაცით. პროფესორ ა. თოთაძის აზრით სათანადო გაანგარიშების მიხედვით დემოგრაფიული მონაცემების არსებული შენარჩუნების პერიოდში (ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის გარდა) საქართველოს რეგიონები, საშუალოდ 41 წელიწადში გაუკაცრიელდება. დემოგრაფიული ვითარების მყისიერად გაუმჯობესება შეუძლებელია. იგი უაღრესად აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი ორ თაობას მაინც საჭიროებს. აუცილებელია დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდისთვის. ამის მაგალითია საფრანგეთი. საფრანგეთში სწორედ ხანგრძლივ პოლიტიკაზე გათვლილი დემოგრაფიული ღონისძიებების გატარების შედეგად გაუმჯობესდა დემოგრაფიული ვითარება და ამჟამად ევროპის ქვეყნებს შორის საფრანგეთში დემოგრაფიული მაჩვენებელი თითქმის ყველაზე უკეთესია. ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი ადამიანისეული კაპიტალი დაკარგა ემიგრაციაში წასული ქართველების სახით. მილიონზე მეტი ადამიანი გავიდა ქვეყნიდან და განვითარებული ქვეყნების იაფ მუშახელად გადაიქცა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ამოცანაა არამარტო ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი დემოგრაფიული ღონისძიებების გატარება, არამედ ქვეყანაში ისეთი ფონის შექმნა რომ ჩვენი ემიგრანტები დაბრუნდნენ საქართველოში.

გლობალურმა პანდემიამ დაძრა აღნიშნული პროცესი და იმედია კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაუბრუნდება საკუთარ მიწაწყალს. ამიტომ როგორც ზევით ავღნიშნეთ პანდემიამ მთლიანად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი და პანდემიის შემდეგ მსოფლიო ნამდვილად აღარ იქნება ისეთი როგორც პანდემიამდე იყო, მოხდება ბევრი ღირებულებისა და საკითხის გადაფასება და ფრაზები რომ "დავუბრუნდებით კორონამდე ცხოვრებას", "ყველაფერი ისევ ისე იქნება" არასწორია ვინაიდან "ერთ მდინარეში ორჯერ არ გადიან". პანდემიამ ლაკმუსის ქალღმერთით ზედაპირზე ამოიტანა ბევრი ფსევდო ღირებულებები. პირველ რიგში დაამსხვრია მითი ადამიანის ყოვლის შემძლეობისა. ჩააფიქრა ადამიანები ეგზისტენციალურ პრობლემებზე და მათ ამპარტავნებას ცივი წყალი გადაასხა. ადამიანი თანდათან აცნობიერებს რომ ბუნების ნაწილია და არა მისი მბრძანებელი, როგორც დიდი ვაჟა ფშაველა ამბობდა "ბუნება მბრძანებელია". ბუნებასთან ადამიანს ფრთხილი და კეთილი დამოკიდებულება უნდა ქონდეს და არა მტაცებლური და უდიერი. მიწა ეს უნიკალური ბუნებრივი რესურსი ზოგს ტალახად მიაჩნია და ავიწყდება რომ ყველაფერი მოდის მისგან და საბოლოოდ მასვე უბრუნდება. ჰაერი დაბინძურებულია ამდენი მავნე გამონაბოლქვითა და გაზრდილი მრეწველობით, იჩეხება ამაზონის ტყეები, რომელსაც "დედამიწის ფილტვებს" ეძახიან. ამაზონის ხელშეუვალი ადგილები რომელიც უკვე ხელყოფილი ადამიანის მიერ ვირუსების საბადოს წარმოადგენს. 2019 წლის ზაფხულში ამაზონიაში კატასტროფული

ხანძრები მძვინვარებდა. სამოვრებისათვის ტყეების ჩეხვამ რეგიონის ტოტალური გამოშრობა გამოიწვია. თუმცა ამაზონის ტყის თვალუწვდენელი ფართობების მასობრივი გადაწვის უმთავრესი მიზეზი ხანძრების ხელოვნურად გაჩენა სახელდება იმ ტერიტორიების გასაწმენდად რომელსაც ბიზნესები შემოსავლის წყაროდ იყენებენ. ამაზონის აუზის ტროპიკული ტყეები უმსხვილესია მსოფლიოში. სწორედ ისინი ქმნიან ჟანგბადს არამარტო ლათინური ამერიკისთვის არამედ მთელი პლანეტისთვის, კატასტროფული განადგურება და "სამრეწველო ათვისება" ამაზონიის ვრცელ რეგიონზე სადაც ჯერ კიდევ ნარჩუნდება ხელთუქმნელი ჯუნგლების ყველაზე მსხვილი მასივები პლანეტაზე დედამიწაზე ახალ-ახალი საშიში დაავადებების წარმოშობას იწვევს, რომელიც ადამიანს ცხოველებისგან გადაეცემა. კოვიდ-19 პანდემიის ფონზე ეკოლოგები მოუწოდებენ კაცობრიობას დაფიქრდეს იმაზე რომ ამჟამინდელი კორონა ვირუსი შეიძლება დასაწყისი იყოს და რომელიმე ჩვენთვის ამდრომდე უცნობი მომაკვდინებელი ვირუსის შემდეგი პანდემია შესაძლოა დედამიწაზე ამაზონიის ტროპიკული ტყეებიდან გავრცელდეს, აცხადებს ცნობილი ბრაზილიელი ეკოლოგი პროფესორი დავიდ ლაპოლა, იგი გვაფრთხილებს რომ ცივილიზაციის შეჭრა ამაზონიის ერთ დროს სრულიად ხელთუქმნელ გიგანტურ ტყიან რაიონებში უამრავი ზოონოზური დაავადების წარმოშობას იწვევს.

ცნება ეკონომია პირველად შემოიტანა ქსენოფორტემ, შემდეგ არისტოტელემ სიტყვა ეკონომიიდან შემოიღო ახალი ტერმინი "ეკონომიკა", რომელიც დღემდე იხმარება. არისტოტელემ პირველმა სისტემურად შეისწავლა ძირითადი ეკონომიკური მოვლენები და ამდენად იგი პირველ ეკონომისტად და მეცნიერების ამ დარგის ნათლიადაა მიჩნეული. თვითონ სიტყვა ეკონომიკა გარდა მეურნეობისა და მეოჯახეობისა ნიშნავს დაზოგვას, მომჭირნეობას, რაიმეს რაციონალურ გამოყენებასა და არა ფლანგველობას და რესურსების ირაციონალურ გამოყენებას. თანამედროვე საზოგადოებამ "დაივიწყა" ეკონომია, ეკონომიური მოხმარება, თანამედროვე საზოგადოება ჩამოყალიბდა ტექნოკრატიულ მომხმალეებრულ საზოგადოებად, მწვავე ეკონომიკურ პრობლემებთან შეჯახებამ და ბუნებრივი რესურსების მიღწევადობის გაცნობიერებამ ადამიანები ცოტა გამოაფხიზლა, ამიტომ ეკონომიკის ტრადიციულ განსაზღვრებას რაც თავისთავად გულისხმობს შემოსაზღვრული და იშვიათი რესურსების პირობებში ადამიანთა უსაზღვრო მოთხოვნილების მაქსიმალურად შესაძლო დაკმაყოფილების გზებსა და მეთოდებს დასჭირდა ამ განსაზღვრების ჩაშლილი სახით დაზუსტება და მოდელირება. როგორცაა "მდგრადი განვითარება", "ლურჯი ეკონომიკა" და ა.შ. სადაც საჭირო გახდა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე მათ მიღწევადობაზე უფრო მეტი აქცენტის გაკეთება. რესურსების შემოსაზღვრულობა. მსოფლიო ეკონომიკა რამდენად განახორციელებს გლობალური მშტაბით ეკონომიკის ეკოლოგიზაციას ძნელი სათქმელია.

ადამიანები არამარტო ბუნებას არამედ ნივთებსაც აგდებულად და არაეკონომიკურად მოიხმარენ, ამაზე მეტყველებს ამ საუკუნის ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა ნარჩენების ნაკადი, ნაგავს მიაქვს დედამიწა. 21-ე საუკუნეში ნაგავს ნამდვილად ოქროს ხანა უდგას. მომხმარებელი რომელიც მაღაზიაში დასრულებულ პროდუქტს ხედავს ვერც კი წარმოიდგენს თუ რამდენი რესურსი დაიხარჯა, რამდენი ტყე გაიჩეხა, როგორც დაბინძურდა წყალი, მიწა, ჰაერი ამ პროდუქტის დამზადებაზე. მეცნიერი ჯონ მარშალი შრომას მოგებასა და ნაგავს ასე აკავშირებს "ნაგავსაყრელი არ არის მხოლოდ კაპიტალიზმის თანმდევი პროდუქტი,

ეს კაპიტალიზმის წარმატებაა, რაც უფრო მეტია მოგება, მით მეტია ნაგავი – იმაზე თუ გიფიქრიათ რამხელა შრომა და დრო დაიხარჯა ამ პროდუქტის წარმოებაზე, ისიც გაითვალისწინეთ რომ ჩვენ განზრახ შევქმენით ისეთი ნივთები რომლებიც მალევე ფუჭდება, არადა შეგვეძლო მთელი ეს დრო მეცნიერული კრეატიული საქმიანობისთვის დაგვეთმო და შეგვექმნა სხვანაირი საზოგადოება". ნაგავი პირდაპირ არის მიბმული ბიზნესზე, წარმოების შედეგად 70-ჯერ უფრო მეტი ნარჩენები წარმოიქმნება ვიდრე ოჯახებში. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით გარემოს დამცველები გვთავაზობენ "ნულოვანი ნაგვის" კონცეფციას. ეს სისტემა ნაკლები ნაგვის წარმოქმნას გულისხმობს, ეს კონცეპცია ზოგს შეიძლება უტოპიად მოეჩვენოს მაგრამ იგი უკვე დანერგილია ავსტრალიაში, კანბერას ტერიტორიაზე, ჰალიფაქსში, ტორონტოში. საქართველოში ნარჩენების მართვის მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ქვეყანაში 70 ღია ნაგავ საყრელია და ფერადი ურნების შემოღებაც ვერ მოხერხდა (რაც ნიშნავს ნაგვის დიფერენციაციას, ნარჩენების რეციკლირებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ). ნარჩენები არის ყველაზე ზუსტი ინდიკატორი იმისა თუ რამდენს მოიხმარს საზოგადოება. აღარავინ შეაკეთებს დღეს ფეხმორყეულ სკამს, მოდიდან გამოსული ტანსაცმელი, მოძველებული აპარატურა, და უამრავი ნივთი ნაგავ საყრელზე გვხვდება. ნულოვანი ნაგვის კონცეფციის გლობალური მამტაბით დანერგვა შეამცირებდა ანთროპოგენურ შემოქმედებას გარემოზე გაზრდილ წარმოებას და მოგების ზრდაზე ორიენტირებულ ბიზნესებს ლაგამს ამოსდევდა. 1970 წლის 22 აპრილს 20 მილიონი ამერიკელი ქუჩაში გამოვიდა და გარემოს დაბინძურება გააპროტესტა. ეს იყო პირველი "დედამიწის დღე" აქტივისტები ეკოლოგიურ კრიზისში ბიზნეს სექტორს ადანაშაულებდნენ. აღნიშნული მიტინგი ძალიან მამტაბური იყო, მან მთელი ამერიკა მიიზიდა: ფერმერები, მინისტრები, მოსწავლეები, დიასახლისები, პოლიტიკოსები და ჰიპებიც კი. პრეზიდენტმა მიქსონმა მხარი დაუჭირა ამ მოძრაობას, აღნიშნულ აქციაზე სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა ჩენინგ ფილიპსმა განაცხადა რომ "გარემოს გაუპატიურება უფრო მომგებიანია ვიდრე დედამიწის მოვლა და მისი მწირი რესურსების დაზოგვა", გავიხსენოთ ბიბლიიდან რომელიც "წიგნთაწიგნია" როდესაც იესო ქრისტემ 5 ათასი ადამიანი დააპურა თევზითა და პურით მაცხოვარმა შემდეგ თავის მოწაფეებს უთხრა რომ მოეგროვებინათ ნარჩენები, რათა ისინი არ დაფანტულიყო. ეს იყო მინიშნება უნარჩენო საზოგადოებისა. აღიარებულია რომ მდიდრები უფრო მეტს მოიხმარენ ვიდრე ღარიბები, ეს ლოგიკურიცაა, მდიდრებს უფრო მეტი მოთხოვნილებები აქვთ და მათი დაკმაყოფილების საშუალებაც. ღარიბებსაც აქვთ მოთხოვნილებები მაგრამ მათ იციან რომ ეს ფუჭი ოცნებაა და "საბანი სადამდეც გაწვდება იქამდე უნდა დაიხურონ".

დიდი ფისქოლოგი და ფილოსოფოსი ე. ფრომი თავის ცნობილ წიგნში "ფლობა თუ ყოფნა" აღნიშნავს რომ თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოება ფლობაზეა ორიენტირებული. მისთვის, ხშირად, ლამაზი ნივთები უფრო დიდ ფასეულობას წარმოადგენს ვიდრე სულიერი ფასეულობები. ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად ადამიანი დიდად არ შეცვლილა. იგი ტექნოკრატიულ ცხოველს დაემსგავსა.

სოციალურ ფისქოლოგიაში არსებობს ტერმინი "შესაძლებლობების ფანჯარა", "შესაძლებლობების ფანჯარა" იმ შეჩვევის შეგუების ტექნოლოგიაა რასთანაც შეჩვევა-შეგუებაც (როგორც ჩვენ გვონია), შეუძლებელია. ამ ტექნოლოგიის საშუალებით ადამიანის ცნობიერებაში იმის ჩანერგვა ხდება რისი ჩანერგვაც

როგორც ჩვენ გვეჩვენება შეუძლებელია და ამას "ოვერტონის ფანჯარა" ქვია. ჯ. ოვერტონი იყო საზოგადოებრივი პოლიტიკის ცენტრის უფროსი ვიცე პრეზიდენტი, რომლის დაღუპვის შემდეგაც ამ სისტემას "ოვერტონის ფანჯარა" უწოდეს. ოვერტონის შესაძლებლობების ფანჯრის თანახმად ყოველი იდეის განსახორციელებლად ან ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად საზოგადოებაში არსებობს ეგრეთ წოდებული "შესაძლებლობების ფანჯარა". ამ "ფანჯრის" ფარგლებში იდეა შეიძლება ფართოდ ან განიხილებოდეს, ან არ განიხილებოდეს. შეიძლება მას ღიას დაუჭირონ მხარი ან პროპაგანდირება გაუწიონ, შეეცადონ მის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევას. "ფანჯარას" უამრავი შესაძლებლობა აქვს – მას შეუძლია ნებისმიერი იდეა "შეუძლებლის" სტადიიდან თუნდაც საზოგადოებრივი მორალისთვის სრულიად მიუღებელიდან, სრულიად უარყოფილიდან, "პოლიტიკურად აქტუალურ" სტადიამდე ე.ი. იმ სტადიამდე მიიყვანოს როცა ის უკვე ფართოდ განხილული, მასობრივი ცნობიერებით მიღებული და კანონით გამყარებული იქნება. დემოკრატიზაციის პირობებში ტაბუ დადებული თემები თითქმის აღარ არსებობს. მოქმედებს პრინციპი, ჩვენთან ხომ სიტყვის თავისუფლებაა, ჩვენთან ხომ დემოკრატიაა, მაშ რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ ნებისმიერ თემაზე? ეს პრინციპი კარგად მუშაობს. ოვერტონის "ფანჯრის" პირველი მოძრაობის შედეგი არის ის რომ მიუღებელი თემა ბრუნვაში ჩაემვას, მოხდეს ტაბუს დესაკრალიზება, დაინგრეს პრობლემის ერთმნიშვნელოვნება – შეიქმნას "ნაცრისფერი გრადაციები". გლობალიზაციისა და დემოკრატიის პირობებში აღარ არსებობს ხელშეუხებელი საკრალური თემები. აქვე გავიხსენოთ ზ. ბჟევიჩის სიტყვები, რომელმაც სსრკ დაშლის შემდეგ მართლმადიდებლობა მსოფლიოს ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა. ჩვენი იდენტობის, ჩვენი ეროვნული ცნობიერების კვაკუთხედია დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები "ენა, მამული, სარწმუნოება" და როდესაც სარწმუნოებას ნომერ პირველ მტრად აცხადებენ და მისი რესაკრალიზაცია ხდება, სწორედ ეს არის მენტალური ძალადობა. ურწმუნოება, ნიქილისტური, კოსმოპოლიტური, უსამშობლო საზოგადოება უფრო ადვილი სამართავია. ტერმინების შეცვლა, ახალი სიმბოლოების შემოღება ოვერტონის ფანჯრის მთავარი ინსტრუმენტებია. ახალი სახელების დარქმევის მიზანი პრობლემის არსის, მისი განსაზღვრებიდან გადატანაა, სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის გაცალკეება, საკუთარი იდეოლოგიური მოწინააღმდეგებისთვის სალაპარაკო თემის წართმევა. სახელების თამაშის პარალელურად ხდება დასაყრდენი პრეცედენტის შექმნა – ისტორიულის, მითოლოგიურის, აქტუალურისა თუ უბრალოდ გამოგონილის, მაგრამ მთავარია რომ ის ლეგიტიმირებული იყოს. მას შემდეგ რაც წარმოდგენილია პრეცედენტი, ხდება შესაძლებლობა, ოვერტონის ფანჯარა გადაადგილდეს "შესაძლებლის" ტერიტორიიდან "რაციონალურის" მიმართულებით.

დასამუშავებელი თემა იწყებს მედიასაშუალებებში, პოლიტიკაში, შოუბიზნესში, ავტონომიურად ბრუნვას. ახლა ჩვენს თვალწინ ევროპა უკვე ევთანაზიის ლეგალიზებას ახდენს ღმერთის მიერ მინიჭებული სიცოცხლით უფლება თურმე ადამიანურმა კანონმა უნდა გადაწყვიტოს. ოვერტონის მიერ აღწერილი შესაძლებლობების "ფანჯარა" ყველაზე ადვილად ტორელანტურ საზოგადოებაში "მოძრაობს" იმ საზოგადოებაში სადაც არ არსებობს იდეალები, არ არსებობს მკვეთრი გამყოფი სიკეთესა და ბოროტებას შორის. ეს ის ტექნოლოგიაა რომელიც ყველაფრის ნებადართულობას ეფუძნება, არ არსებობს ტაბუ, არ არსებობს არაფერი წმინდა, არ არსებობს საკრალური ცნებები, რომელთა თვითგანსჯა

აკრძალულია და მათი სიბინძურეში ამოსვრა დაუყოვნებლივ აღიკვეთება. არსებობს ეგრეთ წოდებული სიტყვის თავისუფლება, რომელიც გაადამიანურების თავისუფლებად არის ქცეული. ჩვენს თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით იმსხვრევა ჩარჩოები, რომლებიც საზოგადოებას უფსკრულისგან და თვითგანადგურებისგან იცავდა, ახლა კი გზა იქითკენ ხსნილია. ამიტომ უნდა დავიცვათ ის ყველაფერი რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში. მშობლები რომ დედა და მამა არიან და ისტორიულად, ტრადიციულად ასე იწოდებიან ამ ტექნოლოგიის წყალობით მათ მიება ახალი ტერმინი – მშობელი ნომერი ერთი, მშობელი ნომერი ორი. ციხეში ჩასვეს პატარა გოგონას მამა რომელმაც შვილს შეგნებულად გააცდენინა სექსოლოგიის გაკვეთილი (არა მათემატიკის გაკვეთილი, ბოტანიკის გაკვეთილი, ისტორიის გაკვეთილი და ა.შ.) და არ გადაიხადა ჯარიმა. ასევე აქტიურად მუშავდება ეკუნემიზმის თემა (რელიგიათა გაერთიანება) და კიდევ ბევრი ტაბუ დადებული თემები.

გლობალური მსოფლიო ტოტალურად ცდილობს ყველაფრის მოდერნიზებას ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით მსოფლიო ერთ დიდ ციფრულ ბანაკს ემსგავსება. აღნიშნულ თემას შევხებით იმიტომ რომ გლობალური პანდემიიდან გამომდინარე რაც უკვე მეორე წელია გრძელდება და კორონა რეალობაში ვცხოვრობთ მთელი მსოფლიოს ყურადღება უკვე ვაქცინაზეა ფოკუსირებული. იღუპებიან ადამიანები, შეიცვალა ჩვენი ყოველდღიურობა, ადამიანები შეშინებულები და დაზაფრულები არიან. "ოვერტონის ფანჯარა" წარმატებით მონაწილეობს მთელ ამ პროცესში. ტელევიზიები და მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ყოველდღიურად პერმანენტულად გვაწოდებენ პანდემიით გარდაცვლილთა სტატისტიკას მსოფლიო მასშტაბით. რატქმა უნდა ადამიანებს უნდა ქონდეს ინფორმაცია, პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს, მაგრამ ასეთი დიდი დოზით მოწოდებული ნეგატიური ინფორმაცია ადამიანებს მუდმივი სტრესის მდგომარეობაში ამყოფებს. შიში ადამიანის ბუნებრივი რეაქცია იგი გარკვეული დოზით ადამიანს იცავს არასასურველი მოვლენებისაგან და თავდაცვის მექანიზმია. მაგრამ გადამეტებული შიში უკვე გადადის პანიკაში. მთელი მსოფლიო ერთ მონიტორშია მოქცეული. აღირიცხება და ითვლება ყველაფერი დება რეიტინგები. საქართველოში ახალგაზრდების განვითარების დონე რეიტინგებში ძალიან დაბალია და იგი სადღაც მესამე მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგებს უტოლდება. ვინ და რა კრიტერიუმებით დებს ასეთ "ზუსტ" რეიტინგებს ძნელი სათქმელია. ასეთი უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაში რუსთაველის ქვეყანაში, ქვეყანაში რომელშიც მსოფლიოს 14 დამწერლობიდან ერთ-ერთი ქართული დამწერლობაა იოანე ზოსიმე ქართულ ენას ღმერთების ენას უწოდებდა. აღნიშნული საერთო რეიტინგები ემსახურება ქვეყნის თვითშეფასების დაქვეითებას, მის დემორალიზაციას. ეკონომიკურად არა ვართ ძლიერი ქვეყანა, სამაგიეროდ უძველესი ისტორიით, კულტურით, ჩვენი სულიერი ფასეულობებით, ნიჭიერებითა და ადამიანური კაპიტალით ვართ ძლიერები. რაშიც ვართ ძლიერები ხდება ამ სფეროს დესაკრალიზაცია. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ისტორიულად მიმზიდველი ქვეყანაა. სადაც ძველთაგანვე გადიოდა "აბრეშუმის გზა" თუ თვითონ არ დავაფასებთ ჩვენს ღირებულებებს და ვერ შევინარჩუნებთ თვითმყოფადობას "ენა, მამული, სარწმუნოება", "ზიძია სემის" იმედზე ყოფნა რას მოგვიტანს არავინ იცის. "შესაძლებლობების ფანჯარა" რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით ამჟამად აქტიურად მუშაობს პანდემიასთან დაკავშირებით. რომელიც უაღრესად მოკლე დროში შეიქმნა. მიდის აქტიური კამპანია რომ ვაქცინა

საყოველთაო იქნება. სიტყვა ნებაყოფლობითი აღარ ტრიალებს. საყოველთაო და ნებაყოფლობითი ერთმანეთან არათავსებადია, თუ ნებაყოფლობითია ის ვერ იქნება საყოველთაო. ვინაიდან ადამიანთა დიდი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი და არ სურთ აცრა. მათ ჯერ-ჯერობით "ანტივაქსერებს" უწოდებენ. დღევანდელი ეს "ანტივაქსერები" დიდი ალბათობით ხვალ ალბათ "მავნებლებად", "მეამბოხეებად" ან "ბიოლოგიურ ბომბებად" მოინათლებიან. ვინაიდან ისინი გამოცხადდებიან საფრთხის შემცველებად გარშემომყოფებისათვის. ტექნოლოგიების წყალობით გლობალიზაციიდან გამომდინარე შეიქმნება ისეთი ბერკეტები და რეგულაციები რაც კანონმდებლობით გამყარდება რომ ანტივაქსერები იძულებულნი იქნებიან თავისი ნების საწინააღმდეგოდ ჩაიტარონ ვაქცინაცია. მოხდება ადამიანის თავისუფალი ნების იგნორირება ღმერთის მიერ მონიჭებული თავისუფალი ნების უგულებელყოფა. ზოგიერთი დაავადებული ადამიანი რომელმაც იცის რომ ოპერაციული ჩარევით განადგურდება უარს ამბობს ოპერაციაზე და ეს მისი ნებაა. არც ექიმს არც ოჯახის წევრს არა აქვს უფლება თუნდაც ავადმყოფის სიკეთისთვის დააძალოს ოპერაცია ან რაიმე სამედიცინო პროცედურა მისი ნების საწინააღმდეგოდ და შეიჭრას მის ბიოლოგიურ ორგანიზმში. დიდი ალბათობით მსოფლიო მოსახლეობა დაითვლება და დაიყოფა აცრილებად და აუცრელებლად. მსოფლიო ერთ დიდ ბიოლოგიურ პოლიგონს დაემსგავსება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი რომ ირლანდიაში უკვე შეიქმნა კოვიდ პასპორტი სადაც წერია თუ თქვენ არ იქნებით აცრილი გეკრძალებათ მოგზაურობა, სამსახურში სიარული, მაღაზიაში შესვლა და ა.შ. კოვიდ პასპორტზე ლაპარაკი პანდემიის დასაწყისშივე დაიწყო. მსოფლიოს პრეზიდენტები პირდაპირ ეთერში ღიმილიანი სახეებით იკეთებენ ვაქცინას, მილიარდული ბილგეისი ასევე ტელევიზიიდან აკეთებს საჯარო განცხადებას რომ ვაქცინაცია არ არის ჩიპიზაცია და ის პანდემიის შესაკავებლად არის შექმნილი. არსებობს აღმოსავლური ანდაზა ერთხელ ვთქვი დავიჯერე გაიმეორე და დავეჭვდი. ვინ რა ნივთიერებით იცრება პირდაპირ ეთერში ამის დადგენა შეუძლებელია. მაშინ როდესაც ექიმებმა ძალიან ცოტა იციან კორონა ვირუსის შესახებ დ. ტრამპსაც არ დასცალდა ვირუსის წარმომავლობასა და გავრცელებაზე გამოძიების ჩატარება, ძალიან ძნელია ბრმად ენდო შემოთავაზებულ ვაქცინაციას რომლის გვერდითი მოვლენებიც არ არის შესწავლილი. ჯერ ჯერობით მსოფლიოში ანტივაქსერების რიცხვი ბევრად მეტია ვიდრე მომხრეების. ვირუსის საწინააღმდეგო მიზნობრივი წამალი რომ შეექმნათ ის უფრო მისაღები იქნებოდა. ადამიანს შეიძლება საერთოდ არ შეხვდეს აღნიშნული ვირუსი ან უპრობლემოდ გადაიტანოს. რაც შეეხება ქრონიკულ დაავადებებს 10-დან 7 ადამიანს მაინც აქვს რაღაც დაავადება. ხარვიით ჯამრთელი ადამიანი იშვიათია, ხალიც კი ძალიან ბევრ ადამიანს აქვს, სამედიცინო ენაზე კეთილთვისებიანი სიმსივნეა და დაავადებად ითვლება. ის ნებისმიერ დროს შეიძლება გააქტიურდეს და კიბოდ გადაიქცეს. მსოფლიო სიმდიდრის თითქმის ნახევარი ერთი მუჭა ადამიანების ხელშია მოქცეული და მილიარდამდე ადამიანი შიმშილობს პლანეტაზე და იღუპება, მასობრივი განადგურების ატომური ბომბები გადანახული აქვს მსოფლიოს და ასევე ატომური ელექტროსადგურებს (ადამიანებისთვის სიკეთის მომტანია) მსოფლიო ეკონომიკა ვერ ამბობს უარს ეკონომიკურ ზრდაზე მწვანე ეკონომიკის სასარგებლოდ, იჩეხება ამაზონის ჯუნგლები რომელიც დედამიწის ფილტვებად იწოდება ბუნებრივი რესურსები რაც ღმერთისა და ბუნების საჩუქარია კაცობრიობისთვის და რაზეც უფლება აქვს ყველა ადამიანს კერძო ბიზნესების

ხელშია მოქცეული, ნანოტექნოლოგიებს პირველ რიგში სამხედრო სფერო ითვისებს და განიარაღების პოლიტიკაზე ლაპარაკიც კი არ მიდის (ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს) ასეთ რეალობაში ძალიან ძნელია რაიმეს დაჯერება. ის რაც ფულსა და მოგებას უკავშირდება გარკვეული ელიტისგან ძნელი დასათმობია და არც ის უნდა დაგვაფიქედეს რომ "უფასო ყველი სათაგურშია". არ გვინდა აღნიშნული სტატია პესიმისტურ ნოტაზე დავამთავროთ. მსოფლიომ კორონა ეპოქაში დაიწყო ცხოვრება, შეიქმნა ახალი პარადიგმა, პირბადიანი ადამიანები, კორონა ეკონომიკა, კორონა დღის წესრიგი, ვირტუალური ურთიერთობები, თუმცა ეკონომიკა არ უნდა დაუპირისპიროთ პანდემიას, ეკონომიკა საზოგადოების სარკეა, ეკონომიკა არის ისეთი როგორც საზოგადოებაა. ეკონომიკას მადლობა უნდა ვუთხრათ რომ მიუხედავად ამ მძიმე მოცემულობისა იგი ჯერჯერობით ინარჩუნებს სტაბილიზაციას და არ გაჩერებულა ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგები როგორცაა ენერგომატარებლები, უსაფრთხოება, ფარმაცია, ტვირთბრუნვა და ა.შ. ჩვენ ვინც გავიარეთ 90-იანი წლები კარგად გვახსოვს რა იყო ეკონომიკური დესტაბილიზაცია, ეკონომიკური კოლაფსი. უშუქობა, უგაზობა, სურსათის დეფიციტი, დეფიციტური ბიუჯეტი, კრიმინო-გენური სიტუაცია. დღევანდელი მსოფლიო ბევრად უკეთესად გამოიყურება თუმცა ეკონომიკური რეცესია დაწყებულია, იმედია კაცობრიობა უფრო ჯანსაღად შეაფასებს შექმნილ მოვლენებს მოხდება ბევრი სევდო ღირებულებების გადაფასება და თუ მსოფლიო ეკონომიკა ნამდვილად დაადგება ეკოლოგიზაციის გზას გლობალური მამტაბით და როგორც ჩვენმა ცნობილმა და დამსახურებულმა ექიმა ბატონმა თენგიზ ცერცვაძემ ბრძანა "ნუ გავილაღებთ" (რაც ზაფხულში აღარავის ახსოვდა) შესაბამისად ნურც ეკონომიკა, მაშინ კაცობრიობა ნაკლები დანაკარგებით გამოვა შექმნილი, მდგომარეობიდან. აქვე მოვიტანთ ერთ მაგალითს რომელიც ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ნამდვილი ნიმუშია. ნორვეგიაში რომელმაც გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა ნავთობის საბადო ჩრდილოეთის ზღვაში, 1963 წელს მიიღო კანონი რომლის საფუძველზეც ნავთობის მარაგები გამოცხადა სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო 1990 წელს ნორვეგიაში შეიქმნა სახელმწიფო ნავთობის ფონდი, რომელსაც მომავალი თაობების ფონდი ეწოდა. ნორვეგიელებმა ჩათვალეს რომ არ ქონდათ უფლება მთლიანად მოეხმარათ ნავთობიდან მიღებული შემოსავალი, ვინაიდან იგი მომავალ თაობებსაც ეკუთვნის. ამიტომ ნორვეგიაში კანონის თანახმად მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებზე მოდის ფონდის მხოლოდ 4%-ი, დანარჩენი კი ინახება თაობების ფონდში რომლის დაგროვებამ უკვე სოლიდურ თანხებს მიაღწია. მაგალითად დანაზოგმა 2005 წელს 180 მილიარდი დოლარი შეადგინა. იგი განთავსებულია საზღვარგარეთის ფასიან ქალაქებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაში. აქვე ორიოდე სიტყვით შევხებით ისეთ გენიალურ გამომგონებელს "სინათლის ადამიანს" როგორც მას უწოდებდნენ ნიკოლა ტესლას უკაბელო გადაცემის მსოფლიო სისტემის შემქმნელსა და 300 დაპატენტებული გამოგონების ავტორს. 1991 წელს ნ. ტესლამ ენერჯის უსადენო გადაცემის დემონსტრირება ჩაატარა და ამ ტიპის ელექტრონულ გამტარებს "ტესლას ეფექტი" უწოდეს. მას უწოდებდნენ კაცს – ვინც 21-ე საუკუნე გამოიგონა. იგი დროს უსწრებდა წინ. ტესლა ეწოდა ფიზიკურ ერთეულს საერთაშორისო სისტემაში მაგნიტური ველის ერთეულს, პლანეტას – "22-44 ტესლა" დაუდგეს რამდენიმე ძეგლი ერთ-ერთი ნიაგარას ჩანჩქერთან, ტესლა გამოსახულია სერბეთის ფულად ერთეულზე. ტესლასთვის ელვა, მეხი, სინათლე იყო ბავშვური

სათამაშოები მან ზეპირად იცოდა გოეთეს ფაუსტი და მუდამ ჩაესმოდა მუსიკა, უამრავი შემოთავაზებების მიუხედავად არასოდეს ყოფილა ფულზე დახარბებული. მას უყვარდა სინათლე და პლანეტა დედამიწა, იგი წუხდა ადამიანებზე. ტესლას უამრავი გამოგონებიდან იყო ერთი სახიფათო გამოგონეც, რომელიც "სიკვდილის სხივის" სახელით არის ცნობილი, ამ სხივს შეეძლო დედამიწის ორად გახლეჩა, მაგრამ ტესლამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გაანადგურა როგორც თავისი ლაბორატორია ასევე ჩანაწერები. მისი სიკვდილის შემდეგ მის გამოგონებებზე მონადირე ადამიანებს ყველაფერი განადგურებული დახვდათ. ტესლა არამარტო გენიალური გამომგონებელი უდიდესი ჰუმანისტი იყო (როგორც ა. აინშტაინი) და იგი არ დაუშვებდა რომ მისი გამოგონება ბოროტად ადამიანებს ჩავარდნოდა ხელში. ამდენად მხოლოდ ტექნოლოგიები, ან დიდი სიმდიდრე თუ მას თან არ ახლავს ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტური იდეალები, სიკეთე და კაცთმოყვარეობა, არანაირი ღირებულება არ გააჩნია და შეიძლება ბოროტების მომტანიც გახდეს. კაცობრიობამ დაძლია ბევრი ბოროტება როგორც იყო მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, ფაშიზმი, რასიზმი და ა.შ. იმედია ბუნებასთანაც გამოაცხადებს უსიტყვო კაპიტულაციას, მას შეხედავს როგორც ძვირფას საჩუქარს ღმერთის მიერ ბოძებულს და გააცნობიერებს რომ თვითონაც მისი ნაწილია, ნაწილი კი მთელთან ბრძოლაში ყოველთვის უპირობოდ მარცხდება. როგორც თ. ბეკონი ამბობდა "ბუნებაზე იმარჯვებენ მხოლოდ მისი კანონებით მორჩილები".

ბოლოს უდიდესი მადლობა მინდა გადაუხადო ბრწყინვალე მეცნიერსა და ბრწყინვალე ადამიანს პროფესორ რამაზ აბესაძეს რომელმაც აღნიშნული კონფერენცია მიუძღვნა მამაჩემის პროფესორ არჩილ თეთრაულის საიუბილეო თარიღს. ბატონი რამაზ აბესაძის თაოსნობით რამდენიმე წლის წინ გრანდიოზულად აღინიშნა პროფესორ არჩილ თეთრაულის 80 წლის იუბილე, მაგრამ მიუხედავად ამისა ბატონმა რ. აბესაძემ ამ გლობალური პანდემიის პერიოდში კიდევ ერთხელ მიაგო პატივი ღვაწლმოსილი ადამიანის ხსოვნას. მადლობა თქვენ ბატონო რამაზ თქვენისთანა ბრწყინვალე მეცნიერები და მამულიშვილები სანთლით არიან საქმბარი. სულ ბოლოს დავამთავრებ წმინდა მამა პაისი ათონელის სიტყვებით "ადამიანებო მოიხმარეთ იმაზე ნაკლები ვიდრე საჭიროა".

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, შრომების კრებული, ტ. XI. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2019 წ.
2. თეთრაული ც. მიწის რესურსების დაცვის ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებში. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, შრომების კრებული, ტ. XII. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2020 წ.
3. ხარშილაძე ი. ნიკოლა ტესლა, კაცი ვინც 21-ე საუკუნე გამოიგონა. გამომცემლობა პალიტრა L. თბ., 2018 წ.
4. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკის. გამომცემლობა "ეკონომიკა და სამართალი". თბ., 1992 წ.

**THE PROBLEMS OF ECONOMIC STABILIZATION IN THE MODERN WORLD AND
“OVERTON WINDOW”**

Summary

In the article the problems of economic stabilization of the modern world are considered.

*Lia Totladze
Mamuka Khuskivadze*

**THE EFFECT OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS
ON INNOVATION AND TECHNOLOGY TRANSFER**

***Annotation.** The aim of the paper is to study impact of foreign direct investment on the innovation and technology transfer. Foreign direct investment is a major driver of globalization, economic growth and industrialization. FDI has a particular impact on technological development, productivity and growth, and the acquisition and improvement of new knowledge or skills. FDI inflows would increase countries' R&D and innovation activities.*

For the purpose of the study, the paper analyzes the positive and negative impact of foreign direct investment on the development of the country, draw special attention to the role of foreign direct investment in innovation and high technology transfer in transition economy countries. The paper examines the dynamics of foreign direct investment in Georgia. The Government investment policy is presented, which is related to the attraction of quality investments in the real sector of the economy, the implementation of investments in high-tech sectors and the transfer of knowledge and technologies. The authors investigated technology and innovation and linked it with Global Innovation Index.

***Key Words:** Foreign Direct Investment, Innovation, Technology Transfer, Global Innovation Index.*

Introduction

Foreign direct investment (FDI) play an important role in transferring technology from home country into a host country. Technology transfer (TT) refers to any process by which a party in one country gains access to technical information of a foreign party and successfully absorbs it into its production process.

Literature Review

The literature on how FDI affects the innovative behaviour of firms in the host countries mostly based on the studies investigating the impact of FDI on growth, productivity, or wages in the host economies. Similarly, existing research that investigates whether FDI poses a negative or a positive externality on the production of new ideas or innovation is limited. This is of concern as innovation has been recognized as the engine of growth, and in growth models, such as those of Grossman and Helpman (1991) and Romer (1990); growth rate is modelled specifically as the function of the production of new ideas. In view of the fact that innovation plays a vital role in fostering growth and productivity, it is intriguing to investigate how innovation responds to the increasing FDI inflows since the latter is also supposed to be an ingredient of economic growth.

The new trade theory, introducing by Samuelson (1939) pay attention on competitive advantage. According to the theory, new or differentiated goods, markets separated into sections, changes in technology and economies of scale have become most important issues to obtain more competitive power in global market (Porter, 1998).

Today, the new trade theory raised by Krugman (1979), Dixit and Stiglitz (1979) and strengthened by Melitz (2003) argue that the international trade is no longer carried out by the state,

but MNCs producing new high technology which make them more competitive in global market. However, for developing countries, even they have rich natural resources; it is too difficult to catch the level of technology up in developed countries. However even if, they cannot produce different and high-tech products; they can transfer/import them via FDI.

FDI contribute to production of high quality/high-tech and value-added export products in host country. MNCs tend to increase expenditures on their R&D activities which help to create the new ideas, increase stock of knowledge that stimulates innovation and new technologies, production process and more high-tech goods within low cost local investment environment in the host country. Tang and Caroliner, (2012) told that Chinese National Innovation System (NIS), is composed of two complementary building blocks: FDI-based innovation system and indigenous innovation system. They suggest that, NIS must be able to improve the absorption and innovation capability of domestic firms and to strengthen university-enterprise interactions.

Lin (2010) examined the global welfare effects of international technology transfer or diffusion from forerunner economies to follower ones via FDI on international trade in intermediate goods, licensing, and imitative activities. He set up a dynamic general-equilibrium model of three countries (North, Middle, and South) to analyze how the Middle's refraining South-bound FDI affects international technology diffusion, international wage gaps, and international welfare.

The developing countries are trying to attract more FDI, to import high-technology from developed economies via spill over channels such as reverse engineering, skilled labour turnovers, demonstration effects, and supplier– customer relationships (Cheung and Lin, 2004). For economic units (countries or firms) the ability to absorb, internalize and utilize the knowledge which potentially made available to them by FDI inflows, are significant and necessary conditions (Ito et. al., 2012).

However, the absorption capacity of domestic corporations depends on their technology/efficiency level and skilled workers/human capital (Gorodnichenko et al., 2014). Zhang (2014) has investigated affects of FDI, on the Chinese industry by estimating several specifications. He used a large panel data for 21 manufacturing sectors and 31 regions covering the period of 2005–2010. He constructed the multidimensional index, to measure industrial performance. He used total share and per capita industrial output by FDI as independent variables which seem to be more suitable in capturing effects of FDI on Chinese industrial capabilities. He suggests that FDI has become a driving force for industrial performance as increased Chinese *Industrial Competitiveness* (IC) - ability to produce, competitive export manufactured goods, enhanced low-tech manufacturing and contributed interaction with local human capital during 2005–2010 period. The "*transfer of technology and managerial knowhow*" to host country are considered to be positive spillover effects on the economy. These effects may be remarkable by means of labour turnovers of skilled workers which enable local firms to internalize the technological know-how obtained from MNCs and make it become part of their attitude or way of production.

The internationalization of industries and research and development (R&D) activity by MNCs are significant factors for sustained economic growth and development of product or process innovation (Gorodnichenko et al., 2014). Cheung and Lin (2004), find empirical evidence about positive spillover effects of FDI on domestic patent applications, in China. Ito et al. (2012) examined the impact of R&D by foreign MNCs, on Total Factor Productivity (TFP) and patent application in Chinese domestic industry. They found substantial intra-industry spillover effects which were mostly stem from foreign MNCs' R&D activities that promote patent application and TFP. Sandu and Ciocanel Bogdan, (2014), confirmed that FDI are increasing production capacity of high-tech products, the number of patent applications and also are improving the national intellectual capital via R&D by the innovative foreign enterprises. Despite both private and public R&D expenditure have a positive effect on the medium and high-tech products export; private R&D expenditures, have a shorter term effect.

Gheribi E. and Voytovych N. investigated the impact of foreign direct investment on economically developed and developing countries and transition economy countries as far as technology transfer is concerned. The results show a significant foreign direct investment influence on the eco-

conomic growth of developing countries and transition economy countries. FDI allows technology transfer from developed countries to further extract surplus from the developing countries and transition countries (**GHERIBI E., VOYTOVYCH N., 2018**)

Empirical Analysis

Turkish economists Faruk Guersoy and Hüseyin Kalonçou, investigated impact of foreign direct investment on GDP growth in Georgia, according the research the connection between foreign direct investment and GDP growth in Georgia is strong. empirical studies (“Foreign Direct investment and Growth Relationship in Georgia”, International Journal of Economics and Financial Issues 2, 2012). The research is based and analysis 1997-2010 period. Positive relationship, statistically significant between GDP per capita and public expenditure on education found in study based on research the period 2000-2017. The paper suggests that education is contributing factor of per capita GDP (L. Totladze, 2020).

According National Statistic Agency of Georgia major economic sector for foreign direct investment is financial sector (42,4%). Energy sector 12,3%, manufacturing 12,1% and mining sector 10,3%, real estate 6,8% and communication 4,9%.

Foreign Direct Investment in 2012 - 2020

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 Preliminary data
FDI Million GEL	1048,2	1039,2	1837,0	1728,8	1652,6	1978,3	1306,3	1310,8	719

Source: www.geostat.ge

In 2016 was founded Georgia's Innovation and Technology Agency (GITA). Agency’s mission is a formation of an ecosystem which improves all kinds of innovations and technologies, to promote a commercialization of knowledge and innovations, to stimulate using them in all fields of economy, to create an environment for the growth of innovations and high-tech products and developing high-speed internet nationwide. To achieve these goals Agency is planning to develop its own infrastructural zoom to improve innovations and technologies, to provide their powerful commercialization mechanisms according to country’s innovation and technology development priorities; Facilitate the growth of venture capital and even private companies’ participation in the process of researches and commercialization of innovations, creating effective mechanisms for increasing competitiveness, including the active enrichments of distance learning tools. For the effective implementation of these missions Agency specifies the priority directions to invest in the development of the infrastructure for innovations, which will be expressed in opening technological parks, innovation centers and industrial laboratories. Agency also cares about forming an innovative and technological commercialization support instrument, to reach a high level internet access across the country, also frequently conducting quality and deficient in a labor market trainings due to growth competitiveness, including for trainers, as well; The Agency initiates legislative packages to stimulate innovations and technology development and availability of financing mechanisms.

According GITA’s information by Agency attracted 5 190 00Mln GEL FDI for innovation activity and additional 3 039 000 Mln Gel foreign direct investment attracted by start up companies.

For evaluate innovation activity and technological development different indicators are used. One of them is The Global Innovation Index (GII) co-published by Cornell University, INSEAD and the World Intellectual Property Organization (WIPO, a specialized agency of the United Nations).

The GII is a source of insight into the multidimensional facets of innovation-driven growth. Each year the GII presents a thematic component that tracks global innovation. The GII is based on 80 indicators including money spent on R&D as well as the number of international patent and trademark applications and other factors. The Global Innovation Index (GII) rests upon two sub-indices, the Innovation Input Sub-Index and the Innovation Output Sub-Index, each built around pillars.

Innovation Input Sub-Index: Five input pillars capture elements of the national economy that enable innovative activities:

1. Institutions (3 sub-pillars: Political environment, Regulatory environment, Business environment)
2. Human capital and research (3 sub-pillars: Education, Tertiary education, Research and development)
3. Infrastructure (3 sub-pillars: ICT, Energy, General infrastructure)
4. Market sophistication (3 sub-pillars: Credit, Investment, Trade and competition)
5. Business sophistication (3 sub-pillars: Knowledge workers, Innovation linkages, Knowledge absorption)

Innovation Output Sub-Index: Two output pillars capture actual evidence of innovation outputs:

1. Scientific outputs (3 sub-pillars: Knowledge creation, Knowledge impact, Knowledge diffusion)
2. Creative outputs (2 sub-pillars: Creative intangibles, Creative goods and services outputs)

The chart below indicate GII dynamic for Georgia

Global Innovation Index for Georgia 2012-2020

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
Index Score/Value	34,3	35,6	34,5	33,8	33,9	34,4	35	37	31,8
Index Rank	71	73	74	73	64	68	59	48	63

Source: <https://www.globalinnovationindex.org>

As can be seen from the analysis of the dynamics of this indicator, there has no substantial change in the country in terms of innovation. Judging by the current results, Georgia needs to encourage research and innovation, introduce innovative technologies in education, activate the private sector in the use, introduction and creation of innovations, and encourage the creation / production of innovative products.

Vertical FDI in Georgia outweigh the horizontal FDI, therefore, our problem in terms of investments is primarily in quality and the existing growing quantitative statistics do not clearly reflect the real changes. The introduction of technology in the country is virtually non-existent. It also has a less positive effect on increasing the FDI staff qualification level. For example, in technologically underdeveloped countries such as Cambodia or Bangladesh, vertical FDI can have a positive effect in terms of technology, because these countries are far behind in terms of technology. However, in Georgia, where the level of technology and industrial development experience is higher than in the above countries, the benefits from vertical FDI in these categories are almost non-existent, as investors have no reason to develop technologies and improve staff qualifications beyond cost as they optimize costs.

Conclusion

Attracting foreign direct investment is a vital necessity for Georgia. It can bring many positive effects to different sectors of its economy, both directly (vertical shear effect) and indirectly (horizontal shear effect). Georgia's place in the Global Innovation Index rankings means that there have been no turning points in the innovation development. The country has several important challenges that need to be addressed in order to make significant progress in the development of innovation. To make progress, effective steps need to be taken to develop education and research. The development of a high-tech cluster through foreign direct investment, priority sector and education policy in the context of Georgia is a highly interesting strategy. In the case of a high-tech development strategy, the main challenge is to introduce transfer of new technologies and productive knowledge.

References

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) გაანგარიშების მოკლე მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში (საქსტატი, 2019 წ)
2. L. Totladze. The Impact of Government Expenditure on Education and R&D as Factor of Homan Capital on Economic Growth. International Scientific Analytical Journal “Ekonomisti” 2020, #2. ISSN 1987- 6890 <https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2020.XVI.02.TOTLADZE>
3. ლ. თოთლაძე, მ. ხუსკივაძე. Covid-19 გავლენა პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“. თბილისი 2020. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/2020konf.saboloo.pdf>
4. GHERIBI E., VOYTOVYCH N. Prospects of Foreign Direct Investments in Technology Transfer. *Economic and Environmental Studies*. Vol. 18, No 2 (46/2018). ISSN 2081-8319. Available at: www.ees.uni.opole.pl
5. Global Innovation Index 2020. Cornell University, INSEAD, and the World Intellectual Property Organization (WIPO), 2020. Available at: <https://www.globalinnovationindex.org>
6. Gorodnichenko Y. Auerbach A. Effects of Fiscal Shocks in a Globalized World. 15th Jacques Polak Annual Research Conference the International Monetary Fund Washington, 2014.;
7. Guersoy F., Kalonçou H. Foreign Direct investment and Growth Relationship in Georgia. *International Journal of Economics and Financial Issues* 2, 2012
8. Foreign direct investment, the transfer and diffusion of technology, and sustainable development. United Nations Conference on Trade and Development. UNCTAD, 2010;
9. <https://gita.gov.ge>
10. <https://www.geostat.ge>

შეგი იაკობაშვილი

საქართველოს მრეწველობის განვითარების შესაძლებლობები

ანოტაცია. საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში რთულად ვითარდება, რის გამოც იგი განვითარებად სახელმწიფოთა რიგშია. მიჩნეულია, რომ ქვეყნები, რომლებიც მოსახლეობის ერთ სულზე ქმნიან მშპ-ს ათი ათას აშშ დოლარზე ნაკლებს, ღარიბ სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან. ჩვენთან კი ეს მაჩვენებელი აღნიშნულის ნახევარიც კი არ არის. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დგას ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, რაც თავის მხრივ მრეწველობის აღდგენის და განვითარების გარეშე წარმოუდგენელიცაა. წინამდებარე სტატიაში განიხილება მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესაზლებლობები და მისი მიღწევის გზები.

მრეწველობის სწრაფად განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია: საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, საგადასახადო ტვირთის შემცირება, სტაბილური სავალუტო კურსი და ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა, სამეურნეო კანონმდებლობის და მისი ოპერატიული აღსრულების უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, მრეწველობა, ეფექტიანობა

შესავალი

მრეწვლობა ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი დარგია. მართალია ბოლო ათწლეულების სტატისტიკით მომსახურების ზრდის ტემპი უფრო მაღალია მსოფლიოში, ვიდრე მრეწველობის, მაგრამ აღნიშნული ვერ აკნინებს ვერც მრეწველობას და ვერც მის მიერ შექმნილ პროდუქციას. მომსახურების მოცულობაც და ზრდაც დიდწილად სწორედ მრეწველობით განისაზღვრება. ვერ იქნებოდა ავტომობილების სარემონტო მომსახურება, რომ არარსებობდეს საავტომობილო წარმოება. იგივე ითქმის კომპიუტერების შესახებაც. უფრო მეტიც ინტერნეტის მომსახურება ვერ იარსებებსა კომპიუტერების გარეშე, ვერ იქნებოდა ელექტრონულ მომსახურებასთან დაკავშირებული უამრავი სექტორიც. აქედან გამომდინარე მრეწველობის და მისი შემადგენელი დარგების განვითარებას საჭიროა მიექცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

საქართველო, საბჭოეთის შემადგენელი რესპუბლიკებიდან, ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული შემადგენელი იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დადგომამდე, ანუ იმ პერიოდამდე სანამ დაშლას დაიწყებდა საბჭოეთი, ჩვენთან მრეწველობის დარგში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 35-38 პროცენტი იყო დასაქმებული და აწარმოებდა მაშინდელი საერთო პროდუქციის 60-65 პროცენტს.

წარსულს ჩაბარდა რკინის და ფოლადის გამოდნობა, თვითმფრინავების, ავტომობილების, მინიტრაქტორების, სამგზავრო სამდინარო ხომალდების და სხვ. მშენებლობა მშენებლობა, ჩარხების და ელმავლების შექმნა, მასიურად ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის კერვა და სხვ.

დღეისათვის მსოფლიოში არ მოიძებნება ტერიტორიით და მოსახლეობით საქართველოსთან შესადარი განვითარებული სახელმწიფო (ჰოლანდია, ისრაელი, ჰონკონგი და სხვ), სადაც მრეწველობა მაღალგანვითარებული არ იყოს, ამდენად საქართველოსთვის მრეწველობა პრიორიტეტი უნდა გახდეს.

1987 წლის სტატისტიკური წელიწდეულის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებული საერთო საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობამ 22643,1 მილიონი, ხოლო სამრეწველო პროდუქციამ 13722,5 მილიონი მანეთი შეადგინა (60,6 %) ¹⁷, რაც დღევანდელი კურსით შესაბამისად 220 და 137 მლრდ \$-ის ექვივალენტია. 2018 წელს კი საქართველოში შექმნილმა მშპ-მ შეადგინა 44 599.3 მლნ. ლარი, ხოლო მრეწველობაში შექმნილმა დამატებითმა ღირებულებამ - 3147,9 მლნ. ლარი ¹⁸, რაც აშშ დოლარებში შესაბამისად 15928,3 და 1124,2 \$-ია. არნიშნული ციფრები მიუთითებს, რომ 1987 წლიდან 2018 წლამდე სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შემცირებულია თითქმის 120-ჯერ.

ასეთი უარყოფითი მაჩვენებლების ფონზე, ბუნებრივია, უნდა გამოიყოს ის ძირითადი ფაქტორები, რამაც მრეწველობის, როგორც დარგის დაცემა გამოიწვია.

ამ უარყოფითი გლობალური ფაქტორებიდან ერთ-ერთი უპირველესია ტრადიციულად ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირებისა და გასაღების ბაზრების

¹⁷ Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Статистический ежегодник. Ебилиси 1988. с.14.

¹⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2019. გვ. 114, 137.

მოშლა, რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობა საბჭოური მრეწველობის ერთ-ერთი შემადგენელი იყო მჭიდრო და თანაც ცენტრალიზებული მომარაგება-გასაღების სისტემით, რაც სსრკ-სთან ერთად მოიშალა.

მაკროეკონომიკური ფაქტორები კი, რომლებმაც მრეწველობის დაცემა განაპირობა, შეიძლება დაჯგუფდეს ფულად-საკრედიტო. საბაზრო-ინფრასტრუქტურულ და საგადასახადო ხასიათის შემადგენლებად.

მაკროეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლენა, რაზეც დამოკიდებულია მრეწველობის ეფექტიანობა, განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით და მის ბაზაზე არსებული საგადასახადო გარემოთი.

საგადასახადო გარემოს განსაზღვრელია საგადასახადო კოდექსი. საზოგადოდ საგადასახადო სისტემა კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნით. უმეტესად განასხვავებენ: პროპორციულ და არაპროპორციულ, რეგრესიულ და სხვა საგადასახადო სისტემებს. საქართველოს საგადასახადო სისტემა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც არაპროპორციული, არადიფერენცირებული, მკაცრი სისტემა. იგი არ ითვალისწინებს გადასახადთა ტარიფების დიფერენცირებას ცალკეული დარგებისა და ეკონომიკის სექტორის მიხედვით.

საშემოსავლო გადასახადი აშშ-სა და ევროკავშირში დიფერენცირებულია. აშშ-ში იგი იცვლება 0%-დან 39,6% -მდე, ამასთან დაუბეგრავ მინიმუმად ითვლება 39000 \$-ის შემოსავალი. გერმანიაში იგი იცვლება 0%-დან 15%-მდე. ჩვენთან კი ასეთი დიფერენცირება არ არსებობს.

Государство своими действиями воспроизводит институциональную структуру. При необходимости оно может брать на себя часть функций экономических агентов (создавая госпредприятия). Прямое участие государства в страховой деятельности проявляется в качестве продавца страховых услуг в форме государственной страховой организации. Доля государства во многих секторах экономики целенаправленно снижается, что вполне естественно в современных условиях, к тому же это соответствует и процессам, происходящим в развитых странах и странах с развивающимися рынками. Например, страховая компания «Росгосстрах» в настоящее время приватизируется. Параллельно встают вопросы целесообразности учреждения других государственных организаций (например, государственной перестраховочной организации, компаний по страхованию экспортных кредитов и российских инвестиций в зарубежные страны, по страхованию государственного имущества и т. п.). В этом случае реализуется двойная роль государства как субъекта регулирования и организатора-участника хозяйственного процесса. Вместе с тем, не исключено оппортунистическое поведение государства, когда принимаются порой не совсем логичные с точки зрения оптимизации социально-экономического развития экономические решения. Однако это не означает, что следует давать категоричные, безапелляционные оценки, в частности видеть главную причину нестабильности - вмешательство государства в процесс взаимного приспособления рынков.

И наоборот, такие суждения, как «национальная страховая система - независима от государства», не должны отрицать цели государственного регулирования - обеспечение платежеспособности страховщика, его справедливости и добропорядочности.

Необходимо подчеркнуть, что регулирование может осуществляться в форме государственного и рыночного регулирования, саморегулирования и сорегулирования. Таким образом, в основе классификации механизмов регулирования могут быть два критерия - субъект и объект регулирования.

В зависимости от субъекта регулирования выделяются два основных аспекта: государственное регулирование (субъект - государство), рыночное регулирование (субъект - рынок).

Если в первом случае картина достаточно ясна, то во втором - ситуация не определена. Рыночное регулирование предполагает воздействие стихийных, спонтанных процессов, возникающих во внешней (по отношению к страховым организациям) экономической среде, характеризующейся неопределенностью и некоторой долей непредсказуемости. Как было уже замечено, в хозяйственной жизни наблюдается существование промежуточных форм - организаций саморегулирования и со-регулирования.

В зависимости от области регулирования классифицируется на правовое, административное, экономическое и финансовое. Правовое регулирование строго проводится в рамках действующего законодательства. Административное регулирование, являясь родственным по отношению к правовому, все-таки обладает собственной спецификацией - может быть реализовано без использования законодательной базы. Экономическое регулирование направлено на хозяйственную деятельность. Идентификация финансового регулирования проводится на основании области регулирования, определяемой исключительно финансовыми аспектами деятельности страховых компаний.

Функционирование современной страховой системы обеспечивается гармоничным сочетанием государственного регулирования, саморегулирования и со-регулирования. Государству необходимо оставить за собой «блокирующие» функции. Дерегулирование в финансовом секторе, как показала практика последних лет в развитых странах, может привести к весьма неприятным последствиям. На уровне саморегулирования должны быть сконцентрированы консультативные функции, такие, как стандарты корпоративного управления и этики, а также функции солидарной и социальной ответственности. Административный контроль желательно оставить за государственными структурами. И как бы ни были формализованы «доли» государственного регулирования, саморегулирования и со-регулирования, приоритетом остается социально-экономическая эффективность отрасли.

Ketevan Kokaia

TAX SYSTEM AND TYPES OF REGULATING INSURANCE ACTIVITY

Summary

The article examines other countries' experience in developing methods and types of regulating insurance activity. Aims, tasks and mechanisms of self-regulation in this field are rationalized. Negative aspects of self-regulation are revealed. In the author's opinion, a balanced combination of state regulation, self-regulation and co-regulation is needed for increasing socio-economic efficiency of insurance activity.

თეა ლაზარაშვილი

ინოვაციების სტიმულირების ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციის სტიმულირების მეთოდები და მათი კლასიფიკაცია. ჩამოყალიბებულია ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების ძირითადი საშუალებები. გაანალიზებულია ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ეროვნული თავისებურებები განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. გაშუქებულია სახელმწიფო მიერ ინოვაციების სტიმულირების ძირითადი მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, სახელმწიფო სტიმულირება, ინოვაციების სტიმულირების მეთოდები.

შესავალი

სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების სტიმულირება მაღალ შედეგებს იძლევა. საზღვარგარეთის ქვეყნებში ხორციელდება დაბალანსებული ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პირდაპირი და ირიბი მხარდამჭერი ზომების კომბინირებას. კანადაში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და იაპონიაში სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადაჭრა სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობით ხდება. ინოვაციების სტიმულირება ხორციელდება სპეციალური უწყებებისა და სამინისტროების მუშაობის, აგრეთვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური ფონდების, კომერციული ბანკების, ტექნოპარკების, სადაზღვევო ფონდების წყალობით, დაბეგვრის განაკვეთის შემცირების, შეღავათიანი კრედიტების, რისკების დაზღვევის, ვენჩურულ მეწარმეობაში ფულადი ინვესტირების ხარჯზე. ინოვაციური საქმიანობა ხორციელდება და დაცულია კანონმდებლობით.

ინოვაციების სტიმულირების მეთოდები ზოგადად იყოფა პირდაპირ და ირიბ მეთოდებად. ინოვაციების სტიმულირების პირდაპირ მეთოდებს მიეკუთვნება სამეცნიერო შემუშავებების საბიუჯეტო დაფინანსება, შეღავათიანი დაკრედიტება, ინოვაციური საქმიანობის კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთის ნაწილის სუბსიდირება, სახელმწიფო შეკვეთები და სხვა.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდამჭერ ირიბ მეთოდებს მიეკუთვნება ინოვაციური პროცესების რეალიზაციისათვის ისეთი ეკონომიკური კლიმატის და სტიმულების შექმნა, რომელშიც ინოვაციური საქმიანობა ყველაზე კარგად ვითარდება. მათ შორის მნიშვნელოვანია გამოვყოთ ინოვაციების საგადასახადო სტიმულირება. მის ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს საგადასახადო კრედიტი, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოებს შეამცირონ დარიცხული გადასახადი იმ თანხაზე, რომლიც იხარჯება კვლევებსა და შემუშავებებზე.

მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ აშშ-ში 100-ზე მეტი შეაღვათებია დაწესებული, რომლებიც სტიმულირებენ ინოვაციურ საქმიანობას. ამავდროულად შეღავათები ეძლევათ რეალური ინოვაციების წასახალისებლად, არა სამეცნიერო ორგანიზაციებს, არამედ საწარმოებსა და ინვესტორებს. შეღავათების გადახედვა რეგულარულად მიმდინარეობს, რაც საშუალებას იძლევა მიზანმიმართულად მოხდეს ინოვაციური აქტივობის სტიმულირება პრიორიტეტულ დარგებში და აგრეთვე, ზემოქმედება მოახდინონ წარმოების სტრუქტურაზე. მაგალითად, ესპანეთში, კანადასა და აშშ-ში არსებობს ინოვაციების საგადასახადო სტიმულირების დამატებითი მექანიზმები რეგიონულ დონეზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ინოვაციების ფინანსურ სტიმულირებაზე, რომელიც მოიცავს ფინანსური რესურსების მოდინების წყაროებს, მათ აკუმულირებას, ინვესტიციებზე კონტროლის განხორციელებას, აგრეთვე ინოვაციურ პროცესში თანხების ჩადების ზრდის მექანიზმს. მის განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს ინვესტიციური საქმიანობის დაფინანსების მრავალ-ფეროვანი წყაროები, რომელთა შორისაა სახელმწიფო კაპიტალი, საკრედიტო რესურსები, ინვესტიციები ფასიან ქალაქებში, საწარმოებისა და ორგანიზაციების ვენჩურული, უცხოური და საკუთარი კაპიტალი.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ, ინვესტიციების კლასიფიკაციაზე. ამ მხრივ საყურადღებოა ა.ა. ლუპინი ინვესტიციების კლასიფიკაციას, რომლებიც

მიმართულია ინოვაციური საქმიანობისაკენ, იგი მათ კლასიფიკაციას ახდენს შემდეგი კრიტერიუმებით:

- საკუთრების ფორმით (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო, შერეული);
- დაბანდების ფორმის მიხედვით: პირდაპირი (ფინანსური რესურსების ცადება), პორტფელური (ფასიანი ქაღალდების შექმნა ანდა კრედიტების შეთავაზება);
- ფინანსური უზრუნველყოფის მეთოდების ალტერნატივის მიხედვით (ლიზინგი, ვენჩურული დაფინანსება, ფაქტორინგი და სხვა).

დღეისათვის ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების ძირითად წყაროებად გამოდიან:

- საბიუჯეტო ასიგნებები ფედერალური და რეგიონული დონის;
- საინვესტიციო კომპანიების და კომერციული ბანკების ფინანსური რესურსები;
- საწარმოების საკუთარი სახსრები;
- საზღვარგარეთული ინვესტიციები;
- სამეცნიერო ფონდების სახსრები.

საბაზრო ურთიერთობების ხასითს უმეტესწილად შეესაბამება საკრედიტო რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ინოვაციური საქმიანობის ყველა ეტაპზე. ამასთან ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ. რუსეთში ინოვაციური საქმიანობის დაკრედიტება არ იღებს ფართო გავრცელებას და უმეტესწილად მისაღწევია, მხოლოდ მსხვილი და საშუალო საწარმოებისათვის.

ინოვაციის დანერგვის აუცილებლობა მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ძვირადღირებული მოწყობილობების გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით, ინოვაციური საქმიანობის ფინანსირების გავრცელებულ წყაროს ლიზინგი წარმოადგენს. ლიზინგი მეწარმეებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების თანამედროვე პირობებთან ადეკვატურ ფორმას წარმოადგენს. ლიზინგური გადასახადები ჩვეულებრივ წარმოადგენენ ფიქსირებულ თანხას, რაც იცავს ლიზინგის მიმღებს ინფლაციისაგან. ლიზინგურ ოპერაციებში მონაწილეებისათვის მომგებიანია ამორტიზირებული და საგადასახადო შეღავათების გამოყენება, რომელთა შორისაცაა დაჩქარებული ამორტიზაცია. ამ შეღავათების გათვალისწინებით მცირდება საპროცენტო განაკვეთები.

ვენჩურული დაფინანსება თამაშობს მნიშვნელოვან როლს ინოვაციურ საქმიანობაში და წარმოადგენს ინვესტირების დამოუკიდებელ მიმართულებას, რომელიც განსხვავებულია ტრადიციულისაგან და დაკავშირებულია სარისკო ოპერაციებთან. იგი მოიცავს სახელმწიფო რეგულირების შემდგომ მექანიზმებს: ვენჩურული ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსება, საგადასახადო შეღავათები, ვენჩურულ კრედიტებზე სახელმწიფო გრანტები და ინოვაციური საწარმოების კაპიტალში მონაწილეობა, ინოვაციური გარემოს რეგულირება (ინოვაციურ პროცესებში სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო ფონდების ჩართვა).

ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს ინოვაციური ინფტასტრუქტურის ელემენტს, იგი აერთიანებს ფინანსური რესურსების მფლობელებსა და ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შემმუშავებლებს სასტარტო ინოვაციური პროექტების სექტორში. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინოვაციური განვითარების მრავალფეროვანი ინსტიტუტები.

მსოფლიო პრაქტიკაში ეკონომიკურ სისტემებში ინოვაციური პროცესების აქტივიზაციისათვის ეკონომიკური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი არსებობს. თითოეულ ქვეყანაში არსებობს საკუთარი ფორმირებული ეროვნული სისტემა, ინოვაციური

ინფრასტრუქტურა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ზოგიერთი ეროვნული თავისებურებები.

მაგალითად, ავსტრალიაში, კანადაში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მოქმედებს ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისა და მხარდამჭერი რეგიონული პროგრამები, შეღავათებიც ძირითადად რეგიონილ დონეზე ხდება, რაც შეეხება დაფინანსების სისტემას, მოქმედებს შერეული სისტემა, სადაც გამოკვეთილია კერძო კაპიტალის გადიდებისკენ მიმართული ტენდენცია;

ბელგიაში, იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში - ძირითადად სახელმწიფო პროგრამები მოქმედებს, შეღავათებიც ძირითადად სახელმწიფო დონეზეა, დაფინანსების სისტემას კი შერეული ხასიათი გააჩნია, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტების უმნიშვნელო წილია;

შვედეთში, იაპონიასა და გერმანიაში - არსებობს ინოვაციების სტიმულირების სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი პროგრამები. შეღავათები ძირითადად სახელმწიფო დონეზეა და დაფინანსების შერეული სისტემა არსებობს.

საზღვარგარეთ საპენსიო ფონდები აქტიურად მონაწილეობენ ინოვაციური პროექტების დაფინანსებაში, მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში მათ არ აქვთ უფლება დაკავდნენ კომერციული საქმიანობით.

განვითარებულ ქვეყნებში ფართო გავრცელება ჰპოვა ფრანჩაიზინგმა, რომლის ქვეშ გაიგება კომპანიების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ლიცენზიების მინიჭება წარმოებასა ანდა საქონლის გაყიდვაზე მისი სასაქონლო ნიშის ქვეშ, რის ხარჯზეც მცირდება დანახარჯები მათ შემუშავებაზე, ბაზრების კვლევაზე, პერსონალის ტრენინგებსა და რეკლამაზე.

სახელმწიფო ინოვაციების სტიმულირების ძირითად თვისებას წარმოადგენს:

- საგადასახადო შეღავათებისა და სახელმწიფო გარანტიების შეთავაზება;
- ინოვაციური საწარმოებისათვის რეგიონული შეღავათების მიწოდება;
- საბაჟო-სატარიფო რეგულირება საბაჟო კავშირების შექმნისა და თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის ფარგლებში.

სხვადასხვა ქვეყნებისათვის საერთო მეთოდების გარდა, არსებობს სპეციფიკური მეთოდები და ინსტრუმენტები ინოვაციის სტიმულირების, რომლებიც დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკების თავისებურებებზე. მაგალითად არგენტინასა და ჩილეში „ჩრდილოვანი“ კაპიტალის ლეგალიზაციის მიზნით მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ არ მოეხდინათ ფულადი სახსრების დეკლარირება 3-5 წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ისინი ჩადებული იქნებოდა ინოვაციურ საქმიანობაში. თუმცა, ამ ქვეყნებში მოქმედებდა პრინციპი, რომელიც გულისხმობდა, რომ არ უნდა გამჟღავნებულიყო მათი სახელები და საგადასახადო ამინისტიის წარსულში გადაუხდელი გადასახადები. ანალოგიური ზომები გამოიყენებოდა ისეთი ქვეყნების მიერ, როგორცა საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია.

საზღვარგარეთ ინოვაციური ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის კეთილსასურველი პირობების ფორმირება უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბაზაზე, რომლის ქვეშ იგულისხმება „ინსტიტუციური და ორგანიზაციული ალიანსი“ სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის, საზოგადოდ მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციის მიზნით ფართო სპექტრით მრეწველობის დარგებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში. უმეტესობა მათგანი ფუნქციონირებს ერთობლივი სახელმწიფო-კერძო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ფორმით რომლებიც ორიენტირებული არიან ერთობლივი კვლევითი შემუშავებების განხორციელებაზე.

ინოვაციური პროცესების აქტივიზაციის მნიშვნელოვანი წყარო მსოფლიოში კორპორაციული სტრუქტურებია, რომლებიც წარმოადგენენ სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმას, ერთობლივი მიზნების მიღწევის მიზნით და საშუალებას იძლევიან კონცეტირება მოახდინონ მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსების იმ აქტუალური პირობების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებული არიან ინოვაციებთან. კორპორაციების უპირატესობა განპირობებულია დიდი ფულადი რესურსების კონცენტრაციის შესაძლებლობით და აგრეთვე სახელმწიფოებო შეთანხმებებით, კორპორაციის შიგნით და სახელმწიფოსთან. ამასთან დაკავშირებით, ურთიერთქმედებისა და ინტეგრაციის განვითარება მსხვილი, საშუალო და მცირე სამეწარმეო სტრუქტურების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მეცნიერებისა და განათლების, ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება ხდება.

1980-იან წლებში აშშ-სა და ევროპაში ფართო გავრცელება ჰპოვა ტექნოპარკების შექმნამ, ე.წ. „ბიზნეს-ინკუბატორების“, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს ინოვაციური ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პირობების ფორმირება. მსგავსი ინსტიტუტები მოწოდებულია მოიზიდოს ფინანსური რესურსები, განავითაროს ინოვაციური პროცესები და რეალიზება გაუკეთოს პერსპექტიულ სამეცნიერო იდეებსა და შემუშავებებს. ამჟამად „ბიზნეს-ინკუბატორები“ აგრძელებენ თავიანთი საქმიანობის განხორციელებას და აერთიანებენ თავიანთი საწყისის ქვეშ დაწესებულებებს, სამეცნიერო ინსტიტუტებს და ცენტრებს, აგრეთვე, საწარმოებს. ტექნოპარკები მოიცავენ რეგიონულ და დარგობრივ საქმიანობას. უმეტესობა „ბიზნეს-ინკუბატორები“-სა შექმნილია სასწავლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების ბაზაზე და მუდმივად ხდება მათი გაზრდა. საწარმოებს ეძლევათ მოწყობილობები ლიზინგში ხელსაყრელი პირობებით, ეწევათ საკონსულტაციო მხარდაჭერა, ბუღალტერიის წარმოებასა და სამეცნიერო კვლევების გატარებისათვის დახმარება.

აშშ-ში, კანადაში, დანიაში და სხვა ქვეყნებში არსებობს ისეთი სისტემა, რომელიც წარმოადგენს ფერმერების მიზანმიმართული სწავლების განსაკუთრებულ სახეს, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ უახლესი სამეცნიერო მიღწევები რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინტერესს იწვევს კვების მრეწველობისა და ეკონომიკის აგრარული სექტორის ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების კანადის გამოცდილება, სადაც ინოვაციური განვითარების აქტივიზაციის საკვანძო ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები. „კანადის საერთაშორისო სოფლის მეურნეობისა და კვების პროგრამა“, რომელიც მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას, უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზრებზე. „ინოვაციური პროდუქტების სოფლისმეურნეობის პროგრამა“ აწვითარებს სამეცნიერო კვლევებს ბიოტექნოლოგიის სფეროში.

აშშ-ში მრეწველობის მხარდაჭერის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ინოვაციების დანერგვის სტიმულირება წარმოების ყველა სტადიაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოყენებული რესურსების რაოდენობას და ერთდროულად აუმჯობესებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს. ამერიკული ინოვაციური მექანიზმის მნიშვნელოვან შტრიხს სახელმწიფოსა და ბიზნესის მჭიდრო ურთიერთქმედება წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ა.ე. ლუკინის მიერ გამოყოფილ ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო სტიმულირების 3 ფორმაზე: ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული და ფინანსური. ადმინისტრაციულს ის მიაკუთვნებს მაკროეკონომიკური რეგულირების სისტემას, რომელიც მიმართულია ინოვაციური

საქმიანობის სტიმულირებისაკენ და საავტორო უფლებების დაცვის სისტემის ფორმირებისაკენ. ინფრასტრუქტურული ფორმა მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების და კვალიფიციური პერსონალის ბაზისა და ინოვაციის ბაზის ფორმირების მექანიზმებს. ფინანსურ ფორმას მიეკუთვნება ინოვაციური პროექტების სახელმწიფო ფონდირება კერძოდ, სუბსიდიები და გრანტები, ვენჩურული დაფინანსებისა და ინოვაციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების გამოყენება.

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისეთ ქვეყნებში როგორცაა საქართველო ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება აუცილებლობას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა სამამულო ინოვაციური საქმიანობის შეთავსება წამყვან მსოფლიო გამოცდილებასთან, რომელიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ სახალხო მეურნეობის ინოვაციური დარგების სტიმულირების შედეგებით პერსპექტიული ფორმები და მეთოდები.

უმრავლესობა საზღვარგარეთის ქვეყნების მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ინოვაციური მიმართულება. უმეტესობა განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკაში მთავარს წარმოადგენს საკანონმდებლო და ორგანიზაციული ზომების მთელი კომპლექსის რეალიზაცია, რომელიც მიმართულია ქვეყანაში კეთილსასურველი „ინოვაციური კლიმატის“ შექმნისა და მხარდაჭერისკენ. პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს მრეწველობის დარგების ინოვაციური განვითარებისათვის და ინოვაციური საქმიანობისათვის პირობების შექმნა.

დაკვნა

საზღვარგარეთის სახელმწიფოების ძირითადი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის შედეგების ადაპტაციის სტიმულირებას, თანამედროვე სამეწარმეო გარემოს მოთხოვნებთან. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა ლოკალური და კომპლესური მექანიზმები, რომლებსაც მიეკუთვნება განსაკუთრებული სტატუსის თანამედროვე ეკონომიკური ზონები.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციური პროცესები ვითარდება სახელმწიფო და კერძო დაფინანსების ხარჯზე. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინოვაციური კლიმატი: საკანონმდებლო ბაზა, ინფორმაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველმყოფი კვლევების, ურთიერთქმედება ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს შორის. სახელმწიფო ქმნის ინფრასტრუქტურას, რომელიც მოიცავს ქვეყნის შიგნით ინფორმაციულ სისტემას და რომელიც შედგება ინოვაციებისათვის საკონსულტაციო ცენტრებისა და ინოვაციების გავრცელების ცენტრებისაგან. ევროპის კომისიის მიერ ევროპის 30 სახელმწიფოში შექმნილია ინოვაციების გაცვლის ცენტრების ქსელი, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური ტექნოლოგიების გადატანას სამეცნიერო ორგანიზაციებიდან ბიზნესისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Богомоллова С.В. Стимулирование развития инновационной деятельности промышленных предприятий. Электронный научный журнал «ВЕКТОР ЭКОНОМИКИ», 2018 №11.
2. Емельянова Е.В., Харчикова Н.В. Цели и методы государственного регулирования инновационной деятельности: российский и зарубежный опыт. ж. Экономика и бизнес. 2019, №2.

3. Парфенова М.В. Принципы государственной формы стимулирования инновационной деятельности // Экономика. Инновации. Управление качеством. – 2013.

4. Паламарчук С.В. Анализ зарубежного опыта стратегического управления инновационной деятельности регионов//Экономика и предпринимательство. 2015. №12-1(65) с. 987-990.

Tea Lazarashvili

FORMS, METHODS AND TOOLS FOR STIMULATING INNOVATIONS

Summary

The paper discusses the state incentives for innovations. The classifications of the methods of state stimulating the innovations are considered. The main means of financing innovative activities are established. The national peculiarities of stimulating innovative activities are analyzed on the example of developed countries. The main characteristics of state stimulation of innovations are covered.

Keywords: *Innovations, State Incentives, Innovation Stimulation Methods.*

*მედეა მელაშვილი
ქეთევან ქველაძე
ნუნუ ქისტაური*

ეკოლოგიურ პრობლემებზე პანდემიის გავლენის ზოგიერთი საკითხი

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო საკითხს – ეკოლოგიას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს პანდემიის პირობებში; გაანალიზებულია ზოგადად ეპიდემიების და კერძოდ კორონავირუსის ფონზე ეკოლოგიაში წარმოქმნილი ცვლილებები, რომლებიც დღეს შეიძლება დადებითადაც კი აღიქმებოდეს. მოყვანილია საინტერესო ციფრობრივი მასალა. ძნელია იმის თქმა, რომ პანდემიას, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე მიაქვს, რაიმე დადებითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ეკოლოგიის კუთხით ეს მართლაც ასე ხდება – ატმოსფეროს გაწმენდა, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, გამონაბოლქვის მინიმუმამდე შემცირება..., თუმცა ამას ხანმოკლე პერიოდი აქვს. მსოფლიომ ნათლად დაინახა, რომ ბუნებას ნამდვილად გააჩნია თვითაღდგენის უნარი, თუკი ადამიანი მას თავისდა საზიანოდ არ შეუშლის ხელს.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგია, პანდემია, კოვიდ-19, ატმოსფეროს დაბინძურება, ნარჩენების გადამუშავება, პლასტიკური ნარჩენები.

მსოფლიოს წამყვანმა ეკონომისტებმა, ეკოლოგებმა, პოლიტოლოგებმა და სხვა სპეციალისტებმა დაადგინეს ძირითადი ფაქტორები, რაც გლობალურ გავლენას მოახდენს კაცობრიობაზე უახლოეს პერიოდში. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ – ძირითადი ტრენდი გახდება ეკოლოგიური პრობლემები. ეკოლოგებისათვის „ეპიდემიების ეფექტი“ უძველესი დროიდანაა ცნობილი. მაგალითად, VI საუკუნის დასაწყისში ბიზანტიაში, ეთიოპიაში, ეგვიპტეში „იუსტინიური ჭირი“ გავრცელებულა, რასაც 125 მლნ ადამიანის სიცოცხლე წაუღია, მაგრამ დადებითი შედეგიც მოუტანია

ფლორასა და ფაუნისთვის: რომაელების მიერ ტყეების მასიური გაჩეხვა შეჩერებულა, თანაც ეპიდემიის პერიოდში გაჩეხილი მასივების აღდგენაც დაწყებულა და ამას არა მარტო ფლორა, არამედ უამრავი ჯიშის ცხოველიც გადაურჩენია. მსგავსი ეფექტი დღესაც შეიმჩნევა: დიდ ქალაქებში ისეთი ჯიშის ფრინველები დაბრუნდნენ, რაც დიდი ხანია არავის შეუმჩნევია. უფრო მეტიც, ევროპული კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ არქტიკის თავზე ოზონის შრეში რეკორდული ზომის ხვრელი გაქრა. თანამგზავრული ფოტოები, რომლებიც აფიქსირებს ადამიანის საქმიანობის შედეგებს – გაზების გამონაბოლქვს ავტომობილებიდან, თვითმფრინავებიდან, ელექტროსადგურების და ქარხნების მიერ მოხმარებული საწვავის კვალს და ა.შ. - ამჯერად აჩვენებს ჰაერის დაბინძურების საოცარ კლებას (სასათბურო გაზების გამოყოფა მსოფლიოში წელიწადში 54 მლრდ ტონას უტოლდება).

როგორც კი Covid-19 ჩინეთის საზღვრებს გასცდა და მთელ მსოფლიოს მოედო, ავიამიმოსვლები ქვეყნებს შორის შემცირდა და შემდეგ აიკრძალა, რის გამოც 2020 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ავიამგზავრების რაოდენობა 67 მილიონით შემცირდა წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ასოციაცია IATA-ს პროგნოზით მსოფლიო საჰაერო ინდუსტრია ამ წელს 113 მლრდ აშშ დოლარს დაკარგავს.

კომპანია Bloomberg LP-ის მონაცემებით, კორონავირუსის უარყოფითი შედეგები მსოფლიო ეკონომიკაზე 2020 წელს 5 ტრლნ აშშ დოლარს გაუტოლდება. იმავე აქვეყნებს საერთაშორისო სააგენტო JP Morgan Chase & Co – 5 ტრლნ აშშ დოლარი, რაც ნიშნავს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 8%-ით დაცემას.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ატმოსფეროსათვის კორონავირუსის გამო ცოტაოდენი გაუმჯობესება მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება. მასშტაბური ეკონომიკური ვარდნა შეამცირებს ადამიანების ინტერესს ეკოლოგიური პრობლემების მიმართ – წინა პლანზე გადმოვა გაცილებით უფრო საჭირობო საკითხები – ჯანმრთელობა, სამუშაო, საპენსიო დანაზოგები, უძრავი ქონება და სხვ. მათი დასკვნებით ეკონომიკური ვარდნის შეჩერება პროვოცირებას გაუკეთებს ე.წ. „ბინძური“ დარგების დაჩქარებულ ზრდას, რომლებსაც ყველაზე სწრაფად შეუძლია ეკონომიკური ეფექტის გამოწვევა. საკარანტინე ღონისძიებების შემცირებისთანავე ეკონომიკა მალე დაუბრუნდება ძველ ნიშნულებს და მავნე აირების გამოყოფაც ისევ გაიზრდება. 2009 წლის კრიზისის დროს მსოფლიო მშპ 2.2%-ით დაეცა, მავნე აირების გამოყოფა 1.3%-ით შემცირდა, მაგრამ 2010 წელს ძველი მაჩვენებლები აღდგა.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ვირუსი, რომელმაც ათასობით ადამიანი მოკლა და მილიონობით კაცი კარანტინში ჩასვა, დროებით, მაგრამ მაინც, გაასუფთავა გარემო, მნიშვნელოვნად შეცვლის კლიმატს. ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ პანდემია, აუმჯობესებს რა ეკოლოგიურ სიტუაციას დღეს, პროვოცირებას გაუკეთებს მის სერიოზულ გაუარესებას პერსპექტივაში. მაგ., პანდემიას უკავშირდება კიდევ ერთი პრობლემა: მხოლოდ ერთჯერადი პირბადეების, ხელთათმანების, ხელსაწმენდების გამოყენება. მათი მრავალჯერადი გამოყენება ზრდის დაავადების გავრცელების რისკს. ამის გამო გროვდება მათი უზარმაზარი მასა. თანაც ცნობილია, რომ სამედიცინო ნარჩენების გადამუშავება აკრძალულია. ისინი სპეციალური წესით ნადგურდება. ამ პერიოდში მთელ მსოფლიოში სწორედ სამედიცინო ნარჩენები გაიზარდა უამრავჯერ. მაგალითად, „პოპულარულ“ იუჰანში ზოგჯერ დღეში 200 ტონას აღწევდა. ფაქტია, რომ მკაცრი ეკოლოგიური ნორმატივები ყოველთვის ძვირი „სიამოვნებაა“, ამიტომ რეცესიის, უმუშევრობის ზრდის და სხვა კრიზისულ სიტუაციებში პრიორიტეტები თავისთავად იცვლება. ეკოლოგია ისევ გადადის იმ პრობლემათა რანგში, რომელზეც ეკონომიკას ეწევა ყველა. ამით, რა თქმა უნდა, დიდი დარტყმა მიადგება „მწვანე“

ინიციატივებს, ასევე იმ საკონტროლო მექანიზმებს და ვალდებულებების შესრულებას მთელ მსოფლიოში, რომელიც გათვალისწინებულია „კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმების“ დოკუმენტებში, რაც მსოფლიოში ნახშირორჟანგის ატმოსფეროში გაფრქვევის უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებათა ერთობლიობას წარმოადგენს. მსუბუქად რომ ვთქვათ, მათთვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვეღარ მოიცლიან, როგორც ხდება ყოველი ეკონომიკური კრიზისის დროს.

აღნიშნული სიტუაცია თვითონ „მწვანე“ ტექნოლოგიების და ენერჯის აღდგენითი წყაროების სექტორს დაარტყამს. ინვესტიციები და მნიშვნელოვანი ინიციატივები ამ მიმართულებით უბრალოდ გაიყინება. მაგალითად, მოწინავე ანალიტიკურმა კომპანიამ სუფთა ენერჯეტიკის დარგში BloombergNEF-მა უკვე შეამცირა 2020 წელს მზის ენერჯიაზე მოთხოვნის ზრდის თავისივე პროგნოზი, რადგანაც პოლიტიკოსები და კორპორაციები სადღეისოდ მოკლევადიან ეკონომიკურ სტიმულებზე გადაერთნენ გრძელვადიანების ნაცვლად.

ჩინეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნად ითვლება. მაგალითად, 2003 წელს მისი წილი მსოფლიო მშპ-ში 1%-ს შეადგენდა, 2019 წლისათვის კი უკვე 25%-ს გაუტოლდა. მსოფლიოში მრავალი მწარმოებელიც და მომხმარებელიც ჩინეთის ეკონომიკაზე, როგორც ერთ-ერთ უდიდეს ექსპორტიორ ეკონომიკაზე, გახდა დამოკიდებული.

მსოფლიოში პირველმა ჩინეთის მთავრობამ 2020 წლის 3 იანვარს ოფიციალურად გამოაცხადა კორონავირუსული პანდემია Covid-19-ის არსებობა ქალაქ უჰანში (უჰანის წილი ქვეყნის მშპ-ში 4%-ს შეადგენს). ჩინეთში მაშინვე შემოიღეს მკაცრი შეზღუდვები გადაადგილებასთან დაკავშირებით, დახურეს რიგი წარმოებები. ამან გარკვეული შედეგები გამოიღო - მსხვილი საწარმოების გაჩერებამ საგრძნობლად შეამცირა ელექტროენერჯის მოხმარება, რის გამოც ექვსმა უმსხვილესმა ელექტროსადგურმა 40%-ით დასწია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაჩვენებელი (2019 წლის ბოლო თვეებთან შედარებით). ენერჯეტიკის და სუფთა ჰაერის კვლევის ცენტრის ფინეთის CREA-ას მონაცემებით, 3 თებერვლიდან 1 მარტამდე CO₂-ის გამოყოფა ჩინეთში შემცირდა 25%-ით, ასევე დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის (NO₂) ძალიან მავნე გამოყოფის მაჩვენებლის შემცირებაც 20-30%-ით. ეს მაშინ, როდესაც სწორედ ჩინეთი არის დედამიწაზე ატმოსფეროს მთავარი დამაბინძურებელი (მასზე მოდის ჰაერში გაშვებული CO₂-ის 30%).

ორგანიზაცია Cardon Brief-ის მონაცემებით, ჩინეთში მავნე აირების გამოყოფის შემცირების მსგავსი მაჩვენებელი ბოლოს 2008 წელს დაფიქსირდა. ამ დროს ჩინეთი ემზადებოდა პეკინის ოლიმპიადის ჩასატარებლად და დიდი ძალისხმევა გაიღო მსგავსი სიტუაციის შესაქმნელად.

ჩინეთის ეკოლოგიის და გარემოს დაცვის სამინისტროს 2020 წლის თებერვალ-მარტის (პანდემიის დაწყების) მონაცემებით, ქვეყნის 337 ქალაქში დღეების რაოდენობა ე.წ. „კარგი ხარისხის ჰაერის“ ინდექსით 21.5%-ით გაიზარდა (წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით). მოგვიანებით, ზაფხულის თვეებში მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა და 11.4%-ს გაუტოლდა (ასევე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით).

თუმცა ყოველივე ამან ეკონომიკის უკუსვლა ვერ შეაჩერა. ქვეყანაში მშპ 6.8%-ით დაეცა. მთავარი კი ის არის, რომ ეს უკუსვლა არა მარტო ჩინეთს, არამედ მასთან ეკონომიკურ ჯაჭვში მყოფ ბევრი ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებელზე აისახა.

2020 წლის იანვარ-თებერვალში მრეწველობის დაცემა აქ 13.5%-ს გაუტოლდა, მაშინ, როცა მანამდე ყოველთვიური ზრდა 6.9%-ს შეადგენდა; მომსახურების სფერო

ამავე პერიოდში 13%-ით შემცირდა (დეკემბერში ზრდა 6.8%-ს უდრიდა); საბითუმო გაყიდვები 20%-ით დაეცა (დეკემბერში ზრდა 8% იყო).

2020 წელს ჩინეთის ეკონომიკის მთლიანი დანაკარგები 143.1 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება, რაც მშპ-ის 3.1%-ს შეადგენს.

მეცნიერული ჟურნალის MIT Technology Review-ის შესაბამისი კვლევების მონაცემებით არსებობს კორონავირუსის პანდემიის რამდენიმე გრძელვადიანი უარყოფითი შედეგი კლიმატური პირობების შეცვლის თვალსაზრისით. ნებისმიერი შეზღუდვები კაპიტალის ბაზრებზე მოახდენს უარყოფით გავლენას მზის, ქარის და სხვა ტიპის ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარებაზე – ახალი პროექტების განხილვა დროებით შეწყდება. დღეს ჩინეთი არის მზის პანელების, ქარის ტურბინების და ელექტროკარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ლითიუმ-იონური აკუმულატორების მთავარი მწარმოებელი მსოფლიოში.

ძირითადი, ყველაზე დადებითი დასკვნა, რაც შეიძლება გაკეთდეს, ის არის, რომ კიდევ ერთხელ პრაქტიკულად დამტკიცდა ერთი რამ - ეკოსისტემებს შეუძლია თვითაღდგენა, ოღონდ ამაში ადამიანი თუ ვერ დაეხმარება, ხელი მაინც არ უნდა შეუშალოს. პანდემიამ, უბრალოდ, იძულებითი ფორმით, მაგრამ სრულიად თვალნათლივ აჩვენა ეკოლოგიურ პრობლემათა აღმოფხვრის რეალური შესაძლებლობები და გზები. მან აჩვენა, რომ ადამიანებს რეალური საშიშროების პირობებში შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი საქციელი, ბევრ კომპანიას - თავისი სტრატეგია და წესები, მთავრობებს - კანონები. როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიის პერიოდში განსაკუთრებით აქტიურდება სახელმწიფოს როლი და ამიტომ ისეთი გლობალური ხასიათის პრობლემების გადაჭრა, როგორც ეკოლოგიურია, სწორედ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრეროგატივა ხდება. თუკი მათ მოახერხეს ასე სწრაფად მოეხდინათ რეაგირება ვირუსზე, მაშინ შესაძლებელი ყოფილა პრიორიტეტების შეცვლა და წინა პლანზე ბუნების მოფრთხილების წესების წამოწევა, კლიმატის ცვლილებებზეც მსგავსი ოპერატიული რეაგირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე. გლობალიზაცია და პანდემიის ეკოლოგიური პრობლემები. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი –, 2020.
2. Глобальные экологические проблемы современного мира и пути их решения <https://yandex.ru/turbo?text=https%3A%2F%2Fvyvoz.org>
3. ГЛОБАЛЬНАЯ ЭКОЛОГИЧЕСКАЯ ПЕРСПЕКТИВА» ООН 2019 <https://np-mag.ru/news1/globalnayaehkologicheskaya-perspektiva-oon>.
4. Пандемия и окружающая среда: экология пласти-
ка http://rapsinews.ru/incident_publication/20200425/305756871.html
5. Пандемия коронавируса: экономика VS экология
<https://www.kp.ru/daily/27120/4202969/> коронавируса: экономика VS экология
<https://www.kp.ru/daily/27120/4202969/>

**SOME ISSUES OF THE IMPACT OF THE PANDEMIC
ON ENVIRONMENTAL PROBLEMS**

Summary

One of the most interesting issues today is ecology and the problems associated with it in a pandemic. Changes in the environment, especially against the backdrop of epidemics in general and coronavirus in particular, can even be perceived positively today: air purification, especially in large cities, minimizing emissions, cleaning the atmosphere, and so on. However, the universal quarantine will end when it is, and all this will return to the old standards, examples of which can be found in the world.

It's hard to say that a pandemic that takes the lives of many people can have any positive consequences, but it's quite clear that this is indeed happening and, of course, it has a short period of time.

The basic conclusion that the world has clearly seen is that nature really has the ability to restore itself if man does not prevent it to his harm.

ზურაბ ნოზაძე

საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ეკოლოგიური პოლიტიკის არსი და მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებაში, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საქმეში, მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

გაანალიზებულია ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განხორციელების საკითხები სამრეწველო საწარმოებში. მოცემულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების გაზრდისათვის, გარემოს დაბინძურების შემცირებისათვის და მდგრადი მაჩვენებლების მიღწევაში, რომელიც დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიური პოლიტიკა, ბუნებათსარგებლობა, გარემოს დაცვა, ეფექტიანობა, ეკოლოგიური პრინციპები, ბუნებრივი რესურსები, სამრეწველო პროდუქცია, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, დაგეგმვა, კრიტერიუმები, შეფასება, ანალიზი.

შესავალი

როდესაც განვიხილავთ სხვადასხვა ეკოლოგიურ სისტემებს უნდა აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ეკოლოგიური სისტემის განვითარებას განსაზღვრავს სისტემის ეკონომიური პოლიტიკა. ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება მიმართულია მთავარი მიზნისათვის, რომ უზრუნველყოს ბუნებრივი გარემოს მდგრადობის პარამეტრების მდგრადობა, საწარმოს, როგორც ლოკალური ეკოლოგიური სისტემის საქმიანობის, ისე წარმართვა და გაუმჯობესება, რომ ნაკლები ზემოქმედება ზიანი მიაყენოს ბუნებრივ გარემოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საწარმო, როგორც ავტონომიური ეკოლოგიური სისტემა, თავისი საქმიანობით, საერთაშორისო ეკოლოგიური სტანდარტების ტერმინოლოგიის შესაბამისად ზემოქმედებას ახდენს ბუნებრივ გარემოზე, აუარესებს მის მდგომარეობას.

საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

საწარმოს ეკოლოგიურსაქმიანობის განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს მისი ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფაზე, საწარმოს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის.

საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაცია ხდება სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის შესაბამისი მეთოდების განხორციელების საშუალებით.

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის არსებული ეკოლოგიური საქმიანობის ახალი მიმართულებები, მოახდენენ მნიშვნელოვან ზეგავლენას საწარმოს ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლებაზე, დადებითად იმოქმედებს საწარმოს მთლიანად საქმიანობაზე.

ეს ახალი მიმართულებები დაკავშირებულია საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაზე, პროდუქციის ხარისხის და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, საწარმოს სოციალურ განვითარებაზე, აგრეთვე მის საერთაშორისო სახეზე.

აერთაშორისო სტანდარტიზაციის დოკუმენტების რეკომენდაციით მოცემულია ეკოლოგიური პოლიტიკის შემდეგი განსაზღვრება: -ეკოლოგიური პოლიტიკა ეს არის საწარმოს განაცხადი თავის განზრახვებზე და პრინციპებზე, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს საერთო ეფექტიანობაზე, რაც ემსახურება საწარმოს საქმიანობის დადგენილ მიზნობრივ და საგეგმო ეკოლოგიური მაჩვენებლის სისტემას.

სტანდარტის მიხედვით ეკოლოგიური პოლიტიკა განსაზღვრავს ეკოლოგიური საქმიანობის მიზანსა და აოცანებს, მოიცავს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ეკოლოგიზაციას. საწარმოს პასუხისმგებლობას ბუნებრივ გარემოს დაცვაზე. საერთო ჯამში ყველა ამ პირობების დაცვა და შესრულება განსაზღვრავს საწარმოს ეკოლოგიური საქმიანობის ეფექტიანობას. ეკოლოგიური საქმიანობა წარმოადგენს საწარმოს საერთო სამეურნეო საქმიანობის ნაწილს, ერთერთ მიმართულებას საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

საწარმოში ეკოლოგიურ სწავმიანობაზე პასუხისმგებელი პირი არის საწარმოს დირექტორის (მმართველის, მენეჯერის) მოადგილე და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

ზოგიერთი მარკეტინგული ანალოგების გათვალისწინებით. კონკურენტუნარიანი პროდუქციის შეკვეთისა და რეალიზაციის, ბიზნესგეგმის დოკუმენტური გაფორმების საფუძველზე საწარმოს ეკოლოგიურმა პოლიტიკამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორების გავლენა:

- ეკონომიური საქმიანობის გარეგანი პირობების ანალიზი რეგიონის, ტერიტორიის, საწარმოს თავისებურების გათვალისწინებით.

- ეკოლოგიური საქმიანობისათვის შემოთავაზებული ფინანსური ხარჯები და მისი დაფარვის წყაროები.

- ეკოლოგიური რისკები, მეთოდები, მისი რეგულირებისათვის და დანაკარგების კომპენსაცია, რომელიც საწარმოსგან მიადგა დამაბინძურებელი ნივთიერებებით ატმოსფეროს, წყალს, ნიადაგს, ფლორას, ფაუნას, ზემოქმედების ეფექტიანობის შეფასება.

- ავარიული სიტუაციების და კატასტროფების დიაგნოსტიკებისა და თავიდან-აცილების ღონისძიებები.

- გამოსაყენებელი მასალების, ნედლეულის, მაკომპლექტებელი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რეგულირება, ენერგომატარებლების, გამოსაყენებელი ნივთიერებისა და მასალების ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობების რეგულირება.

- პროდუქციის წარმოების ციკლის ანალიზი, რომელიც შესაბამისობაშია ბუნებრივი გარემოს დაცვის მოთხოვნილებებთან.

- საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკოლოგიზაციის პრობლემების გადაწყვე-ტისათვის სპეციალისტების მომზადება და საწარმოს მუშა-მოსამსახურეების სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება.

- საწარმოს ეკოლოგიურმა პოლიტიკამ, რომელსაც სურს მიაღწიოს ეფექტურ სამეურნეო საქმიანობას, უნდა გაითვალისწინოს შმდეგი მოთხოვნები:

- მართვის სპეციალიზებული სტრუქტურების შექმნა და დანერგვასაწარმოში.

- ბუნებრივი გარემოს დაცვის სფეროში არსებული, მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიულ-უფლებრივი აქტების აუცილებელი შესრულება.

- უნდა აიღოს ვალდებულება ბუნებრივი გარემოს დაცვაზე, საწარმოს ტექნიკურ უსაფრთხოებაზე, საწარმოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მდგომარეობაზე, პროდუქციის ხარისხზე და უსაფრთხოებაზე, ყოველგვარი სტანდარტის დაცვაზე.

- ეკოლოგიური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტური მასალის ხელმი-საწვდომობა საწარმოს პერსონალისათვის და სხვა დაინტერესებული მონაწილეე-ბისათვის და პირებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ საწარმოს საქმიანობაში.

- ეკოლოგიური პარამეტრების შეფასებისა და მონიტორინგის შესაბამისობა საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან და მათი ურთიერთქმედება ბუნებრივი გარემოს დაცვასთან:

საწარმო წარმოადგენს რეგიონალური ეკოსისტემის ნაწილს. ამიტომ საწარმოს ეკოლოგიური პოლიტიკის ნორმატიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას შეიძლება მოემსახუროს რეგიონის ეკოლოგიური კადასტრი. ეს კადასტრი შეიძლება დაედოს საფუძვლად საწარმოს ეკოლოგიური საქმიანობის დაგეგმვას.

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური პოლიტიკის დაგეგმვა და რეალიზაცია ეკოლოგიური საქმიანობის ყველა დონეზე ხორციელდება პროგრამის შემუშავების, დაპროექტების, მისი ექსპერტიზის და კონტროლის, ბუნებრივი გარემოს მონიტორინგის, ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზემოქმედების და მიყენებული ზარალის საფუძველზე.

ამიტომ, ეკოლოგიური მოქმედების უმრავლესობა დაკავშირებულია ბუნებათ-სარგებლობასთან და გარემოს დაცვასთან.

ეკოლოგიური პროგრამების და პროექტების შემუშავებისას სხვადასხვა დონეზე პრინციპული მნიშვნელობა აქვს კრიტერიუმების და დასაშვები ნორმატივების დასაბუთებას უსაფრთხოების ხარისხის, მიყენებული ზარალის, მისი კომპენსაციი-სათვის მატერიალური და ფულად გამოსახვაში შეფასების ხარისხს.

საწარმოს სამეურნეო საქმიანობის უსაფრთხოებად ითვლება საინჟინრო კომუნიკაციების სათბობენერგეტიკული და ბუნებრივი რესურსების საწარმოო პროცესში გამოყენების, ხმაურის, ვიბრაციის, სამუშაო ადგილის განათების და სხვა წყაროების მიერ ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების სხვადასხვა კომპონენტების მდგომარეობის შესაბამისობა ნორმატიულ დასაშვებ ბაზასთან.

ასეთი წარმოების მდგომარეობა კონტროლირდება ეკოლოგიური დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის საშუალებით. დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის საშუალებით. დიაგნოსტიკა ეხება ძირითადად დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობას, წარმოების ნარჩენების შენახვის, ტრანსპორტირების უტილიზაციის აღრიცხვას, ბუნებრივი გარემოს დაბინძურების სხვადასხვა წყაროების იდენტიფიკაციას.

ეკოლოგიური პოლიტიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, ეკოლოგიური პროექტისა და მისი ექსპერტიზის, ეკოლოგიური ღონისძიებების ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის, ბუნებრივი და ფინანსური რესურსების ნორმატივების დაყრდნობაზე და მის საფუძველზე მუშავდება საწარმოს ეკოლოგიური პროგრამა. ეს არის მთავარი შესასრულებელი დოკუმენტი საწარმოს ეკოლოგიური საქმიანობისათვის. ეკოლოგიური პოლიტიკის მდგომარეობა და საწარმოს ეკოლოგიური პროგრამის სტრუქტურა დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობაში დასაბუთებული ეკოლოგიური კრიტერიუმების გამოყენებაზე და დანერგვაზე. ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილება ეკოლოგიურად სუფთა წარმოება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ეკოლოგიურად უსაფრთხო ბუნებრივი გარემო.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, მწარმოებლებისა და მომხმარებელთა ინტერესებისათვის ძირითადად წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის კრიტერიუმი. ეს მოითხოვს კომპლექსურ შეფასებას, რომელიც ეყრდნობა სამეცნიერო-კვლევით საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელებას.

ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების რეგულირებისათვის აუცილებელია შესაბამისობა საერთაშორისო ეკოლოგიურ სტანდარტებთან, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის გამოშვების მართვასთან. ყველა ეს მოთხოვნები საბოლოო ჯამში მიმართულია ბუნებრივ გარემოში ტოქსიური ნივთიერებების გამოფრქვევის შემცირებისკენ. იმისათვის, რომ საწარმომეფექტიანად განახორციელოს თავისი საქმიანობა, ამასთან, ნაკლები ზიანი მიაყენოს ბუნებრივ გარემოს, მიზანშეწონილია გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპები:

მოვალეობა და პოლიტიკა

საწარმომ უნდა განსაზღვროს თავისი ეკოლოგიური პოლიტიკა და თავისთავზე აიღოს მოვალეობა გარემოს დაცვის მართვის სისტემებთან ურთიერთობასთან. საწარმო ვალდებულია პასუხი აგოს გამოწვეულ დარღვევასთან და აღკვეთოს გამომწვევი მიზეზი, ეფექტიანად გამოიყენოს სანედლეულო რესურსები და მასალები.

ეკოლოგიურმა პოლიტიკამ უნდა ასახოს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ პასუხისმგებლობის შესრულება მიღებულ კანონებზე, რომ მუდმივად გააუმჯობესოს ბუნებრივი გარემოს მართვის სისტემა. პოლიტიკა ქმნის საფუძველს, რის დახმარებითაც საწარმო ადგენს თავის მიზნობრივ და გეგმიურ მაჩვენებლებს. პოლიტიკა უნდა იყოს საკმარისად ნათელი, რომ მისი გაგება ადვილად ხდებოდეს როგორც შიდა, ისე გარეშე დაინტერესებული მხარეების მიერ. პოლიტიკა პერიოდულად უნდა გადაიხედებოდეს დაანალიზებოდეს, რომ ასახოს არსებული პირობები და ინფორმაცია. ეკოლოგიური პოლიტიკის არეალი უნდა იყოს ზუსტად იდენტიფიცირებული.

დაგეგმვა

საწარმომ უნდა შეიმუშოს თავისი ეკოლოგიური პოლიტიკისრეალიზაციის გეგმა. ამასთან ერთად, ბუნებრივი გარემოს მართვის ელემენტები მოიცავენ შემდეგს: ეკოლოგიური ასპექტების იდენტიფიკაციას და მასთან დაკავშირებულ ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებას, საკანონმდებლო აქტების მოთხოვნილებას, ეკოლოგიურ პოლიტიკას, ეკოლოგიური ეფექტიანობის შიდა და გარეშე კრიტერიუმების შეფასებას.

რეალიზაცია

ეფექტური რეალიზაციის მიზნით, საწარმო ვალდებულია შექმნას შესაძლებლობა და შეიმუშაოს მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც აუცილებელია თავის ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებისათვის და მიზნობრივად გეგმიური მაჩვენებლების მიღწევისათვის. იმისათვის, რომ მიაღწიოს მიზნობრივ მაჩვენებელს. საწარმო ვალდებულია ამაზე მიმართოს თავისი თანამშრომლები, სისტემა, სტრატეგია, რესურსები და სტრუქტურა. შეიმუშაოს პასუხისმგებლობისა და აღრიცხვიანობის სისტემა.

ცვლილება და შეფასება

საწარმომ უნდა აწარმოოს გაზომვა, კონტროლი და შეფასება თავისი ეკოლოგიური ეფექტიანობის. ერთერთი მთავარი ინსტრუმენტი კონტროლისა შეიძლება ჩავთვალოთ ეკოლოგიური აუდიტი.

ანალიზი და გაუმჯობესება

საწარმომ უნდა აწარმოოს მუდმივად ბუნებრივი გარემოს მართვის სისტემის ანალიზი, რომ გაზარდოს თავისი საერთო ეკოლოგიური ეფექტიანობა. საწარმოს ხელმძღვანელობამ დროის გარკვეული ინტერვალის გამოშვებით უნდა ჩაატაროს ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ანალიზი, რომ გარანტირებული იყოს მუდმივად ეკოლოგიური ეფექტიანობის შესაბამისი პარამეტრები. ანალიზი უნდა იყოს ფართო, რათა გავითვალისწინოთ ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ხარისხი, რომელსაც ახორციელებს საწარმო მისი ყველა სახის საქმიანობით, მათ შორის ფინანსური კუთხითაც.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინება საწარმოს მიერ, საწინდარია მისი ეკონომიკური მდგრადობის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების ზრდის და ბუნებრივ გარემოზე ნაკლები ზემოქმედებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Веклич О.О – „ Совершенствование экономическик инструментов экологического управления “ 2000 г Киев
2. Гречановская И Г - „ Економико – экологическое регулирование предпринимательской деятельности “ Одесса 2007г
3. Арестов С. В - „ Механизм повмишения економико-экологического ефекивности природоохранных инвестиции”. Одесса 2005г.
4. Садеков А. А - „ Механизмы еколого-экономического управления . “Донецкю 2002г
5. Гирусов Э. В – Экология и економика природопользования”. Москва 1998г

Zurab Nozadze

THE GUIDELINES OF ECOLOGICAL POLICY OF AN ENTERPRISE

Summary

In the article the main principles and guidelines of ecological policy of an enterprise are considered.

FOREIGN AND DOMESTIC TRADE IN COVID-19: THE CASE OF UKRAINE

Annotation. *The conditions of functioning of foreign and domestic trade in Ukraine in the conditions of the COVID-19 pandemic are investigated. The positive effects and negative consequences of trade policy under the COVID-19 pandemic, during the Great Depression and the global financial and economic crisis of 2008 are analyzed. Measures to establish the normal operation of small retail businesses during a pandemic are proposed.*

Key words: *foreign trade, domestic trade, Ukraine, trade policy, COVID-19*

The COVID-19 pandemic has radically changed the way people live in many countries. Social distance and restrictions on social contacts have become the norm. This had particularly negative consequences for small retail businesses. Prospects for overcoming the COVID-19 pandemic remain unclear. The urgent task is to establish the normal operation of domestic and foreign trade in the pandemic.

In Ukraine, the first infected COVID-19 person was found on March 3, 2020. Since then, the number of patients diagnosed daily has been steadily increasing: April 1, 2020 – 149 persons; May 1, 2020 – 455; June 1, 2020 – 890; July 1, 2020 – 670; August 1, 2020 – 1205; September 1, 2020 – 2147; October 1, 2020 – 4179; November 1, 2020 – 8243; December 1, 2020 – 12774. [COVID-19 Dashboard, 2020] In December 2020, the rate of infection decreased.

As of December 19, 2020, 956123 cases of the disease have been confirmed during the entire pandemic in Ukraine, of which 16469 cases were fatal, 574536 patients recovered, 365118 patients continued to be actively ill. [Operational, 2020] Persons affected by COVID-19 were found in all regions of Ukraine. Case fatality rate was 2.02% in Kyiv, 2.84% in Lviv, 2.15% in Odesa, and 1.49% in Kharkiv. [COVID-19 Dashboard, 2020]

Compared to neighboring countries, the prevalence of in Ukraine is moderate. As of December 18, 2020 the number of infected (per 100 thousand population) was: in Russian Federation - 264 persons; in Belarus - 267; in Poland - 397; in Ukraine - 411; in Romania - 437; in Moldova - 482; in Slovakia - 500; in Hungary – 683. [Information, 2020]

Since March 2020, Ukraine's economy has been operating under quarantine conditions. According to the scale of restrictive measures, quarantine in Ukraine can be divided into two periods: 1) period of strict quarantine and 2) period of adaptive quarantine. Strict quarantine lasted from March to May. At that time, the Cabinet of Ministers of Ukraine allowed to continue production activities at construction sites, at the enterprises of energy, chemical industry, communications, defense industry, housing and communal services and food industry. At other enterprises, production activities were partially or completely suspended. [The COVID-19 crisis, 2020: 5-6]

Partial or complete shutdown of enterprises affected the dynamics of industrial production. The greatest decline in industrial production was recorded during the period of strict quarantine. After the introduction of adaptive quarantine in June 2020, the rate of decline in industrial production decreased and became stable. The decline in industrial production has not yet been overcome. In January-October 2020, the decline in industrial production compared to January-October 2019 was 7%. [Indices, 2020] During the same period in 2015, the decline in industrial production was 13%. Thus, according to the results of 9 months, we can expect a smaller decline in industrial production in 2020 than in the crisis of 2015.

The decrease in foreign trade is a natural consequence of the reduction in production. In January-September 2020, compared to the same period last year, exports of goods decreased by 6% and imports - by 14%. [Geographical, 2020] Over the past 15 years, a larger decline in foreign trade in goods was recorded: in 2015 (exports - 29%, imports - 31%), 2014 (exports - 14%, imports - 28%), 2013 (exports - 8%) and 2009 (exports - 41%, imports - 47%). Thus, in 2020 the decline in foreign trade is expected to be smaller than in 2014-2015 and even more so than in 2009 during the global financial and economic crisis.

The geographical structure of exports did not change significantly during COVID-19. China remained the largest export market as a country, and among the tariff zones - the European Union. The growth rate of export supplies to China during the COVID-19 pandemic accelerated even more. If in 2019 the export of goods increased by 63%, then for 9 months of 2020 - by 86%. [Geographical, 2020] Exports to all other major export markets (EU, CIS, Turkey, India, Egypt, USA) decreased.

The commodity structure of exports did not change significantly during COVID-19. The nine largest product groups remained unchanged: 1) cereals; 2) ferrous metals; 3) fats and oils of animal or vegetable origin; 4) ores, slags, ashes; 5) electric machines; 6) nuclear reactors, boilers, machines; 7) residues and wastes of the food industry; 8) seeds and fruits of oilseeds; 9) wood and wood products. More specifically: wheat, corn, carbon steel semi-finished products, flat hot-rolled steel, sunflower oil, iron ore, electric cables, turbojet engines, cake, rapeseed, timber.

Although during January-September 2020, exports of goods decreased by 6%, the picture for some product groups was different. Exports of fats and oils of animal or vegetable origin increased by 20%, nuclear reactors, boilers and machinery - by 17%, ore, slag and ash - by 5%. Exports of seeds and fruits of oilseeds (by 36%), ferrous metals (by 17%), electrical machinery (by 14%), wood and wood products (by 4%) decreased. At the same time, exports of cereals and residues and waste from the food industry remained virtually unchanged. Among the main export goods, the export of sunflower oil increased the most (by 23%), and the largest decline was in the export of rapeseed (by 25%). Exports of sunflower oil in absolute terms increased the most to China, while rapeseed exports decreased the most due to reduced supplies to the EU.

In the geographical structure of imports in 2020 there were some changes. The share of imports from Belarus, Russia and Switzerland continued to decline. Imports from Belarus decreased by 26%, from Russia - by 38%, from Switzerland - by 42%. Russia in the ranking of importers in 2020 lost second place to Germany, Belarus lost fifth place to the United States, and Switzerland lost tenth place to Hungary. The only major importer that increased imports during the pandemic was Turkey. In the first nine months of 2020, Turkey increased imports by 16%, mainly due to imports of engineering products and petroleum products.

Among all product groups, Ukraine imports the most: 1) energy materials (petroleum products, natural gas, coal), 2) machinery and equipment. Due to the shutdown of transport during the strict quarantine and closure of enterprises, the import of energy materials in January-September 2020 decreased by 38%. This was also facilitated by the relatively warm winter of 2019/2020. Although imports of machinery and equipment as a whole decreased by about 15% for some household electrical appliances, there was an increase in imports. In particular, imports of refrigerators increased by 6%, air conditioners - by 7%, mobile phones - by 13%, washing machines - by 18%, vacuum cleaners - by 33%, TVs - by 35%.

In 2020, imports of certain food products increased. In particular, imports of milk and dairy products in January-September 2020 increased 2.1 times (butter - 4.8 times), vegetables - by 53%, finished meat and fish products - by 31%, and finished grain products - by 28%. This increase in imports was caused by the blockage of domestic food supply channels during strict quarantine. For supermarkets left the possibility of deliveries only on imports. Imports of pharmaceuticals increased by 11% and detergents by 14%.

With the beginning of the pandemic in Ukraine, e-commerce has further developed. In Ukraine, as in other countries, the first to sell goods on the Internet that can be easily converted to digital (audio recordings, books, movies, computer games, etc.). Then e-commerce covered e-goods, computers, toys, stationery and a wide range of other goods that are easily transported. The next stage in the spread of e-commerce was the sale of essential goods. In the conditions of the pandemic, public catering establishments were also involved in e-commerce.

In the pandemic, e-commerce minimizes personal contact between sellers and buyers. In addition, e-commerce offers an extremely wide range of products, which is many times greater than the range offered by traditional commerce. E-commerce creates stronger competition between sellers,

which lowers prices and makes them more transparent. From a mobile phone, consumers have the opportunity to order goods around the clock and receive in almost any region of the country.

During the pandemic in Ukraine, the e-commerce infrastructure was further developed. For the convenience of customers, automated post offices with control over the Internet have appeared. A new supplier has entered the market of courier services - the state enterprise Ukrposhta. In the fight for customers, such logistics companies as Meest, Justin, Nova Poshta, Glovo, Raketa have intensified their activities. Logistics companies actively cooperated with restaurants whose activities were limited during quarantine.

A difficult problem in the pandemic is the organization of urban retail markets for industrial and agricultural goods. These markets are dominated by small businesses. In the 1990s, these urban markets played an important role in reducing unemployment. Gradually, the sale of food products moved to supermarkets. Sales of audio recordings, books, movies, and computer games were covered by e-commerce. Today, light industrial goods, as well as goods for repair and maintenance of housing, are sold in the city's retail industrial markets. Food is sold on temporary farm markets. Closing these markets under strict quarantine has hit small businesses hard and raised social tensions. The ways to organize these markets in the pandemic are to disperse them among urban housing, the use of mobile outlets (car shops) and more.

In January-September 2020, exports of goods from Ukraine decreased by 6%, and imports of goods to Ukraine - by 14%. Forecasts for the decline in world trade in 2020 are different. According to the IMF, world trade is expected to decline by more than 10% this year. [World, 2020: 16] The World Trade Organization estimates that the fall in world trade in 2020 will range from 13% to 32%. [COVID-19 and Trade, 2020: 3] Under the optimistic scenario, the decline in world trade will be greater than in 2009, and under the pessimistic scenario - greater than during the Great Depression of the 1930s.

Predictions of a moderate decline are based on the fact that the current recession reflects a particularly sharp decline in contact-intensive sectors, where foreign trade is not as intense as in industry. While the large decline is justified by the breadth of foreign trade. If in 2008-2009 the decline covered only the United States and the United Kingdom, in 2020 - all the largest players in the world market (USA, China, Japan, Germany, Great Britain, France, Italy).

The current crisis situation in world trade requires an appropriate trade policy. The trade policy of the Great Depression, the global financial and economic crisis of 2008-2009 and the current global recession has some common features, as well as significant differences. During the Great Depression, protectionism was directed against imports. In June 1930, the Smoot-Hawley Tariff Act was signed, which dramatically increased US import tariffs by more than 20,000 goods. The purpose of the law was to direct domestic demand to local producers. However, US trading partners in Europe have responded by raising their own import tariffs. Thus, a "protectionist spiral" was formed. As a result, all trading nations destroyed their own aggregate demand and found themselves in an economic crisis.

In 2008 there was another sharp decline in world trade. The recession affected all countries and all product groups. There is a danger of the crisis deepening further due to the introduction of protectionist measures. In November 2008, G20 leaders pledged to refrain from barriers to investment and trade in goods and services for 12 months. They also agreed to refrain from stimulating exports by WTO-banned methods. Although some countries did introduce protectionist measures, they did not receive a massive response.

Protectionist policies during the COVID-19 pandemic are predominantly anti-export. According to the World Trade Organization, in April 2020, 80 countries imposed export restrictions. These were mostly medical goods and food. Export restrictions continue to be imposed. Canada has banned the export of some prescription medicines in November 2020. [Canada, 2020] The current problem is the lack of domestic supply, not the lack of demand as in the 1930s and due to excess of local production as in the 2000s. Export restriction measures are short-sighted. They can destroy the world supply and deepen the crisis.

In the 21st century, production facilities are increasingly moving to places of most efficient production. A complex system of commodity flows and international value chains has been formed. For example, in 2017, world trade in medical personal protective equipment (suits, masks, gloves, goggles, etc.) amounted to \$80 billion. [COVID-19 and Trade, 2020: 8] The largest importers were the United States, the European Union, China, Mexico and Japan. Imports from China to the United States amounted to \$6.4 billion, and China in turn imported similar goods from the United States by \$1.4 billion. Thus, the United States and China were heavily dependent on imports of personal protective equipment and simultaneously were major exporters. Therefore, in modern conditions, the artificial destruction of established cooperative ties can significantly reduce global production potential and harm the fight against the pandemic.

As in most other countries, with the spread of the infection, in Ukraine the export of certain goods was limited. The list of goods was relatively short: personal protective equipment, ethyl alcohol and buckwheat. In August 2020, restrictions on the export of these goods were lifted.

Thus, in Ukraine in 2020 a smaller decline in foreign trade is expected than in the world. In the domestic market, small retail businesses need special attention. He needs to be given the opportunity to work dispersedly and closer to urban housing. The experience of the 2020 pandemic shows the need to promote foreign trade.

References

1. Canada bans mass exports of prescription drugs. URL: <https://www.bbc.com/news/world-us-canada-55119428> (accessed 19.12.2020)
2. COVID-19 and Trade Policy: Why Turning Inward Won't Work. URL: <https://voxeu.org/content/covid-19-and-trade-policy-why-turning-inward-won-t-work> (accessed 19.12.2020)
3. COVID-19 Dashboard by the Center for Systems Science and Engineering (CSSE) at Johns Hopkins University. URL: <https://gisanddata.maps.arcgis.com/apps/opsdashboard/index.html#/bda7594740fd40299423467b48e9ecf6> (accessed 19.12.2020)
4. Geographical structure of foreign trade in goods in January-September 2020. (in Ukrainian) URL: http://www.ukrstat.gov.ua/operativ/operativ2020/zd/ztt/ztt_u/arh_ztt2020.html (accessed 19.12.2020)
5. Indices of industrial production in Ukraine. (in Ukrainian) URL: http://www.ukrstat.gov.ua/operativ/operativ2014/pr/ipp/ipp_u/ipp_u14.htm (accessed 19.12.2020)
6. Information on countries with a significant spread of COVID-19 as of December 18, 2020 (in Ukrainian) URL: <https://moz.gov.ua/article/health/informacija-schodo-kilkosti-aktivnih-vipadkiv-covid-19-na-100-tis-naselennja-stanom> (accessed 19.12.2020)
7. Operational information on the spread of coronavirus infection 2019-nCoV. (in Ukrainian) URL: <https://moz.gov.ua> (accessed 19.12.2020)
8. The COVID-19 crisis in Ukraine. URL: <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness-programme/eastern-partners/COVID-19-CRISIS-IN-UKRAINE.pdf> (accessed 19.12.2020)
9. World Economic Outlook, October 2020: A Long and Difficult Ascent. URL: <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/09/30/world-economic-outlook-october-2020> (accessed 19.12.2020)

ინოვაციების არსი და მათი გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

ანოტაცია. გლობალიზაციის პროცესის სწრაფი ტემპები განაპირობებს ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაციის, სოციალური და ეკოლოგიური გარდაქმნების გლობალურ მასშტაბებს, რაც პოპულაციისთვის სარგებლის მიღებასთან არის დაკავშირებული, თუმცა აღნიშნული პროცესი უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან, კლიმატის ცვლილებასთან, ბიოტერორიზმთან, სამხედრო კონფლიქტებთან, ჰუმანიტარულ კატასტროფებთან და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყნისათვის მწვავედ დგას ჯანდაცვის სფეროზე გაწეული ხარჯების მზარდი ხასიათი. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ასევე უნდა გაანალიზდეს ის პრობლემები და ხელშემშლელი ფაქტორები, რაც დადებითი ტენდენციების მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების/სერვისების, პროექტების დანერგვისა და გავრცელების მიმართულებით და აქედან გამომდინარე, აფერხებს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის სისტემა, გლობალიზაცია, ინოვაციები, მაღალტექნოლოგიური სერვისი.

ინოვაციების არსი ჯანდაცვის სისტემაში

ჯანდაცვის სფეროში ინოვაცია ტექნოლოგიურად ითვლება, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევის მეთოდები პრინციპულად ახალი და ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებულია. სპეციალისტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ეფექტურობას. სწორედ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფს ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას [კიწმარიშვილი ქ., 2019:432]. ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევები მიმართულია სამედიცინო დაწესებულებების პრაქტიკაში ახალი სამედიცინო პრეპარატების, საინფორმაციო და სხვა ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვისკენ. ჯანდაცვაში ტექნოლოგიური ინოვაცია წარმოადგენს დიაგნოსტიკის, საინფორმაციო, მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური ბიოლოგიური მეთოდებისა და ამა თუ იმ დაავადების მკურნალობის ხერხების ერთობლიობას.

ტექნოლოგიური ინოვაციები ჯანდაცვის სფეროში შეიძლება დავყოთ შემდეგ ქვეჯგუფებად:

1. სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც უკავშირდება პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კუთხით ახალი მეთოდების წარმოშობას, უკვე არსებული დანადგარებისა და პრეპარატების ბაზაზე ან მათი ახალი კომბინაციების გამოყენებით;

2. ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც ჯანდაცვის სისტემის საქმიანობის ეფექტურ რესტრუქტურირებას ახდენენ, სრულყოფენ პერსონალის შრომის ორგანიზაციისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების მუშაობას;

3. ეკონომიკური ინოვაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანდაცვის დაწესებულებების საქმიანობის ანალიზის, დაგეგმვის, დაფინანსების, სტიმულირების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

4. საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც მიმართულია მოცემულ დარგში ინფორმაციის ნაკადების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესების ავტომატიზაციაზე;

5. სამედიცინო-ფარმაცევტული, სამედიცინო-ტექნიკური ინოვაციები, რომლებიც გულისხმობს ახალი მედიკამენტების (ტექნიკური სისტემების) გამოყენებას, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება ფასისა და სამედიცინო ეფექტურობის ძირითადი პარამეტრების ხაზით.

სამედიცინო დარგის დიგიტალიზაცია სწრაფი ტემპებით ვითარდება და კიდევ უფრო შეცვლის ჯანდაცვის სფეროს შემდგომ წლებში. ტექნოლოგიური ინოვაციები, ელექტრონული ჯანდაცვის მზარდი განვითარება და მისი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მედიცინა გახდეს კიდევ უფრო პერსონალიზირებული, პერსონიფიცირებული და ხარჯთეფექტური. იმისთვის, რომ საქართველომ ინოვაციების მიმართულებით წინ გადადგას ნაბიჯები, საჭიროა ქვეყანას ჰყავდეს სათანადო განათლების და გამოცდილების კადრები, რომლებიც თანაბრად ერკვევიან როგორც მედიცინაში, ისე ციფრულ ტექნოლოგიებში [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:17]. ელექტრონული ჯანდაცვა მოიაზრებს შემდეგ ელემენტებს: ელექტრონული ჩანაწერები (EHRs), პერსონალური ჩანაწერები (PHRs), ტელემედიცინა (telehealth), კლინიკური მენეჯმენტი, წამლების ელექტრონული სერვისები, მობილური ჯანდაცვა (mHealth), გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი სისტემები, ქრონიკული დაავადებების მართვის სერვისები, დისტანციური სწავლება (eLearning), ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები.

საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების რეგულირების და ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წელს მიღებული კანონი ინოვაციების შესახებ (საქართველოს კანონი ინოვაციების შესახებ 5501-III, 2016 წლის 22 ივნისი). აღნიშნული კანონის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ხელს უწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის (სამეცნიერო/ტექნოლოგიურ პარკი, ბიზნეს-ინკუბატორი, ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab) და ინოვაციების ლაბორატორია (ILab)) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას.

ინოვაციების გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდა არამარტო საქართველოს, არამედ ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. იგი უმთავრესად

დაკავშირებულია ჯანდაცვის სექტორისათვის დამახასიათებელ ტენდენციასთან. ბევრ ქვეყნებში ჯანდაცვის ხარჯების ზრდის ტემპი აღემატება მთლიანი ეკონომიკის ზრდის ტემპებს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ჯანდაცვის სექტორში უფრო მეტად ინერგება ახალი ტექნოლოგიები, სამკურნალო-სადიაგნოსტიკო მოწყობილობა-დანადგარები, მედიკამენტები. შედეგად, ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო ფასები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ფასები მთლიანად ეკონომიკაში [ვერულავა თ., 2016:5-7]. თუმცა, ჯანდაცვაზე დანახარჯებსა და ჯანმრთელობის გამოსავლებს (შედეგებს) შორის არ არის ასეთი მარტივი კავშირი, რადგან ჯანდაცვაზე დანახარჯებსაც აქვს ზღვრული სარგებელი- გარკვეული დონის ზევით დანახარჯების ზრდას არანაირი გავლენა არ აქვს ჯანმრთელობის გამოსავლებზე.

ქვემოთ განხილულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ინოვაციების დანერგვისა და გავრცელების ხელშემშლელი ფაქტორები, რის გამოც ვერ ხერხდება რესურსების გამოთავისუფლება და მიმართვა ინოვაციური პროექტების დანერგვა-განვითარებაზე:

- **ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა** - ბოლო პერიოდში განხორციელებული დადებითი ძვრების მიუხედავად, ჯანდაცვის სექტორში დღეს არსებული მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძვლები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხარისხს, უწყვეტობას, თანმიმდევრულობას და ეფექტიანობას. კერძოდ, შემუშავდა სამედიცინო დაწესებულებათა კლასიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა, ჯერ არ არის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების დონეებს შორის კავშირები და უკუკავშირები [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:8]. რიგი საქმიანობებისათვის (მაგალითად, პირველადი ჯანდაცვა) დასადგენია რეგულირების ინსტრუმენტები, გადასახედია სამედიცინო საქმიანობის უფლების (ლიცენზია/ნებართვა, ტექნიკური რეგლამენტი) მოპოვების მექანიზმები, უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურასა და ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში, რათა ისინი შესაბამისობაში მოვიდეს სამედიცინო მომსახურების ინტეგრირებული მოდელის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ კრიტერიუმებთან. ფარმაცევტული სექტორის კუთხით, პრობლემურია ამ სფეროს ლიბერალური რეგულირება, მათ შორის, ფარმაცევტული პროდუქტის მარტივი რეგისტრაციის წესი და სააფთიაქო დაწესებულებებისადმი წაყენებული მოთხოვნები, ასევე დასახვეწია ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევების სახელმწიფო რეგულირების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობა და ინსტიტუციური თუ ფინანსური რესურსების სიმწირე ვერ იძლევა ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხის სრულყოფილი კონტროლისა და მონიტორინგის საშუალებას [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:14].

- **ოლიგოპოლის ნიშნები ჯანდაცვის სექტორში და მზარდი ფასები მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურების პროდუქტებზე** - საქართველოს ჯანდაცვის ბაზრისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ოლიგოპოლის ნიშნები, რაც კარტელური გარიგებების წარმოშობის ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის. ფონდ „კურაციოს“²³ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საქართველოში მედიკამენტების ფასები მნიშვნელოვნად აღემატება იმავე მედიკამენტებზე ევროპის ქვეყნებში არსებულ

²³ საერთაშორისო ფონდი კურაციო-არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მისიაა ჯანდაცვის გაუმჯობესება ჯანდაცვის სისტემების გაძლიერების გზით.

ფასებს. ასევე, მედიკამენტების ფასნამატმა იმპორტიდან (საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთიდან) საცალო ქსელის დახლამდე შეადგინა 102%. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ფასნამატის მარჟა სულ მცირე ორჯერ აღემატება ევროპის ქვეყნებში დაფიქსირებულ მარჟას. [გოცამე, თ., 2010:2]. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, საქართველოში ოჯახები ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 69%-ს მედიკამენტების შესაძენად ხარჯავენ [კონრად ადენაუერის ფონდი., 2020:5-7]. ჯანდაცვის სექტორში არსებული ოლიგოპოლიური ვითარებიდან გამომდინარე, ბაზრისათვის ნაკლებად დამახასიათებელია ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების ხელშეწყობისა და დანერგვისადმი მზაობა, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწევს თითოეულ მოქალაქეს, რომლისთვისაც ჯიბიდან გადახდის წილი სამედიცინო სექტორში დაახლოებით 57 %-ს წარმოადგენს.

- **არასაჭირო სამედიცინო სერვისები** - ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდას ხელს უწყობს არასაჭირო სამედიცინო სერვისები, დაუსაბუთებელი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური ღონისძიებები, რომელთაც არანაირი სარგებელი არ მოაქვთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მრავალი კვლევები ადასტურებენ, რომ ასეთ არასაჭირო სამედიცინო სერვისებზე გაწეული ხარჯები საკმაო წილს შეადგენენ ჯანდაცვის ხარჯებში, გასათვალისწინებელია ამ მხრივ საქართველოში არსებული არასახარბიელო სიტუაცია [Fisher ES., 2003:138,273].

- **ადმინისტრაციული და მენეჯერული ხარჯების მაღალი წილი მთლიან დანახარჯებში** - ჯანდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადმინისტრაციულ ხარჯებს. იგი საჭიროა ისეთი საორგანიზაციო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, როგორებიცაა: სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვა, ჯანდაცვის ფინანსების მართვა და ა.შ. ადმინისტრაციული ხარჯები განსაკუთრებით მაღალია ისეთი ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებში, სადაც სახელმწიფო ჯანდაცვით პროგრამებში (ან სოციალური დაზღვევის სისტემაში) მრავალი გადამხდელი (სადაზღვეო კომპანია) მონაწილეობს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, აშშ-ში ყოველ 1\$-ზე 31 ცენტი მოდის ისეთ ადმინისტრაციულ ხარჯებზე, როგორიცაა: დაზღვევის მარკეტინგი, ზარალების (პრეტენზიების) მართვა, მოთხოვნების დამუშავება. ამ მხრივ, აშშ-ში ჯანდაცვის ადმინისტრაციული ხარჯები გაცილებით აღემატება სხვა ქვეყნის მაჩვენებლებს [Woolhandler S., Campbell T., Himmelstein D., 2003:349]. ექსპერტული შეფასებით, ბიზნესზე გაწეული დანახარჯების 50% მენეჯერულ ხარჯებზე მოდის, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია მეცნიერებატევადი მეწარმეობის დარგებში, მათ შორის ჯანდაცვაშიც [ლორთქიფანიძე რ., 2013:45]. მოცემულ ეტაპზე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყნისათვის დამახასიათებელია ადმინისტრაციული და მენეჯერული დანახარჯების დიდი წილი, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში არც თუ შორეულ წარსულში დაიწყო ტექნოლოგიური პროდუქტებისა და სერვისების დანერგვა, აღნიშნული პროცესი კი საწყის ეტაპზე საჭიროებს მნიშვნელოვან საკადრო და მმართველობით დანახარჯებს, შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის მომზადებას და ა.შ.

- **სუსტად განვითარებული პირველადი ჯანდაცვა** - კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პირველადი ჯანდაცვის დეფინიცია, სისტემის ორგანიზაციული მოწყობის მოდელი და მარეგულირებელი გარემო, სუსტი უკუკავშირი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებსა და ჰოსპიტალურ დაწესებულებებს შორის, მომსახურების ფრაგმენტულობა, ნაკლები ყურადღება დაავადებათა პრევენციაზე, მათ

ადრეულ გამოვლენასა და მართვაზე. გარდა ამისა, ქვეყნის დონეზე არაერთგვაროვანი და საკმაოდ განსხვავებულია პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის ხარისხი. საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების შეკავების პრობლემა უფრო მძიმეა იმ თვალსაზრისით, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ნაკლებადაა განვითარებული. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2.3-ს შეადგენს, იგივე მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს. პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გვერდის ავლით, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმკურნალობას. შედეგად, კატასტროფულად მაღალია ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი, დაახლოებით 40%, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 10-15%-ს აღწევს. მოსახლეობის დიდი ნაწილი პირდაპირ სტაციონარს აკითხავს (2017წელს-32%, ხოლო 2014 წელს-31%), ვიდრე პირველად ჯანდაცვას [კონრად ადენაუერის ფონდი, 2020:8]. დოკუმენტში „საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის” ნათქვამია, რომ სახელმწიფო გეგმავს პირველად ჯანდაცვასა და პრევენციაზე გამოყოფილი დანახარჯების 19,3 პროცენტიდან 40 პროცენტამდე გაზრდას(იხ.გრაფ. 1.), დროული დიაგნოზისა და პრევენციული სერვისების წყალობით პაციენტები შეძლებენ უფრო სერიოზული და ძვირადღირებული სერვისების თავიდან აცილებას [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი,2017:17].

გრაფ. 1 ჯანდაცვის სისტემის სამიზნე ინდიკატორები, 2030

ინდიკატორი	საბაზისო	სამიზნე 2030
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-დან	2.9% (2015)	>5%
ჭიბიდან გადახდების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში	57% (2015)	<30%
სტაციონარული შემთხვევების წილი, რომელიც ანაზღაურებულია DRG-ის მეთოდით	0%	100%
ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში პირველად ჯანდაცვასა და პრევენციაზე დანახარჯების წილი	19.3%	40%

წყარო: საქართველოს პარლამენტი, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის, 2017 წ. გვ. 17

- **ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების პრობლემები** - მიუხედავად ბოლო წლებში ჯანმრთელობაზე დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა, არსებული მონაცემებით, ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო ჯანდაცვაზე დანახარჯის წილით როგორც მთლიან ჯანდაცვაზე დანახარჯებში (2017-38%), ასევე მშპ-სა (2017 -2.9%, ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელია-5.7%) და სახელმწიფო ბიუჯეტში (2017- 10%) [საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი,2017:1]. 2012 წელს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების (მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევა) ჯამური დაფინანსება 332 მლნ ლარს შეადგენდა, ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია და 2019 წელს მილიარდ ლარს აჭარბებს [კონრად ადენაუერის ფონდი, 2013:5-7], საიდანაც 70%-ზე მეტი საყოველთაო

ჯანდაცვის პროგრამის ხარჯებზე მოდის. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში ჯიბიდან გადახდების წილი შემცირდა, თუმცა 2017 წლის მონაცემებით, ჯანდაცვის დანახარჯების დაახლოებით 55%-ს მოსახლეობა კვლავ საკუთარი ჯიბიდან იხდის. გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს უნდა შეადგენდეს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, ჯანდაცვის სექტორში მდგარი პრობლემების გადასაჭრელად სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსების წილი მნიშვნელოვნად ნაკლებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარზე და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებსაც, როგორებიცაა: სომხეთი (41.7%), ყაზახეთი (53.1%), უკრაინა (54.5%), ყირგიზეთი (59%) [შაქარიშვილი გ.2017:78]. ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშების თანახმად, აშკარაა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების მკვეთრი ზრდა(იხ. გრაფ.2). აღნიშნულიდან გამომდინარე, დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით კრიტიკულად აუცილებელია მოცემულ სექტორში ინოვაციების დანერგვა. მართალია საწყის ეტაპზე აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვან ფინანსურ, მატერიალურ თუ ადამიანისეულ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა შევავსოთ ინოვაციური პროექტების როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური სარგებლები, კერძოდ, ჯანდაცვის სისტემაზე გაწეული დანახარჯების შემცირება და მასშტაბის ეკონომია, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, დროითი დანაზოგები, ტექნოლოგიური პროცესების გარემოზე დადებითი ზემოქმედების შეფასება და ა.შ.

გრაფ.2. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ტენდენციები



წყარო: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის ეროვნული ანგარიშების შედეგები, 2001-2017

- **ინოვაციური პროექტები საკმაოდ ძვირადღირებულია** - ინოვაციური პროექტების განხორციელება განსაკუთრებით რთულია სამედიცინო სფეროში, რაც გამოწვეულია აღნიშნული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა პროექტების დაფინანსებისთვის საჭირო რესურსების მოძიება და ინვესტირების განხორციელება ძალიან ჭირს ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების სიმწირის გამო. როცა ვსაუბრობთ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე, საჭიროა გაანალიზდეს მათთან

დაკავშირებული პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები და სარგებელი, ასევე სოციალურ და ეკონომიკური სფეროებზე ზეგავლენის გრძელვადიანი ეფექტი. ინოვაციური პროექტების დაფინანსების პრობლემების განხილვისას, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოში კარდიოლოგიის დარგში მიმდინარე ტენდენციები. კერძოდ, გულის იშემიური დაავადების მკურნალობის დროს დღეისთვის შეინიშნება ენდოვასკულური პროცედურების ზრდის ტენდენცია, რასაც ხშირ შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს მკურნალობის ქირურგიული და კონსერვატიული მეთოდები, თუმცა საკმაოდ ძვირადღირებულია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების მიუხედავად, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, შეინიშნება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა და დაკავშირებულია მწირ დაფინანსებასთან, სამედიცინო დაწესებულებების არასაკმარის მატერიალურ ბაზასთან, ადექვატური ადამიანური რესურსების დეფიციტთან და ა.შ.

დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო, ტექნიკური თუ ინოვაციური პროექტების მიმართულებით, რომლებიც მაქსიმალურად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებებზე. კერძოდ, საყურადღებოა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2019 წელს „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების განსაზღვრის წესის შესახებ“ მიღებული ინოვაციური პროექტი, რომელიც წარმოადგენს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ციფრულ საცავს. თუმცა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო დოკუმენტში დეკლარირებულია ჯანდაცვის პრიორიტეტულობა, ნაშრომში გამოკვეთილია ის გამოწვევები, რაც რეალურად არსებობს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის წინაშე. აღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებენ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და ზღუდავენ ქვეყანაში ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური პროექტების დანერგვა-გავრცელებას, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის მოსახლეობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გრძელვადიანი, დაბალანსებული, მერცნიერულად დასაბუთებული ჯანდაცვის სისტემის მართვის სტრატეგიის

შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ინოვაციურ მიდგომებზე და გახდება ჯანდაცვის ეროვნული სისტემის რეალური პრიორიტეტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოცაძე, თ., რუხაძე, ნ., ტურძელაძე, თ. საქართველოში საქართველოში მედიკამენტების ფასები, ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო ფონდი “კურაციო”. 2010, გვ.2
2. ვერულავა თ, რ. ჯორბენაძე. „მაღალტექნოლოგიური კარდიოლოგიის განვითარების პრობლემები და პერსპექტივების საქართველოში“, 2016
3. კიწმარიშვილი ქ., “ტექნოლოგიური ინოვაციები ჯანდაცვაში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა

გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები“, 2019 წ, გვ. 432-433

4. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი, 2017:17

5. შაქარიშვილი გ., „გლობალური ჯანდაცვა“, 2017, გვ. 76-78

6. Fisher ES et al. The implications of regional variation in Medicare spending. Ann Intern Med. 2003; pp. 138:273

7. Woolhandler S, Campbell T, Himmelstein D. Costs of health care administration in the United States and Canada. N Engl J Med. 2003, pp. 349:768

Nino Zhorzhikashvili

THE ESSENCE OF INNOVATIONS AND THE FACTORS HINDERING THEIR SPREAD IN THE GEORGIAN HEALTHCARE SYSTEM

Summary

Fast pace of the globalization process ensures changes of industrialization, urbanization, economic and political liberalization, social and environmental policies in the global scale, which is related to high benefits for population, however, this process has a negative impact on public health, which causes the environment pollution, climate change, bio-terrorism, military conflicts, humanitarian disasters, etc. As a result, the growth of healthcare expenditures is acute for any country. Healthcare is a special area of service that plays a major role in shaping quantitative and qualitative indicators of economic growth. An effective healthcare system is a guarantee of national security. Thus, the proper and successful operation of the healthcare system is essential for increasing the country's welfare and socio-economic development. At this stage, we will focus on the problems of spread of innovations in the Georgian healthcare sector, because modern technologies and innovations give the opportunity to solve the problems that actually exist in the Georgian healthcare sector: high prices and low availability of benefits, unsatisfactory quality of medical care, problems in primary health care, problems related to spread of innovations and etc.

Keywords: *Healthcare system, globalization, innovations, high-tech services.*

გიორგი სანაძე

ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში

ანოტაცია. სტატია ეხება როგორც ინდუსტრიალიზაციის როლს და მის მნიშვნელობას თანამედროვე გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, ასევე იმ მოვლენებს, რომლებიც განაპირობებენ თანამედროვე გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს. ამასთან ერთად, სტატიაში ასევე განხილულია ყველა ის უწინარესი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგება დღევანდელი გლობალური ეკონომიკური პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობა, დეინდუსტრიალიზაცია, რეინდუსტრიალიზაცია, გლობალიზაცია, გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური პოლიტიკა, მზრძანებლური პოლიტიკა, ზომბი-ეკონომიკა, პანდემია, ახლი კორონავირუსი COVID 19, კორონომიკა.

თანამედროვე გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება და მას უმთავრესი როლი ენიჭება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში. ინდუსტრიალიზაცია მოიცავს ყველა იმ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესს, რომელიც ემსახურება აგრარულ და კუსტარულ მრეწველობაზე დამყარებული ეკონომიკის გარდაქმნას ისეთ ეკონომიკად, სადაც წამყვანი როლი ეკისრება მსხვილ, ავტომატიზაციაზე დაფუძნებულ მრეწველობას [Dean, 1979:10]. ამრიგად, ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს კრებსით სახელწოდებას იმ ეკონომიკური და სოციალური პროცესებისა, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებაში მოთხოვნადი პროდუქციის ან მომსახურების შექმნის ეფექტიანი გზების ძიებასთან [Kitchin, Thrift, eds., 2009: 419]. რაც შეეხება ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს, ზოგადი შეფასებით, ის წარმოადგენს სოციალური შინაარსის მქონე ფენომენს და აქედან გამომდინარე, მოითხოვს შესაბამის ყურადღებას, მათ შორის, ანალიტიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო რეგულაციების მეშვეობით. როგორც ცნობილია, 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი სწრაფად დაეუფლა მსოფლიოს და მნიშვნელოვნად დააზარალა სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკა. ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის წარმოადგენს დიდ გამოწვევას ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკისთვის. მან გვაჩვენა, თუ როგორ შეიძლება არარეგულირებულმა ბაზარმა აწყობილი კაპიტალისტური ეკონომიკა ღრმა კოლაფსამდე მიიყვანოს [Hadziahmetovic, Halebic, Colakovic-Priguda, 2018: 48]. დავუბრუნდეთ ისევ ინდუსტრიალიზაციის საკითხს. უნდა აღნიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაციის ფენომენზე და მის ეფექტიანობაზე ემპირიული დაკვირვება და სიღრმისეული შესწავლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ფეხი მოიკიდა ე.წ. პირველმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ. ამასთან, ინდუსტრიალიზაციის ეფექტის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა მისი გავრცელების გეოგრაფიულ არეალს და აღნიშნულ არეალში არსებული საზოგადოების კულტურულ და ღირებულებით თავისებურებებს. როდესაც საუბარია ინდუსტრიალიზაციაზე, აქვე აუცილებლად ვიგულისხმობთ ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისკენ. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ინდუსტრიალიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ ერთეული ქარხნის აშენებასა და შესაბამისად, მის ამუშავებას (მიუხედავად იმისა, თუ რაოდენ უახლოესი ტექნოლოგიით არის აღჭურვილი აღნიშნული ქარხანა), არამედ ის აუცილებლად ითვალისწინებს წარმოების განვითარების ფართო, გლობალურ მასშტაბებს. ეს კი თავის მხრივ განაპირობებს ინდუსტრიალიზაციის გამოშვების დიდ ხვედრით წონას მთლიანი სამამულო პროდუქტის ერთიან სტრუქტურაში (Kitchin, Thrift, eds., 2009: 419).

როდესაც ვსაუბრობთ ინდუსტრიალიზაციაზე, განსაკუთრებით კი მისი პოსტკრიზისული პერიოდის მნიშვნელობაზე, არ უნდა გამოგვრჩეს მისი გლობალური, საყოველთაო ხასიათი. გლობალიზაციის პროცესის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გაბატონებული მსოფლმხედველობით, გლობალიზაცია სათავეს იღებს ჯერ კიდევ პირველი ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდიდან. გარდა ამისა, არის ასევე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გლობალიზაციამ პირველად თავი იჩინა ბოლო რამდენიმე ათეული წლის წინ [Steger , 2003: 17]. თუმცა, ჩემი პირადი მოსაზრებით, გლობალიზაცია არსებობდა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოყოლებული, როდესაც გაბატონდა ელინისტური კულტურა და საკუთრივ - ელინიზმი და რომელიც იმ პერიოდში მოდურ მიმართულებად ითვლებოდა. ამრიგად, ისევ ჩემივე შეფასებით,

გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ ეპოქაში წარმოქმნილი მიმართულება, რომელიც მისაღები აღმოჩნდება იმავე ეპოქის წარმომადგენელი საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გლობალიზაცია წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითად თავისებურებას, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს [დავითაშვილი, 2003: 189].

ინდუსტრიალიზაციის ეფექტიანობა განუზომელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში (უპირატესად იგულისხმება XX საუკუნის მეორე ნახევარი), მსოფლიოს მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მრეწველობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი მნიშვნელოვან შემცირებას განიცდის. აღნიშნული ფენომენი ფართო საზოგადოებისთვის **დეინდუსტრიალიზაციის** სახელით არის ცნობილი. დეინდუსტრიალიზაციის პროცესს ტრადიციულად ადგილი აქვს მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და ის უმეტეს შემთხვევაში ორიენტირებულია ინდუსტრიასთან დაკავშირებული სექტორის ნაცვლად მომსახურების სექტორის განვითარებაზე. ამ მიდგომას სხვანაირად, პოსტინდუსტრიულ პერიოდადაც მოიხსენიებენ [Atolia, Loungani, Marquis, Papageorgiou, 2018: 26].

დეინდუსტრიალიზაცია, როგორც გლობალური მოვლენა, ხშირ შემთხვევაში დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის. გარდა ამისა, ის ასევე ფიქსირდება აღმოსავლეთ აზიაში, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა იაპონია, კორეა, სინგაპური და ტაივანი [Rowthorn, Ramaswamy, 1997: 21].

დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევი ფაქტორების შესწავლა ცალკე სიღრმისეული კვლევის საგანია. ზოგადად მიიჩნევა, რომ დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევი ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის შიგნით არსებული პროცესები, კერძოდ, წარმოებულ საქონელზე საბაზრო ფასების ზრდა (რადგან იზრდება პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო შუალედური ხარჯი), რაც განაპირობებს მასზე მოთხოვნის შემცირებას. აქედან გამომდინარე, ფასების რეგულირების თვალსაზრისით, ჩნდება საჭიროება, რომ წარმოება გადატანილი იქნას ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც მასზე გაწეული შუალედური ხარჯი არ იქნება მაღალი და შესაბამისად, სტაბილური დარჩება მისი საბაზრო ღირებულება [Rowthorn, Ramaswamy, 1999: 20].

სხვადასხვა ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით, დეინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს ინდუსტრიულ სექტორში შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალი მაჩვენებლის დონე. აქ უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იმაზე მეტი პროდუქტის ან საქონელის შექმნა, ვიდრე ეს საჭიროა არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნულ თეორიას ჰყავს ბევრი მხარდამჭერი, რომლებიც აცხადებენ, რომ დეინდუსტრიალიზაციის წარმოშობა უნდა აიხსნას წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდის უფრო მაღალი ტემპით [Svilokos, Vojinić, Tolić, Svilkos, 2019: 386-387].

გლობალიზაციის კონტექსტიდან გამომდინარე, საწარმოები დგებიან სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე. ამ მიზნით, მსოფლიო მოწინავე ფირმების მიერ იქმნება გლობალური მიწოდების ჯაჭვი (Value Chain), რათა პერიფერიებში (ან პირიქით, პერიფერიებიდან ცენტრში) შეუფერხებლად ხორციელდებოდეს საწარმო პროცესები, შუალედური პროდუქტების ან საქონელის მიწოდების ჩათვლით [Matthews, 2006: 314]. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო პროცესის ქვეყნის გარეთ გატანა გლობალურ მიდგომას წარმოადგენს, ადამიანისეული კაპიტალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ

მასზეა დაფუძნებული რეალური ეკონომიკა. ადამიანისეული კაპიტალის ფლობის მნიშვნელობა წარმოადგენს უდიდეს უპირატესობას თანამედროვე სამყაროში [Gershuny, 2005: 5].

მიუხედავად იმისა, რომ დეინდუსტრიალიზაცია ჯერ კიდევ ითვლება თანამედროვე, გლობალურ მოვლენად, უკვე იკვეთება მოსაზრება, რომ ეკონომიკური კრიზისების პროცესში ან მის შემდგომ პერიოდში, ეკონომიკისა და ზოგადად, ცხოვრების დონის ხელახლა ამაღლების მიზნით, საჭიროა ახალი თეორიული მიდგომა, რომელსაც **რეინდუსტრიალიზაცია** შეიძლება ეწოდოს [Svilokos, Vojinić, Tolić, Svilokos, 2019: 384].

ბოლო წლებში, განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდებში შეინიშნება თანდათან მზრდადი ინტერესი ინდუსტრიალიზაციისადმი. პროცესს, რომლის ფარგლებშიც კვლავ იზრდება ინდუსტრიალიზაციის როლი და აქედან გამომდინარე, მრეწველობის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში, რეინდუსტრიალიზაციის სახელითაც მოიხსენიებენ. რეინდუსტრიალიზაციას სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყნებში და მიიჩნევენ, რომ ის არის მთლიანი სამამულო პროდუქტის, შესაბამისად, ეკონომიკის ზრდის უმთავრესი საშუალება. ეს კი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ხდება პოსტკრიზისულ პერიოდში. როდესაც რეინდუსტრიალიზაციაზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ინოვაციური მიდგომების ფართო დანერგვა ინდუსტრიულ პროცესებში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირმა წარმოადგინა ინდუსტრიის აღორძინების სტრატეგია სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიზნით (Renaissance of Industry for a Sustainable Europe – RISE), სადაც ინოვაციურ მიდგომებს მესამე ინდუსტრიული რევოლუციის ფარგლებში, მოწინავე როლი აქვს მიკუთვნებული [Konstattinova, Konarev, 2015: 358].

წარმოების რეინდუსტრიალიზაციის მიზნით, ჯერ კიდევ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ წარმოადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა წარმოების სხვადასხვა ქვეყნიდან ისევ უკან, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, ინდუსტრიის ჩინეთიდან უკან დაბრუნება არ მოიტანს იმ შედეგებს, რომლისთვისაც მიისწრაფვის ამერიკის შეერთებული შტატები. ამ სიტუაციაში საუკეთესო ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინოვაციურ წარმოებაზე გააკეთოს აქცენტი [Бузмакова, 2017: 8].

ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების შემდგომ პერიოდში ხდება საჭიროება იმ ახალი დამხმარე ძალისა, რამაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის ზრდის განახლება და შესაბამისად, ინდუსტრიის წილის ზრდა მთლიან სამამულო პროდუქტში. ასეთ დამხმარე ძალად შეიძლება ჩაითვალოს რეინდუსტრიალიზაცია. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში იკვეთება ეკონომიკური ინტერესი და ორიენტაცია მთლიანი სამამულო პროდუქტის წილის გაზრდასთან მიმართებაში, რაც ინდუსტრიალიზაციის გარეშე ერთობ რთულ ამოცანას წარმოადგენს [Svilokos, Vojinić, Tolić, Svilokos, 2019: 384].

ულტრალიბერალურმა მოძღვრებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რამაც ხელი შეუწყო კრიზისის გაღრმავებას. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, აუცილებელია შემუშავდეს ახალი თეორიული, მაკროეკონომიკური პარადიგმა და ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი, რომელიც იქნება მკაფიო პასუხი 2008 წლის გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე, რადგან მან გვაჩვენა ეკონომიკური პოლიტიკის ულტრალიბერალური რეჟიმის

არაეფექტიანობა გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ამასთან, განუწყვეტელი გლობალური ცვლილებების განხორციელებისას, აუცილებელია სტაბილური საზოგადოების შექმნა, რომელიც იქნება არა მარტო ჰუმანური, არამედ სოციალურად დაბალანსებულიც [Hadziahmetovic, Halebic, Colakovic-Priguda, 2018: 48].

ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ცნობილი ამერიკელი ეკონომისტისა და მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჯოზეფ სტიგლიცის თვალთახედვა, სადაც ის ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე კაპიტალიზმში ულტრალიბერალური იდეოლოგიის ყველაზე სიღრმისეულ შეცდომებზე, კერძოდ, სოციალური პოლარიზაციის გაღრმავებაზე როგორც სახელმწიფოებს, ასევე საზოგადოების წევრთა შორის. გარდა ამისა, სტიგლიცი ასევე ხაზს უსვამს ფინანსური სისტემის არასტაბილურობსაც. სტიგლიცის აზრით, გლობალურ დონეზე ეკონომიკური პოლიტიკა მრავალი გამოწვევის წინაშეა და აქედან გამომდინარე, იმ მიზნით, რომ მან მოახდინოს გარკვეული გავლენა შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესზე, ესაჭიროება მნიშვნელოვანი ძალისხმევა [Stigliz, 2006: 74-76].

გლობალურ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, ჯოზეფ სტიგლიცი მეტად საინტერესო ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას. მას მოყავს ასეთი მაგალითი: საკუთარი სახლში ინდივიდები მუდამ იღებენ გარკვეულ მორალურ პასუხისმგებლობას იმ ქმედებებზე, რომელსაც ახორციელებენ, მიუხედავად იმისა, გააჩნიათ ამის ვალდებულება, თუ არა. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სიტუაცია საკუთარი სახლის გარეთ ვითარდება, იგივე ინდივიდები სრულიად არ ივალდებულებენ თავს თავიანთსავე ქმედებაზე, რადგან ამ შემთხვევაში მორალური პასუხისმგებლობა შესუსტებულია. აქედან გამომდინარე, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ კომპანიის მენეჯერს, რომელსაც მაღალი ანაზღაურება გააჩნია და მისი ოფისი მდებარეობს პერიფერიული ზონიდან საკმაო მანძილის მოშორებით, სრულიადაც არ ადარდებს, თუ რა მდგომარეობაშია ის მუშა, რომელიც მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ ახორციელებს ტიტანურ შრომას. მსგავსი ტიპის მენეჯერები მიიჩნევენ, რომ დასაქმებულებს ზოგადად გაუმართლათ, რომ ნახეს სამუშაო ადგილი. მათ სრულიად არ აინტერესებთ ის პირობები, სადაც ეს მუშები მუშაობენ [Stigliz, 2006:196]. სტიგლიცის ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პერიფერიაში, იაფ სამუშაო ძალაზე დაფუძნებული მრეწველობა საბოლოო ჯამში ნეგატიურად ისახება იმ ქვეყნის დასაქმების მაჩვენებელზე, რომლის წარმომადგენელიც არის ეს კომპანია [Stigliz, 2006: 196].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხაზგასასმელია ის გარემოებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროკავშირის მხრიდან, პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან მიმართებაში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული. კერძოდ, ევროკავშირთან გეოგრაფიულად ახლოს მყოფი პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით XX საუკუნის 90-იან წლებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ის ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდებოდა სხვადასხვა ევროპული ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ. ამ უკანასკნელთათვის ფინანსურად საკმაოდ მიმზიდველ მოვლენას წარმოადგენდა ადგილობრივი მაღალკვალიფიციური მეცნიერებისა და ინჟინერების შედარებით დაბალი შრომითი ანაზღაურება, მათ დასავლეთევროპულ კოლეგებისგან განსხვავებით. სწორედ, ყოველივე ამის გათვალისწინებით გახდა შესაძლებელი, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიღწეულ იქნა შედარებით სტაბილური ეკონომიკური ზრდა და რაც ყველაზე მთავარია, ასევე მნიშვნელოვნად განვითარდა საექსპორტო პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ქვეყნებმა საბოლოოდ მაინც ვერ

შემდგომად, შეექმნათ საკუთარი ინოვაციური სისტემა. ეს კი, თავის მხრივ განპირობებულია იმ მიზეზის გამო, რომლის მიხედვითაც ძველი, კომუნისტური ეპოქისთვის დამახასიათებელი მრძანებლური ეკონომიკის წიაღიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი ინვესტიციების განმხორციელებელი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იქნა ათვისებული [პაპავა, 2018: 16-17].

2008 წელს წარმოქმნილმა ფინანსურმა კრიზისმა დაგვანახა, რომ მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფინანსური ბაზარი თვითონ დაარეგულირებს კრიზისულ გარემოებას. ნიშანდობლივია, რომ გადაჭარბებული ფინანსური რეგულაციები გზას უკაფავს სპეკულაციებს. ამის მკაფიო მაგალითად შეიძლება ჩათვალოს ვალუტის გაცვლითი კურსები და სავალუტო ბირჟები. აღსანიშნავია, რომ სავალუტო ბირჟების აქტორებს არ ადევნებთ არანაირი მაკროეკონომიკური გარემოება და ამ გარემოებების ეკონომიკური ინტერპრეტაცია. ეს აქტორები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალურ ფინანსურ მოგებაზე. სწორედ ამის გამო წარმოიქმნება კრიზისის ფონი სავალუტო და უძრავი ქონების ბაზარზე, რასაც საბოლოოდ მოსახლეობის ფინანსურ ზარალამდე და ფინანსურ და ეკონომიკურ კოლაფსამდე მივყავართ [Dullien, Kotte, Marquez, Priewe, eds., 2010: 308].

როდესაც საუბარია ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისზე, მეცნიერთა ერთი ნაწილი გარკვეულ ყურადღებას ამახვილებს ისეთ მოვლენაზე, რომელიც ე.წ. “ზომბი-ეკონომიკის” სახელით არის ცნობილი [მაგალითად, Caballero, Hoshi, Kashyap, 2008]. საკუთრივ სიტყვა „ზომბი-ეკონომიკა“ შედგენილია ტერმინ „ეკონომიკისა“ და სიტყვა „ზომბისგან“. ეს უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს კარიბის ზღვის კუნძულების მითოლოგიურ არსებას, რომელიც არის ადამიანის გვამი, თუმცა, იმავდროულად მას შეუძლია გადაადგილება და აქედან გამომდინარე, ინსტინქტის დონეზე გარკვეული ფიზიკური მანიპულაციების შესრულება. მაინც, რას უნდა ნიშნავდეს „ზომბი-ეკონომიკა“? რა შეიძლება იყოს მისი ძირითადი არსი? ზოგადად, „ზომბი-ეკონომიკა“ გულისხმობს ისეთი ეკონომიკის არსებობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ე.წ. ფუნქციონირება ფუნქციების გარეშე. “ზომბი-ეკონომიკის” წიაღში წარმოქმნილი ფორმები/კომპანები არსებობენ იმ სახელმწიფოს მხარდაჭერით, სადაც ისინი არიან დაფუძნებულები. მათ მიერ შექმნილ პროდუქტზე მოთხოვნა საზოგადოებაში შესაძლოა ან საერთოდ არ იყოს, ან მხოლოდ მცირე რაოდენობით არსებობდეს. მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ზომბი-ეკონომიკის ფინანსირების წყაროა ე.წ. “ზომბი-ბანკები” (ანუ, ბანკები, რომლებიც ხელს უწყობენ „ზომბი-ეკონომიკის“ არსებობას) და მათ მიერ განვითარებული დაკრედიტების სისტემა. ასეთი ბანკების მემკვიდრეობით ხორციელდება შეღავათიანი სესხების (დაბალი საპროცენტო განაკვეთებით) გაცემა და მისი საშუალებით არსებული ეკონომიკური მდგომარეობის (ანუ, „ზომბი-ეკონომიკის“) შენარჩუნება და გამტკიცება. მიიჩნევა, რომ ამ მიდგომით იმ ქვეყნის ხელისუფლება, სადაც „ზომბი-ეკონომიკისთვის“ დამახასიათებელი შემთხვევები ფიქსირდება, ხელოვნურად ცდილობს, არ გაზარდოს უმუშევრობის დონე იმ მიზნით, რომ არ მოხდეს მოსახლეობაში უკმაყოფილების ზრდა, რასაც საბოლოოდ შეუძლია არჩევნებში უარყოფითი შედეგი მოიტანოს მმართველი პოლიტიკური ძალისთვის [მაგალითად, Caballero, Hoshi, Kashyap, 2008]. სტაგნაციის პირობებში, ეკონომიკას (იგულისხმება მრეწველობისა და ვაჭრობის დარგები) ზოგ შემთხვევაში შეიძლება ახასიათებდეს უმუშევრობის დონის ზრდა, ხელფასებისა და ცხოვრების დონის შემცირება. მსგავსი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ქვეყნის მთავრობა, მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების (საბანკო სისტემის ჩათვლით) შენარჩუნებას საბიუჯეტო

სახსრების მეშვეობით ცდილობს. მას შემდეგ, როდესაც ფინანსური კრიზისი დასრულდება, ეკონომიკა მემკვიდრეობით იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომლითაც სარგებლობდა სტაგნაციის პერიოდში. სწორედ ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ „ზომბი-ეკონომიკა“ სხვა არაფერია, თუ არა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობა [პაპავა, 2010: 21-22].

ეკონომიკის ზომბირება განსაკუთრებით დიდი საფრთხის მატარებელია პოსტკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებისათვის, რადგან მათი ეკონომიკის მოდელი ძირეულად განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში არსებული მოდელისგან [Papava, 2010: 35].

დანერგული. ამაზე არის საუბარი ასევე Georgia Environmental Outlook-ის ანგარიშში. კოორდინაციის მექანიზმების ნაკლოვანებაზე საუბრობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიც თავის ანგარიშში - აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სუსტია კოორდინაცია და თანამშრომლობა სისტემის სხვადასხვა სუბიექტს შორის. ბუნებრივი კატასტროფების მართვის კუთხით, უწყებების ორგანიზაციული ფუნქციები არ არის მკვეთრად გამიჯნული, ასევე არ არის დადგენილი მათ შორის შესაბამისი ინფორმაციის გაცვლის სტანდარტი და პერიოდულობა. აღნიშნული განსაკუთრებულად აისახება განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობაზე.²⁸

არსებული პრობლემების აღმოფხვრისთვის საჭიროა: ერთის მხრივ პროექტების მართვის ნაკლოვანებების გამოსწორება და მეორეს მხრივ კოორდინაციის მექანიზმების გაძლიერება. კერძოდ:

➤ საჯარო უწყებებში არსებული პროექტის მართვის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადება, რომელშიც განსაზღვრული იქნება პროექტის უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით განხორციელების წინაპირობები, პროექტის სასიცოცხლო ციკლის ყოველი ეტაპის შესრულება გახდება სავალდებულო და პროექტები დაფინანსდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი თავსებადია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებთან და ამოცანებთან.

➤ აუცილებელია კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობის გაძლიერება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია კოორდინაციის მექანიზმების მოწესრიგება, თითოეულ დარგობრივ სამინისტროებში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურის გამოყოფა, საკომუნიკაციო არხების შექმნა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების ანგარიში, საქართველო, 2014;
2. საქართველოში ბუნებრივი საფრთხეების ზონირებისა და რუკების შედგენის შესაძლებლობების შეფასება და რეკომენდებული ქმედებები, გამოცემულია ორგანიზაცია Georgia Environmental Outlook (GEO), 2018;
3. წყალდიდობით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების (პრევენცია, მზადყოფნა) მართვის ეფექტიანობის აუდიტი, 2020;
4. Global Platform for disaster risk reduction, Official Statements from the Fourth Session of the Global Platform for Disaster Risk Reduction, Country statements, 2019;
5. The Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015-2030 (Sendai Framework);
6. The World Bank, (2011): Strengthening Public Investment Management, Indicator Framework;
7. <http://drm.cenn.org/index.php/ka/>
8. <https://es.gov.ge/>
9. <https://sao.ge/ka/>
10. <https://www.undrr.org/>

²⁸ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, წყალდიდობ ით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების (პრევენცია, მზადყოფნა) მართვის ეფექტიანობის აუდიტი, 2020, გვ.8

EFFECTIVENESS OF NATURAL DISASTER MANAGEMENT PROJECTS IN GEORGIA Summary

Natural disasters have increased with climate change. The amount of damage caused by the disaster has increased. During the last 40 years, the economic damage amounted to 14 billion dollars in Georgia. Consequently, in such conditions, different activities and projects implemented by the state in the field of prevention and preparedness are very important. This study presents several projects, despite the implementation of which it seems that there are still disadvantages in disaster risk reduction in Georgia.

The problem was identified in two main areas: inefficiency of project management and lack of coordination mechanisms. In particular, the state does not implement all stages of the project life cycle effectively, and also, coordination mechanisms are weak, so agencies and organizations involved in disaster risk reduction work on the same issue without communicating with each other.

In order to improve the current situation, it is important to prepare a guide document, which will define the preconditions for the implementation of the project in accordance with better international practice and will make it necessary to comply with them. There is also a need to strengthen coordination mechanisms and create communication channels for stakeholder communication.

ირმა ტყემალაძე

დისტანციური დასაქმების როლი COVID-19-ის პანდემიის უარყოფითი ეფექტების შემცირებაში

ანოტაცია. COVID-19-ის პანდემიამ დასაქმების სტანდარტული მოდელის ნაცვლად დისტანციური დასაქმების მოდელი შემოგვთავაზა. სამუშაოს უწყვეტობის შესანარჩუნებლად სწრაფი ტემპით მოხდა სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების ათვისება და დანერგვა. აქტუალურ საკითხად იქცა დისტანციური სამუშაოს მასობრივი პრაქტიკის შედეგების შესწავლა და შეფასება. დასახული მიზნის ფარგლებში გაანალიზებულია ქართული და უცხოური პუბლიკაციები და ნაშრომები, შესწავლილია ექსპერტთა მოსაზრებები, დამუშავებულია სტატისტიკური მასალა. შედეგად გამოვლენილია დისტანციური ფორმატის უპირატესობები და სირთულეები, განხილულია შრომის ბაზარზე წარმოქმნილი ტენდენციები, მათი შემდგომი გავრცელების და განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური დასაქმება, COVID-19-ის პანდემია, ეკონომიკური განვითარება.

შესავალი

სამუშაოს ხასიათი და პირობები მუდმივ ცვლილებას განიცდის. ჩნდება ახალი პროფესიები, იზრდება ინტელექტუალური შრომით დასაქმებულთა წილი. ტექნოლოგიების განვითარება კი ქმნის დისტანციური მუშაობის გავრცელების პირობებს. დისტანციური დასაქმება, შრომის პროცესის ორგანიზაციის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს, რომლის დროსაც კომპანიების შტატის თანამშრომლები თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ დამქირავებლის სამუშაო სივრცის

გარეთ, მუშაობის პროცესში ძირითადი კომუნიკაცია ხორციელდება ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით.

რა თქმა უნდა, დისტანციური დასაქმება სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში არ არის შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, მისი მიზანშეწონილობა განიხილება ე.წ. ტრანსაქციული ინდუსტრიებისა და სპეციალობებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის კომუნიკაციით განხორციელებულ ინფორმაციის გადაცემასთან. ასეთია, მაგალითად: ფინანსები, ბუღალტერია, აუდიტი, საკონსულტაციო და მთარგმნელობითი მომსახურება, დისტანციური შესყიდვები, გაყიდვები, IT სფეროს წარმომადგენლები და სხვ. მისი აშკარა პერსპექტივებისა და მთელი რიგი გარკვეული უპირატესობებისა ეკონომიკის დიგიტალიზაციის კონტექსტში, მუშაობის ორგანიზების ამ ფორმატმა მრავალი კითხვა გააჩინა, როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებულების მხრიდან სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული თუ სამართლებრივი ასპექტებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ მიზეზების გამო დისტანციური დასაქმების მიმართ ზრდადი ინტერესი არ შეიმჩნეოდა ქართულ რეალობაში და დამსაქმებლები უპირატესად ორიენტირებულნი იყვნენ დასაქმების ტრადიციულ ფორმებზე.

კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელებამ მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში. დღეს უკვე აღნიშნული ფორმით ადამიანთა დასაქმება ორგანიზაციების უმრავლესობის სამუშაო კულტურის ნაწილად იქცა. 2020 წლის გაზაფხულიდან საქართველოს შრომის ბაზარზე წარმატებულად დაინერგა და განხორციელდა მუშაობა დისტანციური პლატფორმების საშუალებით. 21 მარტიდან საკარანტინო რეჟიმის შემოღება ერთგვარი მოტივატორი გახდა თითოეული დამსაქმებლისათვის, ეფიქრათ დასაქმების ახალი ფორმების გამოყენებაზე.

პანდემიის მიერ „შემოთავაზებული“ რეალობა ყველაზე კარგად შრომის ბაზარმა აირეკლა. გარდა იმისა, რომ შედეგები დროის მოკლე პერიოდისათვის სახეზეა, მას გრძელვადიან პერსპექტივაში ჯაჭვური პროცესების განვითარების რისკი აქვს.

პირველი პრობლემა, დასაქმების ალტერნატიული ფორმების, უფრო ზუსტად და უმეტეს შემთხვევაში, დისტანციური დასაქმების მოდელის დანერგვა იყო. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეადარეს დისტანციურ დასაქმებაზე გადასვლის სიმარტივე ოცდაათ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში. განვითარებულმა ქვეყნებმა, რომლებსაც აქვთ ინტერნეტზე წვდომის მაღალი დონე, შერეული პროფესიები, დასაქმებულზე ორიენტირებული პოლიტიკა, საუკეთესო შედეგს ბუნებრივად მიაღწიეს, მათ შორისაა ბელგია, კანადა და შვედეთი. შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც ინტერნეტზე თავისუფალი წვდომა აქვს, დასაქმებულთა უმეტესი წილი კი დაკავებულია ისეთი საქმიანობით, რომელთა შესასრულებლადაც სხვა ადამიანებთან ფიზიკური სიახლოვე სჭირდებათ, მეთერთმეტე ადგილზეა. განვითარებადი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნები, როგორცაა ბრაზილია, ჩინეთი და ნიგერია, ყველაზე მეტ დაბრკოლებას განიცდიან, ინტერნეტის დაბალი ხარისხისა და თაობებით ინტეგრირებულ ოჯახების გამო.

დისტანციური დასაქმების მკვლევარის, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ნ. ბლუმის მიხედვით, აშშ-ში დასაქმებულთა 42 პროცენტი მუშაობს სახლიდან სრულ განაკვეთზე, ხოლო 33 პროცენტი საერთოდ ვერ მუშაობს. დარჩენილი 26 პროცენტი მუშაობს დამსაქმებლის შენობაში, უპირატესად მომსახურების სფეროს მუშაკები [Bloom N., Barrero J., Davis, 2020]. გამოდის თითქმის ორჯერ მეტი

თანამშრომელი მუშაობს სახლიდან, ვიდრე სამუშაო ადგილზე. მართალია, პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკაზე, ფაქტიურად ეკონომიკური ზრდის ტემპი ყველა ქვეყანაში შეამცირა, ისე რომ ახლანდელ მდგომარეობას, ალბათ, 2022 წლამდე ვერც კი დავუბრუნდებით²⁹ [Baker et al. 2020], მაგრამ სახლიდან მუშაობის უნარის გარეშე ყველაფერი ბევრად უარესად იქნებოდა. დისტანციურმა მუშაობამ საშუალება მოგვცა შევინარჩუნოთ სოციალური დისტანცირება COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე რომ, სახლიდან მუშაობა არამარტო ეკონომიკურად აუცილებელია, არამედ ის კრიტიკული იარაღია პანდემიასთან ბრძოლაში.

აშშ-ში კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირები, მაღალშემოსავლიანი თანამშრომლები ბევრად უფრო ხშირად მუშაობენ სახლიდან. ისინი ჩვეულებრივ განაგრძობენ მუშაობას, უნარ-ჩვევების განვითარებას და კარიერულ წინსვლას. ზარალდება დასაქმებულთა ის კატეგორია, ვინც ვერ იმუშავებს სახლიდან - სამუშაოს ხასიათის გამო, ან იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ შესაფერისი სივრცე ან ინტერნეტთან კავშირი. [Bloom N., Barrero J., Davis, 2020].

საქართველომ პანდემიის პირველი ტალღა სამედიცინო თვალსაზრისით შედარებით მსუბუქად გადაიტანა, მაგრამ ისე როგორც ბევრი გარდამავალი ან განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა, ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. ეკონომიკის სამმა სექტორმა: ტურიზმმა, ტრანსპორტმა და საცალო ვაჭრობამ ფაქტიურად „უძრაობის“ ეტაპზე გადაინაცვლა. კრიზისმა მოიცვა მშენებლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, ხელოვნება, გართობა და დასვენების სექტორები. საქართველოს ეკონომიკა ივნისში 7,7%-ით, ხოლო 2020 წლის ორი კვარტალის მიხედვით 5,8%-ით შემცირდა. აპრილის თვეში, როცა კრიზისი ყველაზე მწვავე იყო მშპ-ს შემცირებამ 16,6% შეადგინა. გამოშვება შემცირდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. ზემოაღნიშნულ ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობის კლება ცხადია, მაგრამ არც სხვა სფეროები გადარჩნენ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას. მაგალითად, მშენებლობაში 2020 წელს, წინა წლებთან შედარებით 16%-ით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებში-4,5%-ით, ხელოვნება, გართობა და დასვენებაში-35%-ით, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებში-18%-ით. დასაქმებულთა რაოდენობა არ შემცირდა სახელმწიფო სექტორში, განსხვავებით კერძო სექტორისგან, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 14-ით [10] შემცირდა.

ერთადერთი სექტორი, რომელიც კრიზისის პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა მრეწველობაა, ასევე შედარებით უკეთესი მდგომარეობაა განათლებაში. დისტანციური სწავლების კუთხით, საქართველო ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშადაც კი არის აღიარებული [11]. როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში მოხერხდა დისტანციურ რეჟიმზე დროული გადასვლა. შეირჩა ელექტრონული სწავლების აპლიკაციები/ფორმები (ZOOM, Microsoft Teams, LMS, Moodle და სხვ.). ცვლილებები შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, დაემატა ტერმინი „დისტანციური სწავლება“, სწავლების ახალი ფორმისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით. ასევე წარმატებით მიმდინარეობს სხვადასხვა სასერთიფიკატო კურსების თუ ტრენინგების გამართვა ონლაინ-პლატფორმებით, ბევრმა ადამიანმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა და ადამიანური კაპიტალის დაგროვება მოახერხა პანდემიის პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წარმატებები ძირითადად

²⁹ Scott R. Baker Nicholas Bloom Steven J. Davis Stephen J. Terry, COVID-INDUCED ECONOMIC UNCERTAINTY, Cambridge, MA 02138 April 2020

მსხვილი ქალაქების „ხვედრია“, პრობლემად რჩება სწავლების და დასაქმების საკითხი მაღალმთიან რეგიონებსა და სოფლებში, ასევე სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად ნაკლებადშემდგომი ოჯახებისათვის.

პანდემიამ დასაქმების სქესობრივ სტრუქტურაში დისბალანსის საშიშროება შექმნა. ონლაინ- მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ, მიტანის სერვისების გააქტიურებამ კონსულტანტების რაოდენობის შემცირება და კურიერების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. ანუ ე.წ. „ქალთა“ პროფესიები და საქმიანობების შემცირების ტენდენციასთან გვაქვს საქმე, ხოლო მამაკაცები უფრო მეტად ინარჩუნებენ სამუშაო ადგილებს.

შრომის ბაზრის მდგომარეობას ანუ მის დამაბულობის ხარისხს, გარკვეულწილად ახასიათებს ვაკანსიების რაოდენობა, რაც პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა ყველა იმ კომპანიამ, რომელსაც ახალი რესურსი სჭირდება, ეს პროცესი მოახერხა და გადაიტანა ვირტუალურ სივრცეში. სადაც გამოვლინდა ტენდენცია, რომ შრომის ბაზარი კიდევ უფრო მეტად გლობალური ხდება.

საქართველოს შრომის ბაზრისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა არის საზღვრების დახურვა და უცხოეთში დასაქმებულების შინ დაბრუნება. პრობლემა არა მხოლოდ ჩვენს სახელმწიფოში არსებული საკარანტინო ზომებია, არამედ ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოში ეკონომიკის მნიშვნელოვანი ვარდნაა. ემიგრანტების დაბრუნებას ერთდროულად რამდენიმე ეფექტი ექნება. პირველ რიგში, იგი შრომის შიდა ბაზარზე გაზრდის უმუშევრობას, და მეორე მხრივ, შემცირდა უცხოეთიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა. რაც კიდევ უფრო მეტად შეანელებს ეკონომიკური ზრდის პროცესს.

მრავალწახნაგოვანი კრიზისის პირობებში, დისტანციურმა დასაქმებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უარყოფითი ეფექტების შემსუბუქებაში, შენარჩუნდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის პანდემიამდე არსებული შემოსავლების დონე, ხოლო მეორე ნაწილისთვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარებების გაცემა მოხერხდა. ბევრი დასაქმებულისთვის ის მუშაობის მისაღებ ფორმად იქცა სხვადასხვა მიზეზთა გამო: უფრო მეტი თავისუფალი დრო, უფრო მეტი ურთიერთობა ოჯახთან, სამსახურიდან სახლამდე და პირიქით გადაადგილებისათვის დროის დანაკარგების აღმოფხვრა, ნაკლები კონტროლი მუშაობის პროცესში და ა.შ. ზოგადად, განვითარებული ქვეყნებისთვის, სადაც დასაქმების სტრუქტურა იძლევა დისტანციური მუშაობის შესაძლებლობას, ეს პრაქტიკა დიდი ხანია დანერგილია. საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყანათა ჯგუფს, სადაც ამ ფორმატის გამოყენება ჯერ კიდევ ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ:

- ტრადიციული დასაქმების ფორმების არსებობის აუცილებლობა დასაქმებულთა 55-60%-თან მიმართებაში;
- სახლის პირობებში შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნაკლებობა, სამუშაო სივრცის გამოყოფის პრობლემა, განსაკუთრებით სრული სამუშაო დღისთვის;
- ცხოვრება-მუშაობის ბალანსის შენარჩუნება, დასაქმებულის უფლებების დაცვა საკანონმდებლო ჩარჩოს გარეშე;
- თაობათა თანაცხოვრების აქტუალობა;
- მენეჯერებისა და მმართველებისათვის კონტროლისა და კოორდინაციის ფუნქციის შესრულება;
- არარეგლამენტირებული სამუშაო დრო, ქალთა ორმაგი დატვირთვა;
- თანამშრომლობის არარსებობა; კონცენტრაციის ნაკლებობა

- კიბერუსაფრთხოების პრობლემა.

ზემოთხაზოთვლილი სირთულეების მიუხედავად, სამომავლოდ საქართველოს შრომის ბაზარზე შენარჩუნდება შერეული მუშაობის საჭიროება, გამომდინარე იქედან, რომ კრიზისმა ხელი შეუწყო ახალი სამუშაო პრაქტიკის შემოღებას, კომპანიები უფრო მოტივირებულნი არიან დაუშვან დისტანციური მუშაობა, ონლაინ შექმნის გამოცდილება მომხმარებელსაც უვითარებს ახალ ჩვევებს, ამიტომ ეპიდემიის დასრულების შემდეგაც სულ უფრო მეტი მათგანი მიმართავს ელექტრონულ შესყიდვებს.

დასკვნა

დისტანციური დასაქმება ერთადერთი გამოსავალი იყო და არის არსებულ რეალობაში. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კორონომიკის პირობებში უარყოფითი ეფექტების შემსუბუქების კუთხით. სავარაუდოდ პანდემიის შემდეგ, უკვე ეკონომიკური მიზეზების გამო, შენარჩუნდება შერეული მუშაობის საჭიროება. რაც გამართლებულია იმ ფაქტით, რომ კრიზისმა ხელი შეუწყო ახალი სამუშაო პრაქტიკის შემოღებას და დანერგვას, კომპანიები კი უფრო მეტად გახდა მოტივირებულნი, მარტივად დაუშვან სამუშაო სივრცის გარეთ დასაქმებულის მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელება. კრიზისმა დაგვანახა ეკონომიკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობა და მწარმოებლური დარგების განვითარების აუცილებლობა. ამ ეტაპზე კი ალბათ სახელმწიფოს მეტი ჩარევის საჭიროება ჩნდება, რომ ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი არ გახდეს. ასევე მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა, იმისათვის რომ ორგანიზაციებმა მასობრივად არ გაათავისუფლონ მუშაკები სამსახურიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. F. Saltiel, “Who Can Work From Home in Developing Countries?” working paper, Duke University, Durham, North Carolina, April 2020.
2. Why Working from Home Is a “Future-Looking Technology” // Stanford GSB. Economics. 22.06.2017. URL: <https://www.gsb.stanford.edu/insights/why-working-home-future-looking-technology>
3. Key Remote Work & Telecommuting Statistics for 2020 // Owl Labs. 04.12.2019. URL: <https://www.owlabs.com/blog/remote-workstatistics>
4. State Of Remote Work // Buffer. 2019 Report. URL: <https://buffer.com/state-of-remote-work-2019>
5. Marco Minervini , Darren Murph and Phanish Puranam, Remote Work Doesn’t Have to Mean All-Day Video September 09, 2020 Harvard business review
6. Цифровая грамотность и удаленная работа в условиях пандемии. Совместный аналитический доклад ВЦИОМ и Social Business Group. 15.05.2020. URL: <https://wciom.ru/index.php?id=236&uid=10280>
7. Авдеева Е.А., Давыдова Т.Е., Шульгин А.В. Формирование гибкой рабочей среды как следствие цифровизации экономики // ФЭС: Финансы. Экономика. 2019. Т. 16. № 11. С. 12–16. URL: <https://elibrary.ru/item.asp?id=41711986>
8. Данцкер И. Проблемы организации удаленной работы // Системный администратор. 2020. № 3 (208). С. 8–9. URL: <https://elibrary.ru/item.asp?id=42685666>

9. Волкова С.А. Готовность к дистанционной работе в условиях самоизоляции как признак профессиональной культуры педагога // Вопросы педагогики. 2020. № 5-1. С. 83
 10. www.geostat.ge
 11. http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=1028

Irma Tkemaladze

**THE ROLE OF REMOTE EMPLOYMENT
 IN REDUCING THE NEGATIVE EFFECTS OF THE COVID-19 PANDEMIC
 Summary**

The character and conditions of work are constantly changing, new professions are emerging, the share of intellectual workers is growing. The development of technology creates favorable conditions for remote work. The spread of the Covid-19 pandemic has accelerated these processes and made employment of people in this kind of form as a part of the work culture for the most organizations.

Georgia is no exception in this case. Since March 2020, work through remote platforms, has been successfully implemented and realized on the Georgian labor market, in those fields and areas where presence of the workers on the workplace was not a necessity. The quarantine regime has become a kind of motivator for each employer to think about the implanting of the remote model instead of the standard model of employment, not only in terms of Covid-19, but also in the post-pandemic period. It is important to study and evaluate the results of remote work mass practice. The paper identifies the needs for the introduction of the remote format, its advantages and difficulties, discusses the trends in the labor market during the Covid-19 pandemic and analyzes the prospects for their further spread and development.

Keywords: *remote employment, COVID-19 pandemic, economic development.*

თენგიზ ქავთარაძე

**საკვებწარმოების თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები
 საქართველოს მეცხვარეობაში**

ანოტაცია. ნაშრომში პირველადაა შესწავლილი მეცხვარეობის საკვებწარმოების თანამედროვე მდგომარეობა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ და კასპისპირეთში 200 ათასი ჰექტარი ზამთრის საძოვრების დაკარგვამ, მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება გამოიწვია. რასაც მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია მოჰყვა. მეცხვარეობის დარგის აღდგენისა და განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია პირველ რიგში საზამთრო საძოვრების გამოყოფა და მათი მოვლა-პატრონობა.

სტატიაში წამოყენებულია წინადადება, რომ ჩრდილო კავკასიის მეცხვარეობასთან ერთად შეიქმნას ერთობლივი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ზაფხულობით გამოიყენებდნენ ჩვენს საზაფხულო საძოვრებს ზამთარში კი ჩვენი მეცხვარეები ისარგებლებდნენ ყიზლარის ზამთრის საძოვრებითა და ინფრასტრუქტურით.

საკვანძო სიტყვები: *მეცხვარეობის საკვები ბაზა; საზაფხულო, გარდამავალი და ალპური საძოვრები; სენაჟი და სილოსი.*

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ, მიწების მასობრივმა პრივატიზებამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ კასპისპირეთში 200 ათასი

ჰექტარი საზამთრო საძოვრების დაკარგვამ მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება გამოიწვია, დაირღვა მთასა და ბარს შორის ეკონომიკური კავშირები. ამან გამოიწვია მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია. მაგალითად მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა დღეისათვის საგრძნობლად შემცირებულია და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 108,8 ათას კაცს არ აღემატება, რაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს.

მთიან რეგიონებში მიგრაციის უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელოვან პირობად მიგვაჩნია ტრადიციული მეცხვარეობის განვითარება. ამჟამად მთის სოფლებში მოსახლეობის დამაგრების ძირითად გზად მიჩნეულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლით მოსახლეობის დასაქმება. ეს სამუშაო ძალზე შრომატევადია. ადგილზე ერთ ძროხას საკვებად ერთ წელწადში ჭირდება 5700 კილოგრამი თივა. მთაში როცა თიბავენ, იქვე აბულულავენ, ზამთრის პერიოდში კი გაყინულ თოვლზე ჩამოაქვთ დაცურებით. ერთ კაცს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში მთიდან დაცურებით მხოლოდ ერთი თივის (200 კგ) ჩამოტანა. ე.ი. მთლიანად თივის ჩამოტანას ერთი თვე ჭირდება; თივის დამზადება კი 2-3 თვეს გრძელდება, რაც ხელით სრულდება. მოსახლეობას ურჩევნია მთელი წლის განმავლობაში თავიანთთვის და ოჯახისთვის საჭირო პროდუქცია და ნივთები დაბლიდან აზიდონ ზურგით ან ცხენით მაღლა მთაში, ვიდრე ხელით მთიდან ჩამოათრიონ თივა, თან ელოდონ თოვლის მოსვლას და პირუტყვის უსაკვებოდ დარჩენის საშიშროებას. ამიტომაც მოსახლეობა ადგილზე ბევრი პირუტყვის ყოლას ერიდება. ვაჟა ფშაველას ცნობით, ხევსურ ოჯახს თუ ორი-სამი ძროხა და 20 – თხა ცხვარი მოეპოვება ხევსური მდიდარია. ხევსურეთის ადგილობრივი პირობები მეცხვარეობის განვითარების მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. სამეურნეო ბაზებზე ოჯახს შეეძლო 100-150-მდე ცხვარი გამოეზამთრებინა. მეცხვარეობის დარგის აღდგენისა და განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია პირველ რიგში საზამთრო საძოვრების გამოყოფა და მოვლა-პატრონობა. ამ საქმეში საჭიროა სახელმწიფო წესრიგის დამყარება. [5].

საქართველოს მთიან რაიონებში საზაფხულო საძოვრების საერთო ფართობი 1686,3 ათას ჰექტარს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო და გარდამავალი საძოვრების საერთო ფართობი 427,4 ჰექტარია. აქედან, სამხრეთ მთიანეთის საზაფხულო საძოვრებით მოსარგებლე აღმოსავლეთის დაბლობის რაიონები 201,4 ათას ჰექტარს იყენებენ, მათ შორის დედოფლისწყაროს რაიონი – 36,7, სიღნაღის – 52,0, საგარეჯოს – 26,0, გარდაბნის – 43,8, თეთრიწყაროს – 11,7, მარნეულის – 22,3 და ბოლნისის – 8,9 ათას ჰექტარს. როგორც ხედავთ ზამთრის საძოვრები – 3-3,5 -ჯერ ნაკლებია ზაფხულის საძოვრებზე, ამასთან ერთად, ზამთრის საძოვრები შედარებით დაბალ მოსავლიანია და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება.

ზამთრის საძოვრების პირუტყვით გადატვირთვა და მისი არა რაციონალურად გამოყენების შედეგად ბალახის მოსავლიანობა ძალზე დაბალია; ბალახის საფარი წლითიწლობით უარესდება და საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი ხდება. საზაფხულო საძოვრების მესამედი და საზამთრო საძოვრების მეხუთედი ეროზირებულია, დიდი ნაწილი კი დაფარულია შხამიანი და სარეველა ბალახებით. ზოგიერთი საზაფხულო საძოვრის მასივი დიდი კავკასიონის ქედზე არ გამოიყენება მისასვლელი გზების არ ქონის გამო. საძოვრების არარაციონალურმა გამოყენებამ განაპირობა ბუნებრივი საძოვრებისა და სათიბების დაბალი

პროდუქტიულობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების მრავალწლიანმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მარტო მრავალწლიანი ბალახების, განსაკუთრებით კი პარკოსნების შეთესვა ჰექტარ ფართობზე თივის მოსავლიანობას 25-30%-ით, საკვები ერთეულების გამოსავლიანობას შესაბამისად 30-35-ით, ხოლო პროტეინს -50%-ით ადიდებს, იმ მდებარეობით, რომელზეც ბალახის თესვას არ აწარმოებენ. სათანადო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ 1 ჰა ზამთრის საძოვრებზე შემოდგომით 5-60 მ-90 შეტანით 67,2 ცენტერი მწვანე მასა მიიღეს, ხოლო 5-30 მ-90 შეტანით 51,6 ცენტერი, ნაცვლად არსებული 30 ცენტერისა. ცხვრის სადგომებში დაგროვილი 15 ტონა ნაკელის ჰექტარზე შეტანით საძოვრების საშუალო მოსავლიანობა (ხუთი წლის საშუალო მონაცემებით) 62-170%-ით იზრდება.

ბუნებრივ საძოვრებზე სარეველა ბალახების მოსასპობად წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქიმიური საშუალებები კერძოდ, ფერდიციდებით ჩატარებულ ცდებში გამოყენებულ ბუტილი ეთერის პრეპარატის ორმაგი შესხურება ჰექტარზე ნარის რაოდენობას 86,5-დან 94%-მდე, დანარჩენ სარეველა ბალახებს კი 90%-მდე ამცირებს.

ცდებით დადგენილია, რომ დაჭაობებული საძოვრების დაშრობა და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება 100-200%-ით ადიდებს ბალახნარის მოსავალს, მორწყვა 100-150%-ით, ბუჩქნარისაგან გაწმენდა 30-60%-ით, სარეველებისაგან გაწმენდა კი 15-20%-ით. პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა იმდენად საკვები ერთეულების დონით არ განისაზღვრება, რამდენადაც მონელებადი პროტეინის ოდენობით. პროტეინის ნაკლებობა კვების რაციონში როგორც ერთი ცენტერი პროდუქციის წარმოებაზე, ისე ერთ სულ პირუტყვზე გაანგარიშებით საკვების გადახარჯვას იწვევს, ეს კი თავის მხრივ პროდუქციის თვითღირებულებას ზრდის და წარმოების ეფექტურობას ამცირებს.

მეცხვარეობის იმ ორგანიზაციული ფორმის პირობებში, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, ცხვრის წლიურ მოხმარებული საკვების სტრუქტურაში საძოვრული საკვები 71,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო დამატებითი საკვები 25,2 პროცენტს. ამიტომაც მეცხვარეობის იმფრასტრუქტურაში საძოვრების გამოყენების საკითხი დიდად მნიშვნელოვანია. ძველად არსებობდა საძოვრების გამოყენების გონივრული იმფრასტრუქტურული სისტემები. ამჟამად, მათი სრული აღდგენა ძალზე ძნელია, რადგან მათ შესახებ მთხრობელი ცოტა ვინმე დარჩა, ხოლო წერილობითაც, ცოტა რამ მოგვეპოვება. ამიტომ, მათი გამოვლინების სიძნელის მიუხედავად რაღაც უნდა ვიღონოთ, მართალია, რამდენადმე დახმარებას გაგვიწევდა საძოვრების საიჯარო საარქივო მასალები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ძველად წარმოებული გამოკვლევები, მაგრამ ეს მასალები ჩვენთვის სადღეისოდ მიუწვდენელია. ძველად არსებული საძოვრების გამოყენების სისტემებზე, გავლენა უნდა მოეხდინა მეცხვარეობის მეურნეობების სიდიდეს; მსხვილი ფარების მიერ საძოვრების გამოყენების ინფრასტრუქტურული სისტემები შედარებით მეტი რაციონალური შინაარსით ხასიათდება. მაგრამ მცირე ფერმერულ მეურნეობას მსხვილ მეურნეობებთან შედარებით საძოვრების გამოყენების საქმეში უპირატესობა გააჩნია, მეტი მოქნილობა და საძოვრების მეტი გამოყენების უნარი. უნდა ვიგულისხმოდ, რომ საძოვრების გამოყენების სისტემების ჩამოყალიბებაზე მეცხვარეობის გამოცდილებასა და უნარიან ხელმძღვანელობასაც უნდა ჰქონოდა გავლენა.

ცნობილია, რომ ჩვენი საზამთრო საძოვრები წარმოადგენს ნახევარუდაბნოებს, ნახევრად ველისა და ველის მცენარეულ დაჯგუფებებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა საძოვარი მეტ-ნაკლებად წარმოადგენილია ოთხი სახის საძოვრული მარაგით; შემოდგომით ძირითადად შემოდგომის ერთწლიანების სახით, ზამთარში – ზაფხულის ვეგეტაციით ეგრეთწოდებული ხორაგი, მათ შორის აზინდა მლაშობურებით, ადრე გაზაფხულზე – უროსა და ველის მცენარეულობით. მცენარეულის აღნიშნულ მარაგს ჩვენი გონიერი მეცხვარე შესაბამისად იყენებდა და საზამთრო საძოვრების გამოყენების სისტემაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას ერთი და იგივე ადგილი გამოეყენებინა სეზონური მცენარეული მარაგის მიხედვით:

1) შემოდგომაზე – საშემოდგომო ერთწლიანების სიმწვანეს ცხვარი წიწკნიდა, ხოლო ზამთრის ხორაგს პირს არ დააკარებდა; 2) ზამთარში – ხორაგი – მათ შორის ყინვებით დავარგებული აზინდა– მლაშობურები უკვე დიდი კვებითი ღირებულებით გამოირჩეოდნენ; 3) ადრე გაზაფხულზე–ეფემერებისა და ეფემეროიტების სიმწვანე; 4) ბოლოს, ურო და ველის მცენარეული.

საძოვრების სიუხვისა და მაღალი მოსავლიანობის მიუხედავად, საზამთრო საძოვრების გამოყენება მტკიცედ იყო განსაზღვრული 150 დღით. მთიდან ჩამოსულ ცხვარს დეკემბრამდე საზამთრო საძოვარს არ აკარებდნენ. ჯერ ნაწვერალებს მოატარებდნენ, მერე ვენახებსა და ბაღებს, შემდეგ სოფლის სანახიროებს და მხოლოდ ნოემბრის ბოლოს საზამთრო საძოვრებზე ჩააყენებდნენ. ასევე, საზამთრო საძოვრებიდან აპრილში გამოყავდათ. ჯერ ახლო-მახლო გარდამავალ საძოვრებზე აიყვანდნენ: ელდერ-სამუხიდან – შირაქსა და ივრის თავებზე, დონღუზდარიდან – იოლმულანლოს სოფლის საძოვრებზე, კარადუზიდან – უდაბნოზე, სარვანიდან – იალღუჯაზე და ა.შ. ამის შემდეგ ცხვარს მთისაკენ წაიყვანდნენ და თრიალეთის გარდამავალ საძოვრებზე შეაჩერებდნენ. ბოლოს ივნისის პირველ რიცხვებში მთაში – ჯავახეთ-მესხეთში – ავიდოდნენ. მაგრამ მეცხვარეები მთაში ერთბაშად არ შედიოდნენ და ცხვარს ჯერ საბაროებში ამყოფებდნენ, როდესაც მთა მზად გახდებოდა ცხვრის მისაღებად – თოვლი ჩამოდნებოდა, ბალახი საკმაოდ წამოიწვედა ჰაერი გათბებოდა, მხოლოდ მაშინ ცხვარს მთის საძოვრებზე სუბალპურ და ალპურ ზონაში აიყვანდნენ ხოლო ბატკანს დედებისაგან ასხლეტავდნენ და მაღალ ალპურ ზონაში საბატკნეში მოათავსებდნენ, მთაში ცხვარს სექტემბრის ბოლომდე ამყოფებდნენ.

ახლა მთის საძოვრების გამოყენების შესახებ. ბარში თუ საძოვრების გამოყენება მათი სეზონური მცენარეულის მარაგით ისაზღვრებოდა, მთაში საძოვრების გამოყენება საძოვარზე მცენარეულის გამოვება აღდგენის საფუძველზე ხდებოდა, რაც საძოვრის რამდენიმე ნაკვეთად გამოყოფით იწყებოდა. ამიტომ საძოვრების გამოყენება წარმოებდა, მართალია, მცირე რაოდენობის ნაკვეთებში, მაგრამ მაინც ნაკვეთმორიგეობის საფუძველზე მათი გამოვება აღდგენის მორიგეობითი შემოვლით ორმოცი-სამოცი დღის შუალედებით ანუ ზაფხულის მანძილზე 2-3 როტაციით. საბატკნეს იგივე წესით იყენებდნენ.

მთის საძოვრების გონივრულად გამოყენების მიზნით. მეცხვარე მწყემსები ცდილობდნენ ჰქონოდათ ცხვრისათვის სამი სახის საძოვარი: 1) ბარის – მთაში ასასვლელად პირველი პერიოდის მოკლევადიანი მოხმარების საძოვარი, ვიდრე მთის მუდმივი მოხმარების საძოვარი თოვლიანობის, სიცივისა და უბალახობის გამო ჯერ მისადგომი არ იყო. აქვე ჩამოჰყავდათ ბატკანი გაპარსვის შემდეგ; მეცხვარეები ხშირად საბაროებად მორიგეობის საფუძველზე მოსახლეობის

სავარგულებს იყენებდნენ; 2) ძირითადი–სუბალპებსა და ალპურ ზონაში გაადგილებული სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული საძოვრები; ამ საძოვრებს მეცხვარე იყენებდა ივნისს-სექტემბრის ვადებში; ამ საძოვრებზე, სადგომის ახლოს, გამოყოფილი ჰქონდათ აგრეთვე ეგრეთწოდებული სამი ყორული, რომელსაც მეცხვარე სალამობით მოკლე ვადით იყენებდა ცხვრის ყველაზე ძვირფასი სულადობისათვის; 3) საბატკნე– ესეც იჯარით აღებული მაღალალპური საძოვარია, რომელსაც მხოლოდ ბატკნისათვის იყენებდნენ მისი დედისაგან ასხლეტის შემდეგ, ვიდრე პარსვამდე, დაახლოებით 60-70 დღეს.

ძველად ძირითადი საძოვრები იჯარით ხანგრძლივად იყო მიმაგრებული მომხმარებლებზე, ამიტომ მომხმარებელი უვლიდა საძოვრებს, ცდილობდა შეენახა საძოვრის კეთილბალახის შემადგენლობა. მოსახლეობა ზრუნავდა საძოვრების წყლით მომარაგებაზე–გამოჰყავდა რუებით წყალი, აკეთებდა გუბეებს, იცავდა წყაროებს, წმენდავდა ჭაობებს და სხვა. ბინაზე აკეთებდა ქვიტკირის ბაკებს, ქობებს, რაც, როგორც ვხედავთ სადღეისოდ ჩვენთვის დიდი განძია. ერთი სიტყვით, მოიჯარე მომხმარებელი ყოველი საშუალებებით ცდილობდა კარგად შეენახა და ზომიერად გამოეყენებინა მასზე გაპიროვნებული საძოვარი, რადგან იცოდა, რომ საძოვრის გადატვირთვა და მტაცებლური გამოყენება მალე გამოაცლიდა მას არსებობის საშუალებას.

ამჯამად საძოვრების გამოყენება უარესობისაკენ შეიცვალა გარდამავალი საძოვრების, ნაწვერალების ბაღ-ვენახების, სოფლის სანახიროებისა და სხვა საძოვრული სავარგულების გამოთიშვის შემდეგ ძირითადი საძოვრების გამოყენება ძალზე გაძნელდა, საძოვრები ძალზე გადაიტვირთა; საძოვრების განაწილება ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობის საძოვრების მრავალნაკვეთიანობა აღმოჩნდა დაშორებული ასი, ორასი კილომეტრით და მეტი მანძილით ერთიმეორისაგან. მაგალითად წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კოლმეურნეობას საზაფხულო საძოვარი ემაგრებოდა ნიალაზე (ასპინძია რაიონი), შავნაბადა-თავკვეთილასთან (ბორჯომის რაიონი), ხევსურეთსა და ჯავის რაიონში და სხვა. საძოვრების უმრავლესობა განაწილებული იყო ზონალობის გათვალისწინების გარეშე. დღეს ჩვენ არ ვიცით საქართველოს მეცხვარეობის მიერ საძოვრების გამოყენების მდგომარეობა. კერძოდ ცხვრის ფარებს მიმაგრებული აქვთ თუ არა საბატკნე ადგილები, საბარო ან გარდამავალი საძოვრები. პრივატიზებული მიწებიდან განსაკუთრებით უცხოელებზე გაყიდული მიწების გამო მეცხვარეები იძულებულნი არიან ცხვარი შუალედური საძოვრების გარეშე ბარიდან პირდაპირ მთაში აიყვანონ და მთიდან ყოველგვარი შუალედური საძოვრების გარეშე პირდაპირ საზამთრო საძოვრებზე ჩააყენონ. ყველა ეს გარემოება ძალზე ვნებს მეცხვარეობას იწვევს მიმაგრებული საძოვრების გაუმჯობესებისადმი მომხმარებლის უყურადღებობას. იგი აღარ ზრუნავს საძოვრების მოვლაზე, წყლით მომარაგებაზე მითუმეტეს საძოვრების გაუმჯობესებაზე და საძოვრების მტაცებლურ ექსპლოატაციას ეწევა. ასეთ პირობებში ძნელია პირუტყვის საძოვრების გაუმჯობესების გზების განხორციელება; ახალ ვითარებაში როგორც დავინახეთ გამოუსადეგარია ძველად არსებული საძოვრების გამოყენების ინფრასტრუქტურული სისტემები. ამიტომ საჩქაროდ უნდა დამუშავდეს და დაინერგოს საძოვრების გაუმჯობესების ახალი რაციონალური ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოდან ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებზე ყიზლარის ზამთრის საძოვრების დიდი ოდენობით გადაცემამ გამოწვია ამ რესპუბლიკებში მეცხვარეობის დარგის დიდი განვითარება და ზაფხულის საძოვრების მწვავე

უკმარისობა. გახშირდა მათ მიერ ჩვენი მთის სოფლების სამოვრების ათვისების მცდელობა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოსავლების მიღების მიზნით, ჩრდილო კავკასიელებზე თავისუფალი ზაფხულის სამოვრების გაქირავება. მაგალითად, ყაზბეგის რაიონის თრუსოს ხეობაში საზაფხულო სამოვრებზე იალაღობდა 55000 სული ცხვარი. დღეს ეს სამოვრები თავისუფალია.

სახალხო სამეურნეო დიპლომატიის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ჩეჩნებისა და თუში მეცხვარეების ისტორიული ურთიერთანამშრომლობა. თუშები და ჩეჩნები არამც თუ სარგებლობდნენ ერთიმეორის სამოვრებით, არამედ ამხანაგობასაც კი ქმნიდნენ და ერთად ყიზლარის ზამთრის სამოვრებისაკენ მიუყვებოდნენ გზას. ზაფხულში თუშეთის საზაფხულო სამოვრებზე თუშები მწყემსავდნენ ჩეჩნების ცხვარს, ცხვრის მოვლაში გასამრჯელოდ ცხვარს წველიდნენ და მატყლს პარასავდნენ. საკუთრივ თუშებს ყონაღობა (მეგობრობა) ჰქონდათ ჩეჩნებთან, ლეკებთან, დიდოელებთან, აზერბაიჯანელებთან, რომლებსაც განაც ზამთრის სამოვრებს ქირაობდნენ. ამან განაპირობა ისიც, რომ თუშები ვაჟებს ენის სწავლების მიზნით ხშირად ერთი წლითაც კი აზერბაიჯანელ ყონაღებს. ადრე თითქმის ყველა თუშურ ოჯახში იყო ერთი აზერბაიჯანული ენის მცოდნე, მეენე, რომელიც მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს აგვარებდა.

დასკვნა

მეცხვარეობა მომგებიანი დარგია, საჭიროა მისი ინფრასტრუქტურის განვითარება—სრულყოფა, მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩრდილო კავკასიის მეცხვარეობასთან ერთად შეიქმნას ერთობლივი ფერმერული მეცხვარეობა, რომლებიც ზაფხულობით გამოიყენებდნენ ჩვენ საზაფხულო სამოვრებს, ზამთარში კი ჩვენი მეცხვარეები გამოიყენებდნენ ყიზლარის ზამთრის სამოვრებსა და ინფრასტრუქტურას.

აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო სამოვრების უმეტეს ნაწილზე, ახლო წარსულში, დიდი უწყლობა აღინიშნებოდა, ეს გარემოება ძალზე მძიმე პირობებს უქმნიდა ამ სამოვრებზე დაზამთრებულ ცხვარსა და საერთოდ მეცხოველეობას. მით უმეტეს, დოღის პერიოდში. ასეთივე წყლის უკმარისობა აღინიშნება ზაფხულის მთის სამოვრებზეც. ზაფხულის მეორე ნახევარში შრება წყლები და გვალვიანობა მყარდება კავკასიონის უმეტეს მაღალმთიან სამოვრებზე.

ამიტომ იყო, რომ მეცხვარეობის განვითარების პრობლემათა შორის თავის დროზე რესპუბლიკაში ბუნებრივი სამოვრების გაწყლოვანების საკითხმა ჯეროვანი ყურადღება მიიქცია. აღმოსავლეთ საქართველოში საზამთრო სამოვრების გაწყლოვანება 1955 წელს დაიწყო და ძირითადად 1965 წელს დამთავრდა. ამ დიდ ღონისძიებას ატარებდა და გაწყლოვანების ფართო ქსელს ექსპლოატაციას უწევდა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამოვრების გაწყლოვანების საექსპლოატაციო სამმართველოს კოლექტივი.

რესპუბლიკის შიგნით მოეწყო საზამთრო სამოვრების გაწყლოვანების ხუთი სისტემა: იალღუჯის, უდაბნოს, ჩათმის, ყარღო-ნატბეურა-ტარიბანისა და პატარა შირაქი-ელდარის გაწყლოვანების სისტემა.

საზამთრო საძოვრების გაწყლოვნების ხუთი სისტემის ფარგლებში აშენდა ხუთი მაღალწნევიანი წყალსატუმბავი სადგური. ეს სადგურები საზამთრო სადგურებს აწვდიდნენ წამში 85,2 ლიტრს ანუ საათში 306,4 კუბურ მეტრ წყალს. გარდა ამისა საზამთრო საძოვრების წყლით მომარაგების მიზნით მოწყობილი იყო წყლის თვითდინების წყალსადენები, რომლებიც საზამთრო საძოვრებს აწვდიდნენ წამში 15,4 ლიტრს, ანუ საათში 55,6 კუბურ მეტრ წყალს. ე.ი. რესპუბლიკის შიგნით საზამთრო საძოვრების გაწყლოვანებისათვის წყლის საერთო დებეტი შეადგენდა წამში 100 ლიტრს, ანუ საათში 362 კუბურ მეტრს. ამ წყლით 682865 მეტრის წყალსადენის ქსელის საშუალებით გაწყლოვანდა 197995 ჰექტარი საზამთრო საძოვრები.

რესპუბლიკის შიგნით საზამთრო საძოვრებზე წყლის განაწილების რეგულირების მიზნით მოწყობილი იყო სამარაგო წყლის 4700 კუბური მეტრი ტევადობის 21 დიდი რეზერვუარი; გაწყლოვანების ყველა სისტემის ფარგლებში მოწყობილი იყო 196 წყალსასმური პუნქტი, 196 მცირე (10 კუბური მეტრის ტევადობის თითო) წყლის გამანაწილებელი რეზერვუარი, პირუტყვის 196 წყალსასმური ნავით, შესაბამისი წყალსადენის მოწყობილობით. ამიტომ სამარაგო წყლისა და გამანაწილებელი წყალსატევების საერთო ტევადობა რესპუბლიკის შიგნით საზამთრო საძოვრებზე 6660 კუბურ მეტრს შეადგენდა. გარდა აღნიშნულისა, საზამთრო საძოვრების გაწყლოვანების სისტემაში აიგო პირუტყვის გასაბანი 89 აბაზანა, 69 სათბობ სადებინფექციო მოწყობილობა, 28 სადარაჯო სახლი 10944 კუბური მეტრის საცხოვრებელი მოცულობით, 48 ცხენის 24 თავლა და ა.შ.

ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი საზამთრო საძოვრების გაწყლოვანების სისტემა მოუვლელია გამო, გამოსულია მწყობრიდან მეცხვარეობა დიდ ზარალს განიცდის. სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში, აგარარული რეფორმების გატარების პირობებში, დაუყოვნებლივ მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ზამთრისსაძოვრების გაწყლოვანების, ამ ძვირფასი წამოწყების, დროულად აღდგენა-ფუნქციონირებას.

მეცხოველეობის საკვების დამზადებას და შენახვას ყოველთვის თან ახლავს საკვები მასის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დანაკარგები. მაგრამ დღეისათვის საკვების დამზადებისა და შენახვის არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე ამ დანაკარგების აღმოფხვრისაკენ არის მიმართული. ერთ-ერთი ამ კატეგორიის ტექნოლოგიას მიეკუთვნება „შეფუთული სენაჟის“ წარმოების ტექნოლოგიაც. ამ ტექნოლოგიის დროს საერთო დანაკარგების რაოდენობა შეადგენს 10%-ს მაშინ როდესაც სხვა ტექნოლოგიებით საკვების დამზადების და შენახვის დროს დანაკარგების რაოდენობა 30-50%-ია. „შეფუთული სენაჟის“ დამზადების დროს აღარ არის საჭირო ორმოები, ტრანშეები, თივის ფარდულები, საკვები კულტურების დამატებითი ფართობები, იზოგება საწვავი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური საშუალებები, ადამიანური რესურსები.

სამწუხაროდ, ჩვენს მეცხვარეობაში იგნორირებული იყო და არის სენაჟისა და სილოსის დამზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორები და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მიდგომები საქართველოში. თბილისი „მეცნიერება“, 2004.
2. ბელაური გ. მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივა დავით გარეჯში. რეცენზ. ელექტრ. სამეცნ. ჟურნალი, 2010, № 25.
3. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალურ და ლოკალურ დონეზე. „მერიდიანი“, თბილისი, 2006.
4. ვაჯა-ფშაველა ხევსურები, თხზ. სრული კრებული ტ. ჯბ თბილისი, 1964.
5. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა. „მეცნიერება“ 1982.
6. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
7. საქართველოს კანონი (საქართველოს საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე № 42, 2005.
8. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
9. ქუმსიშვილი ვ. მომთაბარე მეცხვარეობის ტექნოლოგია ინტენსიფიკაციის საფუძველზე „განათლება“, თბილისი, 1983.
10. ქუმსიშვილი ვ. მატყლმცოდნეობა. „ცოდნა“. თბილისი, 1961.
11. ქათამაძე დ. ცოტაძე მ. მეცხვარის ცნობარი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.
12. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.
13. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში. თბილისი, 2002.
14. ჯანიაშვილი ი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974.

Temgiz Kavtaradze

FOOD PROCESSING MODERN ECONOMIC PROBLEMS IN GEORGIAN OX BREEDING

Summary

In Georgia ox breeding is quite well developed. This field in republic economy has important place. Its development level is conditioned by specific natural in Georgia – ox winter and spring pasture; Georgian ox is giving special taste of meat, high quality carpet wool and cheese and it is famous outside of our republic.

Demolition of social farming, massive land privatization, disruption of social agricultural infrastructure, lost in Caspian region of 200 ha winter pastures, has caused ox breeding field huge decrease, was violated between mountain and lowland economic links. Which caused by migration from mountain villages.

Ox breeding is profitable field, which is necessary for development of infrastructure, approaching to world standards and improving competitiveness. By this viewpoint we expediently believe with North Caucasus has to be make joint ox breeding farms, we would be use our spring pastures and our shepherds will be use Kizlar winter pastures and infrastructure.

Livestock food processing and keeping always has food mass quality and quantitative loses. But today food keeping and processing modern technologies now can reduce food processing its keeping loses. One of this category technology belongs to “Packaging senage” processing technology. In this technology quantity of total loses is 10%, when the other technologies food processing and its keeping losses quantity is 30-35%. During processing of “Packaging senage” is not necessary to do holes, tranches, hay sheds, additional food cultures area, fuel economy, agricultural technical facilities, human resources.

Unfortunately, in our ox breeding was and are ignored processing of senage and silo.

*ქეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური*

ვირტუალური ტურიზმის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

***ანოტაცია.** ნაშრომი ეძღვნება დღეისათვის ისეთ პოპულარულ პრობლემას, როგორცაა ტურიზმი ზოგადად, და მისი ვირტუალური ფორმა კერძოდ. შედარებულია რა ერთმანეთს ტურიზმის კლასიკური და ვირტუალური სახეობები, განხილულია თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე ხაზია გასმული სწორედ პანდემიის პირობებში, ვირტუალური ტურიზმის, როგორც მოგზაურთათვის ყველაზე მოსახერხებელი და კომფორტული სერვისის, განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. აღნიშნულია, რომ ვირტუალური ტურიზმის განვითარება წამოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების გარეშე. ასევე განხილულია საქართველოში VR ტურიზმის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი პერსპექტივები.*

***საკვანძო სიტყვები:** ვირტუალური ტურიზმი, ვირტუალური ტური, 3D მოგზაურობა, 3D პანორამა, Vtex აპლიკაცია.*

მკაცრი კონკურენციის პირობებში ტურისტული ფირმები იძულებულნი ხდებიან ეძებონ კონკურენტული ბრძოლის ახალი ფორმები. ამ პროცესში უდიდეს მნიშვნელობას იძენს ინოვაციური ტექნოლოგიების, კერძოდ, ინტერნეტ ტექნოლოგიების დანერგვა.

თანამედროვე ტურპროდუქტი უფრო მოქნილი და ინდივიდუალური, უფრო მიზიდველი და ხელმისაწვდომი ხდება. დღეს ტურიზმის ახალ სახეობათა შორის განსაკუთრებულია ვირტუალური ტურიზმი, როდესაც ვირტუალური რეალური ხდება, ხოლო რეალური – ვირტუალური.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ტურიზმის კლასიკური და ვირტუალური ფორმები. ჩვეულებრივი მოგზაურობის დროს, როცა ზუსტადაა დადგენილი ვიზიტის საბოლოო მიზანი: მუზეუმი, კულტურული ძეგლი, რესტორანი, ოტელი თუ სხვ.. გზაში ტურისტი ნახულობს სხვადასხვა ახალ, მისთვის უცნობ ადგილს და იღებს დამატებით შეგრძნებებს და კომპლექსურ შთაბეჭდილებებს. ვირტუალური ტურის შემთხვევაში კი, იგი პირდაპირ იმ ადგილზე ხვდება რაც აინტერესებს და საშუალება აქვს დაწვრილებით დაათვალიეროს შერჩეული ობიექტის ყოველი დეტალი, თანაც მრავალჯერ. ვირტუალური ტურიზმი ანაცვლებს რეალურ მგზავრობას. ამგვარი „მოგზაურობა“ უფრო კომფორტული და მოსახერხებელი, უსაფრთხო და სწრაფია. Bloomberg-ის ცნობით, 2020 წელს მსოფლიო მასშტაბით დასვენების საშუალებები

შეიცვლება და ისინი უფრო ვირტუალური და ეკოლოგიურად სუფთა გახდება. მათ მრავალი უპირატესობა გააჩნია:

- შესაძლებელია დასათვალიერებელი ობიექტის უწვრილესი დეტალების დათვალიერება;

- ეხმარება რეალური მარშრუტის გავლის პროცესს, რადგან ვირტუალურად ამ მარშრუტის დაწვრილებითი შესწავლა წინასწარაა შესაძლებელი;

- დროის ეკონომია როგორც მომხმარებლის, ისე ტუროპერატორისთვის.

მგზავრობის მიზნების მიხედვით განირჩევა ვირტუალური ტურიზმის საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობი, სამეცნიერო, ეგზოტიკური სახეობები.

თვითონ ტურისტებიც შეიძლება იყვნენ ვირტუალური ვაგანტები, ე. წ. ტრუბადურები, ექსტრემალეები, კოლექციონერები, პილიგრიმები და სხვ.

ვირტუალური ტურების ორგანიზება ხდება 3D ტექნოლოგიების დახმარებით (კეთდება ე. წ. 3D პანორამა – სპეციალური ფოტო, რომელიც სრულად მოიცავს რაიმე ობიექტის 360⁰-იან ჰორიზონტალურ და 180⁰-იან ვერტიკალურ გამოსახულებას).

ვირტუალური ტურიზმის დადებითი მხარებია:

- პირადი რესურსების მინიმალური ხარჯები, ხშირად კი საერთოდ უფასოდ „მოგზაურობა“;

- იმ ადგილების მონახულება, სადაც ფიზიკურად მოგზაურობა შეუძლებელია, მაგ., ევროპელ გაუთხოვარ ქალბატონებს ეკრძალებათ ზოგიერთ მუსულმანურ ქვეყნებში ჩასვლა, მოზარდებს არ გააჩნიათ უცხოური პასპორტი, ინვალიდებს, მოხუცებს, მრავალშვილიან მშობლებს, შშპ და ა.შ.;

- მოგზაურობის აბსოლუტური უსაფრთხოება;

- უცხო ენის არცოდნა ხელს არ უშლის მოგზაურს, სრულყოფილად გაეცნოს საინტერესო ტურობიექტს.

ვირტუალური ტურების მომხმარებლები თუ ხშირად ინდივიდები არიან, მწარმოებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ეკონომიკური ობიექტი - ერთი მხრივ ბიზნესი, რომელიც მოგზაურობის უშუალო ორგანიზებას ახდენს, მეორე მხრივ კულტურული ან საგანმანათლებლო, ან სპორტული დაწესებულება. ამ შემთხვევებში ორივე მხარეა მოგებაში. დიდი შანსი არსებობს იმისა, რომ მომხმარებელმა ონლაინ მოგზაურობის შემდეგ ობიექტის რეალური მონახულება ისურვოს, რადგანაც, როგორც წესი, ვირტუალური მონახულების შემდეგ უფრო მეტად ძლიერდება ამა თუ იმ ობიექტის საკუთარი თვალით ნახვის სურვილი.

ითვლება რომ, კოვიდ პანდემიით ყველაზე მეტად ეკონომიკის ტურისტული დარგი დაზარალდა: მკაცრი კარანტინები ყველაზე მტკივნეულად სწორედ ამ დარგს შეეხო. თუმცა ისიც ცნობილია, რომ როდესაც დარგი კრიზისის რეალური საფრთხის წინაშე დგება, მაშინ ყველაზე აქტიურად იწყება გამოსავლის ძიება და შესაბამისად ინოვაციების ფართოდ მოძიება და გამოყენება. ტურისტულ ინდუსტრიაში ასეთ გამოსავლად მისი ვირტუალური ფორმა იქცა. დღეს, როცა მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი იზოლაციაშია, ვირტუალური ტურები წარმატებით ანაცვლებს არა მარტო მოგზაურობის მოყვარულთა სურვილს, მოინახულონ სხვა ქვეყნები, არამედ არააქტიურ მოგზაურებსაც საშუალება ეძლევათ „დაარღვიონ“ იზოლაციის რეჟიმი და „სახლიდან გავიდნენ“.

სპეციალისტები აღნიშნავენ ვირტუალური ტურიზმის კიდევ ერთ დადებით მხარეს: ტურისტების დიდი ნაკადების უარყოფითი გავლენის შემცირებას გარემოზე.

ვირტუალური 3D ტურები ფართოდ გამოიყენება ტურიზმის მარკეტინგულ სტრატეგიაში - ისინი უფრო მეტად ფართოდ აღქმადია, ვიდრე ვიდეო ან ფოტო გამოსახულება.

ვირტუალური ტური შეიძლება გახდეს რეგიონის ან ცალკე ობიექტის იმიჯის ელემენტი, მისი სავიზიტო ბარათი. ვირტუალური 3D პანორამა რეალურ უპირატესობას იძლევა კონკურენტთან შედარებით. იგი შეიძლება გახდეს მარკეტინგის ინოვაციური ინსტრუმენტი, რომელიც პოტენციურ მომხმარებელს საშუალებას აძლევს უფრო დაწვრილებით, ნათლად და მხატვრულად მიიღოს ინფორმაცია ტურსაქონლის ან ტურმომსახურების შესახებ. ამასთან, ვირტუალური ტურიზმის მიზნობრივი აუდიტორია არა მხოლოდ კლიენტები, არამედ პოტენციური ინვესტორებიც იყვნენ.

როგორც სპეციალისტები ითვლიან, ვირტუალური რეკლამა სულ ახალგაზრდაა: იგი 10-15 წელიწადს ითვლის. ვირტუალური ტურიზმის მნიშვნელობას უკვე მთელი მსოფლიო სცნობს (მით უმეტეს 2020 წლის დადგომისთანავე პანდემიის გამო). ტურორგანიზაციები ფართოდ იყენებენ YouTube-ს, ქმნიან ახალ ვებ-ვირტუალურ თამაშებს, რათა კლიენტებს უკეთ გააცნონ თავისი პროდუქცია. მათ შორის აქტიურობენ ოტელები და სასტუმროები, რომლებიც პოტენციურ მომხმარებელს სთავაზობენ თავიანთ სასტუმროში ვირტუალურ ვიზიტებს სპეციალური ვებ-დანართების VirtualFlam-ის დახმარებით. მაგალითად, Marriott-ი კლიენტებს სთავაზობს TheTeleporter-ს YouTube-ზე, GoogleEarthVR-ს, ასევე SamsungTravrer-ს - ვირტუალურ ტურისტულ პლატფორმას, რომელიც პირველად იქნა წარმოდგენილი 2017 წელს MWC (MobileWorldCongress)-ზე.

Amadeus-მა თავისი შვილობილი კომპანიის Navitaire-ის მეშვეობით VR (Virtual Reality) ტურიზმის საფუძველზე შეიმუშავა ახალი საძიებო და რეზერვირების სისტემა. ავსტრიული ავიახაზები კლიენტებს სთავაზობენ თავიანთი თვითმფრინავების ინტერიერის 360⁰-იან დათვალიერებას myPanorama-ს მეშვეობით; ხოლო SNCF (მატარებლის დაბალფასიანი ბილეთების მოძიება) ამზადებს ვებ-დანართს ProofofConceptVR, რათა ტურისტებმა წინაწარ მოამზადონ თავიანთი მგზავრობა.

მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, ვირტუალური ტურიზმი არ არის მოგზაურობის იდეალური ფორმა, მასაც გააჩნია მინუსები: არსებობს ე.წ. აგრო, კულინარიული, ღვინის, გასტრონომიული და სხვა მსგავსი ტურები, სადაც ხდება ამა თუ იმ პროდუქტის დაგემოვნება: გემოს, სუნის, კონსისტენციის გასინჯვა. ამ შეგრძნებების მიღება ვირტუალურად შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთ თქმული სრულად ეხება ჩვენს ქვეყანას. საქართველოც, როგორც მსოფლიო გლობალურ ჯაჭვში ჩაბმული ქვეყანა, მნიშვნელოვნად დაზარალდა პანდემიის დროს. ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი საყრდენი იყო, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტში უდიდესი შემოსავალი შეჰქონდა და ამუშავებდა მრავალ ინდუსტრიას. ტურიზმი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ ფუნდამენტად იქცა და წლიდან წლამდე მისი წვლილი მნიშვნელოვნად იზრდება. ტურიზმი 2020 წლამდე ქვეყნის მშპ-ს დაახლოებით 11,5%-ს აწარმოებდა. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 935 მლნ-ს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. ტურიზმმა 2019 წელს თითქმის 3.5 მილიარდი აშშ დოლარის მოგება მოიტანა, რაც 1,4%-ით (46,6 მლნ დოლარით) აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. დარგში 170 ათასი ადამიანია დასაქმებული და იგი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2020 წელი ფაქტობრივად ჩავარდა, რადგან დღემდე ჩაკეტილია ქვეყნის საზღვრები უამრავი ქვეყნისთვის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა; დრამატულად შემცირდა ტურისტთა რაოდენობა, მეტიც, ზოგიერთ ქვეყანას დღემდე

მკაცრად აქვს ჩაკეტილი საკუთარი ქვეყნის საზღვრები. შესაბამისად, შემცირდა შემოსავლები ტურიზმიდან და უამრავი ადამიანი შემოსავლის გარეშე დარჩა. 2020 წლის მონაცემები მეტად სავალალოა: ამ წლის 6 თვის მონაცემებით საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 62.5%-ით შემცირდა და 1,4 მილიონი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2019 წლის ანალოგიურ მონაკვეთში ეს ციფრი 3.8 მილიონს აჭარბებდა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2020 წლის ვიზიტებში ყველაზე დიდი წვლილი პირველმა ორმა თვემ - იანვარმა და თებერვალმა შეიტანა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ მოქმედებდა მკაცრი რეგულაციები. ამ მოვლენასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ქვეყანაში 2020 წლის მარტის მეორე ნახევრიდან ამოქმედდა, 2020 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, თებერვალში საერთაშორისო მოგზაურობის აკრძალვების შედეგად, ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 5,2%-ით, მარტში - 69,8%-ით, აპრილში - 96,8%-ით და მაისში - 96,6%-ით შემცირდა, და მხოლოდ 9,1 მლნ დოლარი შეადგინა. ეს მაშინ, როცა წინა წლის მაისში აღნიშნული მაჩვენებელი 270 მლნ დოლარს აჭარბებდა [8]. მიუხედავად ყველაფრისა, ტურიზმის სექტორის ახლიდან ამუშავების იმედები უკვე გამოიკვეთა: გამოიკვეთა შიდა ტურიზმის განვითარების ტენდენცია.

პოსტპანდემიურ პერიოდში ქვეყანას კიდევ უფრო მეტი მუშაობა მოუწევს დაზარალებული ტურისტული სექტორის დასახმარებლად. მსოფლიო პრაქტიკამ ნათელყო, რომ საქართველოს ტურისტული პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და გავრცელება. ინტერნეტმა, გარდა ინტერაქტივობისა, სიჩქარისა და უსაზღვრო ხელმისაწვდომობისა, შექმნა წინაპირობა ისეთი ინოვაციური და პარადოქსული მოვლენის გაჩენისათვის ტურიზმში, როგორცაა "ვირტუალური ტურიზმი", "ვირტუალური ექსკურსიები", 3D ექსკურსიები, 3D პანორამები, 3D ტურები.

საქართველოც ცდილობს ფეხი აუბას მსოფლიო ნოვაციებს და შეძლებისდაგვარად "მეორე სიცოცხლე" შთაბეროს დარგს. საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს ვირტუალური რეალობის მწარმოებელი კომპანია VRex-ი. იგი 2018 წელს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტის „სტარტაპ საქართველოს“ გრანტების პროგრამის მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეის ერთ-ერთი გამარჯვებულია. მან სახელმწიფოსგან 100 000 ლარის გრანტი მიიღო. კომპანია ასევე მოხვდა Google-ის 50 საუკეთესო ტექნოლოგიურ სტარტაპს შორის კალიფორნიაში და Silicon Valley-ის ინვესტორების წინაშე წარსდგა. კალიფორნიაში ვიზიტის შედეგად, VRex-მა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონტაქტი დაამყარა და ახლა აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს სტარტაპის ინვესტირებასთან დაკავშირებით.

VRex აქტიურად მუშაობს შემოსავლების თვითგენერირებაზე. შემოსავლების უმეტესი ნაწილი კი სამეცნიერო კვლევებისათვის გამოიყენება.

ჯერჯერობით, სტარტაპი B2G ფორმატში მუშაობს. მათ პროდუქტს ის სახელმწიფო უწყებები ქირაობენ, რომლებიც საქართველოში ტურიზმის პოპულარიზაციით არიან დაინტერესებულნი, ისინი ამუშავებენ აპლიკაციას, რომელსაც "VRex Immersive"-ის გუნდი ქმნის და რომელიც სხვადასხვა ტურისტულ ადგილებში ვირტუალური მოგზაურობის შესაძლებლობას იძლევა. იგი 360°-ანი ვიდეოების საშუალებით სივრცის მაქსიმალურად კარგად აღქმას უზრუნველყოფს. ტურისტს შეუძლია ვირტუალური რეალობის საშუალებით, რომელიც სხვადასხვა მოწყობილობაში ინტეგრირდება, თავგადასავლებისა და შეგრძნებების დონეზე გამოსცადოს თუ რას ჰპირდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კონკრეტული

ადგილი თუ ტური და ამის შემდეგ მარტივად გააკეთოს არჩევანი. კომპანიამ მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე გადაიღო 120-ზე მეტი ადგილი, აღნიშნულ ვიდეოებს 2014 წლიდან იღებენ და უკვე 100-ზე მეტი VR-ტურისტული ტური აქვს შექმნილი. ასევე შექმნილია ვირტუალური რეალობის პროგრამა. აღსანიშნავია, რომ კომპანიის სერვისს სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურები საერთაშორისო გამოფენებზე საქართველოს უკეთ გაცნობის მიზნით იყენებენ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, VRex-ის მიერ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ინკლუზიური ტურიზმის VR-გადაწყვეტილება შეიქმნა – უფლისციხეში დაიდგა VR-სტენდი, რომლის საშუალებით შშმ პირებს ძველის დათვალიერება შეუძლიათ.

VRex-თან ამ ეტაპზე მხოლოდ სახელმწიფო უწყებები თანამშრომლობენ, თუმცა კომპანია კერძო სექტორის მიმართულებითაც გეგმავს ურთიერთობების გაძლიერებას.

კომპანიას კომუნიკაცია ღვინის კომპანიებთანაც აქვს და უახლოეს მომავალში, დახლზე, სადაც ქართული ღვინო იყიდება, შესაძლოა, VR-ჩაფხუტიც გაჩნდეს. ღვინის მომხმარებლები შეძლებენ იმოგზაურონ მარანში, სადაც შემოთავაზებული ღვინო დაიწურა. ასევე გაეცნობიან ქვევრის ღვინის დაყენების უნიკალურ ქართულ ტრადიციულ მეთოდს.

სტარტაპი ასევე მიზნად ისახავს ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობის გაძლიერებასა და პროდუქტის საერთაშორისო გამოფენებზე წარდგენას და ბერლინის ITB-გამოფენისთვის ემზადება, სადაც საქართველოს საუკეთესო ტურისტულ ადგილებს დაინტერესებული ადამიანები VRex-ის ვირტუალური ჩაფხუტის საშუალებით იხილავენ.

VRex-ი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან ერთად, ასევე მუშაობს საქართველოს ატლასზე და სულ მალე შესაძლებელი იქნება წიგნში ამოკითხული კონკრეტული ადგილები VR-ისა (Virtual Reality) და AR-ის (Augmented Reality) მეშვეობით დაათვალიეროთ.

საქართველოში საგანმანათლებლო მიმართულებით პირველი ვირტუალური რეალობის ლაბორატორია - VRLab Iliuni - შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მას იყენებენ სტუდენტები და პროფესორები სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის. ეს შეიძლება იყოს ვირტუალურად დაპროექტება და დიზაინი, სიმულაციებისა და პროტოტიპების შექმნა, სწავლების ვიზუალიზაცია და ასე შემდეგ.

VR და AR დღეს საკმაოდ სწრაფად ვითარდება და მომავალში კიდევ უფრო ფართო გამოყენებას გვპირდება. კომპანია Digi-Capital-ის ანალიზის მიხედვით, 2016 წელს VR-მა და AR-მა \$3.9 მილიარდი შეადგინა. International Data Corporation-ი კი ვარაუდობს, რომ VR/AR პროდუქციისა და მომსახურების გლობალური დანახარჯები 2021 წლისთვის \$215 მილიარდი იქნება, შედეგად წლიური ზრდის ტემპი 100%-ს გადააჭარბებს. წამყვანი დეველოპერები მუდმივად მუშაობენ ახალი მიმართულებების დახვეწასა და განვითარებაზე, რის საფუძველზეც მომავალში მისი კიდევ უფრო ფართო მასშტაბებით დანერგვა შეგვიძლია ვივარაუდოთ, მათ შორის საქართველოშიც: ტურიზმის 3 საინფორმაციო ცენტრში - თბილისში, გორსა და მცხეთაში ვირტუალური რეალობის აპარატები დაიდგმება. ცენტრების ვიზიტორები ამ აპარატების საშუალებით 100-მდე ტურისტული ობიექტის სფერულ ვიდეო-გამოსახულებებს ნახავენ, რაც უცხოელ ტურისტებს ამ ობიექტების რეალურად მონახულების სურვილს გაუჩენს.

ქართული ტურისტული ბაზარი სხვადასხვა სახის სიძნელეებს აწყდება. მაგ., ქართულ ბაზარზე ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერი ტურისტული სერვისის ქართველი მომხმარებლები (რომლებიც მოგზაურობენ საქართველოს ფარგლებში და

საზღვარგარეთაც) არ იცნობენ კერძო ან სახელმწიფო სექტორის მიერ ტურიზმისთვის შექმნილ ინოვაციურ ციფრულ მოდელებს: პოპულარულ უცხოურ ტურისტულ საიტებსა და მობილურ აპლიკაციებს; ასევე პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერი უცხოელ ტურისტებთან, უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე; არ გვაქვს ისტორიული გამოცდილება ტექნოლოგიური ბიზნესის შენების და შესაბამისად არ გვყავს ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიციური კადრები; ასევე სახელმწიფო სექტორი არაეფექტურად ეხმარება კერძო ტექნოლოგიურ სექტორებს. ამ პრობლემათა მოსაგვარებლად საჭიროა სახელმწიფოს მეტი ჩართულობა, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა გადამზადება და სექტორის მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტება. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ტურიზმის სფეროში არსებული ციფრული შეთავაზებების, კერძოდ ვირტუალური ტურიზმის ცნობადობის ამაღლებისათვის მათი ბრენდინგი და ხშირი მარკეტინგული აქტივობები. ტურისტული ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ ის ციფრული პროდუქტები, რასაც ქართული ბაზარი სთავაზობს ტურისტებს, არის ძირითადად ერთი სახის (აპლიკაცია) და თითქმის ერთმანეთის მსგავს მომსახურებას უწევს მათ. საჭიროა ციფრული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებით ინტეგრირება, რათა ტურისტებს ჰქონდეთ საშუალება, მიიღონ მრავალფეროვანი, თანამედროვე სტანდარტების მომსახურება.

დასასრულ, როგორც აღვნიშნეთ, ვირტუალური ტურიზმი ამჟამად საინტერესო ადგილების საკუთარი თვალთ ნახვის სურვილს და ამით სტიმულირებას უწევს რეალურ მოგზაურობას. ვირტუალური ტურები წარმოადგენს რეკლამის არაჩვეულებრივ საშუალებას, ხოლო, როგორც ვიცით, რეკლამა ეკონომიკის ერთ-ერთი ძლიერი მამოძრავებელია. გარდა ამისა, თვითონ ტუროპერატორები ადვილად ეცნობიან ერთმანეთის საქონელს და ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი ტურიდები, რათა არ წააგონ მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში. დღეს ვირტუალური ტურიზმი დარგში ჯერ კიდევ დამხმარე როლს ასრულებს, თუმცა მას უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია და მალე იგი შეიძლება წამყვან ძალად მოგვევლინოს (მით უფრო, თუ პანდემია, სამწუხაროდ, დიდხანს გაგრძელდება).

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.allbest.ru/>. Шамликашвили В.А. - Виртуальный туризм как новый вид туризма.
2. [rb.ru/Авторские_колонки/travel-services ...Виртуальный_туризм](http://rb.ru/Авторские_колонки/travel-services...Виртуальный_туризм)
3. Виртуальный туризм: проблемы становления... [referat911.ru>Turizm/virtualnyj-turizm-problemy...i...](http://referat911.ru/Turizm/virtualnyj-turizm-problemy...i...)
4. Виртуальный туризм [knowledge.allbest.ru>Спорт_и_туризм>..._0.html](http://knowledge.allbest.ru/Спорт_и_туризм>..._0.html)
5. Тема 8.Технологии виртуальной реальности в сфере... it-tourism.jimdofree.com>...виртуальные-путешествия/
6. Виртуальный туризм становится реальностью [traveldon.ru>stat-i-turizme-i...virtualnyj-turizm/](http://traveldon.ru/stati-o-turizme-i...virtualnyj-turizm/)
7. მომავლის ტექნოლოგიის ქართული ... www.entrepreneur.com > article
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წლიური ანგარიშგებითი მასალები. www.economy.ge
9. ტურიზმის საინფორმაციო ... www.oktravel.ge > blog > ტურიზმი...
10. ტურიზმი, საქართველო და ... - ISO Consulting www.isoconsulting.ge > single-post

11. ვირტუალური რეალობა ... - Forbes Georgia forbes.ge › blog › virtualuri-realoba-...
12. VRex - ვირტუალური რეალობა ... popx.ge › article › 3556-vrex-virtual...

*Ketevan Kveladze
Medea Melashvili
Nunu Kistauri*

THE ROLE OF VIRTUAL TOURISM IN THE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY Summary

Among the new types of tourism today - virtual tourism is special, when the virtual becomes real, and the real - virtual. The paper is dedicated to such a popular problem today as tourism in general, and its virtual form in particular.

The author compares the classic and virtual types of tourism, discusses the pros and cons of each of them, as well as emphasizes the special importance of virtual tourism as the most convenient and comfortable service for travelers in a pandemic. It is also noted that the development of virtual tourism is unthinkable without digital technologies.

Georgia is also trying to keep pace with world innovations and, as far as possible, use the surname "Second Life". In addition to interactivity, speed and unlimited access, the Internet has created a prerequisite for the emergence of such an innovative and paradoxical event in tourism as 'Virtual Tourism', 'Virtual Excursions', 3D Excursions, 3D Panoramas, 3D Tours. The paper also discusses the current state and future prospects of VR tourism development in Georgia.

*ნუნუ ქისტაური
მედეა მელაშვილი
ქეთევან ქველაძე*

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა და მასზე პანდემიის გავლენა (საქართველოს მაგალითზე)

***ანოტაცია.** ნაშრომში გაანალიზებულია კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, როგორც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება, რომელსაც გლობალური ხასიათი გააჩნია. ეს პროცესი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით გააქტიურდა. განხილულია ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები როგორც დონორი, ისე მიმღები ქვეყნებისათვის. აღნიშნულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მითითებულია, რომ მსოფლიო ბაზარზე ეს ინვესტიციები ტრანსნაციონალური კომპანიების ბატონობის საფუძველია; ასევე გაანალიზებულია ინვესტიციური ნაკადების მოძრაობა განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ნაშრომში მოყვანილი და გაანალიზებულია საინტერესო ციფრობრივი მასალა.*

***საკვანძო სიტყვები:** კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, საინვესტიციო ნაკადები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკა. პანდემია Covid-19.*

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. ამ პროცესის აქტიური და გლობალური ხასიათი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი თავისებურებაა. საქონელთან შედარებით საზღვარგარეთ კაპიტალის უპირატესად გატანამ ქვეყნებს შორის თვისებრივად ახალი ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები ჩამოაყალიბა და მსოფლიო მეურნეობა უფრო მრავალფეროვანი და რთული გახდა. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი მიზეზია ეროვნულ ქვეყანაში მისი სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობა. ამიტომ მეტი მოგების მისაღებად იგი უცხოეთში "მოგზაურობს".

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაბანდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც უცხო სახელმწიფოები, კომპანიები და საწარმოები ნერგავენ ინოვაციებს და ტექნოლოგიებს სხვადასხვა ქვეყნების საწარმოებში. როგორც წესი, განვითარებული ქვეყნები სახსრებს აბანდებენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ამით აძლიერებენ მასპინძელი ქვეყნების ინდუსტრიას, რადგან კაპიტალის მიღებით რეციპიენტი ქვეყანა იძენს შესაძლებლობას, განაახლოს და განავითაროს ინდუსტრიის დარგები, გაზარდოს მწარმოებლურობა, აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომსახურება.

ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია განახორციელეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და ამით ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო კლიმატის შექმნის მიზნით, რადგან ის განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების, მოდერნიზაციის, შემოსავლების ზრდის და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით საინვესტიციო გარემოს შეფასების პირველი გამოკვლევა ეკუთვნით ჰარვარდის ბიზნესის სკოლის თანამშრომლებს. კვლევის მეთოდიკა ითვალისწინებდა საექსპერტო სკალის გამოყენებას. ცალკეული ქვეყნის მიხედვით ის მოიცავდა შემდეგ მახასიათებლებს: უცხოური და საკუთარი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები; კაპიტალის გატანის შესაძლებლობები; ეროვნული ვალუტის სიმყარე; ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია; ინფლაციის დონე; ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობა.

რეციპიენტი ქვეყნებისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ზეგავლენა ეკონომიკის ზრდაზე შემდეგ მაჩვენებლებში აისახება: მწარმოებლურობის ზრდა, თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, თანამედროვე მენეჯერული უნარების ტრანსფერი, „ნოუ ჰაუს“ ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ..

თუმცა განსაკუთრებით ყურადსაღებია უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგები, მათ შორის ე.წ. „განდევნის ეფექტი“. მას ორი ფორმა აქვს. ჯერ ერთი, კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორე, ეს კორპორაციები თვითონ „ითრევენ“ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის ფინანსების, საგრძნობ ნაწილს და, შესაბამისად, ამოსავალი ყოველთვის უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს, ხშირია აღნიშნული ქვეყნების ბიუჯეტის შემცირება სოციალურ სექტორში, ასევე, იზრდება სიღარიბე, ვალუტის კურსის კრიზისი, ადგილობრივი ვალუტის მასშტაბური დევალვაცია და ვაჭრობის პირობების

დეტერმინაცია. შიდა დანაზოგები ვერ აფინანსებს ინფრასტრუქტურას, ჩნდება უცხოური პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების საჭიროება მათი ისეთი უპირატესობების გამო, როგორცაა რეციპიენტ ქვეყანაში მყარი ვალუტის და ფინანსური რესურსების შემოდინება, მენეჯერული უნარები, მარკეტინგული კავშირები, ტექნოლოგიური ცოდნა და ადგილობრივი სამუშაო ძალის გადამზადება.

ზოგადად, მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხასიათდება კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, განაპირობოს ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ..

ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით, Heritage Foundation-ის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით 180 ქვეყნიდან საქართველო მე-12 ადგილზეა, ხოლო ევროპის მასშტაბით მე-9 ადგილს იკავებს. ამასთანავე, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი არის 82.04, ანუ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის იგი მე-7 პოზიციაზეა, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის პირველ ადგილს იკავებს.

საქართველოს გააჩნია სტრატეგიული მდებარეობა და საბაჟო გადასახადების გარეშე 2.3 მილიარდიან ბაზარზე წვდომა. საქართველო 2014 წლის 1 სექტემბრიდან სარგებლობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით ევროკავშირთან; ქვეყანას აგრეთვე გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები EFTA-სა (ისლანდიას, ნორვეგიას, შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან) და დსთ-ის წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან. 2017 წლიდან ამოქმედდა აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან; GSP ტიპის შეთანხმება მოქმედებს აშშ-ს, კანადას, იაპონიასთან. ამასთანავე, საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების რეჟიმშია ჰონკონგთან.

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე ზოგადად უარყოფითად მოქმედებს კვალიფიციური კადრების დეფიციტი. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს 2019 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგი, რომლის თანახმად საქართველო საშუალო განათლების დონის მიხედვით მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის მე-13 პოზიციაზეა, თუმცა კვალიფიციური სამუშაო ძალის, პროფესიული სწავლების, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ცოდნის, სამუშაო ძალაზე ხელმისაწვდომობის კუთხით 125-ე პოზიციას იკავებს. განსხვავება ამ ორ მონაცემს შორის იმდენად თვალსაჩინოა, რომ ის ძალიან დიდ უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაზე. უცილებელია დიდი ინვესტიციების განხორციელება ადამიანური კაპიტალის ამაღლებისთვის. ეს ინვესტიცია შეიძლება იყოს გადამზადების კუთხით შექმნილი ორგანიზაციები, ასევე განათლების სისტემაში ჩადებული თანხა.

სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად ნეგატიურად აისახება კონფლიქტური რეგიონების არსებობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები და მათთან მუდმივად დამაბულ ვითარებაში

თანაარსებობა. კონფლიქტების მოგვარება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს არა მხოლოდ საინვესტიციო კლიმატის, არამედ მთლიანად ქართული ეკონომიკის წინსვლისთვის. ფაქტია, რომ ყოველი ბიზნესმენისთვის, უცხოელი იქნება იგი თუ ადგილობრივი, ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვაა.

2020 წელი მსოფლიოსთვის ახალი საყოველთაო გამოწვევით დაიწყო, რომელიც კორონავირუსის პანდემიას უკავშირდება და მთელი სამყარო მოიცვა. ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვა, ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება და მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების ჩაშლა ამცირებს ეკონომიკის ზრდის ტემპს. ამ წლის პირველ ნახევარში პუი-ს საერთო მოცულობა მსოფლიოში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 49%-ით შემცირდა და 399 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ახალი ინვესტპროექტების რაოდენობა 37%-ით შემცირდა. განვითარებულ ქვეყნებში იმავე პერიოდში შემცირება უფრო თვალშისაცემია და 75%-ს შეადგენს (397 მლრდ დოლარიდან 98 მლრდ დოლარამდე); განვითარებად ქვეყნებში ვარდნამ 16% შეადგინა და 352 მლრდ აშშ დოლარიდან 296 მლრდ დოლარამდე დაეცა.

UNCTAD-ის მონაცემებით, წელს მსოფლიო ეკონომიკა 1.5-3%-ით შემცირდება და დაახლოებით 6.3 ტრლნ აშშ დოლარით ნაკლები იქნება წინა წელთან შედარებით. დაახლოებით იმავეს პროგნოზირებენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგ., მსოფლიო სავალუტო ფონდი აჩვენებს კლებას 4.9%-ით, მსოფლიო ბანკი - 5.2%-ით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 6.6%-ით. ამის ძირითად მიზეზად ყველა ერთხმად ასახელებს იმ შეზღუდვებს, რისი შემოღებაც კორონავირუსის გამო გახდა აუცილებელი. გაეროს ბოლოდროინდელი მონაცემებით, პანდემია გამოიწვევს პუი-ს შემცირებას მსოფლიოში 30-40%-ით, მაშინ როცა წინა პროგნოზებით ეს მაჩვენებელი 5-15%-ს არ აღემატებოდა. ეს პროგნოზები მოყვანილია გაეროს „ვაჭრობისა და განვითარების“ კონფერენციის მასალებში (ჟენევა, 26 მარტი, 2020). UNCTAD-ის ექსპერტების დასკვნების შესაბამისად, მსოფლიოში თითქმის 5 ათასი მრავალნაციონალური კომპანიის შემოსავლები Covid-19-ის მიზეზით 2020 წელს საშუალოდ 30%-ით შემცირდება.

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები უკვე გამოქვეყნდა. მათ შორის, სტატისტიკის სამსახურის 2020 წლის პირველი კვარტლის ინვესტიციების წინასწარი მონაცემებით, სახეზეა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ვარდნა. კონკრეტულად, 2020 წლის I კვარტალში ინვესტიციებმა 165.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტლის მონაცემებზე 41.7%-ით ნაკლებია (იხ. ცხრ.1).

ცხრილი 1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
(მლნ აშშ დოლარი)**

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	409.6
I კვ	291.8	331.9	343.4	392.6	413.2	328.6	313.7	171.8
II კვ	224.1	217.6	493.2	452.4	395.7	406.1	236.6	237.8
III კვ	271.6	749.5	531.1	507.4	634.8	365.4	396.0	-
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.2	534.6	203.5	364.5	-

* წინასწარი მონაცემები

საქართველოს ხელისუფლებას დიდი ძალისხმევის გაწევა მოუწევს, რომ საინვესტიციო გარდატეხა მოახდინოს და ისედაც შეზღუდული უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვა შეძლოს და ამისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნას: პირველ რიგში სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კერძო საკუთრების დაცულობა, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე. გლობალიზაცია და პანდემიის ეკოლოგიური პრობლემები. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2020.
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.p
საგადასახდელო ბალანსი 2014-2018 წლებში (მლნ აშშ დოლარი)14
3. <http://www.nplg.gov.ge/gsd//cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik>
საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების აუცილებლობა და მიმართულებები
4. <https://www.kommersant.ru/doc/4549629>Глобальные иноинвестиции упали вдвое. Мониторинг мировой экономики Газета "Коммерсантъ" №198 от 28.10.2020, стр. 2
5. <https://sprintinvest.ru/koronavirus-dengi-investicii-stoit-li-panikovat-investoru>Коронавирус, деньги, инвестиции: стоит ли паниковать инвестору?.

*Nunu Kistauri
Medea Melashvili
Ketevan Kveladze*

INTERNATIONAL CAPITAL MOVEMENT AND THE IMPACT OF THE PANDEMIC ON IT (ON THE EXAMPLE OF GEORGIA) Summary

The international capital movement, as an important feature of the development of the modern world economy, has a global character. This process has been particularly active since the second half of the twentieth century, which has its pros and cons for both donor and recipient countries. Foreign direct investment has the predominant role. In the world market, these investments are the basis for the dominance of transnational companies. The movement of investment flows is different in developed, developing and transitional economies, as can be well seen in the digital material presented in the paper.

ანა ჩაგელიშვილი

პანდემიის გავლენა საქართველოში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე

ანოტაცია. პანდემიით გამოწვეული კრიზისი სულ უფრო ძლიერად ზემოქმედებს ეკონომიკურ საქმიანობაზე. შემცირებული მოხმარება და დამსაქმებლების შემცირებული შემოსავლები საბოლოო ჯამში აისახება დასაქმებულების შრომის ანაზღაურებაზე ან სულაც მათი სამუშაო ადგილების არსებობაზე. დასაქმებულთა დამძიმებული სიტუაციის გამოსასწორებლად სამთავრობო სოციალურმა პროექტებმა

მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, თუმცა, გაზრდილი საგარეო ვალისა და შემცირებული საბიუჯეტო შემოსავლების ფონზე ამგვარ ქმედებას მხოლოდ დროებითი და არარეგულარული ხასიათი შეიძლება ჰქონდეს.

საკვანძო სიტყვები: პანდემია; შრომის ანაზღაურება; უხელოვანო შვებულება; სამუშაო ადგილი; დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი;

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 11 მარტს პანდემიად გამოცხადებული COVID-19 უდავოდ 2020 წლის ყველაზე დიდი გლობალური გამოწვევაა, რომელმაც ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროზე იქონია ზეგავლენა. ვირუსის ფართოდ გავრცელების პრევენციისთვის სახელმწიფოების მიერ დაწესებული სხვადასხვა სახის შეზღუდვები თუ რეგულაციები ჯაჭვისებურად იწვევენ მთელ რიგ უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს, მათ შორის ისეთებს როგორებიცაა ტურიზმის შემცირება, უმუშევრობის მატება, სიღარიბის მაჩვენებლის ზრდა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება და ა.შ. პანდემიის პირდაპირი, უარყოფითი გავლენა ტურიზმის სექტორს ეხება, რაც დაკავშირებულია სამოგზაურო შეზღუდვებთან და ჩაკეტილ საზღვრებთან. მისი შედეგი არანაკლები ხარისხით აისახება სარესტორნო და სავაჭრო ბიზნესზეც. თუმცა, აღნიშნული სფეროებისთვის ტურისტების რაოდენობის შემცირება ერთადერთ პრობლემად არ რჩება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტულად მათთვის განკუთვნილი რეგულაციებიც არის დაწესებული.

პანდემიის სამომავლო ეკონომიკური ზიანის წინასწარ განსაზღვრა რთულია, თუმცა, მას აუცილებლად ექნება გავლენა შრომის ბაზარზეც. 2020 წლის პირველ ნახევარში, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შედეგად საქონლისა თუ მომსახურების წარმოების აკრძალვა³⁰ აისახა დამსაქმებლების ეკონომიკურ აქტივობაზე, რადგან, ამ შემთხვევაში კომპანიები არ იყვნენ გათავისუფლებულნი დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუმცა, ამავდროულად შეზღუდვების (გლობალურად თუ ადგილობრივად) პარალელურად ვერ ახერხებდნენ მათ შესრულებას. რეალიზაციისა და ვაჭრობის შეზღუდვის შედეგად, დაქირავებით დასაქმებულთა გარდა, დაზარალებულნი ასევე თვითდასაქმებულები და არაფორმალურად დასაქმებულები. აქედან გამომდინარე, იმ საკითხის განხილვა, თუ როგორია პანდემიის გავლენა საქართველოში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე, უდავოდ აქტუალურია.

ქვეყნებს შორის შეჩერებულმა თუ შეზღუდულმა მიმოსვლამ, საკარანტინო შეზღუდვებმა, საქმიანობისას დაწესებულმა რეგულაციებმა და ეკონომიკური საქმიანობის დიდი ნაწილის შეჩერებამ მნიშვნელოვნად დააზარალა დამსაქმებელთა მდგომარეობა და შესაბამისად აისახა დასაქმებულთა მდგომარეობაზეც. შემცირებული რეალიზაცია თავისთავად ამცირებს მოთხოვნას და ავტომატურად მოქმედებს ხელფასებზეც.

³⁰ გარდა ისეთი გამოწვევებისა, როგორიცაა სამედიცინო მომსახურება, ფარმაცევტული მომსახურება, სურსათით ვაჭრობა და ა.შ.

პანდემიის უარყოფითი გავლენა თანაბარი ზეგავლენით არ ასახულა ყველა დასაქმებულზე. ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიც არიან უნივერსიტეტები, საჯარო დაწესებულებები, საკონსულტაციო კომპანიები და სხვა მსგავსნი, სწრაფად მოახდინეს ადაპტირება პანდემიიდან გამომდინარე შეცვლილ გარემოებებთან და გადავიდნენ დისტანციურ საქმიანობაზე. თუმცა, საქმიანობის უმეტეს სფეროებში ეს ვერ მოხერხდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ COVID-19-ის გავრცელების პრევენციისთვის მთავრობის მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა და რეგულაციებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე. უარყოფითი გავლენა ვლინდება გარკვეულ შედეგებში, მათ შორის საქმიანობის დროებით შეჩერებიდან გამომდინარე დასაქმებულთა მოწყვლადი ჯგუფების უხელფასო შვებულებაში გაშვებაში, შრომის ანაზღაურების შემცირებაში ან უკიდურეს შემთხვევაში სამსახურიდან გაშვებაში.


საქართველოს ეკონომიკასა და ბიზნესზე პანდემიის ზეგავლენის მასშტაბის ჯეროვნად შეფასების მიზნით, შპს „ფრაისუთერჰაუსკუპერს საქართველოს“ (PwC საქართველო) მიერ 2020 წლის 16-27 აპრილის შუალედში, სხვადასხვა ზომის, სექტორისა და რეგიონის 1938 ერთეულ კომპანიაში ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც წარმოშობილი სირთულეების საპასუხოდ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება გამოკითხულთა 12%-ის, ხოლო უხელფასო შვებულებაში გაშვება 21%-ის გამოსავლად იქცა [PwC საქართველო, 2020: 9]. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის შედეგებისადმი შედარებით მდგრადი სოფლის მეურნეობის სფერო აღმოჩნდა, რაც აისახა კიდევ კვლევის შედეგებში: სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი კომპანიების 60%-ზე მეტი კვლევის მომდევნო 3 თვის მანძილზე (მაისი-ივლისი) არც გეგმავდა თანამშრომელთა შემცირებას ან უხელფასო შვებულებაში გაშვებას [PwC საქართველო, 2020: 14], რაც შესაძლოა სეზონურობითაც აიხსნას: სამომავლო პერიოდი სწორედ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აქტიურობის პიკს ემთხვეოდა.

საინტერესოა რამდენად კანონიერია საგანგებო მდგომარეობის დროს, ორგანიზაციის შემცირებული ფინანსების პარალელურად შრომის ანაზღაურების შემცირება. უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ურთიერთობების ისეთი საკითხები, რომლებიც არ წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კერძოდ, 398-ე მუხლის შესაბამისად. თუ ხელშეკრულების გაფორმებისას არსებული გარემოებები შემდგომში იმდენად შეიცვალა, რომ ამ ცვლილებების არსებობის დროს არ დადებდნენ მხარეები ხელშეკრულებას, მხარეს ვერ მოეთხოვება ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ დაცვა. აქედან გამომდინარე, შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ერთ-ერთ მცდელობად შესაძლოა ჩაითვალოს სწორედ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შემცირების საკითხი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თუ ვერ მოხერხდა შრომის ანაზღაურების შემცირების საკითხის შეთანხმება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, შრომის კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩნდება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი: „*ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას*“. შესაძლოა, რომ დასაქმებულთა სამუშაოდან დათხოვნის საკითხმა სამომავლოდ სასამართლო დავების სახე მიიღოს და მრავალი ინდივიდუალურად განსახილველი შემთხვევა წარმოშოს [შპს „ჯეი ენდ თი ქონსალტინგი“, 2020: 6].

შრომის ანაზღაურების შემცირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულები უპირატეს მდგომარეობაში არიან კერძო სფეროში

დასაქმებულთაგან განსხვავებით, რადგან მათ სოციალური დაცვის მეტ გარანტიას „შრომის კოდექსის“ გარდა განაპირობებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი.

შრომის ანაზღაურებაზე პანდემიის გავლენას ასახავს სტატისტიკური მონაცემებიც, თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2019 წელთან შედარებით 2020 წლის პირველ კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდა ფიქსირდება და 1202.7 ლარს შეადგენს [საქსტატი, 2020]. სტატისტიკოს სოსო არჩვაძის მოსაზრებით ხელფასის ამგვარი ზრდა გამოწვეულია დასაქმების სტრუქტურის გადაჯგუფებით, რაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების გამორიცხვის მეთოდს ემყარება. მისი მსჯელობა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ პანდემიის პირობებში დახურული ბიზნეს საქმიანობა და შესაბამისად ამ არეალში დასაქმებულთა ხელფასები აღარ ჩაითვალა სტატისტიკური მონაცემების დაანგარიშებაში. აქედან გამომდინარე, 2020 წლის პირველი კვარტლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ზრდა აჩვენა არა სახელფასო ფონდის სიდიდის ზრდამ, არამედ დაქირავებულთა ერთობლიობიდან დაბალშემოსავლიანი დასაქმებულების გამორიცხვამ [report.ge, 2020]. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის პირველი კვარტალი საქართველოში ის პერიოდია, რომელიც მოიცავს პანდემიამდელ (ზრდის) და პანდემიის დასაწყის (კლების) მონაკვეთებს, რითაც შესაძლოა ასევე განპირობებული იყოს ის ფაქტი, რომ წინა წლის მონაცემთან შედარებით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი კლების ნაცვლად გაიზარდა. ამის შესაბამისად, პანდემიისა და მისი თანმხლები შეზღუდვების პარალელურად, 2020 წლის მე-2 კვარტლის საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი უკვე იკლებდა და 1150.1 ლარს შეადგენდა [საქსტატი, 2020].



დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)

წყარო: www.geostat.ge

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2020 წლის მე-2 კვარტალში საქმიანობის უმრავლეს სახეობაში შემცირდა, თუმცა, განსაკუთრებული შემცირებით გამოირჩეოდა საფინანსო და სადაზღვევო მომსახურებები ($\approx 21.40\%$) და ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფეროები ($\approx 21.65\%$) [საქსტატი, 2020].

საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის პარალელურად, პანდემიური კრიზისი აისახა უმუშევრობის დონეზეც, რომელიც წინა წლებში სტაბილურად მცირდებოდა. 2020 წლის მე-3 კვარტალში კი 11.9% -ს მიაღწია. წინა წლის მე-3 კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით უმუშევრობის დონე 0.7 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი, ხოლო 2020 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული [საქსტატი, 2020].

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის მიხედვით უმუშევრობის შესახებ შეგროვებულ მონაცემებში პანდემიური კრიზისის სრული სურათი არ აისახება, რადგანაც ვერ ხდება შემცირებული სამუშაო საათების, შრომის ანაზღაურების შემცირებისა და უხელფასო შვებულების ფაქტების გათვალისწინება³¹.

მომხმე ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით გადაიდგა სხვადასხვა სახის ნაბიჯები, მაგალითად, იმ დაქირავებით დასაქმებულებზე, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო ან დამსაქმებელმა უხელფასო შვებულებაში გაუშვა, 6 თვის განმავლობაში გაიცა მიზნობრივი სოციალური ყოველთვიური დახმარება 200 ლარის ოდენობით. გარდა აღნიშნული დახმარებისა, განხორციელდა დამსაქმებელთა სუბსიდირება ყოველ შენარჩუნებულ ადგილზე, კერძოდ, 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე ხელფასები სრულად გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისგან, ხოლო 1500 ლარამდე ხელფასები კი - 750 ლარის ოდენობაზე. ინიციატივები არ შეხებიან მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულებს. არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებმა და თვითდასაქმებულებმა მიიღეს ერთჯერადი 300 ლარიანი დახმარება [საქართველოს მთავრობის ანგარიში, 2020: 55]. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მონაცემებით, სახელმწიფოს კომპენსაციების მისაღებად ბევრ დასაქმებულს შეექმნა პრობლემა, რადგანაც ვერ ახერხებდნენ დასაქმებულის სტატუსის დამტკიცებას არაფორმალური დასაქმების სპეციფიკის გამო [საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება, 2020: 1]. აქედან გამომდინარე, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები ყველაზე მოწყვლადნი აღმოჩნდნენ სახელმწიფოს მხრიდან მათზე ინფორმაციის ნაკლებობისა და შრომითი ხელშეკრულებების არ არსებობის გამო. არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი კი მცირე არ არის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემების მიხედვით 34.7%-ს შეადგენს [საქსტატი, 2020].

იქიდან გამომდინარე, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი არ მოიცავს თვითდასაქმებულთა და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, ნაწილობრივ ასახავს პანდემიის გავლენას საქართველოს მოსახლეობის შრომის ანაზღაურებაზე, სადაც არაფორმალური დასაქმება საკმაოდ მნიშვნელოვანია, ხოლო დასაქმებულთა დამოკიდებულება ყოველდღიურ ფულად შემოსავლებზე - ძალიან მაღალი.

დასკვნა

ის ფაქტი, რომ პანდემიას და მის თანმხლებ შეზღუდვებს გლობალურ და ეროვნულ დონეზე უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე, დავას არ საჭიროებს. ეკონომიკის ჩვეულ რიტმში დაბრუნება შეზღუდვების მოხსნის შემდეგ ავტომატურად არ მოხდება. ნეგატიური ასპექტების დაძლევა ამ წლის განმავლობაში თითქმის შეუძლებელიც არის, თუმცა, მნიშვნელოვანია ზარალისა და

³¹ სამუშაო ძალის გამოკვლევის დროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემებს აგროვებს დასაქმების სტატუსის შესახებ ბოლო 7 დღის განმავლობაში. ადამიანი ითვლება დასაქმებულად, თუ იგი ბოლო 7 დღის განმავლობაში მუშაობდა მინიმუმ 1 საათის განმავლობაში შემოსავლის მიღების მიზნით, ან უსასყიდლოდ ეხმარებოდა შინამეურნეობებს, ან არ იმყოფებოდა სამუშაოზე რაიმე მიზეზით, თუმცა, ირიცხებოდა ფორმალურად. ადამიანი ითვლება უმუშევრად, თუ მას ბოლო 7 დღის განმავლობაში 1 საათიც კი არ უმუშავია, აქტიურად ეძებდა სამსახურს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და შეეძლო დაეწყო სამსახური მომავალი 2 კვირის განმავლობაში. წყარო: www.geostat.ge

პრობლემების შემსუბუქება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დახმარების გონივრული გამოყენება მიზნობრივ ჯგუფებზე და ეკონომიკური აღდგენის უზრუნველყოფა. შრომის ანაზღაურების შემცირებითა თუ დაკარგვით დაზარალებული დასაქმებულებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული სოციალური დახმარება მიმართული იყო დაუყოვნებელი ეკონომიკური და სოციალური შოკის დაძლევისკენ და ვერ ექნება მას მუდმივი ხასიათი. რაც შეეხება არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა დახმარებას, მათი იდენტიფიცირების სირთულიდან გამომდინარე შეუძლებელია კონკრეტულად მათზე მორგებული სოციალური შემწეობის თუ რაიმე სახის სამთავრობო პროგრამის გატარება. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია მათზე უნივერსალური და ზოგადი ხასიათის პროგრამების განხორციელება, რაც ასევე მოიცავს დასაქმებულებისა თუ მოსახლეობის სხვა ჯგუფებსაც.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის კონტროლის პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიკური ანალიზის განუწყვეტლივ ჩატარება, რომლის დროსაც მოხდება კრიზისული პერიოდის დროს დაზარალებული თუ წარმატებული სფეროების იდენტიფიცირება და მიზნობრივი პროგრამების განხორციელება. ეკონომიკური საქმიანობის კიდევ ერთხელ შეჩერება შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს სრულიად ეკონომიკისთვის. სამუშაო ადგილების დაკარგვა, შრომის ანაზღაურების შემცირება თუ სულაც დროებით ვერ მიღება ერთგვარ „ეკონომიკურ ვირუსსადაც“ შეიძლება მოვიაზროთ, რომელიც ასევე შეამცირებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

პანდემიურ გარემოში დაწესებულ შეზღუდვებთან ადაპტირების ნაცად და გამართლებულ გზას წარმოადგენს სწორედ თანამშრომელთა დისტანციური მუშაობა, რაც წარსულშიც საკმაოდ პოპულარული იყო არაერთ განვითარებულ ქვეყნაში. ამ პრაქტიკის გამოყენება საქართველოსთვისაც მიზანშეწონილია, რაც თავიდან აარიდებს დამსაქმებლებსა თუ დასაქმებულებს მთელ რიგ პრობლემებს. დისტანციურ რეჟიმს შესაძლოა სამომავლოდ გაცილებით მეტი პერსპექტივა ჰქონდეს როგორც პანდემიის, ასევე პოსტპანდემიურ პერიოდშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციურად მუშაობასაც აქვს თავისი არაერთი უარყოფითი მხარე, რაც დროთა განმავლობაში დახვეწას, შეცვლილ გარემოებებთან ადაპტირებასა და განვითარებას საჭიროებს. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია შრომითი კონტრაქტების კორექტირება, სადაც ნათლად უნდა გაიწეროს სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა) 2020 III კვარტალი, განთავსებულია ელექტრონულად შემდეგ ბმულზე: <https://www.geostat.ge/ka/single-news/1974/mosakhleobis-ekonomikuri-aktivobis-machveneblebi-dasakmeba-da-umushevropa-2020-tslis-iii-kvartali>.

2. საქართველოს მთავრობა, 2020, Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, განთავსებულია ელექტრონულად შემდეგ ბმულზე: http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf.

3. საქართველოს პროფესიული კავშირები, 2020, Covid-19-ის გავლენა დასაქმებაზე, განთავსებულია ელექტრონულად შემდეგ ბმულზე: <http://gtuc.ge/koronavirusis-gavlana-dasaqmebaze/>, გვ. 1.

4. შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (PwC საქართველო), 2020, ქართული კომპანიები Covid-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე, განთავსებულია ელექტრონულად შემდეგ ბმულზე: https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/may-2020/Georgia_Covid-19_survey_Report_Final_Georgian_21.05.20.pdf, გვ. 9, 14.

5. შპს „ჯეი ენდ თი ქონსალთინგი“, 2020, პანდემიური და საგანგებო მდგომარეობის გავლენა შრომის ურთიერთობებზე, განთავსებულია ელექტრონულად შემდეგ ბმულზე: <http://jtconsulting-geo.com/uploads/library/Bmdsbx9fhVxSV2EubSBKdV6vYM1uWpbz.pdf>, გვ. 6.

6. Report.ge, 2020, როგორ შეიცვალა ხელფასები დასაქმების სტრუქტურის გადაჯგუფებით, განთავსებულია ელექტრონულად შემდეგ ბმულზე: <https://report.ge/economics/rogor-sheitsvala-khelfasebi-dasakmebis-strukturis-gadajgufebit/>

7. www.geostat.ge

8. www.gov.ge

Ana Chagelishvili

THE IMPACT OF THE PANDEMIC ON EMPLOYEES WAGES IN GEORGIA

Summary

As in the rest of the world, the pandemic crisis has caused a number of economic problems in Georgia: The unemployment and poverty rate has increased, the national currency has been depreciated, and so on. It had negative impact on employees wages and on a number of workplaces.

A number economic sectors, such as education, office work and etc. quickly adapted to changing circumstances by working remotely and online, however, in many areas it could not be managed and organizations were forced to make unpleasant decisions such as wage cuts, making unpaid or even firing from the work.

During the pandemic crisis, the legality of lowering wages and dismissal from the work have become the subject of disagreements between employer and employee. According to the current legislative norms, we can conclude that in the context of such a global threat, the issue of reducing wages and terminating the contracts because of a decrease in the organization's income is completely legal.

It turned out that one of the most sustainable to pandemic restrictions and regulations was agricultural sector in Georgia, which may be due to seasonality.

In the beginning of 2020, the impact of the pandemic was reflected in the deteriorating statistics as well. Ever growing average monthly nominal wage has been declined, which is not the only negative growth. These statistics do not fully reflect the effects of the pandemic crisis, which is due to the specificity of the research methodology. It is likely that reduced working hours and wages, as well as unpaid leave, makes the situation for employees even more difficult. Added to all this the situation is worse because of informally employed and self-employed people, about whom it is very difficult to gather information.

Restrictions and regulations, which were caused by pandemic, or the lockdown, that temporarily "stopped" the Georgian economy were accompanied by government-sponsored social care, such as helping the people who lost their jobs or withholding wages from income tax and many other actions. However, it is logical that such anti-crisis actions are just one time acts.

The way out of the economic crisis depends primarily on eliminating the cause - the pandemic. However, while COVID-19 danger is active, governments still see a solution in restricting the activities of the population, which further deepens the crisis and aggravates the social background. Even before finding a medical solution, it is very important to find the golden mean that will draw the line between government regulation-restrictions and the spread of the virus.

პანდემია და რეგიონის ეკონომიკური განვითარების კონცეფტუალური საკითხები

ანოტაცია. პანდემია დღის წესრიგში აყენებს ქვეყნებისა და რეგიონების რესურსული პოტენციალისა და პრიორიტეტების მაქსიმალურად ჰარმონიზებულ გამოყენებას და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გაღრმავებას.

პანდემის პირობებში ყველაზე მეტი დარტყმა ტურიზმის სექტორმა განიცადა. შეჩერდა საერთაშორისო ტურისტული ნაკადები, რამაც მთლიანად შეცვალა ტურისტული რეგიონებისა და სტრუქტურების შემდგომი საქმიანობა და სტრატეგიული ხედვები. დღეს ამ სფეროს სტრატეგიულ ხედვას შიდა ტურიზმის განვითარებაა, რაც სწორი სტრატეგიის ფორმირებასა და მის ეფექტიან განხორციელებას მოითხოვს.

ნაშრომში საკვლევ ობიექტად შერჩეულ იქნა კახეთის რეგიონი და მასში ტურისტული პოტენციალის გამოყენების საკითხი. კვლევის მიზანს წარმოადგენს კლასტერის პარამეტრების შედეგიანობის დასაბუთება, რისთვისა გამოყენებულ იქნა კლასტერული ანალიზის K-საშუალოს მეთოდი.

კლასტერების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მასში შემავალი ჯგუფების დაშორებასა და ცვლადების ზემოქმედებაზე. ცვლადებთან მიმართებათ კი კლასტერები ერთნაირად მგრძობიარე არ არიან. ისინი განსხვავდებიან რისკების მიხედვით. ეს უკანასკნელი კი იმაზე მეტყველებს, რომ კლასტერის ჯგუფებად დაყოფა ხარისხიანი შედეგის მომცემი იქნება. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფებს შორის გადანაწილებული იქნება როგორც რისკები, მაქსიმალურად მოხდება თითოეულის პრიორიტეტის გამოვლინება და გამოყენება, რაც საჭიროა კლასტერში პროცესების უწყვეტობისათვის.

საკვანძო სიტყვები: პანდემია; კლასტერიზაცია; k-საშუალოს მეთოდი; რეგიონის განვითარება.

შესავალი

თანამედროვე ცვალებად მსოფლიოში, სადაც ძლიერ კონკურენციასთან ერთად ხშირია განუსაზღვრელობის პირობებში მართვა, სულ უფრო აქტიური ხდება ქვეყნისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი კონცეფტუალური მიდგომები, სადაც აქტუალური კლასტერული მოდელის მიხედვით განვითარებაა. მითუმეტეს, როდესაც პანდემია დღის წესრიგში აყენებს ქვეყნებისა და რეგიონების რესურსული პოტენციალისა და პრიორიტეტების მაქსიმალურად ჰარმონიზებულ გამოყენებას და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის გაღრმავებას.


პანდემის პირობებში ყველაზე მეტი დარტყმა ტურიზმის სექტორმა განიცადა. შეჩერდა საერთაშორისო ტურისტული ნაკადები, რამაც მთლიანად შეცვალა ტურისტული რეგიონებისა და სტრუქტურების შემდგომი საქმიანობა და სტრატეგიული ხედვები. დღეს ამ სფეროს სტრატეგიულ ხედვას შიდა ტურიზმის განვითარებაა, რაც სწორი სტრატეგიის ფორმირებასა და მის ეფექტიან განხორციელებას მოითხოვს.

ნაშრომში საკვლევ ობიექტად შერჩეულ იქნა კახეთის რეგიონი და მასში

ტურისტული პოტენციალის გამოყენების საკითხი. კვლევის მიზანს წარმოადგენს კლასტერის პარამეტრების შედეგიანობის დასაბუთება, რისთვისა გამოყენებულ იქნა კლასტერული ანალიზის K-საშუალოს მეთოდი.


კლასტერიზაციის პროცესში, სწორი და სრულფასოვანი ანალიზისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ობიექტები თითოეულ კლასტერში მაქსიმალურად მსგავსები უნდა იყვნენ და ამავე დროს უნდა განსხვავდებოდნენ სხვა კლასტერების ობიექტებისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონის ტურისტული კლასტერის მოდელი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (სქემა.1)

ტურიზმის კლასტერული განვითარების მოდელი



ძირითადი ნაწილი

იმისათვის, რომ ნათელი იყოს ჩვენს მიერ წარმოდგენილი კლასტერის შემადგენელი ობიექტების მსგავსება-განსახვავება, გამოვიყენოთ კოხენენის რუკა. ობიექტებს შორის დაშორების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა ევკლიდური მანძილი.



სქემა 2. ტურისტული კლასტერის ობიექტების მსგავსების რუკა

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რამდენად საიმედო და ვალიდური იქნება გადაწყვეტილებები ჩვენს მიერ წარმოდგენილ კლასტერში, გამოვიყენოთ K-საშუალოს მეთოდი. კვლევისას ჩვენს მიერ კახეთის რეგიონი პირობითად დაიყო 7 რეგიონად:

1. ახმეტის ტურისტული კლასტერი;
2. გურჯაანის ტურისტული კლასტერი;
3. ლაგოდეხის ტურისტული კლასტერი;
4. სიღნაღის ტურისტული კლასტერი;
5. დედოფლისწყაროს ტურისტული კლასტერი;
6. თელავის ტურისტული კლასტერი;
7. ყვარლის ტურისტული კლასტერი.

Cluster Analysis მოდულის (პროგრამა Statistics) მეშვეობით შევეცადეთ დაგვესაბუთებინა კლასტერული მოდელის დადებითი ზეგავლენა რეგიონის ტურისტული პოტენციალის გამოყენებაში. რისთვისაც, შევარჩიეთ ცვლადები. დიალოგურ ფანჯარაში მითითებული იყო ტურიზმის კლასტერისათვის დამახასიათებელი ყველა ცვლადი, რომლებიც 4 ჯგუფად დაიყო.

საწყისი მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

- ცვლადების რაოდენობა -27;
- დაკვირვების ობიექტი -1000;
- K- საშუალოთა მეთოდი;
- კლასტერების რიცხვი -7;
- ინტერცია - 2.

ევკლიდური მანძილის გაანგარისება კლასტერებს შორის

კლასტერების რიცხვი	ევკლიდური მანძილი კლასტერებს შორის						
	1	2	3	4	5	6	7
1	0.000000	0.537992	0.420104	1.017653	3.152336	3.254578	2.789154
2	0.733470	0.000000	1.867715	2.929854	1.241899	0.000000	3.765398
3	0.648154	1.366644	0.000000	0.141070	5.632125	3.456890	5.610213
4	1.008788	1.711682	0.375605	0.000000	7.265060	4.235634	7.120678
5	1.775482	1.114405	2.373209	2.695378	0.000000	4.356257	0.000000
6	1.768561	1.567890	2.134578	2.539110	6.533154	3.365110	7.269330
7	1.534897	1.598123	1.978546	2.769310	7.270115	4.155990	6.798135

ჩვენს შემთხვევაში ევკლიდური მანძილი არის მანძილი (L1-A8) ნაკრების მაჩვენებლებს შორის. რაც უფრო ნაკლებია მანძილია ობიექტებს შორის, მით უფრო მსგავსები არიან ისინი. ევკლიდური მანძილის კვადრატი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია მაღალი წონა მიეცეს ერთმანეთისაგან უფრო მეტად დაშორებულ ობიექტებს.

ყველაზე მეტი დაშორება აღინიშნა მე-6 და მე-7 კლასტერებს შორის. მათ შორის ევკლიდური მანძილი ერთზე მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ყველაზე ნაკლებად არიან მსგავსები. აღნიშნული შეესაბამება ჯგუფებს კრედიტი და უარი. თითქმის ერთნაირი დაშორებაა 3-1 და 1-2 კლასტერებს შორის.

ამის შემდეგ მივმართავთ დისპერსიული ანალიზის განხორციელებას. დისპერსიული ანალიზის ცხრილი გვიჩვენებს ჯგუფებს შორის და ჯგუფებს შიგნით დისპერსიის მახასიათებლებს. რაც უფრო ნაკლებია ჯგუფებს შიგნით დისპერსიის მნიშვნელობა და მეტია ჯგუფებს შორის დისპერსიის მაჩვენებელი მით ხარისხიანია კლასტერიზაცია. დისპერსიის ანალიზის მაჩვენებლების მიხედვით მახასიათებლები P-ს მაღალი მაჩვენებლებით ($P > 0.05$) შეიძლება გამოვრიცხოთ კლასტერიზაციის პროცედურებიდან.


დისპერსიული ანალიზის ცხრილი

ცვლადები	ცვლადების ანალიზი					
	ჯგუფებს შორის	df	ჯგუფებს შიგნით	df	F	P
L1	97.70010	4	1.289024	95	1802.600	0.00
L3	97.4965	4	1.480150	95	1554.111	0.00
P1	97.43730	4	1.566678	95	1470.311	0.00
F1	97.68400	4	1.314365	95	1753.700	0.00

F2	97.46850	4	1.52150	95	1510.513	0.00
F3	97.88700	4	1.102817	95	2090.300	0.00
F4	97.68060	4	1.310315	95	1767.289	0.00
R1	97.88891	4	1.189890	95	1945.937	0.00
R2	96.45127	4	2.540760	95	894.489	0.00
R3	97.13940	4	1.861448	95	1240.970	0.00
R4	97.14995	4	1.849607	95	1247.428	0.00
A2	95.58030	4	3.415589	95	660.425	0.00
A4	94.03359	4	4.960384	95	450.680	0.00
A5	94.45660	4	4.543395	95	497.559	0.00
A6	95.84370	4	3.15248	95	720.200	0.00
A7	95.76517	4	3.57628	95	876.100	0.00
A8	95.756123	4	4.12399	95	880.197	0.00

მოცემულ შემთხვევაში ნებისმიერი მახასიათებლისათვის $p < 0,05$, ეს კი იმას ნიშნავს, რომ განხილულთაგან არცერთი მახასიათებლის გამორიცხვა არ მოხდება. ყველა პარამეტრის მიხედვით ჯგუფებს შორის დისპერსია მეტია 71, ხოლო შიდა ჯგუფებს შორის კი 28-ზე ნაკლებია. უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდებიან კლასტერები F4, F1, A5 და A8, რადგანაც ისინი შეესაბამებიან ჯგუფთაშორისი და ჯგუფებს შიგნით დისპერსიის ყველაზე დიდ სხვაობას. მაჩვენებლები R1 და R2. F და P პარამეტრები ასევე ასახავენ მახასიათებელთა წვლილს ობიექტების ჯგუფებად დაყოფაში. საუკეთესო კლასტერიზაციას შეესაბამებიან F პარამეტრის მაღალი და P პარამეტრის დაბალი მაჩვენებლები. ცხრილიდან ჩანს, რომ საუკეთესო მაჩვენებლები შეესაბამება სხვაობას (F-P)

სურათი 3



იმისათვის, რომ გავიგოთ თითოეულის რისკების დონე საჭიროა ჩავატაროთ კლასტერების წრფივი გრაფიკის ანალიზი (სქემა 3.). გრაფიკიდან ნათელია, რომ მე-5 და პირველი კლასტერები ყველა მახასიათებლების (ცვლადების) ზემოქმედებიდან გამომდინარე განეკუთვნებიან რისკების მაღალ დონეს, მეორე კლასტერი დაბალი რისკების დონეს განეკუთვნება. მესამე კლასტერი განეკუთვნება საშუალო რისკების კატეგორიას, ხოლო კლასტერები - 4; 6 და 7 მიეკუთვნებიან კლასს- “კრედიტები” და ყველაზე საიმედოდ მიიჩნევიან.

დასკვნა

ამდენად, როგორც კვლევიდან გამოვლინდა, კლასტერების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მასში შემავალი ჯგუფების დაშორებასა და ცვლადების ზემოქმედებაზე. ცვლადებთან მიმართებაით კი კლასტერები ერთნაირად მგრძობიარე არ არიან. ისინი განსხვავდებიან რისკების მიხედვით. ეს უკანასკნელი კი იმაზე მეტყველებს, რომ კლასტერის ჯგუფებად დაყოფა ხარისხიანი შედეგის მომცემი იქნება. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფებს შორის გადანაწილებული იქნება როგორც რისკები, მაქსიმალურად მოხდება თითოეულის პრიორიტეტის გამოვლინება და გამოყენება, რაც საჭიროა კლასტერში პროცესების უწყვეტობისათვის. საბოლოოდ კი ყოველივე აღნიშნულით შესაძლებელი იქნება რეგიონის ექსპორტული პოტენციალის მიზანმიმართული გამოყენება და რეგიონის/ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარება.

კლასტერული მოდელის გამოყენება პანდემიის პირობებში (და არა მარტო) ეროვნული ეკონომიკური პოტენციალის სწრაფი განვითარებისა და სრულად გამოყენების ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი იქნება როგორც რეგიონების, ასევე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ჩაგელიშვილი. 2011 “კლასტერები ტურიზმის ინდუსტრიაში“-ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი; ბათუმი. გვ. 269
2. ლ. ჩაგელიშვილი, 2011. ინოვაციური ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში; გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული; თბ.გვ. 130
3. ლალი ჩაგელიშვილი, 2012. ტურიზმის ბიზნესის ინფრასტრუქტურის განვითარების თანამედროვე ტენდენციები თსუ; გვ.425
4. Буреев Н.Н. 2007. Многомерный статистический анализ с использованием ППП “STATISTICA”; Нижний Новгород. с.8-48
5. Близоруков М. Г. 2008. Статистические методы анализа рынка: Учебно-метод. пособие / Близоруков М. Г. – Екатеринбург: Ин-т управления и предпринимательства Урал. гос. ун-та., – 75 с. – Режим доступа:
6. http://elar.usu.ru/bitstream/1234.56789/1671/6/1334937_schoolbook.pdf
7. Мгеладзе А., Гоциридзе Г. (2009) Кластер-анализ в исследовании организационных систем. Тбилиси, 2009.
8. Суслов, С. А. 2011. Кластерный анализ: сущность, преимущества и недостатки
9. / С. А. Суслов. // Вестник НГИЭИ. – №1. – С. 51-56.

10. Фрумина И.Л. и Цветкова Е.В. 2007. Исследование некоторых проблем аграрной экономики методом кластерного анализа // Известия Челябинского научного центра УРО РАН. № 4. С. 93-97
11. Amorim R., Mirkin B. (2011) Minkowski metric, feature weighting and anomalous cluster initializing in K-Means clustering (Submitted, in the process of revision).
12. Biernacki C., Celeux G., Govaert G. (2000) Assessing a mixture model for clustering with the integrated completed likelihood // IEEE Transactions on Pattern Analysis and Machine Intelligence, 22(7): 719–725
13. Coppi R., D'Urso P., Giordani P. (2010) A fuzzy clustering model for multivariate spatial time series // Journal of Classification, 27 (1): 54–88
14. Depril D., Van Mechelen I., Mirkin B. (2008) Algorithms for additive clustering of rectangular data tables // Computational Statistics and Data Analysis, 52: 4923–4938
15. Everitt B.S., Landau S., Leese M. et al. (2011) Cluster Analysis. 5th ed. Wiley, 2011
16. Mirkin B. (2011) Core Concepts in Data Analysis: Correlation, Summarization, Visualization, London, Springer.
17. Mirkin B. (2011a) Choosing the number of clusters, WIRE Data Mining and Knowledge Discovery, to appear.
18. Fern, X.Z., Brodley, C.E. Clustering ensembles for high dimensional data clustering // In Proc. International Conference on Machine Learning, 2003. P.186-193.
19. Fred, A., Jain, A.K. Combining multiple clusterings using evidence accumulation // IEEE Tran. on Pattern Analysis and Machine Intelligence, 2005. V. 27. P. 835-850.

*Lali Chagelishvili-Agladze
Imedo Jashi*

PANDEMIC AND CONCEPTUAL ISSUES OF ECONOMIC DEVELOPMENT OF THE REGION

Summary

The pandemic puts on the agenda the most harmonized use of the resource potential and priorities of countries and regions and the deepening of export-oriented economic policies.

Under the conditions of the pandemic, the tourism sector suffered the most. International tourism flows have stopped, which has completely changed the further activities and strategic visions of the tourist regions and structures. Today, the strategic vision of this field is the development of domestic tourism, which requires the formation of the right strategy and its effective implementation.

In the paper as the object of the study is selected Kakheti region and the use of tourism potential in it. The aim of the study was to substantiate the efficiency of cluster parameters, for which the K-means method of cluster analysis was used.

The effective functioning of clusters depends on the distance of the groups within it and the impact of the variables. Clusters are not equally sensitive to variables. They vary according to the risks. The latter suggests that dividing the cluster into groups will reflect on quality results. Due to its nature, it will be distributed among the groups as risks, the identification and use of each will appear as much as possible, which is necessary for the continuity of processes in the cluster.

Keywords: *pandemic; Clustering; k-mean method; Development of the region.*

**მონეტარულ-ფისკალური პოლიტიკის „მიქსი“ და
მოსალოდნელი სუვერენული დეფოლტების რისკი**

ანოტაცია. სტატიაში გაანალიზებულია ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ მიმართული მონეტარულ-ფისკალური პოლიტიკა. აღნიშნულია, რომ ამერიკული ეკონომიკის გადარჩენის პროცესში აქტიურად ჩაერთო აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელმაც სრული სიმძლავრით გამოქმედა დოლარის საბეჭდი მანქანა. „საბეჭდი მანქანის“ პროდუქცია, უპირველეს ყოვლისა, საფონდო ბაზრებზე აქციებისა და კორპორაციული ობლიგაციების საყიდლად მიედინება. ადგილი აქვს წამყვანი ამერიკული IT-კორპორაციების კაპიტალიზაციის სწრაფ ზრდას, ფაქტობრივად კი - საბირჟო ფინანსური საპნის ბუმტების გაბერვას. აშკარად სახეზეა COVID-19-ის მიერ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებების პროვოცირება, რომელთაგან ერთ-ერთი ეხება ცენტრალური ბანკების როლის შემცირებას ფინანსთა სამინისტროების როლის ამღლების ფონზე. გაირკვა, რომ ცენტრალურ ბანკებს არ ძალუძთ უზრუნველყონ სრული მოცულობით იმ ეკონომიკური დისპროპორციების ლიკვიდაცია, რომლებიც გამოიკვეთა თანამედროვე კრიზისის პერიოდში. მსოფლიო ეკონომიკამ ვერა და ვერ შეძლო დეპრესიის მდგომარეობიდან გამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ წამყვან ქვეყნების ცენტრალური ბანკები განუხრელად ამცირებდნენ საკვანძო განაკვეთებს, რათა ფული გაეხადათ სულ უფრო იაფი ან სულაც უფასო. ზოგიერთმა ცენტრალურმა ბანკმა საკვანძო განაკვეთი ნულამდე დაიყვანა, ევროპის ცენტრალური ბანკი მას რამდენიმე წელია ნულის დონეზე ინარჩუნებს, იაპონიის ბანკის მიერ დაწესებული საბაზისო განაკვეთი კი მინუს 0,4%-ია. ფული საბანკო კრედიტების სახით მართლაც უპრეცედენტოდ იაფი გახდა - თითქმის უფასო, მაგრამ ეკონომიკის ნამდვილ გამოცოხლებას ადგილი არ ჰქონია.

ამჟამად ჩვენ ვაკვირდებით კეინზიანელობის რეინკარნაციას, ოღონდ გაცილებით უფრო მახინჯი ვარიანტით. ვშიშობთ, ფინანსთა სამინისტროები გააგრძელებენ „პაციენტის“ მკურნალობას იმავე ფულადი ნარკოტიკებით, მხოლოდ სხვა შეფუთვითა და სხვა სახელწოდებით. როგორც ჩანს, კეინზიანიზმის მახინჯი რეინკარნაცია „პაციენტს“ ალბათ უკვე ვეღარ უშველის. საქმე ისაა, რომ აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების სუვერენული ვალის არსებულმა სიდიდემ ასტრონომიულ მასშტაბებს მიაღწია, რაც დღითი დღე ზრდის სუვერენული ვალების დეფოლტის რისკს.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი, ცენტრალური ბანკები, რაოდენობრივი შერბილება, მონეტარულ-ფისკალური პოლიტიკის „მიქსი“, სუვერენული ვალი, დეფოლტის რისკი.

ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მიმდინარე წლისათვის მსოფლიო GDP-ის 4,9%-იანი ვარდნაა მოსალოდნელი. ალბათ, პლანეტაზე ვერ ვიპოვით ვერცერთ

სახელმწიფოს, სადაც მიმდინარე წლის მეორე კვარტალში რომ არ დაფიქსირებულიყო ეკონომიკის სერიოზული ვარდნა. რა თქმა უნდა, ცალკეული ქვეყნების მიხედვით რეცესია ძალზე განსხვავებულია, მაგრამ აშშ-სა და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ის უფრო ღრმად, ვიდრე საშუალოდ მთელ მსოფლიოში.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით ეკონომიკური ანალიზის ბიუროსა და აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, აშშ-ის GDP მეორე კვარტალში 9,5%-ით შემცირდა წინა კვარტალთან შედარებით. ეკონომიკური ანალიზის ბიუროს მეთოდით ნაგულისხმევია GDP-ის კვარტალური ცვლილება წლიურ საფუძველზე: GDP-ის კვარტალური ცვლილების ექსტრაპოლაცია ხორციელდება ოთხი კვარტალზე, რის გამოც მიიღება სხვა მნიშვნელობა. მაგალითად, აშშ-ის წლიურ საფუძველზე გაანგარიშებული GDP-ის ვარდნა მეორე კვარტალში შეადგენდა 32,9%-ს, რაც აშშ-ის GDP-ის რეკორდული ვარდნაა ერთი კვარტალში 1947 წლიდან მოყოლებული, როდესაც აშშ-ის მთავრობამ დაიწყო GDP-ის კვარტალური სტატისტიკის წარმოება. უწინდელი რეკორდული ვარდნა დაფიქსირდა 1958 წელს, როცა GDP 10%-ით შემცირდა წლიურ ტემპზე გადაანგარიშებით: მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ვარდნამ 1958 წლის ვარდნას სამჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა [9].

ეკონომიკური ანალიზის ბიუროს შეფასებით, ერთ წელზე გადაანგარიშებით GDP-ის ვარდნამ პირველ კვარტალში 5%, ხოლო მესამე კვარტალში 18%-იანი ვარდნა შეადგინა. არავის ეეჭვება ის, რომ 2020 წლის სრული შედეგებით ამერიკული ეკონომიკის ვარდნა შესადარი იქნება 1929-33 წლების ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მძიმე წლებთან [1].

თუმცა, მიმდინარე კრიზისის პირველ დიდ დეპრესიასთან შედარებისას იკვეთება შემდეგი საინტერესო მომენტები: თუ 90 წლის წინანდელი კრიზისის დროს ეკონომიკის ვარდნა დაიწყო 1929 წლის ოქტომბრის საბირჟო კრახით, ამერიკული ეკონომიკის ახლანდელი ჩამოშლა მრავალი ამერიკული კორპორაციის საბირჟო კეთილდღეობის ფონზე მიმდინარეობს. შეიძლება ისიც ითქვას, რომ აშშ-ის საფონდო ბირჟაზე მთელი 2020 წლის მანძილზე შეიმჩნეოდა ნამდვილი ბუმი. კორპორაციები გარკვეულ პრობლემებს განიცდიდნენ მხოლოდ მარტში, როცა არსებობდა გაურკვეველობა COVID-19-თან დაკავშირებულ საფრთხეებთან და იმ პოლიტიკასთან მიმართებაში, რომელთა გატარებასაც აპირებდა ხელისუფლება ეკონომიკის სფეროში. საფონდო მოედნებზე წარმოიშვა დაბნეულობა, საბირჟო კოტირებებმა დაიწყო ვარდნა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც აშშ-ის ხელისუფლებამ გაასაჯაროვა ამერიკული ეკონომიკის მძლავრი მონეტარული მხარდაჭერის გეგმები, საბირჟო მოედნებზე სიტუაცია ჯერ დასტაბილურდა, ხოლო შემდეგ დაიწყო ნამდვილი ბუმი. 2020 წლის მარტის ბოლოდან აგვისტოს ბოლომდე S&P500 ინდექსი 55%-ით, ხოლო NASDAQ-ის (მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციების) ინდექსი – 70%-ით გაიზარდა. წლის დასაწყისისათვის NASDAQ-მა 43-ჯერ განაახლა ისტორიული მაქსიმუმი, ხოლო S&P500-მა - 22-ჯერ, რაც ნამდვილად უნიკალური სიტუაციაა.

საფონდო მოედნებზე ამჟამინდელ მკვეთრ ზრდას ზოგიერთი ექსპერტები ადარებენ 1990-იანი წლების მეორე ნახევარში არსებული დოტკომების „ბუშტებს“. ეს იყო IT-კომპანიების აქციები, რომლებიც მიმოიქცეოდა NASDAQ-ის ბირჟაზე. ამ კომპანიების კოზირის მახასიათებელი იყო სტარტაპები, რომლებიც იძლეოდნენ ციფრული ტექნოლოგიების სფეროში დიდ შესაძლებლობებს. მაშინ, სსრკ-ის დაშლის

პირველ წლებში, IT-კომპანიების თავბრუდამხვევი განვითარება ხდებოდა აშშ-ის ეკონომიკური განვითარების საერთო დადებითი დინამიკის ფონზე.

მიმდინარე პარადოქსის მიზეზი საკმაოდ მარტივია: ამერიკული ეკონომიკის გადარჩენის პროცესში აქტიურად ჩაერთო აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელმაც სრული სიმძლავრით ამოქმედა დოლარის საბეჭდი მანქანა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან აგვისტომდე ფულადი მასა 3 ტრილიონ დოლარზე მეტი ოდენობით გაიზარდა, რაც დაახლოებით დიდი ბრიტანეთის წლიურ GDP-ის უტოლდება. „საბეჭდი მანქანის“ პროდუქცია, უპირველეს ყოვლისა, საფონდო ბაზრებზე აქციებისა და კორპორაციული ობლიგაციების საყიდლად მიედინება. ადგილი აქვს წამყვანი ამერიკული IT-კორპორაციების კაპიტალიზაციის სწრაფ ზრდას, ფაქტობრივად კი - საბირჟო ფინანსური საპნის ბუმტების გაბერვას. ამას ხელს უწყობს მასმედიაც, რომლებიც იმყოფებიან იმავე IT-კორპორაციების კონტროლქვეშ და რომლებიც საკუთარ თავს თავად კვებავენ ფულის საბეჭდი მანქანის პროდუქციის საჭირო მიმართულებით წარმართვით. ფინანსური საპნის ბუმტების გაბერვით ისინი ძლიერ გავლენას ახდენენ საზოგადოების ცნობიერებაზე, არწმუნებენ რა მოსახლეობას იმ საოცრებებში, რასაც მათ სილიკონი ველის კორპორაციები ჰპირდებიან.

როგორც ცნობილია, სილიკონის ველის ბირთვის წარმოადგენენ Facebook, Apple, Netflix, Google, Microsoft, Amazon, Nvidia. ამ „დიდებული შვიდეულის“ ერთობლივი კაპიტალიზაცია ოთხი თვის განმავლობაში - 2020 წლის აპრილიდან ივლისის ჩათვლით - ორჯერ გაიზარდა და 8,4 ტრილიონ დოლარს შეადგენს. ეს აშშ-ის 2019 წლის GDP-ის დაახლოებით 40%-ია და გერმანიისა და იაპონიის ჯამური წლიური GDP-ის თითქმის 100%. სწორედ გასული ზაფხულის ბოლოსათვის ზოგიერთი IT-კორპორაციის კაპიტალიზაციის მაჩვენებელმა 1 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. Bloomberg-ის გაანგარიშებით, ამერიკულმა ტექნოლოგიურმა კომპანიებმა S&P500-ის ინდექსის მიხედვით მიაღწია 12 ტრილიონ დოლარზე მეტ მთლიან კაპიტალიზაციას. ეს აშშ-ის გასული წლის GDP-ის 56%-ია [9]. თუ კაპიტალიზაციის ამ მოცულობას შევუფარდებთ მიმდინარე 2020 წლის მოსალოდნელ GDP-ის, მივიღებთ თითქმის 2/3-ს. Bloomberg-ი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამერიკული IT-კორპორაციების ჯამურმა კაპიტალიზაციამ, რომელიც შედის S&P500-ის სიაში, გადააჭარბა საფონდო ბაზრის უმსხვილესი ევროპელი მონაწილეების ღირებულებას, რომლებიც შედის Stoxx600-ის ფართო ინდექსში.

გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია Tesla-ს აქციების ფასის 675%-იანი ზრდა წლის დასაწყისიდან აგვისტოს ჩათვლით. ასეთ შთამბეჭდავ ზრდას ადგილი ჰქონდა იაფი და კომფორტული ელექტრომობილებით კაცობრიობის გაბედნიერების პირობით. კომპანია Tesla საბოლოოდ გახდა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული საავტომობილო კომპანია, თუმცა თითქმის არავის უნახავს ქუჩებში მორბენალი Tesla-ს ელექტრომობილები. კომპანიის მფლობელის - ილონ მასკის კეთილდღეობამ ამ ზაფხულისათვის 100 მლრდ დოლარს გადააჭარბა, მან პლანეტის ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა. და კიდევ, კომპანია Zoom Video, რომელიც მრავალთათვის ცნობილი გახდა კორონავირუსის პანდემიის დროს. მისი აქციები პანდემიის დროს ხუთჯერ გაძვირდა, დღეისათვის მისი კაპიტალიზაცია უფრო მეტია, ვიდრე რუსული „გაზპრომისა“. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბოლოსათვის კორპორაცია Microsoft-ის კაპიტალიზაცია უტოლდებოდა 1,2 ტრლნ დოლარს, მეორე კვარტალის ბოლოსათვის ის 1,551 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა.

Microsoft-ის ესოდენ მკვეთრ გამვირებაში დიდი წვლილი შეიტანა პირადად ბილ გეიტსმა, რომელიც დაულალავად ეწეოდა Microsoft-ის ციფრული მომსახურების პროპაგანდას, რომლის გარეშეც კაცობრიობა თითქოსდა ვერ შეძლებდა არსებობას „პანდემიის“ პირობებში.

კომპანია Apple-ის კაპიტალიზაცია II კვარტალში 1,113-დან 1,551 ტრლნ დოლარამდე გაიზარდა, კომპანია Amazon-ის კაპიტალიზაცია - 970,6-დან 1432,6 მლრდ დოლარამდე, Alphabet Inc. (Google)-ის - 799,2-დან 979,7 მლრდ დოლარამდე, Facebook-ის - 475,0-დან 676,6 მლრდ დოლარამდე [9]. როგორც Bank of America-ს ანალიტიკოსებმა გამოთვალეს, მარტიდან ზაფხულის ბოლოსათვის წამყვანი 100 კომპანიის კაპიტალიზაცია, რომელთა აქციების კოტირება ხდება NASDAQ-ის ბირჟაზე, განსაცვიფრებელი, უპრეცედენტო არანორმალური ტემპებით გაიზარდა - საშუალოდ 1,6 მლრდ დოლარით საათობრივად! სექტემბრის დასაწყისისათვის ხუთ უმსხვილეს IT-კომპანიაზე აშშ-ში მოდიოდა აქციების ბაზრის კაპიტალიზაციის 22%, რაც 1990-იანი წლების დოტკომპანიების ფინანსურ საპნის ბუშტზე მაღალია (18%) [2].

კონსულტანტები და ფინანსური ანალიტიკოსები იძლევიან რეკომენდაციებს გაიზარდოს ამერიკული IT-კომპანიების აქციების წილი ინვესტორების ფორტფელში. ინვესტორები და მათი მომსახურე ანალიტიკოსები ვერ ხედავდნენ აშკარა ფაქტს: ამერიკული IT-გიგანტების აქციების ბაზარი გადახურებულია, არსებობს იმავე კრახის განმეორების რისკი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დოტკომების შემთხვევაში ოცი წლის წინათ. დოტკომების ფინანსური საპნის ბუშტი გასკდა 2000 წლის 10 მარტს, როცა მოხდა კომპანიების NASDAQ-ის ინდექსის ჩამოშლა. მოკლე დროში ბირჟაზე მაშინ დაახლოებით 5 ტრლნ დოლარის კაპიტალიზაცია აორთქლდა. და აი, 2020 წლის 3 სექტემბერს მოხდა ის, რისი დაჯერებაც ამერიკული IT-კორპორაციების აქციების მფლობელებს არ სურდათ: დაიწყო ამ აქციებზე ფასების სწრაფი ვარდნა. აშშ-ის აქციების ბაზარმა ამ დროს ზაფხულიდან მოყოლებული მასშტაბური ვარდნა განიცადა. ამის შესახებ იუწყებოდა Bloomberg-ის სააგენტო [3].

ვარდნა ასევე დაფიქსირდა სხვა საბირჟო მაჩვენებლებითაც: Dow Jones-ის ინდექსი დაეცა 2,78%-ით, S&P500 – 3,51%-ით, NASDAQ-ი - 4,96%-ით. ამის მიზეზი გახდა IT-კორპორაციების აქციებზე ფასების ვარდნა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში აჩვენებდა დამაჯერებელ ზრდას. ვარდნის მხრივ ლიდერები გახდნენ Apple-ის, Tesla-ს და Amazon-ის ფასიანი ქაღალდები. ხუთთვიანი მუდმივი ზრდის შემდეგ მათ დაკარგეს საერთო ჯამში დაგროვებული მარაგის არანაკლებ 4,6%. სხვა კომპანიებს შორის, რომელთა ფასიანი ქაღალდები გაუფასურდა, იყო Microsoft, Google и Facebook. ამერიკულ მასმედიაში გაჩნდა მრავალი კომენტარი ამ კრახის თაობაზე. ამ კომენტართაგან უმრავლესობა დამამშვიდებელი ხასიათისაა: თითქოს, არაფერი საშიში არ ხდება, ეს მხოლოდ ბაზრის „ჩვეულებრივი კორექციაა“ და არა კრახი.

გვახსენდება 1929 წლის ოქტომბრის დრამატული მოვლენები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე („შავი ხუთშაბათი“, „შავი სამშაბათი“ და სხვა „შავი დღეები“). მაშინაც პოლიტიკოსები, ფინანსისტები და ინვესტორები საზოგადოებას ამშვიდებდნენ: თითქოსდა ადგილი ჰქონოდა ნაწილობრივ „საბაზრო კორექციას“, რასაც ახალ წლამდე ამტკიცებდნენ. თუმცა, ვიცით, რომ ბაზრის აღდგენა არ მომხდარა, ამერიკა შევიდა გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის ფაზაში. აქვე საყურადღებოა ის ფაქტო, რომ საფონდო ბაზრის მაშინდელი გადახურება ვერც კი შეედრება ამჟამინდელი გადახურების მასშტაბებს. როგორც ჩანს, 2020 წლის ბოლო თვეების ან მომდევნო 2021

წლის დასაწყისის მოვლენები აშშ-ის ეკონომიკაში წავა 1929 წლის სცენარით. აშშ-ის ეკონომიკის ვარდნა წლის შედეგებით პროგნოზირებულზე ბევრად ღრმა შეიძლება აღმოჩნდეს.

მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს საინფორმაციო სააგენტო ბლუმბერგმა გამოაქვეყნა ალაა შაჰინის (Alaa Shahine) სტატია Next Big Shift in Economics Takes Shape Under Covid Shadow (ეკონომიკაში ახალი ძლიერი ძვრები აღინიშნება Covid-ის პირობებში) [4].

მოცემულ სტატიაში გამოთქმულია აზრი, რომლის მიხედვითაც COVID-19-მა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებების პროვოცირება მოახდინა, რომელთაგან ერთ-ერთი ეხება ცენტრალური ბანკების როლის შემცირებას ფინანსთა სამინისტროების როლის ამაღლების ფონზე. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ალაა შაჰინის სტატიის დეტალური ანალიზი, თუმცა ამჟამად არსებული ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისის უკეთ გაგების მიზნით მოგვიწევს თვალი გადავავლოთ ცენტრალური ბანკების საქმიანობებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში. მოგვიწევს ასევე გავხსენოთ XX საუკუნის 70-იანი და 30-იანი წლების მოვლენები.

1930-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო (საბჭოთა კავშირის გამოკლებით) სულ უფრო ღრმად ჩაეშვა ეკონომიკური კრიზისის უფსკრულში. მზარდი კრიზისის დასაძლევად მიმართული ცენტრალური ბანკების (ფედერალური სარეზერვო სისტემის, ინგლისის ბანკის, საფრანგეთის ბანკის, ბუნდესბანკის და სხვ.) ცდები არაფერს იძლეოდა. სწორედ ამ პერიოდში ინგლისელმა ეკონომისტმა, ბრიტანეთის ხაზინის მაღალი რანგის ჩინოვნიკმა, ჯონ მეინარდ კეინზმა ჩამოაყალიბა ეკონომიკური კრიზისის ახალი თეორია, რომელიც „თავისუფალი ბაზრის“ იდეებზე აღზრდილი ეკონომისტების, მეწარმეებისა და ჩინოვნიკებისათვის ძალიან უჩვეულო იყო.

კეინზის რეკომენდაციით ეკონომიკაში სახელმწიფომ გადამწყვეტი და აქტიური როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფო ბიუჯეტის აქტიური გამოყენებით. მისი აზრით, ეკონომიკური კრიზისი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან არასაკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის შედეგია, რის გამოც ირღვევა ბალანსი მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, წარმოიქმნება ჭარბწარმოება, ადგილი აქვს ბანკროტობას, იზრდება უმუშევრობა და ა.შ.. წარმოებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისბალანსი კეინზის აზრით შეიძლება აღმოიფხვრას, თუ მოქალაქეებისა და კერძო ბიზნესის მხრიდან მოთხოვნის ვარდნის კომპენსაცია სახელმწიფო მოთხოვნის გაჯერებით მოხდება. სახელმწიფომ უნდა გაზარდოს საქონლის შესყიდვები, დამატებით უნდა აანაზღაუროს სხვადასხვა სამუშაო და მომსახურება. მთავარია, ეკონომიკაში შევიდეს საბიუჯეტო ფული. სახელმწიფო მოთხოვნის გაფართოვების მიზნით იდეალურად შესაფერისია სამხედრო სექტორი - სახელმწიფო შეკვეთები იარაღისა და სამხედრო მოწყობილობების წარმოებისა და შესყიდვის, ასევე სტრატეგიული რეზერვების ფორმირებისათვის. სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე დააფინანსოს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი სამუშაოები - გზების მშენებლობა, საირიგაციო ღონისძიებები, ტყის ნარგავების განაშენიანება და ა.შ.

რატომ არ უნდა გაფართოვდეს ეკონომიკაში ფულის ემისია ცენტრალური ბანკების მიერ? კეინზმა ეჭვი გამოთქვა ამგვარი პოლიტიკის მიზანშეწონილობის მიმართ. პირველი, მსოფლიო ჯერ კიდევ ცხოვრობდა ოქროს სტანდარტზე წარმოდგენებით, რომელიც ითვალისწინებდა მკაცრ შეზღუდვებს ფულადი ემისიის

მოცულობაზე. მეორე, ცენტრალური ბანკების მიერ ფულის მიწოდების თუნდაც არსებითი ზრდის შემთხვევაშიც კი არ არსებობდა მათი ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები. მაღალი ალბათობით, ამგვარი ფული წავიდოდა ეკონომიკური კრიზისის შედეგად სულ უფრო გაიფხვებული აქტივების შესაძენად, მაგრამ ეს ეკონომიკის გამოცოხლებას ვერ გამოიწვევდა.

ეკონომიკური კრიზისების დასაძლევად სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის როლის ამღლებს აუცილებლობაზე საკუთარი აზრები კეინზმა განაზოგადა თავის წიგნში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936 წ.). მისმა თეორიამ ყველაზე თანმიმდევრული გამოყენება ჰპოვა არა მის სამშობლოში - ინგლისში, არამედ აშშ-ში. როდესაც 1933 წელს თეთრ სახლში მოვიდა პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, მან დაიწყო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელმაც მიიღო „New Deal“ (ახალი კურსის) სახელწოდება. ამოქმედდა საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამა, რამაც ქვეყანას საშუალება მისცა უმუშევართა რაოდენობა რამდენიმე მილიონით შეემცირებინა. გარდა ამისა, აშშ-ის მთავრობა ნელ-ნელა შეუდგა სამხედრო ხარჯების გაფართოებას. სხვათა შორის, იმავე დროს სამხედრო ხარჯები გააფართოვეს ევროპულმა სახელმწიფოებმაც, განსაკუთრებით გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა.

ერთი შეხედვით, კეინზის რეცეპტები წინააღმდეგობრივია. აკი სახელმწიფო დანახარჯების ზრდა მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდას. ეკონომიკური კრიზისების პირობებში კი ადგილი აქვს საგადასახადო შემოსავლების ძლიერ შემცირებას, რაც წარმოშობს ბიუჯეტის დეფიციტს. კეინზის რეკომენდაციით ბიუჯეტის ამგვარი დეფიციტები არ იყო საშიში და ის უნდა დაფარულიყო სახელმწიფო სესხების გამოყენებით. სახელმწიფო ვალის ზრდა, კეინზის აზრით, ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ეკონომიკური კრიზისი. ბოლოს და ბოლოს, ეკონომიკის გამოცოცხლების შემდეგ შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ვალის თანდათანობითი დაფარვა. კეინზიანური მოდელი არ გამორიცხავდა ინფლაციის შესაძლებლობას, მაგრამ ინგლისელ ეკონომისტს არც ეს მიაჩნდა საშიშ მოვლენად. მცირედი ინფლაცია, მისის აზრით, ეკონომიკას ასტიმულირებს კიდევ.

რა როლს აკუთვნებდა კეინზი ცენტრალურ ბანკს თავის მოდელში? ცენტრალურ ბანკს პირდაპირ ან არაპირდაპირ (კომერციული ბანკების მეშვეობით) შეუძლია დაეხმაროს სახელმწიფოს მისი სავალო ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე განთავსების საქმეში. ამ დროს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები გამოიყენება, როგორც ცენტრალური ბანკიდან კომერციული ბანკების მიერ ახალი კრედიტების მიღების უზრუნველყოფის საშუალება. მაგრამ, ცენტრალური ბანკების მიერ კრედიტების გაცემის შესაძლებლობები განისაზღვრებოდა არა მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ სესხების უზრუნველყოფადობით, არამედ უფრო მეტად ცენტრალური ბანკების მიერ ოქროს მარაგების ფლობით. კეინზის აზრით „ოქრო ბარბაროსობის გადმონაშთია“, ამიტომ ოქროს სტანდარტის საბოლოოდ გაუქმებას ის დადებითად აფასებდა. საბოლოოდ აღვნიშნავთ, რომ კეინზის მოდელში წამყვანი როლი აკისრიათ ფინანსთა სამინისტროებს (ხაზინებს), ცენტრალური ბანკები კი ამ უკანასკნელთა მიმართ არაფორმალურ დაქვემდებარებაში იმყოფება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის კეინზიანური მოდელის გამოყენება დასავლეთში საყოველთაო გახდა, თუმცა რამდენადმე შეკვეცილი ფორმით (იმ მიზეზით, რომ ადგილი ჰქონდა ოქროს სტანდარტის ნაწილობრივ აღდგენას). და მაინც, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე კაპიტალიზმის სამყაროში დომინირებდა

კეინზიანური მოდელი, რომელიც ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ითვალისწინებდა.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში ცენტრალური ბანკების სტატუსში სერიოზული ცვლილებები მოხდა. 1976 წელს იამაიკის სავალუტო-ფინანსურ კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოქრო-დოლარის სტანდარტის ლიკვიდაციის თაობაზე. ცენტრალური ბანკების საბეჭდო მანქანებს მოეხსნათ „ოქროს მუხრუჭი“. მათ იგრძნეს, რომ მზად არიან შეასრულონ მთავარი ინსტიტუტის როლი, რომელიც მართავს ეკონომიკას. ახალ მოდელზე გადასვლა დაიწყო 70-80-იანი წლების მიჯნაზე ტექტირიზმით ინგლისში და რეიგანომიკით აშშ-ში. ცენტრალური ბანკების (და საერთოდ, ბანკების) გადამწყვეტი როლების თეორიულ დასაბუთებად ეკონომიკურ პოლიტიკაში იქცა ამერიკელი ეკონომისტის მილტონ ფრიდმანის მონეტარიზმის იდეოლოგია.

დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა 1980-იანი წლების დასაწყისიდან თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე ყოველმხრივ აიმაღლეს თავიანთი მნიშვნელობა, მათ შორის, სულ უფრო საეჭვო შეხედულების გავრცელებით: *„რაც უფრო მეტადაა ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან, მით უფრო ეფექტიანია მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მით უფრო უკეთესია მთლიანად საზოგადოებისათვის“*. ცენტრალურ ბანკებს შორის განსაკუთრებულ ადგილს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იკავებს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რადგანაც დოლარმა მსოფლიო ვალუტის სტატუსი მოიპოვა. ფედ-ი - ესაა კერძო კორპორაცია, ხოლო მისი მთავარი აქციონერები ყოველგვარი ექვგარეშე შეიძლება ჩავთვალოთ ფულის ბატონ-პატრონებად.

ახალმა ეკონომიკურმა მოდელმა სერიოზული მარცხი განიცადა მაშინ, როცა მსოფლიოში იფეთქა 2007-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა. გაირკვა, რომ ცენტრალურ ბანკებს არ ძალუძთ უზრუნველყონ სრული მოცულობით იმ ეკონომიკური დისპროპორციების ლიკვიდაცია, რომლებიც გამოიკვეთა კრიზისის პერიოდში. მსოფლიო ეკონომიკამ ვერა და ვერ შეძლო დეპრესიის (სტაგნაციის) მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელიც 2019 წლის ბოლომდე გაგრძელდა. რა ღონისძიებებს მიმართავდნენ ცენტრალური ბანკები ბოლო ათწლეულის განმავლობაში?

პირველი, ისინი განუხრელად ამცირებდნენ საკვანძო განაკვეთებს, რათა ფული გაეხადათ სულ უფრო იაფი ან სულაც უფასო. ზოგიერთმა ცენტრალურმა ბანკმა საკვანძო განაკვეთი ნულამდე დაიყვანა, ევროპის ცენტრალური ბანკი მას რამდენიმე წელია ნულის დონეზე ინარჩუნებს, იაპონიის ბანკის მიერ დაწესებული საბაზისო განაკვეთი კი მინუს 0,4%-ია. ფული საბანკო კრედიტების სახით მართლაც უპრეცედენტოდ იაფი გახდა - თითქმის უფასო, მაგრამ ეკონომიკის ნამდვილ გამოცოხლებას ადგილი არ ჰქონია.

მეორე, ცენტრალურმა ბანკებმა სრული სიმძლავრით აამოქმედეს თავიანთი საბეჭდო მანქანები, რითაც ფულადი მიმოქცევა ასტრონომიული ფულადი მასით აავსეს. XX საუკუნეში თვით ყველაზე ლიბერალური ეკონომისტებიც კი ამგვარ პოლიტიკას სრულ სიგიჟეს უწოდებდნენ, მაგრამ ახლა ის სალდება, როგორც „რაოდენობრივი შერბილება“, როგორც მონეტარიზმის უკანასკნელი მიღწევა. მაგრამ კვლავაც არავითარი გამაჯანსაღებელი ეფექტი ამ პოლიტიკას ეკონომიკაზე არ მოუხდენია!

2019 წლის ბოლოსათვის დეპრესია გრძელდებოდა. მოსალოდნელი გამოცოცხლება არ დამდგარა. გასაკვირი არცაა: 2009 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ეკონომიკურ ორგანიზმში ფულადი ნარკოტიკის ცხენის დოზა იქნა გაკეთებული. 2019 წლის ბოლოსათვის „პაციენტმა“ კომაში ჩავარდნა დაიწყო. „ექიმებმა“ (ცენტრალურმა ბანკებმა), „პაციენტის“ მკვლელობაში ეჭვების გაფანტვის მიზნით მოახდინეს სპექტაკლის ორგანიზება სახელწოდებით „COVID-19“. თითქოს ყველაფერში დამნაშავე იყოს ვირუსი. არავითარი „წამალი“, გარდა ფულადი ნარკოტიკებისა, „ექიმებს“ არ გააჩნიათ. თუმცა ეს „წამალი“ იძლევა გამოხატულ ლეტალურ ეფექტს. „ექიმების“ (ცენტრალური ბანკების) ბრიგადამ გადაწყვიტა „პაციენტი“ გადასცეს სხვა „ექიმებს“ (ფინანსთა სამინისტროებს). ეს ორი ბრიგადა აგრძელებს მუშაობას ტანდემში, მაგრამ „პაციენტის“ სიცოცხლეზე მთელი პასუხისმგებლობა უკვე დაეკისრათ ფინანსთა სამინისტროებს. ცენტრალური ბანკები მოცემული მომენტისათვის გვერდზე გადგნენ.

ამჟამად ჩვენ ვაკვირდებით კეინზიანელობის რეინკარნაციას (ოღონდ გაცილებით უფრო მახინჯი ვარიანტით). ვშიშობთ, ფინანსთა სამინისტროები გააგრძელებენ „პაციენტის“ მკურნალობას იმავე ფულადი ნარკოტიკებით, მხოლოდ სხვა შეფუთვითა და სხვა სახელწოდებით. სააგენტო ბლუმბერგის ზემონახსენებ სტატიაში მოყვანილია აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის ჯო ბაიდენის შეხედულება, რომელიც მან გამოთქვა Politico-სთან ინტერვიუში: „მილტონ ფრიდმანი უკვე აღარ მეთაურობს პარადს“. ბაიდენი პირობას იძლევა, რომ პაციენტს ფეხზე დააყენებს. მაგრამ როგორ? ალბათ იმავე საშუალებით, რასაც ტრამპი მიმართავს. მილიარდობით და ტრილიონობით საბიუჯეტო ფულის დახმარებით. სტატიაში ვკითხულობთ: „დემოკრატების კანდიდატმა ჯო ბაიდენმა, რომელიც ლიდერობს საზოგადოებრივ აზრის გამოკითხვის მიხედვით რეიტინგს, პროგრამის ხარჯები ზოგადად 3,5 ტრილიონი დოლარით შეაფასა“. საიდან მოიტანს ბაიდენი ამ თანხას? იქიდან, საიდანაც მოაქვს ტრამპს და მის ფინანსთა მინისტრს სტივენ მნუჩინს - ფედერალური სარეზერვო სისტემის საბეჭდი მანქანიდან. ნათქვამია, ორჯერ ერთსა და იმავე დინებაში შესვლა შეუძლებელია. ამ შემთხვევასთან მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ კეინზიანელობის მახინჯი რეინკარნაცია „პაციენტს“ ალბათ უკვე ვეღარ უშველის. საქმე ისაა, რომ აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების სუვერენული ვალის არსებულმა სიდიდემ ასტრონომიულ მასშტაბებს მიაღწია [8].

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2020 წელს მოსალოდნელია მსოფლიო GDP-ის 5.2%-ით შემცირება. განვითარებულ ქვეყნებში მოსალოდნელია ეკონომიკის ვარდნა 7,0%-ით, ხოლო განვითარებადში - 2,5%-ით. მსოფლიო ეკონომიკაში ეს ყველაზე ღრმა რეცესიაა 1929-33 წლების კრიზისის შემდეგ და მას ეკონომიკური, ფინანსური, საბანკო, სავალუტო და სავალო კრიზისის ნიშნებიც ახასიათებს [5].

ნოემბერში საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტმა (The Institute of International Finance – IIF) ვაშინგტონში გამოაქვეყნა მსოფლიო ვალის მიმოხილვა. აღმოჩნდა, რომ სექტემბრის ბოლოსათვის მსოფლიო ვალმა 272 ტრლნ დოლარს მიაღწია, საიდანაც მხოლოდ აშშ-ზე მოდის 80 ტრლნ დოლარი (ბოლო ერთ წელიწადში ზრდამ 9 ტრლნ დოლარი შეადგინა), ევროზონის წევრ ქვეყნებზე - 53 ტრლნ დოლარი (წლიური ზრდა 1,5 ტრლნ დოლარია). აშშ-ისა და ევროზონის საერთო ვალი 133 ტრლნ დოლარს, ანუ მსოფლიო ვალის თითქმის ნახევარს შეადგენს [6].

IIF-ის შეფასებით, 2020 წლის შედეგებით მსოფლიო ვალი გაიზარდა ეკონომიკის ყველა სექტორის მიხედვით და ის 277 ტრლნ დოლარს მიაღწევს, რაც ეკვივალენტურად

მსოფლიო GDP-ის 365%-ს მიაღწევს. აბსოლუტური სიდიდით მსოფლიო ვალის ნაზრდი 2020 წლისათვის ფასდება 24 ტრლნ დოლარის ოდენობით. განვითარებული ქვეყნების ჯგუფის მიხედვით ვალის აბსოლუტური მაჩვენებელი არსებითად გადააჭარბებს მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს - ის მიაღწევს GDP-ის 430%-ს (ერთი წლით ადრე ის 383%-ის ტოლი იყო). განვითარებადი ქვეყნების ჯგუფის მიხედვით ეს მაჩვენებელი სავარაუდოდ GDP-ის 250%-მდე გაიზრდება (წინა წელს ის 223%-ს შეადგენდა).

ყველაზე სწრაფ ზრდას განიცდის სახელმწიფო ვალი (ეკონომიკის კერძო სექტორისა და შინამეურნეობის სექტორის ვალებთან შედარებით). სახელმწიფოს ტვირთად დააწვა ყბადაღებული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა (მოსახლეობისადმი ტრანსფერტები, კომპანიების ბანკროტობის თავიდან აცილების მიზნით მათი სუბსიდირება, სამედიცინო პროგრამების დაფინანსება და სხვ.). საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, **2020 წლის შედეგებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთობლივი სახელმწიფო ვალი პირველად გადააჭარბებს მსოფლიო GDP-ის სიდიდეს: ის მიაღწევს მსოფლიო GDP-ის 101,5%-ს (2018 წელს ეს მაჩვენებელი 80%-ის ტოლი იყო).**

სახელმწიფო ვალის შეფარდებითი მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნების მიხედვით გაცილებით მაღალია განვითარებადი ქვეყნების ჯგუფთან შედარებით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სახელმწიფო ვალის შეფარდებითი მაჩვენებლები ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში (%-ად GDP-ის მიმართ)

ქვეყანა	2019 წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის	2020 წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის
აშშ	108,68	131,18
იაპონია	237,96	266,18
დიდი ბრიტანეთი	85,35	108,03
გერმანია	59,53	73,28
საფრანგეთი	98,12	118,74
იტალია	134,80	161,85
ესპანეთი	95,47	123,04
პორტუგალია	117,74	137,24
ბელგია	98,75	117,70
კანადა	88,62	114,65

წყარო: <https://www.imf.org/en/Publications/WEO/weo-database/2020/October>

მრავალ ქვეყანაში, რომლებიც განეკუთვნებიან მდიდარი ქვეყნების ჯგუფს, 2020 წელს ვალის შეფარდებითმა მაჩვენებელმა 100%-ს გადააჭარბა. გამონაკლისია გერმანია სახელმწიფო ვალის 73%-იანი შეფარდებითი სიდიდით, მაგრამ მან გადალახა წითელი ხაზი - ე.წ. მასტრისის შეთანხმების კრიტერიუმი, რომლის ნორმატივით ევროკავშირის წევრ-ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს სუვერენული (სახელმწიფო) ვალი GDP-ის არაუმეტეს 60%-ისა. დღეს ევროკავშირში (სადაც 27 წევრი ქვეყანაა) ქვეყნების რაოდენობა, რომელთა ვალის შეფარდებითი სიდიდე GDP-სთან მიმართებაში 60%-ზე ნაკლებია, ათეულს არ აღემატება (ძირითადად, ეს წვრილი სახელმწიფოებია - ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ ევროპაში ყველა საბერძნეთისკენ იშვერდა თითოს, რომელსაც სახელმწიფო ვალის ყველაზე მაღალი შეფარდებითი მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ, დღეისათვის უკვე ამ მაჩვენებელს მიუახლოვდა იტალია, ესპანეთი და პორტუგალია. საბერძნეთი არ გაჩერებულა ერთ ადგილას. ერთი წლის განმავლობაში მისი შეფარდებითი სახელმწიფო ვალი GDP-ის მიმართ 180,92%-დან 205,25%-მდე გაიზარდა. საბერძნეთმა ევროპაში პირველმა გადალახა 200%-იანი თამასა და, როგორც ჩანს, მომავალში ის უფრო მეტი იქნება.

ამ თვალსაზრისით რეკორდსმენია აშშ. პირველი, 2020 წლის განმავლობაში აშშ-ს გააჩნდა სახელმწიფო ვალის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდის ტემპები. მეორე, აშშ რეკორდსმენად რჩება აგრეთვე ვალის აბსოლუტური სიდიდითაც. **სულ ბოლო ინფორმაციით, აშშ-ის ვალის მრიცხველი აჩვენებს 27,5 ტრლნ დოლარს. ეს კი მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთობლივი სახელმწიფო ვალის თითქმის 40 პროცენტია.** მესამე, ამერიკამ საკუთარივე რეკორდი დაამხო. აშშ-ის სახელმწიფო ვალის ყველაზე მაღალი შეფარდებითი სიდიდე დაფიქსირდა 1946 წელს, როცა მან GDP-ის 126%-ს მიაღწია, თუმცა 2020 წლის შემოდგომისათვის ამ მაჩვენებელმა 131%-ს გადააჭარბა.

განვითარებული ქვეყნების მიერ ვალების სწრაფი დაგროვება განპირობებულია მრავალი ფაქტორით. სახელმწიფოები უზარმაზარი საბიუჯეტო ინექციების დახმარებით ცდილობენ ეკონომიკის გამოცოცხლებას, რომელმაც 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ ვერა და ვერ მოახერხა მთლიანად აღდგენა. სახელმწიფოები აფართოვებენ საბიუჯეტო ხარჯებს არა იმდენად გადასახადების, არამედ სესხების მეშვეობით. ცენტრალურმა ბანკებმა 2010 წელს დაიწყეს საკვანძო განაკვეთების მკვეთრად შემცირება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ვალებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას. სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე დანახარჯები შემცირდა (ან, სულ მცირე, არ გაზრდილა), რამაც სტიმული მისცა სუვერენული ვალის ზრდას. სახელმწიფო ვალის შეფარდებითი სიდიდე ნაწილობრივ გაიზარდა 2020 წელს იმ მიზეზითაც, რომ ადგილი ჰქონდა GDP-ის შემცირებას.

ექსპერტების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ განვითარებული ქვეყნები გააგრძელებენ სახელმწიფო სავალო პირამიდის ზრდას თავიანთი ცენტრალური ბანკების ფულის საბეჭდი მანქანებისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დახმარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი შეძლებენ დეფოლტისგან თავის დაღწევას, თუ ამის ქვეშ ვიგულისხმებთ სახელმწიფოების მიერ სუვერენული ვალის მიხედვით ვალდებულებების შესრულების შეწყვეტას (პროცენტების გადახდას და ვალის ძირითადი თანხის დაფარვას). მაგრამ, მსოფლიო კაპიტალიზმის პერიფერიის ქვეყნებისათვის ძალიან შემამფოთებელი პროგნოზი კეთდება.

ფერიფერიას თავისი ანომალია გააჩნია. მაგალითად, განსაკუთრებით გამოიყოფა სუდანი - რომელიც რეკორდსმენია სახელმწიფო ვალის შეფარდებითი სიდიდით პერიფერიულ ჯგეფში. 2019 წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის მაჩვენებელმა GDP-ის 201,58% შეადგინა; ერთი წლის შემდეგ ის 259,30%-მდე გაიზარდა. სუდანს ამ მხრივ „კონკურენციას“ უწევს ვენესუელა. მას გასული წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის გააჩნდა 239,79%-იანი მაჩვენებელი; მისი ვალის შესახებ მონაცემები საერთაშორისო სავალუტო ფონდს არ გააჩნია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ვალი გაზრდილია. შეიძლება ასევე მთელი რიგი ქვეყნების დასახელება, სადაც სახელმწიფო ვალის შეფარდებითი სიდიდეები მაღალია (2020 წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის, %-ად

GDP-ის მიმართ): ერთრია - 185,79; სურინამი - 145,27; ბელიზი - 134,61; ბახრეინი - 128,28; ზამბია - 119,27; მალდივის კუნძულები - 118,32 კონგოს რესპუბლიკა - 104,52 [7].

პერიფერიის ქვეყნების უმრავლესობისათვის სუვერენული ვალის შეფარდებითი მაჩვენებელი განსახილველი პერიოდისათვის (2019 წლის 1 ოქტომბრიდან - 2020 წლის 30 სექტემბრამდე) შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ რჩება GDP-ის 100%-ის თამასის ქვემოთ. მაგრამ, მათ შორის მრავალს ასევე ემუქრება სუვერენული დეფოლტი: პირველი, მათ არ გააჩნიათ ფულის საბეჭდი მანქანა, რომლებიც გამოუშვებდა შეუზღუდავი რაოდენობით „ჯადოსნურ ქაღალდებს“ (ვალუტებს, რომელთა ეწოდებათ „კონვერტირებადი“, „სარეზერვო“, „მსოფლიო“). მეორე, არ არსებობს სახაზინო ქაღალდები, რომლებსაც ექნებოდათ მსოფლიო სარეიტინგო სააგენტოების „დიდი სამეულისაგან“ მაღალი ხარისხის ნიშნები.

ზოგიერთმა მათგანმა უკვე განიცადა სუვერენული დეფოლტი 2020 წელს, ესენია: არგენტინა, ლიბანი, ეკვადორი, ბელიზი, სურინამი. ამ ქვეყნებში დეფოლტი გამოცხადდა კომპანიებისათვის lockdown-ისა და/ან მოსახლეობისათვის კარანტინის შემოღების დასაწყისში. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები კრედიტორებთან ან ვალების ჩამოწერაზე, ან სესხებზე ვალდებულებების შესრულებაზე დროებით მორატორიუმის გამოცხადებაზე, ან, ყველაზე მეტად, ვალების რესტრუქტურირებაზე.

ყველაზე მსხვილი იყო არგენტინის ვალის რესტრუქტურირაცია, რომელიც უკვე შეეჩვია სუვერენული დეფოლტების გამოცხადებას და ვალების რესტრუქტურირაციას. 2020 წლის დეფოლტი არგენტინისათვის მეცხრე დეფოლტი გახდა ისტორიაში! სექტემბერში არგენტინის მთავრობამ შეძლო კრედიტორებთან მოლაპარაკება მორიგ რესტრუქტურირებაზე, რომელიც შეეხო 65 მლრდ დოლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს. ასევე მოხერხდა სავალო ფასიან ქაღალდებზე საშუალო განაკვეთის 7%-დან 3%-მდე შემცირება. მთლიანობაში, უახლოეს ათწლეულში გადახდები 37 მლრდ დოლარით შემცირდა საპროცენტო განაკვეთების შემცირებითა და გადახდების უფრო შორეულ მომავალში გადატანით.

მალიან მძიმე მდგომარეობაშია ლიბანი. მან ნაწილობრივ მიაღწია სახელმწიფო ვალის რესტრუქტურირაციას დეფოლტის გამოცხადების შემდეგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2019 წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის, ლიბანის ვალის შეფარდებითი სიდიდე GDP-ის 174,48%-ის ტოლი იყო, ერთი წლის შემდეგ ის 171,67%-მდე შემცირდა. თუმცა, სავალო ტვირთი მაღალ დონეზე რჩება და შესაძლოა, მომდევნო წელს ლიბანი კვლავ იძულებული გახდეს გამოაცხადოს სუვერენული დეფოლტი [10].

მიმდინარე წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია დეფოლტების ახალი ტალღა. 16 ნოემბერს გადახდისუუნარობა გამოაცხადა ზამბიამ. მისი მაგალითი გვიჩვენებს, რომ რესტრუქტურირებაზე ნებისმიერი მოლაპარაკებები იწვევს კრედიტორებს შორის მწვავე კონფლიქტებს. ზამბია მრავალი მევალის წინაშეა ვალში, რომლებიც კრედიტებისა და სესხების დახმარებით იბრძვიან ამ ქვეყანაში გავლენის მოსაპოვებლად. ზამბიის ძირითადი კრედიტორებია აშშ, ევროპის წამყვანი ქვეყნები და ჩინეთი. ზამბიის ხელისუფლება გრძნობს ამ წინააღმდეგობას და ცდილობს მათზე ითამაშოს, რათა მიაღწიოს მაქსიმალურ დათმობებს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 2020 წლის ბოლოსა და 2021 წლის დასაწყისისათვის სუვერენული დეფოლტები შეიძლება გამოაცხადონ ანგოლამ, კამერუნმა, კენიამ და პაკისტანმა. არ არის გამორიცხული, რომ დეფოლტი გამოაცხადოს უკრაინამაც, თუ

უახლოეს პერიოდში ის ვერ შეძლებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებას მორიგი კრედიტების მიღებაზე. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მომდევნო წელს ახალ წრეზე წავა არგენტინა, რომელიც კიდევ ერთხელ განაცხადებს სუვერენულ დეფოლტის შესახებ და დაიწყებს ახალ მოლაპარაკებებს კრედიტორებთან.

გავიხსენოთ, რომ 2020 წლის აპრილში G20 ქვეყნების ფინანსთა მინისტრები შეთანხმდნენ ვირუსულ-ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით დროებით მორატორიუმზე საერთაშორისო ვალის გადახდაზე მსოფლიოს ყველაზე ღარიბი 73 ქვეყნის მხრიდან, მაგრამ შეთანხმება მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ წლის ბოლომდე. თუ ის არ გახანგრძლივდა, 2021 წელს სახელმწიფო დეფოლტების რაოდენობა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის პერიფერიებში გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე 2020 წელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, განსახილველი წლიური პერიოდისათვის ვალის შეფარდებითი სიდიდე გაიზარდა ასევე BRICS-ის ჯგუფის ყველა ქვეყანაში. 2020 წლის მე-3 კვარტალის ბოლოსათვის ის შეადგენდა (%-ად GDP-ის მიმართ): ჩინეთი - 61,70; ინდოეთი - 89,33; რუსეთის ფედერაცია - 18,94; სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა - 78,82; ბრაზილია - 101,40. ამ ქვეყნებიდან სუვერენული დეფოლტის ყველაზე მაღალი ალბათობით გამოირჩევა ბრაზილია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა [11].

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.bea.gov/news/2020/gross-domestic-product-2nd-quarter-2020-advance-estimate-and-annual-update>
2. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_public_corporations_by_market_capitalization#2020
3. https://www.bloomberg.com/news/articles/2020-09-03/bears-roar-back-sending-tech-shares-tumbling-by-most-since-june?utm_source=Evening+Bell
4. <https://www.bloomberg.com/news/articles/2020-10-11/the-next-big-shift-in-economics-takes-shape-under-covid-shadow>
5. <https://www.vsemirnyjbank.org/ru/publication/global-economic-prospects>
6. <https://www.reuters.com/article/us-global-debt-idUSKBN27Y239>
7. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/weo-database/2020/October>
8. Chikobava M.. Why is debt permanently increasing? Ecoforum, "Stefan cel Mare" University of Suceava, Romania, Volume 8, Issue 2(19).
<http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/985/591>
9. <https://www.fondsk.ru/news/2020/09/04/sobytaja-poslednih-mesjacev-2020-goda-v-ekonomike-ssha-pojdut-po-scenariju-1929-goda-51767.html>
10. <https://www.fondsk.ru/news/2020/11/02/centralnye-banki-i-covid-19-52172.html>
11. <https://www.fondsk.ru/news/2020/11/29/po-miru-pokatilas-volna-gosudarstvennyh-defoltov-52358.html>

Malkhaz Chikobava

MONETARY-FISCAL POLICY MIX AND EXPECTED SOVEREIGN DEFAULT RISK Summary

The article analyzes the monetary policy against the background of the viral-economic crisis. It is noted that the US Federal Reserve System is actively involved in the process of rescuing the American economy, which has launched the "printing press" of the dollar at full capacity. Additional issued dollars are mainly used to buy corporate stocks and bonds on the stock markets.

There is a rapid growth in capitalization of the leading American IT corporations, and in fact - inflation of financial bubbles. COVID-19 is clearly provoking serious changes in the economies of all countries of the world, one of which is the decrease in the role of central banks in the context of the increasing role of finance ministries. It turned out that central banks are unable to completely eliminate the economic imbalances that have arisen during the current crisis. The global economy has not yet managed to overcome the crisis, despite the fact that the central banks of the leading countries have been steadily cutting key rates to make money as cheaply as possible. Several central banks have cut their key interest rate to zero, the European Central Bank has kept it at zero for several years, and the key interest rate set by the Bank of Japan is minus 0.4%. Money in the form of bank loans became really unprecedentedly cheap - almost free, but there was no real economic recovery.

In this regard, now we are witnessing the reincarnation of Keynesianism, but in a much uglier version. We fear that the Ministry of Finance will continue to treat the "patient" with the same monetary drugs, only in a different package and under different names. It seems that the ugly reincarnation of Keynesianism probably can no longer help the "patient." The fact is that the current size of the sovereign debt of the United States and other developed countries has reached astronomical proportions, which every day increases the risk of default of sovereign debts. And this clearly threatens the world with a much deeper crisis.

Keywords: COVID-19, viral-economic crisis, central banks, quantitative easing, monetary policy budget structure, sovereign debt, risk of default.

მარინე ცუცქირიძე

ინვესტიციების გამოყენება მსხვილი ბიზნესის განვითარების პროცესში

ანოტაცია. ევროინტეგრაციის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში მსხვილი ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორების და ფინანსური სახსრების გამოყენების პირობების დადგენა. ამ მიმართულებით ნაშრომში განხილულია შიგა ინვესტიციების მსხვილ ბიზნესში გამოყენების და ამით ინოვაციებისა და ტექნიკის სიახლეთა ათვისების პროცესის დაფინანსების საკითხები. მსხვილი ბიზნესის ინოვაციურობის ანალიზის მიზნით მოცემულია შიგა ინვესტიციების მოზიდვის არსებული გარემოს გაუმჯობესების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობანი თანამედროვე ევროსაბჭოს ურთიერთობისა და ბიზნესის შიგა სისტემური ურთიერთდაკავშირების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, შიგა სისტემური, ინოვაცია, ინვესტიცია, ევროინტეგრაცია.

შესავალი

ევროინტეგრაციის პოლიტიკის გატარების ერთ-ერთ წინაპირობას საქართველოში წარმოადგენს მსხვილი ბიზნესის განვითარება და მისი მფარველობითი და ფინანსური, ასევე დასაქმების სისტემის გაუმჯობესება, რაც თანამედროვე საბაზრო ურთიერთკავშირების გარდაქმნისთვის აუცილებელი და ინოვაციური ბიზნესის წარმოქმნის ძირითადი პირობაცაა. ინოვაციური ბიზნესის რაციონალურად ფუნქციონირებისათვის ძირითადად შიგა სისტემური საბაზრო ფინანსური ურთიერთკავშირების გაფართოება წარმოადგენს. იგი ხორციელდება ბიზნესის საწარმოო ობიექტებში მოზიდვისა და

მომსახურების პროცესებში მათი გამოყენების გზით, რაც საფუძვლად უდევს ამ პროცესების ინოვაციურობის ამაღლებას.

მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესის განხორციელება საქართველოში დამოკიდებულია ბიზნესის საქმიანობის გაფართოებისათვის სახელმწიფოს პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც შიგა ინვესტიციების გამოყენებას ითვალისწინებს. ინვესტიციების მოზიდვის პროცესი საქართველოს ბიზნესის სისტემიდან შეიძლება განხორციელდეს და გამოყენებული იქნას სამრეწველო საწარმოებში ან მომსახურების სისტემებში, მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით და ევრო საბაზრო ურთიერთობების დამყარებისათვის აუცილებელ წინამძღვარს წარმოადგენს.

მსხვილი ბიზნესის განვითარების პროცესებში ძირითადს წარმოადგენს საწარმოო და ფინანსური, ასევე შრომითი რესურსების ორგანიზებულობა, რასაც წარმოების ძირითადი ფაქტორებისა და მმართველობითი კაპიტალის დანახარჯებს შორის რაციონალური ურთიერთთანაფარდობა უდევს საფუძვლად. საერთაშორისო და ევროსაბაზრო ინტეგრაცია ბიზნესის საქმიანობას წარმართავს ინოვაციური საწარმოო და მომსახურების სისტემების ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის უახლესი შედეგების გამოყენებისათვის, ამ მიზნით მსხვილი ბიზნესის ფუნქციონირება დამყარებულია ინვესტიციების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც შიგა ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმის მოქმედების გაუმჯობესებას უკავშირდება საქართველოში.

ბიზნესის განვითარების პროცესში, კერძოდ მსხვილ საწარმოებში ძირითადად გამოიყენება ინოვაციები რომელთა წარმოქმნა უკავშირდება ევრომეწარმეობის ინტეგრაციულ გარდაქმნებს და შიგა ფინანსური ურთიერთკავშირების წარმოშობას საწარმოთა შორის საბაზრო ურთიერთობების დამყარების პერიოდებში. მათ მიეკუთვნება მმართველობითი ინოვაციები, რომლებიც მოიცავს მმართველობით სიახლეებს ბიზნესის წარმოებაში, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის უახლეს მეთოდებს, ფინანსური ალიანსების დამყარებას ბიზნესის სისტემებს შორის და მეცნიერულ ტექნიკური ინოვაციების გავრცელებას ბიზნესის ორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილ საწარმოო სისტემებში, კომუნიკაციური და ინფორმაციული მართვის სისტემებში და სხვა. ამავე დროს მსხვილი ბიზნესის ფუნქციონირებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნებისათვის ინვესტიციების გამოყენება წარმოადგენს მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას და საფუძველს ქმნის მსხვილ წარმოებასა და მომსახურების პროცესებში ინოვაციების გამოყენებისათვის.

ევროსაბაზრო და საერთაშორისო გარდაქმნების გზით ჩამოყალიბებული საერთო საბაზრო და შიგასაბაზრო სტრატეგიის განხორციელებას საფუძვლად უდევს მმართველობითი და ფინანსური ალიანსების დამყარება და ამ გზით მსხვილი ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობის შექმნა. იგი ძირითადად დაკავშირებულია:

1) თანამედროვე ორგანიზაციული ფორმების გამოყენებით ერთობლივი წარმოების წარმოქმნასთან;

2) სტრატეგიული ალიანსების შექმნასთან, რომელიც განაპირობებს დანახარჯების განაწილებას ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების დარგებში;

3) ტექნოლოგიური ალიანსების ფუნქციონირების ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისების პროცესში;

4) ინოვაციური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე ინვესტიციების მოზიდვასთან და ამისთვის საჭირო ურთიერთკავშირების ფორმირებასთან მსხვილ საწარმოებსა და ინვესტორ ორგანიზაციას შორის.

აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს როგორც ტექნოლოგიური, ასევე ფინანსური ურთიერთობების დამყარება ბიზნესის სისტემის შიგა საწარმოო და საბაზრო ელემენტებს შორის, რომელთა წარმართვის მიზნით ხორციელდება ეკონომიკური ალიანსების ფორმირება.

მსხვილი ბიზნესის ობიექტებში, კერძოდ მსხვილ კომპანიებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება ინოვაციური სტრატეგიის საბაზრო ელემენტები. მათი საშუალებით საწარმოებს მიეწოდება რაციონალური მმართველობის მეთოდები, ინოვაციური ტექნიკა და ტექნოლოგიები, ახალი სახეობის პროდუქტების წარმოების ათვისებისათვის და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის მიზნით გამოიყენება შიგა ინვესტიციების მოზიდვის მექანიზმი ამ გზით ინოვაციური მსხვილი ბიზნესის ფორმირებისათვის აუცილებელია:

1) საწარმოო რესურსების გამოყენების რაციონალური ორგანიზაცია;

2) საწარმოო და ფინანსური რესურსების, ასევე ინვესტიციების მოხმარებისთვის საჭირო მსხვილი წარმოების ჩამოყალიბება სხვადასხვა ფორმების გაერთიანებული მმართველობითი სისტემის საშუალებით;

3) სამრეწველო ფორმების და მეწარმეობის სექტორების ფუნქციონირების მიზნით ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის გაფართოება;

4) სახელმწიფოს ინოვაციური სისტემის შესაბამისი თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური საშუალებების გამოყენება, ინვესტიციებისა და საწარმოო რესურსების მოხმარების საბაზრო პროცესების წარმოქმნა;

5) მსხვილი ბიზნესის ობიექტების - კომპანიების და მეწარმეობის სექტორების საქმიანობის რაციონალურად წარმართვის შესაძლებლობა, ასევე სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელებისათვის გარე საბაზრო პროცესებში მონაწილეობა;

6) მეწარმეობის მსხვილი ობიექტების ჩამოყალიბების შედეგად ჯანმრთელობისათვის საჭირო ახალი პროდუქციის წარმოების ათვისება, ნატურალური რესურსების საშუალებით მათი წარმოების განვითარება.

ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების პროცესთან და პერსპექტივასთან ურთიერთკავშირში ძირითადად წარმოადგენს მსხვილი საწარმოს ტექნოლოგიური სტრატეგიის განხორციელება, რომელიც ინოვაციური ბიზნესის ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ამრიგად ინვესტიციები მსხვილი ბიზნესის ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების მიზნით ძირითადად დაკავშირებულია:

1) სტრატეგიული და ტექნოლოგიური ალიანსების გზით მსხვილი ფორმების ინოვაციური ტექნიკითა და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფასთან;

2) მრავალრიცხოვანი და რთულად მართვადი საბაზრო რისკების დროს მსხვილ საწარმოთათვის პარტნიორული ურთიერთდახმარების გაწევის აუცილებლობასთან;

3) საბაზრო კონკურენციის გაძლიერების დროს ინვესტიციების მოზიდვის გრძელვადიანი ინოვაციური სტრატეგიის განხორციელებასთან;

4) შიგაინვესტიციების გამოყენებასთან, რომელიც მსხვილ ფირმებს საშუალებას აძლევს შეამციროს დანახარჯები, რათა ინვესტიციების გამოყენებით დაძლეული იქნას კონკურენციის გამწვავება;

5) მსხვილი ფირმებისა და ინვესტორი საწარმოების ურთიერთხელსაყრელი ფინანსური ურთიერთკავშირის წარმართვის აუცილებლობასთან.

მსხვილი ბიზნესის ინოვაციური განვითარების აუცილებლობა განაპირობებს ინვესტიციების გამოყენებით წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური საფუძვლის გაუმჯობესებას, ასევე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რესურსების დანახარჯების ზრდისა და საბაზრო რისკების დაძლევას, რაც თანამედროვე ევრო საბაზრო ურთიერთობებისა და გლობალიზაციის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

დასკვნა

ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა შიგა ინვესტიციების გამოყენება მსხვილი ფირმების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და საერთაშორისო ინოვაციურ ტექნოლოგიურ ალიანსებში მათი მონაწილეობა აღნიშნული პროცესების რაციონალურად წარმართვის მიზნით.

მსხვილ საწარმოთა ინოვაციურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება მოითხოვს შიგა ინვესტიციების მოზიდვას და ინვესტორ-საწარმოებთან ფინანსური ურთიერთკავშირების მოწესრიგებას მისი რაციონალურად წარმართვის მიზნით; ინვესტიციების გამოყენების პროცესი მსხვილ საწარმოებში მიზანშეწონილია ბიზნესის საქმიანობის მოწესრიგებისა და მისი ფინანსური რესურსების განაწილების გაუმჯობესების მიზნით, იგი თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების გაფართოებისა და ინოვაციური ბიზნესის სისტემების ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მწვანე ეკონომიკის არსი და გამოწვევები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა 2019 .

2. ბერულავა გ. ცუცქირიძე მ. გოგოხია თ. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში, სამეცნიერო შრომების კრებული ტომი XI, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018 .

3. ცუცქირიძე მ. ბიზნესის ინოვაციური განვითარების პროცესში ინვესტიციების გამოყენება საქართველოსი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2020 .

Marine Tsutskiridze

THE USE OF INVESTMENTS IN THE PROCESS OF DEVELOPMENT OF LARGE BUSINESS Summary

In the article the use of investments in the development of large-sized business is considered.

**პანდემიით გამოწვეული საერთო ეკონომიკური პრობლემები და
მოსალოდნელი პერსპექტივა**

ანოტაცია. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც პანდემიის დროს ასევე მის შემდგომ პერიოდში უმრავლესი ქვეყნების საერთო ეკონომიკური პრობლემები, გამოწვევები და სირთულეები. აქცენტი ძირითადად გადატანილია კორონავირუსის (COVID 19) პანდემიაზე. წარმოჩენილია ის უარყოფით ასპექტები, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის საერთოა. მოკლედ განხილულია საკითხები აღნიშნული პანდემიის დროს: 1) სახელმწიფოს როლი და დანიშნულება; 2) შემობრუნება ნაციონალიზმის თუ ნაციონალური სახელმწიფოს იდეისკენ; 3) გლობალიზაცია თუ ანტიგლობალიზაცია; 4) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები; 5) ნდობა სწავლულ-ექსპერტთა, პროფესიონალოთა მიმართ.

დასკვნით ნაწილში გადმოცემულია კორონა ვირუსის ფონზე თუ როგორი იქნება შემდგომი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები და აგრეთვე ზოგიერთი განხორციელებული(ან განსახორციელებელი) ღონისძიების პერსპექტივა:

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პრობლემები, პანდემია, ეკონომიკური გამოწვევები, გლობალური პრობლემები, კორონა ვირუსი, ეკონომიკური კრიზისი, შემდგომი პერსპექტივა.

შესავალი

კორონავირუსის პანდემია მსოფლიოს ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკისთვისაც მოულოდნელ გამოწვევად მოგვევლინა, მისი მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. საქართველო, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად პროგნოზირება თითქმის შეუძლებელი გახდა.

დღეისათვის კაცობრიობა უდიდესი გამოწვევის წინაშე დგას. გამოწვევები ყოველთვის ახალი დღის წესრიგისა და გადაჭრის მექანიზმების შემუშავებას მოითხოვს. ამ დროს სახელმწიფოები და საზოგადოება გარკვეულ პროგრამებს აყალიბებს. დიდი და ძლიერი (ეკონომიკურად დაპოლიტიკურად) სახელმწიფოები თავის თავზე იღებენ არა მხოლოდ პრობლემების გადაჭრის გეგმების შემუშავების, არამედ ქმედითი ღონისძიებების განხორციელების მეთაურობას. ამ დროს, პატარა სახელმწიფოები თითქოს, ძლიერთა გადაწყვეტილებას უნდა ემორჩილებოდნენ და ძლიერთაგან იმათ რჩევებს უნდა გაყვნენ, რომელთა „პარტნიორებად“ თავის თავს გადაწყვეტენ.

ამჟამად, საქმე სხვაგვარადაა. სრულიად თანამედროვე სამყაროს და არა რომელიმე რეჟიმს – იქნება ეს დემოკრატიული თუ ტოტალიტარული (ავტორიტარული) – საერთო პრობლემის გადაჭრა უწევს. ყველა თითქოს თავის თავში ჩაიკეტა და თავად ცდილობს „თავიანთი“ პრობლემის გადაწყვეტას. სამყაროში თითქოს მძლავრად მიმდინარეობს ერთაშორისი გაუცხოება. მხოლოდ პატარა, მსოფლიოსთვის „ნაკლებმნიშვნელოვან“ სახელმწიფოებს კიდევ შერჩათ თავიანთი პოლიტიკური პარტნიორების/რეგენტების იმედი, მაგრამ ეს იმედიც მიზეზურია. პრობლემის გადაწყვეტას ესაჭიროება

პერსპექტივის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხე მთელი სამყაროს მასშტაბისაა, ამ კრიზისის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ სამყარო ჯერჯერობით მაინც დაქსაქსულია. ამ საშიშროებას(კრიზისს) კორონავირუსის (COVID-19) სახელი აქვს.

დღეს, ჩვენ, კაცობრიობამ, არ ვიცით, როდის დასრულდება ეს კრიზისი. არც ის ვიცით, როგორ დასრულდება ის; გრძელვადიან პერსპექტივაში, არც ის ვიცით, რა და როგორი პოლიტიკური და სამრეწველო-ეკონომიკური შედეგებით დამთავრდება. რა და როგორი აქ მნიშვნელოვანია, რადგან, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს, აუცილებელია განისაზღვროს როგორი იქნება, რათა ამ როგორის შესაბამისი ქმედებით და გადაწყვეტილებით გრძელვადიანი ხედვით ამოვიდეთ მისგან.

ყველა კრიზისული პერიოდი გაურკვეველობითა და არამდგრადობით ხასიათდება. ამის წინააღმდეგობრიობა ასიათასობით ადამიანის ამ ვირუსით ინფიცირება, ამასთან მსოფლიო საზოგადოების გაურკვეველობა და არამყარ განცდა, რაც თავად ამ ვირუსზე მეტი უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება. ყველა კრიზისის დროს, და არა მხოლოდ კრიზისის გავლის შემდეგ, უნდა გამოითქვას მოსაზრება, რათა, ერთი მხრივ, გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან და შემდგომ ადეკვატურად გავაანალიზოთ იგი, სამომავლოდ უკეთ რომ გავითვალისწინოთ მისი გაკვეთილები. ეს, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება იმ უბრალო მიზეზით, რომ სახელმწიფო და საზოგადოება თვითკმაყოფილების სიტკბოებაში იძირება და ყოველ გადალახულ კრიზისს თავისი სიძლიერის დასამტკიცებლად და სხვებზე გავლენის განსამტკიცებლად იყენებს. ეხლა კი ეს მოცემულობა არაფრის მომცემია.

მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული დიდი პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ და გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას. შესაბამისად, დღეს მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სრულად გადატანილია ჯანდაცვისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, რაც, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. თუმცა პარალელურად ალბათ უკვე გასაანალიზებელია ამ პანდემიის ეკონომიკური შედეგები; გასათვლელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო ეკონომიკაზე.

მიმდინარე კრიზისი სხვებისგან განსხვავებულია, თუმცა მაინც გვაქვს შესაძლებლობა მისი წინასწარი ანალიზისათვის. ამ შემთხვევაში, შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი:

1) **სახელმწიფოს როლი და დანიშნულება.** სხვადასხვა წლების ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, სახელმწიფოსადმი მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვანაირი იყო. 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს, მრავალი სპეციალისტი თვლიდა, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების/მთავრობის მიმართ რწმენა გაიზრდებოდა, თუმცა, საბოლოოდ, ეს ასე არ მოხდა. სახელმწიფოსადმი რწმენის გაზრდის მოსაზრებებს ადასტურებდა 1929 წლის ეკონომიკური დიდი დეპრესიის ფაქტი, როცა სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსგან მოითხოვდა მტკიცე, გადამჭრელ ნაბიჯებს საბაზრო ეკონომიკის (სამომხმარებლო და საწარმოო ბაზრის) გადასარჩენად დიდი სამთავრობო-ეკონომიკური ინტერვენციების მეშვეობით.

პანდემიის დროს, საზოგადოება მოითხოვს და ელოდება სახელმწიფოსგან ტოტალურ ჩარევას ამ კრიზისის მართვაში და მთლიანად სთხოვენ მას არა მხოლოდ საყოველთაო დაცვას მოცემული ვითარებისგან, არამედ მთელი ეკონომიკის (როგორც ინდუსტრიის, ისე სოფლის მეურნეობის) გადარჩენას.

შეიძლება ითქვას, რომ 2008-2009 წლების პარადოქსი ის იყო, რომ საბაზრო ეკონომიკისადმი უნდობლობამ არ გამოიწვია სახელმწიფოთა უმრავლესობისგან ეკონომიკური ინტერვენციების შემდგომი წახალისება, რასაც თავისი ახსნა ჰქონდა, რადგან სახელმწიფოები თავისი აგებულებით, მოწყობით, კონსტიტუციით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება არა მხოლოდ დემოკრატიულ და ავტორიტარულ (ტოტარიტარულ) სახელმწიფოებს შორის შეინიშნება, არამედ თავად დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორისაც. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, თუ როგორია მათი დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკისადმი. ლიბერალურ-დემოკრატიული თუ ნეოლიბერალური სახელმწიფოებისათვის საბაზრო ეკონომიკა, ყოველგვარი რეგულაციებისა და შეზღუდვების გარეშე, თავისუფალი საზოგადოების არსებობის შეუვალი პოსტულატია. სინამდვილეში კი, გარკვეული სოციალური „შეზღუდვების“ გარეშე, საბაზრო ეკონომიკა შეიძლება შრომის ექსპლოატაციის საუკეთესო შესაძლებლობად იქცეს, რა შემთხვევაშიც განაწილებითი თანასწორობის პრინციპი სრულიად მორღვეულია და არ ხორციელდება ადამიანების მიერ ერთმანეთის თანასწორი აღიარება. ამის საპირისპიროდ, დემოკრატიული სახელმწიფო მაშინ არის მართლაც თავისუფლების გარანტი, როდესაც ის სამართლებრივი და სოციალურია, როდესაც ყველა მოქალაქისთვის სიკეთის გადანაწილების თანასწორი და სამართლიანი პრინციპებია განხორციელებული: მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ყველასთვის თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე და ჯანმრთელობის სამედიცინო დაზღვევაზე. ამიტომ, ამ კრიზისმა შეუზღუდავი აბსოლუტური, ტოტალური საბაზრო ეკონომიკის ჭეშმარიტებაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ეჭვები.

თავად ტოტალიტარული, ავტორიტარული სახელმწიფოებისთვის და მემარჯვენე პოპულისტური მთავრობისთვისაც, რომლებიც დემოკრატიულ სივრცეში არსებობენ ხოლმე, ეს გამოწვევა მათი ფუნდამენტის რღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს, იქიდან გამომდინარე, რომ რწმენა ავტორიტეტში, ტოტალურობაში ირღვევა, როდესაც მას მასებისთვის პრობლემების გადაჭრა აღარ ძალუძს. სწორედ ახლა, ამ კრიზისის დამღვევისას, ძალმომრეობითი მთავრობა ისეთივე უსუსური ჩანს, როგორც, დიდწილად, ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოებები.

აღნიშნული განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი გააზრების საგანი, რომ უახლოეს მომავალში, ამ კრიზისის განმავლობაში, ყველა მთავრობა და მმართველობა შეიძლება დადგეს საშინელი დილემის წინაშე: ან მოახდინონ ეპიდემიის შემლბობისდაგვარად სწრაფი და მაქსიმალური ლოკალიზაცია, რამაც შეიძლება ეკონომიკის ჩამოშლა გამოიწვიოს, ანდა გადახდით იქნეს დიდი ფასი და ადამიანთა სიცოცხლე შეეწიროს ეკონომიკის განვითარებას. თუმცა, ეპიდემიის შედეგებზე ჯერ ალბათ შეუძლებელია საუბარი.

ყოველ შემთხვევაში, რა და როგორი გადაწყვეტილებებიც არ უნდა მიიღონ, სახელმწიფოების მიერ ეს სრულ თანხმობაში უნდა მოდიოდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდის ინტერესთან და არ უნდა ჰქონდეს ადგილი ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების თვითნებურ გადაწყვეტილებებს, რაც ამ კრიზისულ სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს.

2) შემობრუნება ნაციონალიზმის თუ ნაციონალური სახელმწიფოს იდეისკენ.

იმ ტიპის ქვეყნებმაც კი, რომელთათვისაც ძირითად ღირებულებებსა და საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ინტერნაციონალიზმი და სახელმწიფოთაშორისი სოლიდარობა წარმოადგენდა, უკან გადადგეს ნაბიჯი ნაციონალური სახელმწიფოების სასარგებლოდ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ევროკავშირის შიგნით სახელმწიფოებმა ჩაკეტეს საზღვრები ეპიდემიისგან თავდაცვის მიზნით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამშრომლის დაძლევისა და ამ მძიმე მდგომარეობიდან შემდეგისდაგვარად ნაკლები დანაკარგით გამოსვლის პროცესში, მსოფლიომ და ევროკავშირმა აირჩია ნაციონალური სახელმწიფოების როლის გაძლიერება.

მართლაც, ამ ვითარებაში, დღევანდელი გადასახედიდან, ერთი შეხედვით თითქოს აშკარაა, რომ თითოეული სახელმწიფო მხოლოდ თავის მოქალაქეებზეა კონცენტრირებული და სოლიდარობის ერთაშორისი პრინციპი თუ მთლიანად არ დაიკარგა, უკანა პლანზე მაინც გადაიწია. თუმცა, ნაციონალური სახელმწიფოების როლის წინ წამოწევამ არ უნდა გამოიწვიოს მსოფლიოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და აკადემიური დეზინტეგრაცია, რასაც, თავის მხრივ, მომავალში კიდევ უფრო მეტი და მძიმე კრიზისების გამოწვევა შეუძლია, რამდენადაც ნაციონალური სახელმწიფოებიდან ნაციონალისტურამდე და შოვინისტურამდე მცირე ნაბიჯი რჩება, თუ ნაციონალურობის, ინტერნაციონალურობის და სოლიდარობის ბალანსი არ შენარჩუნდა.

საგულისხმოა, რომ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფმა ევროპულმა სახელმწიფოებმა დროულად შეამჩნიეს ზემოაღნიშნული რისკები და პანდემიით გამოწვეული პირველი შოკის შემდეგ, კვლავ აქტიურად ჩაირთო უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის ეფექტური მექანიზმები (მაგალითად, იტალიელი და ფრანგი/ელზასელი პაციენტების მკურნალობა გერმანიისა და შვეიცარიის კლინიკებში, ექიმებით, სამედიცინო ეკიპირებით მხარდაჭერა, ევროკავშირის მიერ დაანონსებული, პოსტ-კრიზისულ პერიოდში ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გამზადებული უზარმაზარი ფინანსური რესურსები და ა.შ.)

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპის (უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრი) რამდენიმე ქვეყნის ლიდერი, ფაქტობრივად, ცდილობს საკუთარი ავტორიტარული მიდრეკილების განმტკიცებას, ნაციონალური სახელმწიფოს იდეის გაძლიერების წინა პლანზე წამოწევით, რაც აუცილებლად მოითხოვს ყურადღებას და მასზე შესაბამის რეაქციას.

რადგან კორონა-კრიზისის ამჟამინდელი ეპიცენტრი ევროპაშია, მასზე რეაგირების დინამიკიდან შესაძლოა გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდიც, რომ აღნიშნული კრიზისი არათუ ბრიუსელიდან ცენტრიდანული პროცესების, არამედ ევროკავშირის კონკრეტული ერთიანი პოლიტიკების (მაგალითად, ფინანსურის, სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკურის) კიდევ უფრო მეტად გაძლიერების კატალიზატორიც კი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც ევროკავშირის ყველა ქვეყნის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს. ისტორიულად, სწორედ მსგავსი მასშტაბის დიდი კრიზისები იძლეოდნენ დიდი ნახტომების განხორციელების შესაძლებლობას.

3) გლობალიზაცია თუ ანტიგლობალიზაცია.

კორონავირუსის კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა გლობალიზაციის და ანტიგლობალიზაციის პრობლემა. ანტიგლობალისტებს შეიძლება დღეს, ერთი

შეხედვით, სიმართლევ თავის მხარეს ჰქონდეთ, როდესაც ერების გადარჩენის საშუალებად ამ პერიოდში დახურულ საზღვრებს, აეროპორტებს, საზღვაო პორტებს და სახმელეთო მიმოსვლის სხვადასხვა საშუალებებს წარმოადგენენ. მაგრამ, თუ ანტიგლობალისტების სიმართლე ამ ეტაპზე გატარებულ და გასატარებელ დროებითი ღონისძიებების სისწორეზეა დაფუძნებული, მათ მაინც არ გააჩნიათ პრობლემის გადაჭრის ძირეული, არსობრივი ხედვები (გზები). ეს ასე არ იქნება, თუ გლობალიზაციის პოზიტიური აღნიშვნა ერთაშორისი თანასწორობის, აღიარების და სიკეთეთა თანასწორი გადანაწილების იდეაზე დაფუძნდება [1, გვ.22].

საგულისხმოა ის, რომ მსოფლიო „გლობალიზაციის“ დაპირისპირებული ბანაკების მთავარი იდეოლოგიები თავად გამოეთიშნენ კორონა-კრიზისის დროს ამ პროცესს და თავის თავში ჩაიკეტნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ იდეოლოგიური დაპირისპირების მიუხედავად, თავიანთი ეკონომიკური მოგების მიზნით, ეს ბანაკები არა თუ თანამშრომლობენ, არამედ რეალურად აძლიერებენ კიდევ ერთმანეთს გავლენის სფეროების განმტკიცება-გაფართოებისთვის ბრძოლაში. გამოდის, რომ ეს პრობლემაც სრულიად ახლებურადაა გასააზრებელი (მითუმეტეს, პატარა სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ძირითადად, თავიანთი შეზღუდული ძალებით უწევთ ამ და სხვა კრიზისებთან ბრძოლა). რადგან ყველა ერთ სამყაროში, დედამიწაზე ვცხოვრობთ, ერთმანეთისგან განცალკევება, ერთმანეთისთვის საზღვრების გრძელვადიანი ჩაკეტვა, ვირუსის გავრცელებას ვეღარ გააჩერებს, რადგან ვირუსიც ერთიანი ეკოსისტემის ნაწილია.

4) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

მნიშვნელოვანია არა რომელი, არამედ როგორი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ გაუცხოებული ვირუსის მიმართ. დღევანდელი გადასახედიდან აშკარაა, რომ ეს ისეთი სახელმწიფოებია, რომელთა საფუძველიც სოციალური თანასწორობაა და რომელთაც ინდუსტრია და სოფლის მეურნეობა სათანადოდ აქვთ განვითარებული; – ისეთები, რომელთაც სოციალური დაცვის სისტემები მეტნაკლებად მაღალ დონეზე აქვთ წარმოდგენილი, რასაც, ასევე, ჯანმრთელობის დაზღვევის სამედიცინო სისტემა განეკუთვნება. ამიტომაც, ყურადსაღებია ყველა ქვეყანამ მომავლისთვის სწორად განსაზღვროს თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

5) ნდობა სწავლულ-ექსპერტთა, პროფესიონალებს მიმართ.

კორონავირუსმა კიდევ ერთი საკითხი დააყენა დღის წესრიგში: მეცნიერ-სწავლულებისადმი იმედი, რწმენა და მოთხოვნა გაიზარდა. არა მხოლოდ რომელიმე ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიო საზოგადოებაში. თუ წინა ეკონომიკური და ლტოლვილთა კრიზისების დროს მეცნიერ-ექსპერტთა მოსაზრებები მოსახლეობის დიდ ან გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა მემარჯვენე პოპულისტების პროპაგანდის საფუძველზე, ახლა მდგომარეობა სხვაგვარადაა, რადგანაც კაცობრიობა შველას სწორედ მეცნიერ-ექსპერტებისგან ელის. ეს კი უშუალო კავშირშია სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასთან, რაც, პირველ რიგში, აკადემიურ სივრცეში ხორციელდება.

აკადემიური სივრცე, ისე როგორც არასდროს, მოთხოვნადი გახდა. აქ საქმე არ ეხება მხოლოდ სამედიცინო სფეროს, არამედ ისეთ სფეროებსაც, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად გადამწყვეტ როლს თამაშობენ კრიზისის დაძლევაში. ესენია: აგრარული, საინჟინრო-ტექნოლოგიური, ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგრამ, ამავე დროს, რადგან კორონა ვირუსის ეპიდემია საერთო საკაცობრივო

პრობლემაა, ხოლო კაცობრიობა ერთმანეთთან მორალური კომუნიკაციის ორგანიზმია, მოთხოვნადია ის უნდა იყოს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებიც სამართლიანობის, ზნეობრიობის და მორალურობის კვლევითაა დაკავებული[1, გვ.25].

საინჟინრო ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათი გაჩენის დღიდან მეტნაკლები ინტენსივობით სხვადასხვა დროს ხდებოდა მოთხოვნადი. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ მათი პოპულარობა მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მიღებული სიკეთეებითა და ფინანსური მოგების გაზრდით განისაზღვრებოდა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არათუ კავშირში, არამედ სრულ დაპირისპირებაში იყო ადამიანობის არსებობის საფუძველთან – მორალურობასთან (ზნეობრიობასთან). ასეა თუ ისე, აკადემიური პროფესიონალიზმი აუცილებელი ხდება, რაც განათლების სისტემის და ამ შემთხვევაში, უმაღლესი განათლების სისტემის ფუნქციონირების და სწორი პრიორიტეტების ახლებურ განსაზღვრებებს მოითხოვს. მაგრამ, **განათლება უნდა იყოს განმანათლებლური და შესაბამისად – ჰუმანისტური და არა მხოლოდ ცალკეული სოციალური ჯგუფებისათვის, არამედ ყველასთვის ხელმისაწვდომი**, რათა ეს და მსგავსი პრობლემები დროულად და კარგი შედეგებით დასრულდეს.

საჭიროა მოკლედ განხილულ იქნას თუ როგორ შეხვდა საქართველო კორონავირუსს და რა პესპექტივები აქვს ქვეყანას განსაზღვრული კრიზისის დაძლევის შემდგომ მყარი და გრძელვადიანი განვითარებისათვის, რათა მსოფლიოს (კაცობრიობის) მომავალ გამოწვევებს უფრო მომზადებული შეხვდეს.

რაც შეეხება მიმდინარე პრობლემას – კრიზისის მართვას, უნდა ითქვას, რომ, ამ თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობის ქმედებები მინიმუმ, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო მასშტაბით. ყოველი ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ ზოგადად გადადგა, არის კარგად გააზრებული, ორგანიზებული და დროული. ამ კუთხით, მისთვის პრეტენზიის წაყენება გონებრიობის ფარგლებში მასთან ყველაზე დაპირისპირებულ ძალასაც გაუჭირდება. თავად სამედიცინო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა პროფესიულად და ეფექტიანად მუშაობს, მაგრამ მიუხედავად სოციალ-პოლიტიკურ სისტემებს შორის განსხვავებისა, მსოფლიოს ყველა ქვეყანა ერთნაირი მეთოდებით იბრძვის ამ გამოწვევის წინააღმდეგ – თუმცა, ეფექტურობის და დროულობის სხვადასხვა მაჩვენებლით.

უფრო მნიშვნელოვანია, რომ როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამ დაიწყოს სერიოზული ფიქრი, და მეტიც, შემუშავება პოსტ-კრიზისულ პერიოდში ქვეყნის განვითარებისათვის, რა შემთხვევაშიც მინიმუმამდე უნდა შემცირდეს იმ შეცდომათა რიცხვი, რომლებმაც შეიძლება კრიზისის განგრძობის შემთხვევაში და მისი დასრულების შემდგომ, შეაფერხოს ქვეყნის შეძლებისდაგვარად სწრაფი წინსვლა.

პირველი და უმთავრესია, სტრატეგიული გეგმის შემუშავება ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რითაც ქვეყანამ თვითკმარი არსებობა არა მხოლოდ გლობალური და ლოკალური კრიზისების დროს უნდა შეძლოს, არამედ ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობის დროსაც. ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებო და იმედის მომცემია, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა უკვე გააკეთეს შესაბამისი განცხადებები.[3]

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი სტრატეგიული გეგმები საჭიროებენ ღრმა სამეცნიერო კვლევით გაანალიზებას და შესაბამისად, მის შემუშავებაში ჩართულები უნდა იყვნენ მაღალი რანგის სწავლულ-ექსპერტები აკადემიური სივრციდან,

რამდენადაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავად კრიზისმა გამოიწვია მათზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით.

ამასთან, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემის დახვეწამ ხელი უნდა შეუწყოს ღონისძიებათა ეფექტურად განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის. არსებულმა კრიზისმა, მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით ჩვენში, პირდაპირ თუ ირიბად დააყენა განათლების და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების (რომელიც თავის თავში კვლევასაც მოიცავს) სწრაფი და გონივრული განვითარებისა და რეფორმირების მოთხოვნა.

იმ მიმართულებების ნაცვლად, რომლებიც, დროის მოთხოვნის შესაბამისად, პოპულისტური პროპაგანდის შედეგად იყო წინა პლანზე წამოწეული, როგორებიცაა, მაგალითად, ტურიზმის დარგობრივი მიმართულება, ან ბიზნეს ადმინისტრირება. სწრაფად უნდა შემოტრიალდეს აკადემიური სპექტრი იმ დარგების განვითარებისაკენ, რომლებიც არა მხოლოდ კრიზისული პერიოდისთვის არის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად, ქვეყნის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისთვის, როგორებიცაა საინჟინრო ტექნოლოგიური მიმართულებები, აგრარული მეცნიერებები, სამედიცინო მიმართულება და ყველა ის განხრა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სამყაროს შექმნის საფუძველია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ რიგი აკადემიური დარგები ამით დაზარალდეს, არამედ მკაფიოდ უნდა დაისახოს პრიორიტეტები. ასევე, ზუსტად უნდა დადგინდეს პრიორიტეტული მიმართულებები არა მხოლოდ დროებითი საჭიროების მიხედვით, არამედ ფუნდამენტური თვალსაზრისით. აგრეთვე, განსასაზღვრია სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურა და იურიდიული სტატუსი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ სივრცის გამართულად მუშაობას.[4]

ამ კრიზისმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახა მსოფლიოს, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარება მხოლოდ ცოდნის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომ, ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა თუ სხვა მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში გამართულად არსებობისათვის, მუდმივ ბმაში უნდა იყოს განხილული განათლებისა და კვლევის აკადემიურ სივრცესთან.

დასკვნა

კორონა ვირუსის ფონზე თუ როგორი იქნება შემდგომი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად.

- ეს კრიზისი გამოიწვევს მთელი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის რესტრუქტურირებას;

- კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლა და მის მიერ გამოწვეული კრიზისი გახდება ჩვენი დროის მთავარი თემა;

- განვითარებადი ქვეყნების დავალიანება მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ ამის კიდევ უფრო ნეგატიური მხარე ის არის, რომ ვალი, ინვესტიციების ნაცვლად, სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და კომპანიების გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ერთჯერადად დაიხარჯება. ხაზგასასმელია, რომ ეს ქმედება ნამდვილად უნდა განახორციელონ განვითარებადმა ქვეყნებმა, რათა გადაარჩინონ

მცირე და საშუალო ბიზნესები, ტურისტული და ვაჭრობის სექტორები და აირიდონ მძიმე სოციალური პრობლემები;

• უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება IT-ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტში (განსაკუთრებით, უსაფრთხოების გამო), სამედიცინო აპარატურაში, ჯანდაცვაში, ბიოტექნოლოგიაში და აგრეთვე, სოფლის მეურნეობაში.

თვალსაჩინოა აგრეთვე ზოგიერთი განხორციელებული(ან განსახორციელებელი) ღონისძიების პერსპექტივა:

1. საზღვრების ჩაკეტვა

პანდემიის დასაძლევად, მსოფლიოს მთავრობებმა დააწესეს შეზღუდვები საზღვრებს გარეთ ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებისთვის. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, დღეს 3 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს იმ ქვეყნებში, რომლებიც მთლიანად დახურულია არარეზიდენტებისთვის.

საბოლოოდ საზღვრები გაიხსნება, ტურისტები კვლავ გამოჩნდებიან, მაგრამ ყოფილ სტატუს კვოს აღდგენა ძალიან რთული გახდება და შეიძლება არც აღდგეს. ბიზნესისთვის საქონლის გადაადგილების გამკაცრება საზღვრებს გარეთ ნიშნავს, რომ საჭიროა უფრო მეტად უპირატესობა მიენიჭოს ადგილობრივ პროდუქტებსა და საქონელს, შეიქმნას მდგრადი მიწოდების ჯაჭვები, სადაც მიმწოდებელი ბევრად უფრო ახლოს იქნება საბოლოო ბაზართან და ა.შ. ამიტომაც შესაძლებელია კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში აღდგეს ტენდენცია გლობალიზაციის წინააღმდეგ.

2. მდგრადობა და ეფექტურობა

საკარანტინო შეზღუდვებიც ადრე თუ გვიან მოიხსნება, მაგრამ მეწარმეებს კვლავ მოუწევთ სტრატეგიის შეცვლა. მდგრადობა - ეს იქნება უნარი გაუძლოს შოკს და განკურნოს იგი, რაც კონკურენციაზე უკეთესი გახდება გადარჩენისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის გასაღების მოსაძებნად. დღეს, პანდემიითა და საზღვრებს გარეთ საქონლის გადაადგილების შეზღუდვით, მრავალი კომპანიის საქმიანობა საფრთხის წინაშეა, ამიტომაც ბევრ კომპანიას არა მხოლოდ ბიზნესის მოდელის შეცვლა მოუწევს, არამედ მისი სრულად გადახედვაც გახდება აუცილებელი.

3. უკონტაქტო ეკონომიკის ზრდა

COVID-19 ხელს შეუწყობს ციფრული კომერციის, ტელემედიცინისა და ავტომატიზაციის მნიშვნელოვან სტიმულს.

მასშტაბური ავტომატიზაცია დაიწყო ჯერ კიდევ COVID-19-მდე. 2017 წლის ბოლოს, მაკკინსის გლობალური ინსტიტუტის მონაცემებით, ყველა სამუშაო ადგილის 60%-ს ავტომატიზირებული ჰქონდა ყველა ძირითადი ამოცანის 30% -ზე მეტი. 2030 წლისთვის ეს გავლენას მოახდენს 400 – დან 800 მილიონ სამუშაო ადგილზე მთელ მსოფლიოში. ბრუკინგის ინსტიტუტის თანახმად, ბოლო 30 წლის განმავლობაში სამივე რეცესიის შედეგად ავტომატიზაციის ტემპი სტაბილურად გაიზარდა და მოსალოდნელია კიდევ უფრო ზრდაც.

ყველა სახის სამუშაო არ შეიძლება ავტომატიზირებული იყოს, მაგრამ ზოგადი ტენდენციები აშკარაა და, სავარაუდოდ, შეუქცევადი გახდება.

4. მთავრობის მეტი ჩარევა ეკონომიკაში

პანდემიის შედეგებიდან გამომდინარე მთავრობების მხრიდან კიდევ უფრო მეტი ჩარევა მოსალოდნელი ეკონომიკაში (მაგალითად, ინდოეთი უშუალო გზავნილებით ეხმარება გაჭირვებულ მოქალაქეებს, ინდონეზია 10 მილიონ ოჯახზე აფართოებს სოციალურ შეღავათებს. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ფარავს COVID-19-ით

დაზარალებულ მუშაკთა ხელფასებს (80% –მდე); საქართველო აჩერებს ბიზნესსაც და შემოაქვს სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათები და შემწეობები და ა.შ.).

5. მეტი პასუხისმგებლობა ბიზნესის მხრიდან

მას შემდეგ, რაც ბიზნესის ნაწილი, სავარაუდოდ, მთავრობის შეღავათებით იმუშავებს, ეს მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მთავრობასა და ბიზნესს შორის, ასევე ბიზნესსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებზე. შეიძლება უფრო მეტი რეგულაცია იყოს, განსაკუთრებით შრომითი რესურსების მომარაგებასა და უსაფრთხოებაზე. როგორც კორონავირუსის მიერ წამოჭრილ სოციალურ თემებში, მათ მოგვარებაში ბიზნესიც ჩაერთვება.

6. ინდუსტრიის სტრუქტურების შეცვლა, მომხმარებელთა ქცევა, პოზიციები ბაზარზე და მიმზიდველობა.

ბიზნესის ერთ – ერთი მთავარი კითხვა გახდება ის, შეუძლია თუ არა ინდუსტრიას სტრუქტურის შეცვლა და გაჯანსაღება ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შემდეგ? მათ, ვინც მძიმე დარტყმა განიცადა, შესაძლოა გაუჭირდეთ კიდევ თავიანთი ყოფილი პოზიციების დაბრუნება.

მომხმარებელიც გააცნობიერებს საკუთარი ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრების დაცვის საჭიროებებს, შესაძლებელია ბევრმა დისტანცირების პრაქტიკაც დაწერგოს თავის ცხოვრებაში, ზოგიც კიდევ კვების ჩვევებსაც შეიცვლის და სხვა.

7. ოპტიმიზმი

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ანაზღაურდეს ადამიანური და ეკონომიკური ზარალი. მაგრამ კორონავირუსმა შეიძლება გარკვეული დადებითი შედეგიც მოიტანოს. კერძოდ:

- ა) მუშაობის სტრატეგიების შეცვლა;
- ბ) მუშაობა - ეფექტურად და ბევრად უფრო მაღალი სიჩქარით, მოქნილად;
- გ) სამუშაო ადგილების ინოვაციების ტემპისა და მასშტაბების დაჩქარება;
- დ) ბიოტექნოლოგიისა და ვაქცინაციის სფეროში ინოვაციების წარმოქმნა;
- ე) გამარტივებული მარეგულირებელი რეჟიმების შექმნა;
- ვ) ახალი მკურნალობის მეთოდების დანერგვა;
- ზ) უფრო მდგრადი და ეფექტური ჯანმრთელობის სისტემების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2020. გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური შედეგები. ჟ.: „ეკონომისტი“. № 2;
2. კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. 2020. <https://stopcov.ge/Content/files/government--report.pdf>;
3. მექვაბიშვილი ე. 2020. ინტერვიუ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ <http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/KSIWclIG?fbclid=IwAR0I0aLHMRwe>;
4. პაპავა ვ., ჭარაია ვ. 2020. ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა <https://www.gfsis.org/ge/publications/opinion-papers>;
5. Марина Стадник, Влияние COVID-19 на мировую экономику, вестник МСФО №3, 03.2020.

COMMON ECONOMIC PROBLEMS CAUSED BY PANDEMIC AND EXPECTED PROSPECTS

Summary

The paper presents the common economic problems, challenges and complications which are and will be held in the most countries during and in the post pandemic time. The focus is mainly made on the coronavirus (COVID 19) pandemic. It presents the negative aspects that are common in all over the world. In the work is also briefly discussed: 1) The role and purpose of the state in these uncertain times; 2) Returning to the idea of nationalism and/or to the national state; 3) Globalization and anti-globalization; 4) The priorities of socio-economic development; 5) Confidence to the scientific experts, and professionals.

In the conclusion is outlined our view about future of the world economy in the light of the post -pandemic time, as well as it is given our outlook to some implemented measures or on which that should be implemented in that case.

Keywords: *economic complications, pandemic, economic problems, global challenges, corona virus, economic crisis, the further perspectives.*

*Khatuna Kharkhelauri
Tamari Kajaia*

SPECIAL TAX REGIME IN GEORGIA AND ITS EFFECT ON SMALL BUSINESS DEVELOPMENT

Annotation. *The development of small and medium-sized businesses in Georgia plays an important role in improving the difficult socio-economic situation, overcoming poverty and unemployment. Small and medium enterprises play an important role in the development of the country's economy, they make a significant contribution in ensuring sustainable economic growth and can be considered the cornerstone of any country's economy. Reforms are being implemented for the development of small and medium businesses, whose success is preceded by step-by-step monitoring and analysis of the results obtained.*

Keywords: *Small and medium business, Special taxation regime*

Introduction

Special tax regimes apply under the Tax Code of Georgia:

- a) Individuals with micro business status;
- b) For entrepreneurial individuals with small business status;
- c) For persons with the status of a fixed taxpayer.

From July 1, 2018, for the promotion and development of micro and small businesses came into force a new preferential tax regime. As the authors of the reform suggested, the large-scale tax change should have affected up to 120,000 entrepreneurial individuals. This reform, on the one hand, imposes a minimum tax burden (1%) on small businesses, on the other hand, simplified tax accounting ensures that tax administration costs are minimized for entrepreneurs. As a result of the reform, it is expected that the share of small businesses in GDP will increase significantly. In addition, the new reform is expected to provide greater transparency to the tax sector. That will help small businesses better access to financial resources. The benefits established by the special tax regime is an important incentive for further rapid development of small businesses in Georgia.

* * *

The main motive of the Ministry of Finance is to encourage entrepreneurs in the future, to get small business status and start an economic activity, become even more competitive, expand their business, which is a very important precondition for achieving the type of economic growth that will significantly affect each citizen. Entrepreneurs should spend as little time as possible in dealing with the tax authorities and their efforts should be entirely focused on their economic activities. Under this reform, small entrepreneurs will be exempted from conducting additional accounting operations. The reform implemented by the Government of Georgia aims to employ as many people as possible, creating preconditions for the development of medium and small business, economic growth will be an irreversible process and comprehensive. According to the change in the tax legislation, the status of a small business can be granted to entrepreneurial individuals, whose total income for one calendar year will be up to 500,000 GEL instead of the previous 100,000 GEL. The taxable income of a person with the status of a small business from the entry into force of the tax change is taxed at a rate of 1%, instead of 5%. It should be noted that despite the excess of GEL 500,000, the person retains the status of a small business for 2 calendar years. Under the amendment, the termination of small business status will no longer be based on the fact that an individual entrepreneur is registered as a value added tax payer. Also a person with small business status does not pay current payments and makes a declaration through a simple monthly declaration form. Small business status is granted to an entrepreneur natural person. Entrepreneurial individual registration is carried out by the Revenue Service (for example, in the case of artistic activities) and if a person is considered an individual entrepreneur in accordance with the Law on Entrepreneurs due to his / her activities, before being granted the status of a small business, he / she is obliged to register as an individual entrepreneur. Registration as an individual entrepreneur is usually carried out by the National Agency of Public Registry of the Ministry of Justice of Georgia. In order to be granted the status of a small business, an individual entrepreneur must apply to the tax authority. Small business status is granted to a person from the date indicated in the application. In case of revocation of the status of a small business, an individual entrepreneur has the right to apply to the tax authority in the same year, with a request to re-grant the status, and receive the status again.

Almost two years have passed since the introduction of the new tax regime. In order to determine the impact of this reform on the performance of small businesses during this period, we found 2 main types of information from the National Statistics Office of Georgia. "Turnover by size and period of enterprises" and "number of employees according to the size and period of enterprises". We conducted dynamic and structural analysis of data from the last five years. This result allows us to draw the appropriate conclusions about the achievement of the reform goal.

Table 1: Turnover by Enterprise Size and Period


	Total	Large	Medium	Small
2015	56984.8	24671.6	13294.6	19018.7
2016	64081.8	28256.3	14039.1	21786.4
2017	71740.1	32201.1	16568.3	22970.7
2018	86625.1	42902.7	18543.2	25179.1
2019	109 024,3	60 504,6	21 065,5	27 454,
2020³²	128222,5403	75715,7387	23634,472	30092,747
Medium growth rate	117.6%	125.1%	112,2%	109,6%

Source: National Statistics Office of Georgia

As the authors of the reform suggested, Tax changes should have increased turnover in small businesses, as well as increased the number of employees and the share of small businesses in GDP.

³² 2020 The year rate is forecast and calculated taking into account the average growth rate

As can be seen from the given information, the assumption about the dynamics of turnover was justified:



Source: National Statistics Office of Georgia

If we take the preliminary data of the National Statistics Office for the I - III quarters of 2020 and forecast the data for the IV quarter based on the analysis of quarterly data of previous years (2017-19), then the forecast business revenues for the current year are as follows:

Table 2: Turnover for 2020 by size and period of enterprises

	Total	Large	Medium	Small
I quarter	26 015,20	15 597,90	4 336,30	6 081,00
II quarter	22 314,70	13 117,20	3 975,70	5 221,90
III 3 quarter	29 226,30	16 687,40	5 181,40	7 357,60
IV quarter³³	38245,57	21968,50	7312,05	9399,33
Total	115 801,77	67 371,00	20 805,45	28 059,83
Annual average growth rate	112.5%	118.2%	107.7%	106.7%

Source: National Statistics Office of Georgia


If we compare the growth rate given in Table 1, the growth rate of the quarterly indicators of 2020 is 3-7% lower than the corresponding indicator of the previous years. One of the main reasons for this is the restrictions imposed on the business activities invited by Covid-19. As for the increase in the share of small businesses in the total turnover, unfortunately, the expectations were not met here.

As the data analysis showed, by 2015, the share of small businesses in total turnover was 34%. Before the start of the reform, in 2018, the share of small businesses in total turnover was reduced to 29%.

The data have not improved since the implementation of the reform, on the contrary, the downward trend has been maintained and by 2019 there is a 4% decrease compared to the previous year. There is also a downward trend in the share of the average business in total turnover - in 2019 it decreased by 4% compared to 2015.

³³ Forecast

Figure 3: Share of total turnover by enterprise size



As for employment figures, the data of the National Statistics Office are as follows:

Table 3: Number of employees by size and period of enterprises

	Total (Male)	Large	Medium	Small
2015	626739	198586	137171	290982
2016	666790	217800	142447	306543
2017	708165	233589	145463	329112
2018	734215	243318	160095	330803
2019	756 852	265 184	152 516	339 152

Source: National Statistics Office of Georgia

As can be seen from the data in the table, the number of employees in enterprises of all sizes was growing from 2015 to 2018, but in 2019, compared to 2018, a downward trend was observed. However, it should be noted, that the 2019 data are preliminary, which the National Statistics Office will clarify later, and the trend may also change.

Table 4: Employee dynamics by 2020 by enterprise size

	Total (Male)		% Growth	Medium		% Growth	Small		% Growth
	2019	2020		2019	2020		2019	2020	
I q	663804	684372	103,0985	136435	141859	103,9755	282250	269354	95,431
II q	687874	631814	91,85025	147397	142030	96,35881	289707	228252	78,78719
III q	695994	645571	92,75525	154406	146855	95,10965	289033	237418	82,14218

Source: National Statistics Office of Georgia

Here, too, one of the main reasons for the unfavorable growth rate of employees can be considered the restrictions imposed on business activities induced by Covid - 19.

As some research show, awareness of the benefits of tax breaks and the rules for their use is quite low among business people. [Baramidze C., Kharkhelauri K. 2020. 5].

The information received from the Revenue Service on the number of registered taxpayers with special tax status in terms of years is as follows:

Table 5: Information on taxpayers with special tax regime status

Period	Number of taxpayers		
	Fixed tax payer	Micro Business Status	Small Business Status
2016	5 771	44 813	52 951
2017	6 150	48 426	60 754
2018	6 746	52 237	73 048
2019	7 323	61 550	91 627
2020_01-2020_08	6 994	64 075	98 907

Source: Revenue Service of Georgia

It should be noted that the information is prepared according to the persons who had the current status of a small / micro business for at least one day during the relevant tax period and Persons who have accrued a fixed tax at least once in the period from December 31, 2010 to 2016_02-2020_08 take part in counting the number of fixed taxpayers N 999 “On the use of special tax regimes” In accordance with Article 4 of the Order.

Conclusion

As can be seen from the table, the dynamics of those wishing to enjoy the benefits of this regime is growing, which gives reason to believe that the business activities of this segment will increase and will play an important role in overcoming the consequences of the current economic crisis.

We hope that the relevant government and business structures will intensify their work on the awareness of these tax benefits, which will lead to an increase in the number of officially registered entities benefiting from the special tax regime. This in turn leads to the positive results that the authors of the reform had planned and achieved an increase in the share of individuals with the status of micro, small and fixed taxpayers in the economic development of the country.

References:

1. Baramidze C., Kharkhelauri K. 2020. Special Tax Regime in Georgia and the Effect of its Operation. DOI: 10.13140/RG.2.2.25055.89769
2. commersant 2018-07-02, Editorial article
<https://commersant.ge/ge/post/mcire-biznesi-1-ivlisidan-nacvlad-5-isa-1-it-daibegreba>
3. National Statistics Office of Georgia
[http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database Business%20StatisticsTurnover/?rxid=60943dd6-d6da-4cfc-bc19-15190adb8136](http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database%20Business%20StatisticsTurnover/?rxid=60943dd6-d6da-4cfc-bc19-15190adb8136)
4. Kharkhelauri kh., Kajaia T. 2019 Effectiveness Of State Programs For The Promotion Of Small And Medium Businesses. Economics and Finance N 3, pp 65-77
https://docs.wixstatic.com/ugd/1ee679_f10f3ff3a0eb44c4a44df5d21a18b298.pdf
DOI: 10.13140/RG.2.2.27408.64005
5. Tax Code of Georgia, Chapter XII Article 83.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>

ლელა ხელაძე

სამშენებლო კომპანიათა საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის საკითხები

ანოტაცია: სამშენებლო კომპანიების საქმიანობას საქართველოში არეგულირებს მრავალი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც პრაქტიკულად რიგ შემთხვევებში ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. აუცილებელია საქართველოში მოქმედი იმ სამართლებრივი დოკუმენტებისა და მოქმედი სტანდარტების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც არეგულირებს სამშენებლო სექტორის საქმიანობას და არსებით გავლენას ახდენს სამშენებლო კომპანიათა ფინანსურ მდგომარეობასა და თუ ფინანსურ შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: სამშენებლო სექტორი, სამართლებრივი რეგულირება, საგადასახადო რეფორმები, აღრიცხვა, ანალიზი.

შესავალი

მშენებლობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებადი დარგია, რომელიც გამოირჩევა არსებითი სპეციფიკურობით და რომლის განვითარებაც მეტ-ნაკლები დონით ინვესტორების მოზიდვასთან არის დაკავშირებული. ეს კი შესაძლებელია უპირველეს ყოვლისა ჯანსაღი ეკონომიკური გარემოს არსებობითა და სწორი სამართლებრივი რეგულირებით.

მშენებლობის სფერო რეგულირდება არაერთი კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე, რომლებიც რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. გარდა ამისა, მშენებლობის სფეროში არსებული კანონმდებლობა მოიცავს ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ ბარიერებს, რაც სერიოზულ დროსა და ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. საბოლოო ჯამში კი ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მშენებლობის სფეროში მეწარმეობის სტიმულირებაზე.

სამშენებლო კომპანიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

სამშენებლო ხელშეკრულება არის კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის ან აქტივთა ისეთი ერთობლიობის შექმნას, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული ან ურთიერთდამოკიდებულია კონსტრუქციულად, ტექნოლოგიურად და ფუნქციურად, ან მათი საბოლოო გამოყენების მიზნის ან დანიშნულების მიხედვით³⁴. სამშენებლო საქმიანობა საქართველოში რეგულირდება საქართველოს კანონით „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“. ეს კანონი ადგენს სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმების დაცვისა და რეგულირების მექანიზმებს. იგი მიმართულია ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისაკენ, მოსახლეობის საბინაო-კომუნალური, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრავს სამშენებლო საქმიანობის მონაწილეებს³⁵ და მათ უფლება-მოვალეობებს³⁶. სამშენებლო საქმიანობის მონაწილეთა საფინანსო ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე. ხელშეკრულება არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება სამშენებლო საქმიანობის მონაწილეთა შორის ურთიერთვალდებულებები და სხვა ნებისმიერი საკითხი, რომლებიც მიეკუთვნება მხარეთა კომპეტენციას კანონმდებლობის ფარგლებში. სამშენებლო კონტრაქტი იდება მხარეთა შორის თავისუფალი ფორმით და მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია,

³⁴ ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

³⁵ საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ - მუხლი 5

³⁶ საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ - მუხლი 6

სამშენებლო კონტრაქტი იდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების განსხვავებულ წესს³⁷.

მშენებლობის განსახორციელებლად აუცილებელია არსებობდეს არქიტექტურული პროექტი და მშენებლობის ნებართვა. არქიტექტურული პროექტი უნდა იყოს შედგენილი შესაბამისი ლიცენზიის მქონე არქიტექტორის მიერ და თან უნდა ერთვოდეს მიწაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი საბუთი, ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნებართვა, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილება, თუ მიწის ნაკვეთი შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაა³⁸ არქიტექტურულ პროექტს შეითანხმებს და ობიექტის მშენებლობის ნებართვას გაცემს არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის შესაბამისი ორგანო კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროექტები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების, სახელმწიფო სარეზერვო და სპეციალური სახელმწიფო ფონდებისა და სახელმწიფოს მიერ ან მისი გარანტიით მშენებლობისათვის აღებული კრედიტების ხარჯზე, ექვემდებარება სახელმწიფო ექსპერტიზას. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ დაფინანსებული პროექტების ექსპერტიზა ტარდება სათანადო შემთანხმებელი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. არქიტექტურული პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზა ტარდება "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად³⁹.

მშენებლობის ნებართვა არის ნებართვის სპეციფიკური სახე, რომელიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელებისათვის. საქართველოში მშენებლობის ნებართვის გაცემას არეგულირებს საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. მშენებლობებზე ნებართვების გაცემის გაუმჯობესების მიზნით, თანდათან ინერგება ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმა უკვე დანერგილია საქართველოს დედაქალაქში. აღნიშნული სიახლე გააადვილებს მშენებლობებზე ნებართვების გაცემის პროცედურას, გახდის მას საჯაროს და გამორიცხავს ბიუროკრატიულ ფაქტორს. ელექტრონულ ვერსიაზე გადასვლამ პირველ ეტაპზე, შესაძლოა, სიძნელეები შექმნას, მაგრამ, საბოლოო ჯამში ეს არა მხოლოდ ბევრად აადვილებს ნებართვის მიღების პროცედურას, არამედ აგრეთვე ამცირებს არასათანადო და დაბალი ხარისხის პროექტის შეუმჩნეველობის რისკს. სისტემაში ატვირთული პროექტი ინტერნეტსივრცეში საჯარო იქნება და მასზე აზრის გამოთქმის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება.

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. ამ კანონით განისაზღვრება სამშენებლო საქმიანობის თითოეული მიმართულების სავალდებულო წესით გადასახდელი მოსაკრებლების ოდენობა, რომელიც ერთჯერადი ხასიათისაა და გადაიხდება ლიცენზიის გაცემამდე.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს აგრეთვე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 15 – „ამონაგები

³⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №99. მუხლი - 26.6

³⁸ საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ - მუხლი 3

³⁹ საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ - მუხლი 5

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან“.

სტანდარტის მიზანია იმ პრინციპების დადგენა, რომლებიც საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ამონაგებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, მათი წარმოქმნის ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისთვის. სამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ბუნებიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობის დაწყებისა და დასრულების თარიღები სცილდება საანგარიშგებო პერიოდს. აქედან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების აღრიცხვის მთავარი საკითხია შესრულებული სამუშაოს ფარგლებში გაწეული დანახარჯებისა და მიღებული ამონაგების სწორად განაწილება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებზე. საკონტრაქტო ამონაგები უნდა შეფასდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. საკონტრაქტო ამონაგების შეფასებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა განუსაზღვრელი მოვლენა, რომელიც დამოკიდებულია მომავალი პერიოდის მოვლენების შესაძლო შედეგებზე. ამიტომ აუცილებელია ამ შეფასებების გადამოწმება მოვლენების მოხდენისა და განუსაზღვრელი ვითარების გარკვევის შემდეგ. კონტრაქტით გათვალისწინებული ამონაგების თანხა შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს საანგარიშგებო პერიოდებს შორის სხვადასხვა მიზეზით.

სტანდარტი განსაზღვრავს საოპერაციო შემოსავლებისა და საოპერაციო ხარჯების სტრუქტურას. საანგარიშგებო პერიოდის ამონაგებს მიეკუთვნება ის შემოსულობა, რომლებიც მიღებულია შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ. ხარჯებს კი მიეკუთვნება: დაპროექტების, უშუალოდ სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული ნედლეულისა და მასალების, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების, მშენებლობისას გამოყენებული მანქანა-დანადგარების ცვეთის, საიჯარო ქირისა და საცდელ საკონსტრუქტორო, ასევე საგარანტიო ვალდებულების ხარჯები.

აღნიშნული სტანდარტი შესაბამისობაში მოდის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან და პერიოდულად განიცდის ცვლილებებს. უახლესი ცვლილებები განხორციელდა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვაში⁴⁰ და ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში⁴¹.

არსებობს შემთხვევები, როცა სამშენებლო სექტორში მოქმედი საწარმოები რაიმე კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად ერთობლივად მუშაობენ, სამშენებლო საქმიანობის სირთულისა და მრავალმხრივი საჭიროებების გამო. აღნიშნული სიტუაცია ნებადართულია და მას არეგულირებს ფასს 11 - ერთობლივი საქმიანობა.

სამშენებლო, რეკონსტრუქციული და აღდგენითი სამუშაოების რთული სპეციფიკიდან გამომდინარე ამ სფეროში მოღვაწე ნებისმიერი კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია რისკის სწორი მენეჯმენტი, ამიტომ აუცილებელია რისკების ანალიზი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების საქმიანობის ყველა ეტაპზე. არასასურველი გარემოებების პრევენციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად თანამედროვე რეალობაში ითვლება მშენებლობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა, რომელიც მოიცავს სამშენებლო სამუშაოების, სამშენებლო მასალების ლაბორატორიული შემოწმების უზრუნველყოფის, დანადგარებისა და

⁴⁰ ბასს 23

⁴¹ ბასს 1

მოწყობილობების, მესამე პირების წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და დაქირავებული პერსონალის დაზღვევას უბედური შემთხვევისაგან. აღნიშნული საკითხები რეგულირდება მთავრობის დადგენილებით „მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე სისხლის სამართლის კანონმდებლობით. მარეგულირებელი ნორმების დაცვაზე კონტროლი კი საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების ინსპექტირების დეპარტამენტის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პრეროგატივაა. მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს მშენებლობის დარგში არეგულირებს საქართველოს კანონი „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“. კანონი განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს, რომელიც არის სახელმწიფო ცენტრალური მაკონტროლებელი ორგანო და კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას. კერძოდ, ამოწმებს მიმდინარე და დასრულებულ სამშენებლო ობიექტებს, მოითხოვს მშენებლობაში მონაწილეების მხრიდან ყველა აუცილებელი საპროექტო, ნორმატიული, სამშენებლო და სამშენებლო მასალის შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში ატარებს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომებს მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ, აწარმოებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრს ობიექტების ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით და ა.შ. ინსპექციის მიერ ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება რისკის ანალიზისა და შეფასების სისტემის საფუძველზე გგმიურად ან ფორსმაჟორულ სიტუაციებში. სამშენებლო ობიექტზე არსებითი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები დადგენილ გონივრულ ვადაში ამ შეუსაბამობათა აღმოფხვრის მიზნით. რომელთა შეუსრულებლობისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს სანქციებს დამრღვევი ორგანიზაციის მხრიდან.

სამშენებლო სფეროს ყოველთვის ახასიათებდა მკვეთრი რხევები და არასტაბილურობა, თუმცა სტატისტიკა მოწმობს, რომ შეინიშნება მზარდი ტენდენცია ბოლო წლებში. პროდუქციის გამოშვება, ანუ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა დამოკიდებულია მრავალ ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორზე, მაგ: სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკური არასტაბილურობა, მიგრაციის მაჩვენებლები და ა.შ. მშენებლობის ორგანიზაციულ-ტექნიკური თავისებურებანი მდგომარეობს მშენებლობის ობიექტების მრავალ სახეობაში, სამშენებლო ციკლის ხანგრძლივობასა და ტექნოლოგიაში, ტერიტორიულ თავისებურებებში და ა.შ. საქართველოში სამშენებლო ბიზნესი ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. თუმცა, საყურადღებოა ისეთი ხარვეზები, როგორცაა: ბეტონის სიმტკიცე - მარკიანობა, სამშენებლო მასალების ხარისხი, ტექნოლოგიურ პროცესთა სწორი თანმიმდევრობა, შენობა-ნაგებობების განლაგების სიმჭიდროვე და ა.შ. მშენებლობაში სამშენებლო მასალების, კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და სხვა სამშენებლო პროდუქციის გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სერტიფიკატითა და წესით. სამშენებლო საქმიანობა, მათ შორის, დამთავრებული შენობა-ნაგებობის საექსპლუატაციოდ მიღება წარმოებს კანონმდებლობით დამტკიცებული სამშენებლო ნორმებისა და წესების

შესაბამისად⁴². აუცილებელია, ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება მას შემდეგ მოხდეს, რაც ზედამხედველობის ორგანოს დასკვნა გაიცემა. უნდა შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელშიც სამშენებლო სფეროს სპეციალისტები გაერთიანდებიან და ქალაქების დაგეგმარების გენერალურ გეგმას შეიმუშავენ. ამ სამსახურში არქიტექტორების გარდა, ტრანსპორტისა და საინჟინრო ტექნოლოგიების სპეციალისტებმა, ენერგეტიკოსებმა, ეკოლოგებმა უნდა მოიყარონ თავი. ერთობლივი მუშაობის შედეგად, სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, სად, რა პირობებით და როგორ უნდა წარიმართოს ესა თუ ის მშენებლობა.

საქართველოში ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების კონტროლსა და ზედამხედველობას, მშენებლობის ნებართვის გაცემასა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს დღესდღეობით ახორციელებს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. ეს არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოში სამშენებლო პროცესის სრულყოფისა და მისი მომწესრიგებელი ნორმების ერთიან სისტემაში მოყვანის, აგრეთვე მშენებლობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხთა ნორმატიული მოწესრიგების მიზნით მოქმედებს კანონი „სამშენებლო კოდექსი“.

დღესდღეობით საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა სამშენებლო კონტრაქტებს და მასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ დეტალებს ცალკე არ განიხილავს. საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს გრძელვადიან კონტრაქტებს, რაც გარკვეულწილად მოიაზრებს სამშენებლო კონტრაქტებსაც. სამშენებლო კომპანია ვალდებულია იხელმძღვანელოს როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, ასევე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის წესების დაცვითაც.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებებს⁴³. მოქმედი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების მიხედვით სამშენებლო კომპანიები ვალდებული არიან აწარმოონ საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგება, რომლის მონაცემთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით⁴⁴ დადგენილი გადასახადების აღიარება/დარიცხვა⁴⁵ და მათი გადახდა დადგენილ ვადაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ყოველი საგადასახადო რეფორმა, საბოლოო ჯამში, მიმართულია გადასახადის გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებისაკენ. თუმცა პრაქტიკაში გვხვდება რიგი პრობლემები, რომლებიც გამოწვეული იქნა უახლოესი პერიოდის საგადასახადო რეფორმების შედეგად. სამშენებლო კომპანიების საქმიანობაზე გავლენის მოხდენის კუთხით უახლესი საგადასახადო რეფორმებიდან აღსანიშნავია მოგების გადასახადის ესტონური მოდელით დაბეგვრა და ავანსის დღ-თი დაბეგვრის მოდელი. განვიხილოთ თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი ტენდენციები:

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დამკვიდრება მიმართულია ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისაკენ. რათა კერძო სექტორს მიეცეს გაფართოებისა და კაპიტალიზაციის ზრდის საშუალება, რაც ექსპერტთა ანალიზის

⁴² საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ - მუხლი 6

⁴³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი - მუხლი 43

⁴⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსი - მუხლი 6, 7

⁴⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი - მუხლი 61

თანახმად, საგრძნობლად გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს სხვა გადასახადებიდან. ექსპერტთა ვარაუდით, არსებობს მოლოდინი, რომ აღნიშნული რეფორმა დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო. ეს კარგი სტიმული იქნება ეკონომიკისთვის, შემცირდება საგადასახადო წნეხი კერძო სექტორზე და გარკვეული თანხა, კერძო სექტორში დარჩება, რაც შიდა ინვესტიციების ერთგვარი წახალისება იქნება. ამიტომ, ესტონური მოდელი პირველ რიგში ეკონომიკის წახალისებისთვის არის აუცილებელი. მეორე - ის ამარტივებს საგადასახადო ადმინისტრირებას. დადებითი მომენტი ისიც, რომ კომპანიამ თავისი მოგება ეკონომიკური საქმიანობისთვის უნდა გამოიყენოს, ამით მეწარმე სუბიექტები შეეცდებიან მოგებასა და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობა განახორციელონ იმ იმედით, რომ მათ ეს მოგება არ დაეხვეწება. რაც შეეხება დივიდენდს, ის უკვე დაბეგვრის რეჟიმში არის მოქცეული კომპანიიდან გატანის დროს იბეგრება მოგების გადასახადით, ეს არის მისი ეფექტიანობის საიდუმლო.

აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადისგან ესტონური მოდელის ამოქმედებამდეც თავისუფლდებოდა რეინვესტირებული მოგება. თუმცა ესტონური მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გულისხმობს არა მხოლოდ ერთ პუნქტს, მოგების გადასახადისგან გათავისუფლების სახით, არამედ აგრეთვე ესტონური მოდელის გამოყენების შემთხვევაში უქმდება მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულება, რაც საწარმოებისათვის საგრძნობ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ასევე აღნიშნული მოდელი მოიცავს აღრიცხვისა და დეკლარირების გამარტივებულ ფორმულას ყოვლთვიური ანგარიშგების სახით. რაც საგრძნობ დახმარებას უწევს ამ კუთხით მომუშავე ბუღალტრებს. შესაძლოა ამ შემთხვევაში პოტენციური რისკების არსებობა, როგორცაა მაგალითად კონტროლის მექანიზმის არ არსებობა, რომელიც შეამოწმებს ორგანიზაციის გაუნაწილებელი მოგების მიმართულებებს, არის თუ არა ნამდვილად ეკონომიკურ ზრდაში და წარმოების გაფართოებაში გამოყენებული კომპანიების სარეზერვო რესურსი. ეს შემოწმდება მხოლოდ ორგანიზაციის აუდიტორული შემოწმების შედეგად. აგრეთვე მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება საგრძნობლად ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს მიმდინარე პერიოდში. რაც ამ მოდელის უარყოფით მხარედ განიხილება. აღნიშნული მოდელის დადებითი ეფექტის ხელშემწყობი ფაქტორი იქნება, თუ ქვეყნის კანონმდებლობა მთლიანობაში მიმართული იქნება იქითკენ, რომ შეზღუდოს უცხოური კაპიტალის ბუმი, უცხოური საქონლის იმპორტი, და საკუთრებით (უძარავი ქონებით, სახლებით, მიწით) სპეკულაცია.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში⁴⁶ ცვლილების თანახმად საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის შემთხვევაში, ოპერაცია მიღებული საკომპენსაციო თანხის ოდენობით ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას თანხის მიღების მომენტში. პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპენსაციო თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება;

განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების რაოდენობა/მ
ოცულობა და ღირებულება;

⁴⁶ 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №996

განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას.

საავანსო თანხებზე გადახდილი დღგ-ს შესაბამისად გამოიწერება ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც ექვემდებარება დეკლარირებაში აღრიცხვას და გამოიყენება ჩათვლის უფლება.

სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების ის ნაწილი, რომელიც მიღებული იქნა წინასწარ, ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას თანხის მიღებისთანავე. ეს რეფორმა მიზანმიმართულია საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისკენ მიმდინარე პერიოდში, მაგრამ მნიშვნელოვანწილად აზარალებს სამშენებლო სექტორში მომუშავე კომპანიებს. რასაკვირველია მიღებული შემოსავლები ადრე თუ გვიან მოქცეული უნდა ყოფილიყო დაბეგვრის ერთიან სისტემაში და მასზე გადახდილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი გადასახადი. მაგრამ ავანსები სამშენებლო სექტორის ერთ-ერთ ძირითად მასაზრდოვებლად ითვლება, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული თავად მშენებლობის პროცესის განხორციელება. როგორც აღინიშნა, მშენებლობას ახასიათებს გრძელვადიანი საოპერაციო ციკლი, რომელიც ასევე მრავალრიცხოვან და სოლიდურ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მოგების მიღება კი ხორციელდება საოპერაციო ციკლის ბოლოს, ანუ დასრულებული სამშენებლო ობიექტის რეალიზაციის შემდეგ. საავანსო შემოსულობების გარეშე საბრუნავი კაპიტალის სახით სოლიდური ხარჯების გაწევა კომპანიებისათვის არასასურველია, პირველ რიგში მოსალოდნელი რისკების გამო. ამიტომ საავანსო შენატანები აღნიშნულ სფეროში განსაკუთრებით პრიორიტეტულია. დაბეგვრის ახალი სისტემა კი ამცირებს მიმდინარე პერიოდში ფინანსური სახსრების ოდენობას. რის შედეგადაც კომპანიებს ურთულდებათ საოპერაციო საქმიანობის განხორციელება. ხშირად იძულებულნი ხდებიან აიღონ კრედიტორული ვალდებულებები ნედლეულისა და მასალების მომწოდებელი ორგანიზაციებისაგან და ა.შ. ყოველივე ეს ქმნის გარკვეულ ბარიერს, რომელიც აქამდე არ არსებობდა. საბოლოო ჯამში, დასრულებული სამშენებლო ობიექტის ჩაბარების შემდეგ აღარ რჩება გადასახდელი დღგ-ის დიდი ოდენობა, რაც საგრძნობ შეღავათს წარმოადგენს, თუმცა მეწარმეების ძირითად ორიენტირს ყოველთვის წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის საგადასახადო შეღავათი.

დასკვნა

სამშენებლო ბიზნესი ერთ-ერთი მიმზიდველი მიმართულებაა ინვესტიციების განხორციელებისათვის. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, აგრეთვე აუდიტის მაღალ დონეზე ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც თვით სამშენებლო კომპანიებისათვის, ასევე საწარმოს პარტნიორებისა და მთლიანად ბიზნესის განვითარებისათვის. მშენებლობაში ბუღალტრული აღრიცხვა რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც გავლენას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიაზე. ამიტომ აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება საერთაშორისოდ აღიარებული მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების მიხედვით. ნებისმიერი მასშტაბის სამშენებლო პროექტის განხორციელებისას სრულდება მრავალი ტექნოლოგიური პროცესი, გამოიყენება სხვადასხვაგვარი სამშენებლო ტექნიკა, მასალები, სამშენებლო კონსტრუქციები და ა.შ. რაც აღრიცხვის თვალსაზრისით რიგი თავისებურებებით ხასიათდება. კონკრეტული

თავისებურებებისა და საქმიანობის სპეციფიკის შესახებ დეტალები ასახული უნდა იყოს სამშენებლო კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში, რაც უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. სამშენებლო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვისას გვხვდება რიგი თავისებურებები. არსებობს შემთხვევები, როცა ბასს-ებით დადგენილი სააღრიცხვო წესები განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო აღრიცხვის წესებისაგან. ამიტომ, აუცილებელია, რომ საკვანძო საკითხები წინასწარ იყოს განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკით.

სამშენებლო სექტორში მიმდინარე პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ დარგი დღეისათვის თვითდინებით ვითარდება. ამას კი ღრმა ანალიზი და სწორი მიდგომა სჭირდება. აუცილებელია საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, საქართველოს ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსება და საქართველოს კანონმდებლობის კიდევ უფრო დაახლოვება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

დღესდღეობით საქართველოში მოქმედი ერთმანეთისაგან განსხვავებული და არაჰარმონიზებული სამშენებლო ნორმები მნიშვნელოვნად აზარალებს სამშენებლო სექტორს, შესრულებული სამუშაოების ხარისხს და რასაკვირველია საფრთხეს უქმნის მოსახლეობის უსაფრთხოებას. ამდენად მოსაწესრიგებელია არსებული სამშენებლო რეგულაციები.

მშენებლობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. ამ სექტორის განვითარება ცალკეული სამშენებლო კომპანიების წარმატებულ მუშაობაზეა დამოკიდებული. სამშენებლო კომპანიების წარმატება კი, მის სწორ მენეჯმენტს უკავშირდება. თავის მხრივ, მენეჯმენტი კი აღიციხვა-ანგარიშგების სრულყოფასაც გულისხმობს.

Lela Kheladze

THE ISSUES OF THE IMPROVEMENT OF LEGAL REGULATION OF THE ACTIVITY OF CONSTRUCTION COMPANIES

Summary

Introduction and aim: Construction is one of the fastest growing and developing branches of Georgian Economy and it has its specific aspects. One of the main ways to get Georgian Economy out of the crisis and rebuild it is developing the construction business. This is only possible in the condition of healthy economic environment and right legal regulation. Various political-economic, financial, exogenous and endogenous factors affect Georgian building industry.

According to statistical data, the development of construction field helps economic growth and plays important role in employment projects of population. The development of construction business encourages the rise of economic potential of the country the development of national farming customs, it also improves the social and cultural living condition of the population.

The aim of the research is to study and analyze the legislative norms that regulate the activity of construction business sector in Georgia. We will analyze the licensing policy of building business its implementation and monitoring, tax payment regulation, the main tendencies of accounting and audit. We will discuss the positive and negative aspects of practice and the way of solving present drawbacks.

Research methodology: The basis of methodology of the study is general scientific as well as economic research methods. In particular: analysis and synthesis, comparative, systemic and logical approaches, assessment economic-mathematical, economic-statistical etc.

Results and implications: Numerous laws and subordinate normative acts regulate the construction business in Georgia and often they are contradictory. Also these regulations contain administrative and technical barriers that mean considerable amount of time and money is needed to overcome them. In result everything mentioned above discourage building business field and interrupt the development of infrastructure.

ალიმი ხერხაძე

საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური განვითარების უთანასწორობის პრობლემები და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები

ანოტაცია: წინამდებარე ნაშრომი შეეხება საქართველოს რეგიონების არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განხილვას, მათი მიზეზების ძიებას და პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების დასახვას. ქვეყნის არათანაბარი ეკონომიკური განვითარება, ცენტრისა და პერიფერიის მაცხოვრებლებს შორის მკვეთრ სოციალურ-ეკონომიკურ სხვაობას იწვევს, რაც განაპირობებს ქაოსურ ურბანიზაციას და რეგიონული პოტენციალის აუთვისებლად დატოვებას მისი დაცლის ფონზე. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავაანალიზოთ საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური განვითარების უთანასწორობის პრობლემები და დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული გამოთანაბრება, ეკონომიკური განვითარება, საგადასახადო სტიმულირება, ურბანიზაცია, რეგიონული განვითარება.

შესავალი

საქართველოს ცალკეულ რეგიონში არსებული რეალობა არის ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური სიძლიერის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. სწორედ ამიტომ, სწორი ანალიზი და პრობლემების მოგვარება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან, მათი განვითარების შესაძლებლობები საკმაოდ განსხვავებულია. ამიტომ, მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა ცალკეული რეგიონის განვითარების პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება და რესურსების გადანაწილება. საქართველოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული რეგიონებში. მათი უმრავლესობა ცხოვრობს მუნიციპალურ ცენტრებში და ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ეკონომიკური აქტიურობის დონე შედარებით მაღალია. რეგიონების განვითარების დონეებს შორის უთანაბრობას ასევე განაპირობებს მათი ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები, სამრეწველო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებული დონე.

რეგიონებში ცხოვრების პირობების გამოთანაბრება მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისთვის, რათა ქვეყანაში შეიქმნას მეტნაკლებად თანაბარი სოციალური განვითარების დონე და დემოგრაფიული განსახლებაც პროპორციული იყოს. XX საუკუნიდან მოყოლებული, გლობალური მასშტაბით შეინიშნება ურბანიზაციის მაღალი მაჩვენებელი, ხოლო სოფლის მაცხოვრებელთა წილი კვლავაც დიდია ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში. ურბანიზაციის მაღალი დონე მსხვილი ურბანული ცენტრების ინდუსტრიალიზაციისკენ მიდრეკილებაზე,

სერვისების უკეთეს ხარისხსა და ყველა სოციალური სიკეთის შედარებით მარტივად ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს და ამ პროცესს სწორი გამოყენება სჭირდება. ქალაქში მაცხოვრებელთა ზრდის პარალელურად აუცილებელია „მიტოვებული“ სასოფლო სამეურნეო მიწების დამსხვილების სტიმულირება და სოფლის მეურნეობის ეფექტური განვითარება, რათა ინდუსტრიალიზაციის ხარჯზე არ ჩამორჩეს სოფლის მეურნეობა და ქვეყანა ბოლომდე იმპორტდამოკიდებული არ გახდეს, სასურსათო დეფიციტის წინაშე არ აღმოჩნდეს და სასოფლო სამეურნეო პოტენციალი გამოუყენებელი არ დარჩეს. აუცილებელია გატარდეს ტერიტორიული განვითარების დაბალანსებისკენ მიმართულ პოლიტიკა.

რეგიონული უთანასწორობის მიზეზები და აღმოფხვის გზები

ცნება „რეგიონის“ და მასთან დაკავშირებული სხვა ეკონომიკური კატეგორიების ხსენებისას ფაქტობრივად, განიხილება მუნიციპალიტეტი ან უფრო მსხვილ დონეზე - საქართველოს 9 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - ან (2 ავტონომიური რესპუბლიკა), რომლებშიც მუნიციპალიტეტები ერთიანდებიან და არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს, თუმცა მეტ-ნაკლებად ერთ რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებს მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე გააჩნიათ. მათ მხოლოდ საკოორდინაციო და საკონსულტაციო ფუნქცია გააჩნიათ თვითმმართველობის ერთეულებსა და საქართველოს მთავრობას შორის და მათ ხელმძღვანელს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეკონომიკური ტრანსფორმაციის პარალელურად მომხდარმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ მნიშვნელოვანი დალი დაასხვა ქვეყნის ყველა სფეროს და განსაკუთრებით ეკონომიკას. ეკონომიკური განვითარების სტაგნაციამ და სასურსათო პრობლემებმა განაპირობა მოსახლეობის სოციალური, კულტურული და ფინანსური სიდუხჭირე. ქვეყანაში არსებული ყველა წარმოება, რომელიც ლოჯისტიკურად ჯაჭვურად იყო დაკავშირებული სხვადასხვა ადგილთან, ეს ადგილები სრულიად ახალი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ. თუკი მანამდე რეგიონულ დონეზე ზუსტად იყო განაწილებული, რომელ რეგიონს რა უნდა ეწარმოებინა და არ არსებობდა გასაღების ბაზრის პრობლემა, საზოგადოება დადგა ახალი რეალობის წინაშე: პრაქტიკულად აღარც წარმოების შესაძლებლობა აღარ იყო და აღარც გასაღების. ადამიანებმა უმეტესად თავიანთი შესაძლებლობების კომერციალიზაცია ვაჭრობაში იპოვეს და ვაჭრობა განსაკუთრებით მომგებიანი გახდა იქ, სადაც მოსახლეობა უფრო მეტი იყო. ამ ყველაფერში კი ეკონომიკურად ტრაგიკული იყო შემდეგი მოცემულობა: ადამიანები ყიდულობდნენ და ყიდდნენ საზღვარგარეთ (უმეტესად თურქეთში) წარმოებულ პროდუქციას, სანაცვლოდ ქვეყნის ძირითად საექსპორტო პროდუქტს უნიკალური საწარმოო სიმძლავრეები წარმოადგენდა და ერთ დღესაც აღმოვაჩინეთ, რომ გასაყიდი არაფერი გვქონდა, წარმოება უკვე თეორიულადაც აღარაფრის შეგვეძლო. ასე დაიწყო მსხვილ ქალაქებში და განსაკუთრებით საქართველოს დედაქალაქ თბილისში რეგიონებიდან ჩასული მოსახლეობის კონცენტრაცია, გაიზარდა მოსახლეობა, შეიქმნა ახალი მცირე წარმოებები, ხოლო რეგიონები სულ უფრო ღარიბი და დაცარიელებული დარჩა. ეკონომიკური აქტივობა არ

არსებობს ადამიანის გარეშე, ადამიანი კი მიდის იქ, სადაც უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური გარემოა.

წლების გასვლასა და ეკონომიკური ზრდის დონის მატებასთან ერთად საქართველოს რეგიონებს შორის უთანასწორობის უფსკრული წლიდან წლამდე იზრდება. ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციებისა და ახალ დაფუძნებული საწარმოების უმეტესობა ისევ ცენტრზე მოდის, რეგიონი კი დამოკიდებულია სახელმწიფო დაფინანსებაზე. რეგიონული განვითარების დაფინანსებაში წამყვანი როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ფინანსური დახმარებები. უკანასკნელ წლებში რეგიონების მიმართ ფინანსური დახმარების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოწვეულია საშემოსავლო გადასახადის (რომელიც 2008 წლამდე ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხებოდა) მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვით და გათანაბრებითი ტრანსფერის უკან დაბრუნებით. 2019 წლიდან შეიცვალა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსების წესი. გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადიდან წილის ნაცვლად, მათზე ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19%. საბოლოოდ, ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები იზრდება, თუმცა უთანაბრობა კვლავ გამოწვევად რჩება, რადგან, ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი ეკონომიკის ზრდის პარალელურად იცვლება, ეკონომიკური ზრდა კი რეგიონებში არასახარბიელოა. შესაბამისად, შემცირდა ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარი შემოსულობები. საქართველოს ყველა რეგიონი თანაბრად განვითარებული არ არის და არ გააჩნია თვითკმარი ბიუჯეტი. მოსახლეობა რეგიონებში უმეტესად დასაქმებულია ან საბიუჯეტო ორგანიზაციაში ან სოფლის მეურნეობის სფეროში რაც ვერ ქმნის საკმარის ეკონომიკური დოვლათს.

ცხრილი №147


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)						
რეგიონი	2015	2016	2017	2018	2019	2020 (I+II კვ.)
სულ	1 728 758,1	1 652 577,3	1 978 281,5	1 306 290,0	1 310 773,7	409 583,7
ქ. თბილისი	1 382 913,2	1 414 666,4	1 527 256,4	1 038 997,3	912 232,3	237 477,5
აჭარა	207 849,1	108 433,9	210 798,0	78 209,2	198 094,6	73 160,3
კახეთი	17 542,5	3 421,7	12 437,3	-8 618,1	199,7	2 844,0
სამცხე-ჯავახეთი	31 296,6	30 812,9	38 870,3	45 189,0	50 734,2	6 718,8
ქვემო ქართლი	21 180,5	29 129,9	64 693,2	86 374,8	48 082,6	35 824,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	50 730,1	35 640,6	56 264,6	-10 400,4	46 115,7	24 086,9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	25 701,8	27 309,9	61 137,3	27 471,3	46 211,5	10 409,0
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	-8 455,7	3 162,0	6 824,4	49 066,8	9 103,2	19 063,1

წინამდებარე ცხრილიდან ჩანს რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე, თბილისში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2-ჯერ, 3-ჯერ ან მეტჯერ აღემატება დანარჩენ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებს. აღსანიშნავია,

⁴⁷ წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური

რომ იმერეთის, აჭარისა და სამეგრელოს მონაცემებში შესულია აგრეთვე ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. აღნიშნული სურათი შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ ინვესტიციები, სამუშაო ადგილები და შესაბამისად ეკონომიკური დოვლათი ძირითადად თბილისსა და რამდენიმე მსხვილ ქალაქში იქმნება, დანარჩენი რეგიონები, რომლებიც გარს ეკვრის ქალაქებს, თითქმის ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური სიკეთის გარეშე რჩება, რაც ისედაც გადარიბებული რეგიონების კიდევ უფრო დაცლასა და გადატაკებას იწვევს. ზემოთ მოცემული ცხრილი პირდაპირ ასახვას პოვებს რეგიონების ეკონომიკურ აქტივობასა და მშპ-ში მის წილში:

დიაგრამა №148



საქართველოს დედაქალაქს მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში ნახევარზე მეტი წილი უჭირავს, რაც გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ საქართველოს მოსახლეობის ხვედრი მკვეთრად არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ ყოფაში ცხოვრებაა და აღნიშნული ვითარება სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი ასახვას პოვებს მოსახლეობის შემოსავლებსა და მათი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის დონეზე. ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ თბილისში მცხოვრების საშუალო თვიური შემოსავალი, მთელი ქვეყნის საშუალოს აღემატება, კონკრეტულ რეგიონებთან შედარებისას კი სხვაობა 50 ლარიდან 100 ლარამდე მერყეობს.

⁴⁸ წყარო: საქართველოს სტატისტიკის სამსახური

მოსახლეობის საშუალო თვიური ფულადი და არაფულადი შემოსავლების განაწილება რეგიონების მიხედვით, გაანგარიშებული ერთ სულზე (ლარი)

წელი	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი	დანარჩენი რეგიონები**	საქართველო
2014	251,5	336,8	252,3	213,0	265,4	282,8	266,3	250,6	278,7
2015	289,7	346,1	250,5	223,7	254,0	312,1	273,8	265,1	290,2
2016	297,3	373,8	256,6	235,3	287,9	311,6	271,6	247,1	302,2
2017	273,0	372,6	282,7	268,2	303,0	303,3	319,8	285,4	317,2
2018	357,6	369,2	307,1	251,5	295,2	275,2	310,3	281,5	318,3
2019	346,7	365,7	309,3	283,4	333,8	300,7	360,2	327,6	336,1

ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკა, ფართო გაგებით, უნდა განიხილებოდეს როგორც განვითარების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი. ქვეყნის რეგიონების განვითარება ნიშნავს არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებას, რათა ქვეყანაში შექმნილი კეთილდღეობა არ იყოს ფრაგმენტული და ყოფითი პრობლემების საფუძველზე არ მოხდეს მოსახლეობის არათანაბარი განსახლება, ან მეტიც, ეთნიკური სიჭრელიდან გამომდინარე, სოციალურმა პრობლემებმა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არ შეუქმნას საფრთხე. რეგიონული განვითარების ხელშეწყობისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი. ესაა: მართვის ტერიტორიული სტრუქტურების გაჯანსაღება, ზოგიერთი უფლებამოსილებისა და ვალდებულების დეცენტრალიზაცია; რეგიონების (და ქვეყნის) ეკონომიკური განვითარების სტიმულირება; თუმცა რეალური თვითმმართველობის უფლებების მინიჭებასთან ერთად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არაავტოქტონური მოსახლეობის მაღალი წილის გამო აღნიშნულ საკითხს ყურადღებით უნდა მივუდგეთ და არ დავუშვათ შიდა თუ გარე ძალების პროვოცირებით სეპარატისტული განწყობების გაღვივება. საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებას. აფხაზეთისა და ცხინვალის სეპარატისტული რეგიონები, რომლებიც ვერ კონტროლდებიან საქართველოს ხელისუფლების მიერ, ქვეყანა მიიყვანა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე. შესაბამისად, ამ გამოცდილების გამო ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს სიფრთხილე გამოიჩინოს თუნდაც განვითარებაზე მიმართული ფინანსური რესურსების და უფლებამოსილებების აკუმულირების საკითხის მიმართ. რეგიონებში არსებული ინფრასტრუქტურის არაადეკვატურობა საქართველოს სოფლის მოსახლეობის სიღარიბის დამამძიმებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოს მუნიციპალიტეტების უმრავლესობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა მეტად მძიმეა და მას ფუნქციონირება აღარ შეუძლია. რეგიონებში სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების

⁴⁹ წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გასაუმჯობესებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურის ამორტიზირებული ქსელების აღდგენას, რათა ცენტრთან ბმის ხარისხი ამაღლდეს. რეგიონების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს სოფლად სიღარიბის დაძლევაში, რადგან იგი თანაბარი განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. ინფრასტრუქტურას დადებითი ზეგავლენა აქვს სოფლის ეკონომიკის ზრდაზე. ის იზიდავს სექტორში კერძო ინვესტიციებს; აფართოებს გასაღების ბაზრებს; ხელს უწყობს ტრადიციული სექტორის (ფერმერული საქმიანობა) პროდუქტიულობის ზრდას. ყველა ზემოთ დასახელებული პრობლემის მოგვარებისთვის კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თვითკმარობა და მასში შესაბამისი თანხების არსებობაა საჭირო, რაც რეგიონის ეკონომიკური აქტივობის ზრდის გარეშე წარმოუდგენელია. ინფრასტრუქტურული და ყოფითი პრობლემების მოგვარებას ჭირდება შესაბამისი სახსრები, შესაბამისი სახსრები არ არსებობს ეკონომიკური აქტივობის გარეშე, ეკონომიკური აქტივობა, თავის მხრივ, არ არსებობს მოსახლეობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე, მოსახლეობა კი მიდის იქ სადაც ცხოვრების მაღალი დონეა. შესაბამისად, საჭიროა ერთი პრობლემის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე დეტალის ერთდროულად ამოძრავება და რეგიონებში თვითგანვითარების მექანიზმის ჩადება შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო და მასტიმულირებელი პოლიტიკის დახმარებით.

რეგიონული განვითარებისთვის პირველ რიგში საჭიროა პოტენციალის კვლევა. რომელ რეგიონში რისი გაკეთება შეიძლება, რომელი სასოფლო სამეურნეო კულტურის მოყვანა თუ ინდუსტრიული მიმართულების შექმნა იქნება მომგებიანი. შესასწავლია საწარმოო ძალების ოპტიმალური განლაგება, ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება, სამეურნეო პრიორიტეტების განსაზღვრა და ეკონომიკის რეგიონული სტრუქტურის სხვა ასპექტების შესწავლა. კვლევის შედეგები დაკავშირებული იქნება მოსახლეობის განსახლებასთან, შრომითი რესურსებისა და ბუნებრივი რესურსების დახასიათებას, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სამეურნეო კომპლექსების შექმნა-მოდელირებასთან და სხვ. საჭიროა დაზუსტდეს რეგიონებს შორის ეკონომიკური კავშირები, მობილიზდეს საფინანსო, შრომითი და საკადრო რესურსები ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონების შესწავლისა და მათი ტრანსფორმაციისთვის.

ქვეყნის რეგიონული მოდელირება ისტორიული ფენომენია. რეგიონული მოწყობა ეროვნულ კულტურასთან ერთად ვითარდებოდა და ასწლეულების მანძილზე ქვეყნის ეროვნული თავისებურებების კვალობაზე ფორმირდებოდა, როგორც ერის ხასიათის განმსაზღვრელი ნიშანი. თუკი ჩვენ არ დავიწყებთ საქართველოში არსებული რეგიონული მოდელის ამა თუ იმ ფორმის გადაკეთებას და გამოვიყენებთ ისტორიულად არსებულ, თვითდამკვიდრებულ დაყოფას, ეს სახელმწიფოს მართვის შესაძლებლობას უფრო გაამარტივებს.

ამა თუ იმ რეგიონის სტრუქტურული სპეციფიკისა და გარდაქმნის შესაძლებლობების ცოდნა რეგიონის განვითარების მნიშვნელოვანი საწყისი ეტაპია. თუკი ჩვენ ყველა რეგიონში თანაბრად ვუზრუნველყოფთ საქონლისა და მომსახურების წარმოების, ასევე საქართველოს საინვესტიციო სივრცის კონკურენტუნარიანობის ზრდას, ეს იქნება ცხოვრების პირობების და სტანდარტების მდგრადი გაუმჯობესების საფუძველი. საქართველოში დღეს არსებული სურათით, რეგიონიდან რეგიონზე ჩვენ ვანაწილებთ მათი გამოთანაბრების მიზნით არა ეკონომიკურ დოვლათს, არამედ ამ

ყველაფერს ჩვენი აზრით უფრო კარგი იქნება თუ ვუწოდებთ „სიღარიბის თანაბარ გადანაწილებას“. ფაქტიურად სახეზე გვაქვს ერთი ან რამდენიმე ერთეული თვითმკმარი რეგიონი და მასზე მიბმული ათეულობით ღარიბი რეგიონი, რომლებიც არსებობისთვის დახმარებას საჭიროებენ. ამგვარად, ტრადიციული გამოთანაბრებითი პოლიტიკის ალტერნატივად უნდა ვაქციოთ რეგიონული განვითარების პოლიტიკა, რომლის განხორციელების შემთხვევაში შემცირდება ფინანსური რესურსების გადანაწილების საჭიროება ეფექტიანი რეგიონებიდან სუსტი ტრადიციული ეკონომიკური ბაზის და განვითარებისათვის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების მქონე, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე. ყველა რეგიონის მიმართ ერთგვაროვანი პოლიტიკის მექანიკური გამოყენება ზღუდავს რეგიონული განვითარების შესაძლებლობებს. ყველა ქალაქსა და რეგიონს უნდა ჰქონდეს თავისი ეკონომიკური ფუნქცია. საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის შედეგად (რეგიონული საინვესტიციო სისტემა - რსს) სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს რეგიონებში ინვესტიციური პრიორიტეტები და იქ მათი ინვესტირება ასტიმულიროს საგადასახადო შეღავათებით. მაგალითად, თუ სახელმწიფო ჩათვლის, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში, რომლისგანაც შახტების ამორტიზირებისა, ნახშირის მოპოვება-გასაღების სირთულის გამო მივიღეთ დეპრესიული რეგიონი, საკომპენსაციოდ უნდა განვითარდეს ტექსტილის წარმოება, პრეფერენციულ საგადასახადო სისტემაზე დაყრდნობით უნდა შეიქმნას სპეციალური ზონა. სახელმწიფომ ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა უთხრას, რომ ტექსტილის ქარხნის იმერეთის რეგიონის ტყიბულის მუნიციპალიტეტში განთავსების შემთხვევაში ისინი გარკვეული წლების განმავლობაში არ დაიბეგრებიან მოგების გადასახადით, გარკვეული დრო მათ გადასახადი იქნება განახევრებული და სახელმწიფოსგან მიიღებენ ხელშეწყობას. თითოეული რეგიონისა და ინვესტორისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური საშეღავათო წინადადებების პაკეტი. მსგავსი პოლიტიკის გატარება სხვადასხვა რეგიონში გამოიწვევს რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას, დამატებული ღირებულებისა და შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდას, რაც პირდაპირ კავშირში იქნება ინფრასტრუქტურული, სოციალური და მუნიციპალური პრობლემების მოგვარებასა და ცხოვრების დონის ხარისხის გაუმჯობესებასთან.

სოფლის მეურნეობის განვითარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ სტიმული უნდა მისცეს მიწების დამსხვილებას კოოპერატივებში. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უნდა დასაქმდეს რეგიონულ ცენტრებში არსებულ არასასოფლო სამეურნეო სექტორში, ხოლო დამსხვილებული ფერმერების მიერ წარმოებული სოფლის მეურნეობა გასცდება პირად საჭიროებებს, დააკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს და შესაძლებელი გახდება ექსპორტიც. დღევანდელ პირობებში, სოფლის მეურნეობაში მიღებული პროდუქტის უმრავლესობა მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, პირად საჭიროებებსაც ვერ აკმაყოფილებს. კონკრეტულ რეგიონში შეფარდებითი უპირატესობიდან გამომდინარე, კონკრეტული ბიზნესის სახეობებზე უნდა დაწესდეს საგადასახადო და სხვა ტიპის შეღავათები, რაც ბიზნესის დაწყებას გაამარტივებს, ხოლო სახელმწიფოს ყველა რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოთანაბრებას და სახელმწიფო ინტერესებზე მორგებული „ეკონომიკური ფაზლის“ შექმნას შეუწყობს ხელს. ურბანიზაცია აღარ იქნება ქაოტური და მას მიეცემა ჩამოყალიბებული, გააზრებული ფორმა. ევროპული გამოცდილებით, ისეთ სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც სასოფლო სამეურნეო მიწები ნაყოფიერი არაა,

სტიმულირების მექანიზმით შესაძლებელი იქნება მცირე ინდუსტრიული ზონების შექმნა და განვითარება. ამ ზონებზე ავტომატურად მიეზღება მოსახლეობა და თანაბარი განსახლება ავტომატურად იქნება განპირობებული. სახელმწიფომ სრულად ან ნაწილობრივ უნდა გაანთავისუფლოს დღგ-სა და მოგების გადასახადისგან ეროვნული წარმოების ის საქონელი და მომსახურება, რომელის წარმოება ახალი დაწყებულია, არ არის განვითარებული და ჰყავს ქართულ ბაზარზე ძლიერი უცხოელი კონკურენტები. ახლად დაწყებული ინოვაციური ბიზნესი გარკვეულ ბრუნვამდე და გარკვეული პერიოდი (პირობითად 5-10 წელი ან 1 000 000 ლარიანი ბრუნვა) უნდა გაანთავისუფლდეს დღგ-სა და მოგების გადასახადისგან. გადასახადი არ უნდა იყოს ყველა რეგიონში ერთნაირი, უნდა მოხდეს დეპრესიულ და ნაკლებად დეპრესიულ რეგიონებს შორის განაკვეთის დიფერენცირება, რაც ბიზნესს უბიძგებს წარმოების დეპრესიულ რეგიონში გადატანისკენ და გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები, შედარებით გათანაბრდება ცხოვრების დონე.

დასკვნა

საქართველოს რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე მკვეთრად არათანაბარია. აღნიშნულმა უთანასწორობამ გამოიწვია ცხოვრების დონის სხვაობა და მოსახლეობის არათანაბარი განსახლება რეგიონებიდან ერთი კონკრეტული ცენტრისკენ. ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი კონცენტრირებულია დედაქალაქში, რაც ქმნის სატრანსპორტო, ეკოლოგიურ და ეროვნული უსაფრთხოების თუ სხვა სახის პრობლემებს. ეკონომიკური განვითარების უთანასწორობის პრობლემების აღმოფხვრა ნიშნავს სოციალურ თანასწორობას, თანაბარ განსახლებას და ძლიერ სახელმწიფო ეკონომიკას. რეგიონებში უთანასწორობის პრობლემების არმოფხვრისთვის აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშავოს მთელი რიგი ღონისძიებები.

საქართველოს რეგიონული განვითარება უნდა დაიწყოს რეგიონების პოტენციალის კვლევით. მთავრობის მიერ შერჩეულმა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა ჯგუფმა უნდა შეისწავლოს თითოეული რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობა და მისი კუნკურენტუნარიანობა მსოფლიო ან რეგიონულ ბაზართან მიმართებაში, რის საფუძველზეც შეიქმნება რეგიონული განვითარების სტრატეგია. რეგიონული საინვესტიციო სისტემა უნდა ვაქციოთ ქვეყნის დაბალანსებული და დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების ახალ ინსტრუმენტად. წინასწარ განსაზღვრულ რეგიონებში სახელმწიფომ უნდა მოახერხოს შესაბამისი ინვესტიციების მიმართვა და პოტენციური ინვესტორების საგადასახადო და არასაგადასახადო შეღავათებით მოხიზვლა.

სოფლის მეურნეობის განვითარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ სტიმული უნდა მისცეს მიწების დამსხვილებას კოოპერატივებში. ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რეგიონულ ცენტრებში ინდუსტრიული ზონების შექმნით დასაქმდება არასასოფლო სამეურნეო სექტორში, ხოლო დამსხვილებულ სასოფლო სამეურნეო მიწებზე ფერმერების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ფერმერთა ცოდნის ასამაღლებელ შესაბამის პროგრამებში ჩართვით უნდა გასცდეს პირად საჭიროებებს, დააკმაყოფილებს ადგილობრივ ბაზარს და მიზნად დასახული უნდა იყოს საექსპორტო ბაზრებზე გასვლა. სახელმწიფოს ცალკეული

რეგიონების განვითარება ნიშნავს არა მარტო კონკრეტული რეგიონის განვითარებას, არამედ საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე ცხოვრების ხარისხის არსებით გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა., რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2008.
2. ბარათაშვილი ე., ვეშაპაძე პ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბ. 2002.
3. საქართველოს რეგიონული განვითარება, თბილისი 2009, http://icsrpa.com/images/DR_Geo.pdf
4. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017 წლები, http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf
5. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021, http://gov.ge/files/495_66443_702865_1292.pdf
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, <https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf>
7. ღავთაძე გ., ჩიხლაძე ნ., იმერეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები, ქუთაისი, 2009.
8. ჩიხლაძე ნ., ვალიშვილი თ., გაბელაშვილი კ. ქალაქის ბრენდინგის აქტუალური საკითხები - ქუთაისური წახნაგები. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014.
9. www.geostat.ge - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი;
10. www.mrdi.gov.ge - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდი.

Alimi Kherkhadze

THE PROBLEMS OF INEQUALITY OF ECONOMIC DEVELOPMENT AND THE OPPORTUNITIES OF THEIR SOLUTION IN THE REGIONS OF GEORGIA

Summary

The reality in a certain region of Georgia is an important indicator of the economic, political or social strength of the country. Therefore, proper analysis and problem solving is an important issue. The regions of Georgia face significant challenges, their development opportunities are quite different, and as a result the population is unequally settled. The majority of the population lives in municipal centres and areas where the level of economic activity is relatively high. An analysis of foreign investment, economic activity, GDP, per capita income and other economic indicators reveals that the index of socio-economic well-being of the population is substantially higher than the resident of the region.

The gap of inequality between the regions of Georgia is growing from year to year. Most of the foreign investment and start-up companies in the country still are in the centre, and the region depends on state funding, which is insufficient. Local budget revenues are filled with 19% of paid VAT. There is no economic activity - the budget cannot be filled, therefore the periphery remains undeveloped. The country's regional development policy, in a broad sense, should be seen as an integral part of the development policy. The development of regions means the development not only of this region, but of the country in general, so that prosperity not to be fragmented and not to

happen unequal settlement of the population on the basis of everyday problems, or moreover, due to ethnic diversity, social problems not to pose a threat to the territorial integrity of the country.

Rebuilding worn-out infrastructure networks is crucial to alleviating poverty and improving living conditions of the population. For regional development, first of all, it is necessary to study the potential, in which region what can be done, which agricultural crop to grow or to create an industrial direction will be profitable. The optimal location of the productive forces, the regional structuring of the economy should be studied. Every city and region should have its own economic function. As a result of the analysis of investment opportunities, the state should determine the investment priorities in the regions and stimulate their investment there with tax remissions. An individual preferential package should be developed for each region and investor. Pursuing similar policies in different regions will lead to employment of the population of the region, increase of added value and consequently local budgets, which will be directly related to solving infrastructural, social and municipal problems and improving the quality of life. To ensure the development of agriculture, the state must stimulate the unification of lands in cooperatives. The vast majority of the population should be employed in the non-agricultural sector in regional centres, and agriculture produced by large farmers will go beyond personal needs, meet local market needs and also enable exports.

რევაზ ჯავახიშვილი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და მისი ძირითადი ტენდენციები საქართველოში

ანოტაცია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის რეციპიენტი ქვეყნის ტერიტორიაზე საინვესტიციო პროექტების რეალიზაციაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობის ფორმა, რომელიც გულისხმობს უცხოური აქტივების შექმნას მათზე კონტროლის განხორციელების მიზნით. ნაშრომში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკის რეფორმირების ცალკეული ეტაპების მიხედვით, გაანალიზებულია საქართველოში უცხოური ინვესტიციების დინამიკის ძირითადი ტენდენციები და თავისებურებები. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკების მართვისა და დაძლევის მექანიზმების შექმნასა და გამოყენებაზე; ამ საქმეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაფართოებისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

საკვანძო სიტყვები: უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პროექტები, საინვესტიციო აქტივობა, ეკონომიკური შოკები, სტაბილური ინვესტორები.

შესავალი


გლობალიზაციის ეპოქაში უცხოური ინვესტიციები ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვით დიდად არიან დაინტერესებული როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები. ასეთი ინვესტიციები დიდ როლს ასრულებს როგორც ინვესტორი, ისე რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაში. კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნებისთვის იგი წარმოადგენს შემოსავლების მიღებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან

წყაროს, საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაფართოების რეალურ საშუალებას.

კაპიტალმიმღები ქვეყნებისთვის კი უცხოური ინვესტიციები არის ეკონომიკის განვითარების ძირითადი (ზოგჯერ ერთადერთი) წყარო, ეკონომიკის რეფორმირების, საწარმოო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მთავარი საშუალება. პირდაპირი ინვესტიციები უნდა იყოს მსხვილმასშტაბიანი და გრძელვადიანი, რაც უზრუნველყოფს ინვესტირებულ საწარმოთა ეფექტიან ფუნქციონირებასა და განვითარებას. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო საინვესტიციო პროცესების ინტენსიური განვითარების ძირითად სტიმულს წარმოადგენს მსხვილი ბიზნესის მიერ ახალ-ახალ ბაზრებზე თავისი საქმიანობის გაფართოების, წარმოების რაციონალიზაციის, დანახარჯების შემცირების, სხვადასხვა ქვეყნების რესურსებისა და სტრატეგიული აქტივების დაუფლების გზით საერთაშორისო დონეზე თავისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

* * *

საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, სისხლხორცეულადაა დაინტერესებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინვესტიციების მოზიდვის წახალისებისა და მათი დაცვის მიზნით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მათი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და სრულყოფის მიმართულებით. პარლამენტის მიერ 1995-1999 წლებში მიღებული კანონებისა და მათში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების განხორციელებისა და დაცვის სამართლებრივი გარანტიები. ცხადია, ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რაზედაც ნათლად მეტყველებს 1-ლი დიაგრამის მონაცემები.



დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში 2000-2019 წწ. (მლნ აშშ დოლარი) [3].

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 21-ე საუკუნეში საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, მისი ზრდა ცალკეული პერიოდების მიხედვით განსხვავებულია, რაც ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების ეტაპების თავისებურებებითაა განპირობებული. როგორც უკვე აღინიშნა, რეფორმირების საწყის ეტაპზე (1995-1998), ქვეყანაში უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად არ შემოსულა (გარდა 3753 ათ. დოლარი უკრაინული ინვესტიციისა). შემდგომშიც, 2002 წლამდე, ინვესტიციების შემოდინება კვლავ მცირე ზომით ხორციელდებოდა, რაც უნდა აიხსნას საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებით, კორუფციის მაღალი დონით, ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობითა და ინვესტირების სხვა არახელსაყრელი გარემოებებით.

